

114/2  
1930



# მეამბოხე

4

საბავარო-ბერძნული ბიბლიოთეკა  
თბილისი 1930



# მნათობი

744/1203

ყოველთვიური მხატვრულ ლიტერატურული  
მეცნიერულ პუბლიცისტური ჟურნალი

ქალიჩაძე მიწვადი



აპრილი



საბანო მნიშვნელობა გამოცემისათვის  
ფებრუარი 1930



4199



ახალგაზრდათა ენციკლოპედია

ს ა გ ზ რ თ ა კ ა ს კ რ ტ ი

მე ბიუროკრატისს  
გამოეჭრიდი ყელს,  
როგორც შეგლი.  
პატივისცემით  
არ ვეპყრობი  
მე არც ერთ მანდატს.  
მე შევაჩვენებ  
ყოველ დოკუმენტს,  
გზას დაულოცავ  
ჯანდაბისაკენ.  
მაგრამ ეს ერთი...  
კაიუტების, კუბების  
უსაზღვრო ფრონტით  
ნიდის მოხელე  
ზრდილობიანი,  
იმას პასპორტებს  
აბარებს ყველა,  
და მეც ვაწოდებ  
ჩემს წითელ წიგნაკს.  
იგი ერთ პასპორტს  
ხედავს ღიმილით,  
და მეორეს კი  
ზიზლით უეჭურის.  
ის მაგალითად  
ინგლისურ პასპორტს  
ათვალყურებს  
დიდ მოკრძალებით.  
მსუქან ბიძიას  
სკამენ თვალუბით  
მის წინ იხრიან  
ქედს თავმდაბლობით;  
ამერიკელის პასპორტს  
იღებენ,  
თითქოს მიიღეს  
საჩუქრად ხურდა.

პოლონურ პასპორტს  
ისე უეჭურენ,  
როგორც აფიშას  
თბა შეხედავდა,  
პოლონურ პასპორტს  
თვალს აშტერებენ,  
როგორც რევუნდი,  
სპილოს მსგავსი პოლიციელი.  
თითქოს ამბობენ:  
—საიდან არის  
რის მაქნისია  
ეს უცნაური გეოგრაფია?  
იღარ ირხვევა კომპოსტოს თავი,  
იღარ განიცდის  
რაიმე გრძნობებს,  
წარბშეუზბრელად  
დანიელების და შვედების  
პასპორტს იბარებს.  
თითქოს უეცრად  
სახეზე ცეცხლი  
მოულოდნელად  
მას მოეკიდა:  
ეს ვაჟბატონი—მოხელე  
სინჯავს  
წითელკანიან  
ჩემს წიგნაკს ახლა.  
აილო ისე,  
როგორც ყუნბარა,  
აილო როგორც  
სამართებელი,  
აილო როგორც ზღარბი  
საშიში,  
როგორც რომ გველი  
შხამიანი, ორ მეტრიანი.  
ბარგის წამლები

თქვენ გიკვირის  
 შეგობრულ ცქერით—  
 გადაიტანდა თქვენს ნივთებს  
 ტყვილად.  
 ეანდარმი შემკითხავად  
 უცქერის მზეერავს,  
 მზვერაფი ეანდარს.  
 მე ეანდარმები სიამოვნებით  
 ჯვარზე მაცმეფდენ  
 და მაწამებდენ,  
 მისთვის რომ ხელში  
 მიჭირავს შედგრად  
 საბჭოთა პასპორტი  
 ჩაქურდიანი,  
 ნამგალიანი.  
 მე, როგორც მგელი  
 გამოვჭრიდი ყელს

ბიუროკრატიზმს, ეკონომული  
 პატივისცემით ხიზლირთხევა  
 არ ვეპყრობი  
 მე არც ერთ მანდატს.  
 მე შევიჩვენებ  
 ყოველ დოკუმენტს,  
 ვზას დაულოცავ ჯანდაბისაკენ.  
 მაგრამ ეს ერთი...  
 ამონაქვს იგი  
 ფართე შარვლიდან  
 ვით დუბლიკატი  
 ძვირფასი ტვირთის.  
 მაშ წაიციოთხეთ,  
 მოკვდიოთ შურისგან:—  
 მე საბჭოების  
 ვარ მოქალაქე!

თარგმანი ვ. ზ.

პ რ რ ე ლ ა ნ ი

Нельзя отставать от движения, ибо от-  
стать — значит оторваться от масс, но нельзя  
и забежать вперед, ибо забежать вперед —  
значит потерять связь с массами.

Сталин.

წგზავრი ჩერდება ამ შარავზაზე,  
ჩაფიქრებული ის თავისთავად  
ხედავს, კიღია გლეხის კიშვარზე  
ნალი ცხენისა და თავის ქალა.  
რის ნიშანია, ხომ უზიზღოთ  
არ ჩამოყიდა კიშვარზე ნალი:  
„წმმოგზაურმა ვათვალა ეზო,  
წმმოგზაურის ბოროტი თვალნი!“

წავი ქობია მისი ქონება  
ეზო, კერაზე ცეცხლი ხალასი,  
და სჯერა ძალა გლეხის გონებას  
კიშვარზე ცხენის თავის ქალასი.  
ზეცას, წწმინდანებს აქცია ზურგი,  
გადაისროლა ხატიც წაგაეწი,  
ღმერთის მადიერ იწამა ზურგი —  
ღრწად ჩასობილი თავის ქალაწი,  
იყო ღრო, ესეც აღარ ქონია,  
გარდა წაქცეულ წწინაპართ ქობის,  
მისთვის ჭეირფასი მოსაგონია  
ღედის ზანღუკი და ჭველი წობი.

„ღმერთის ღედასაც... საღმე თუ იყო  
თანასწორობა გამოეყვანა,  
ღმერთი რა არი, რომ ყოღდილიყო  
ციღან ხორბალი ჩამოეყარა.

„ასორმოკი წწლის ბრძენი, თავაზი  
მყავდა ბაბუა მე გულთააზრი,  
ქონდა სახელი წას მთელი მაზრის  
მრავალ წწლოეანი შუბლზე ხაზები,  
იყოდა სიტყვის და ანღაზების  
გასაოცარი გამოგონება:  
მხოლოდ ჩემია ჩემი ქონება.“

ერეკნული  
ხელმოწერა

„დარჩა სურათი დაუბატავი,  
წუხელ სინმარში ცოცხალს ვეხდავდი,  
ქონდა მარქსივით ვეება თავი  
და ვერცხლის ფერი წვერი შეერდამდი.  
მისი გული ვართ ჩვენ მისი ძენი,  
გრძელდება გვარი ჯიშთან მოდგმის,  
სახელგანთქმული სამაზრო ბრძენის  
სისხლი გლეხური ჩვენამდი მოდის.“

„ხელის მოწერა მან არ იცოდა,  
მაგრამ ნაცარი ჩამქრალ კერიის,  
ზღაპრების ცეცხლით როცა იწოდა—  
ქონდა თათრულად მიმოწერილი.  
„ნაცარი იყო მისი ქალაღი.“

„მისი გული ვართ ჩვენ მისი ძენი  
გრძელდება გვარი ჯიშთან მოდგმის,  
სახელგანთქმული სამაზრო ბრძენის  
სისხლი გლეხური ჩვენამდი მოდის.  
ბრძენმა იცოდა: ქვის დაბადება,  
ხურგის გაჩენა ძველთა-ძველადი,  
ბრძენმა იცოდა ცაზე ვინ იყო  
ჭექა ქუხილის ბელადი.“

ამოვსებული ბოლშით ყელამდე  
ხურგის მოთხრას ვერ შეურთვდება,  
დარჩა ნაბიჯი სახრჩობელანდი—  
განადგურების მახე იგება.  
ასორმოცი წლის ბრძენი, ბებერი  
ჩამოსევდილი, თავაზიანი,  
დგას, ეუბნება აჩრდილის ფერი:  
„რათ მიაყენეთ ხურგებს ზიანი“.

საეკლესიო წმინდა ამბავი,  
მრავალ-პიროვიან ღმერთების დედა...  
ყრია მიწაზე წიგნთა ნაგავი,  
გმობს, უღმერთობას თამამად ბედავს,  
ღმერთებზე უფრო უნაღდესია  
მისთვის ნაჯახი ვინც გამოქვდა,  
მაგრამ ნაჯახის პირალესილის  
შეეზარება განათხოვრება.—  
ასეთი იყო ბრძენის ახდერძი...  
ასორმოცი წლის გრძელი ცხოვრების  
გადაუტყდება შუაში ღერძი.“

ააგუგუნეს ხმები ძლიერი:  
„ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი“



ძველო გრანობებო და ბაღლინჯებო,  
 ძველო კუნტებო და მახინჯებო,  
 ერთად ყოფნაში დაიხოცებით.  
 მოსახლეობის 20%.

ერთად შლეროდა ხმებით ძლიერით:  
 ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი.  
 ამოვსებული ბოღმით ყელამდი  
 იცინის, ძნელად გასაგებია,  
 დარჩა ნაბიჯი სახარობელამდი—  
 ხურგის ნაღველი და ტრაგედია.

როცა ესმოდა ხმები ძლიერი:  
 ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი,—  
 ახსენდებოდა ბრძენის ნათქვამი:  
 მხოლოდ მისია კვერცი ქათამის,  
 ვისი ბუდეშიც დადებულია!!  
 „ყოფნა ღარიბიც დიდებულია,  
 თუმც სიღარიბე არის ვერაგი:  
 შენ არ გაცეცია ნიფხაე-პერანგი“.  
 როგორც მიწაში ძველებურადა  
 თითქოს თანასწორ უფლებიანი:  
 სცხოვრობენ, სვამენ, სკამენ მშურადა  
 ხარი, ძროხა და ადამიანი.

ასე ყოფილა შამა-პაპური  
 გომური გლეხის თავშესაფარი...  
 თუ ექნებოდა ღვინო და პური  
 და სადღეობით დაკლული ცხვარი.

გლეხი ცხოვრობდა  
 მუდამ გლეხურად...

ცხვარი ეცვა და ცხვარი ეხურა,  
 გასაჭირშიაც ამღერებულა:  
 სული ამომტერეს ლამისა,  
 მაინც მთქმელი ვარ ამისა,  
 „მე ვარ და ჩემი ქობ-შახი  
 გამოთენებელი ლამისა“.

ხშირათ ყოფილა, შხამი გველური  
 გულში ნაღველად დაგეუბება,  
 იგი ბრაზდება, როგორც ველური  
 და ცოლს შრისხანეთ წაეჩხუბება.  
 მათი ცხოვრება შექმული წვირით  
 ნესტიანია და ქირნანახი,  
 რომ მოგახსენოთ მათივე პირით

ერეკნული  
ზიხლიქოსია

კაპიკად არ ღირს მათი ქობნახი.  
თუმცა გარშემო ხარის ნებნია  
გული მაინც არ გაუტეხია,  
ზამთარ-ზაფხულში მუდამ გლეხურად  
ცხვარი ეცვა და ცხვარი ეხურა.  
ბინა პირმეტყველო,

ბინა პირუტყვთა,—  
იბა რასა გაეს მათი ბუნავი?..  
აქ მოდიოდა ჯვარით მაშაო—  
ლორი, წუწკი და მსუნავი.  
ეს მაშინ იყო... ელეა-მებადა  
მალლა ექირათ შეამზოხეებს  
დროშა წითელი, სადაც ეხატა:  
ომი დარბაზებს! დიდება ქოხებს!!!

შემდეგ ცხოვრება სხვაფერ აღელდა,  
შემდეგ ბევრი რამ გადასხვაფერდა:  
დიდ გარდატეხის დიად გმირებმა,  
ჩვენი ქარხნების ბრიგადირებმა.  
ხოლტის რაზმებით გაიომურეს:  
ომი ქობ-მახებს! ომი გომურებს!  
ნესტიან ყოფას და სივავლახეს!  
ძირს სილატაკე! ეიბრძეით მზისათვის  
ჩვენ სადარბაზო ცხოვრებისათვის.  
გაჩნდა დროშაზე სხვა ლოზუნგები:  
მოსპეთ მიჯნები, მოსპეთ ხურგები!

შემდეგ ცხოვრება სხვაფერ აღელდა  
შემდეგ ბევრი რამ გადასხვაფერდა:  
თათარის ქალმა ჩამოიხია  
ათასწლოვანი შავი მანდილი,  
ბევრი ოცნება თვალმა იხილა,  
ბევრი ოცნება გახდა ნამდვილი.  
შემდეგ ცხოვრება სხვაფერ აღელდა  
შემდეგ სოფელი გადასხვაფერდა:

„მედნიერების დრო ახლოს არი,“—  
ყვირის, ქაქანებს გმირულ მანიით,  
ამხედრებული მილალ ხმოსანი  
საგაზაფხულოთ დიდ კამპანიით.  
იგი მებრძოლი, თავდადებული  
და გაქანება 100%-ით,  
გვემა-გვეგმაზე დალაგებული

მიდის პორთუფელით და... გაოცებით.  
 თესვა რა არი... სავაზაფხულო  
 გეგმის ქალაქი აქვს აგებული,  
 და კომუნისში ჯერ არ ნახული  
 შემოდგომისთვის განაღდებული.  
 ერჩის გმირული გამბედაობა,  
 ხმების ქუხილი კარით-კარამდი,  
 სოციალისტური მეურნეობა  
 უნდა გამართოს, როგორც პირადი.

„არის პრინციპი ნებაყოფილი,  
 კერძოთ დარჩები? შენი ნებაა,  
 მეურნეობა გაქვს დაყოფილი,  
 ერთიანობის არ გაქვს შეგნება?  
 მაგრამ მშეიდლობით... კომერციას  
 თუ არ დარჩება შენთვის ფართალი...  
 დაინახავენ შემოდგომაში  
 თუ ვინ იქნება მტკუნ-მართალი.  
 თქვენ უპატრონოთ დაიხოცებით .  
 ძალდატანება აქ რა შეაშია,  
 თუ არ იქნება 100%-ით  
 ერთიანობა შთა და ბარშია.

ამაღლებული მისი მეობა  
 ქუხს და „შხესავეით არის მარადი“,  
 სოციალისტური მეურნეობა  
 ბარში გამართა, როგორც პირადი.

„... არის კომუნად გადაქცეული  
 100%-ით მასსა შევიდა“,—  
 ალაპარაკდა აღტაცებული  
 პრესის ფურცლებზე დეპეშებითა.  
 მიდის პორთუფელით და ... გაოცებით  
 აქვს სოც-შეჯიბრი შორეულ მახრის,  
 ხელშეკრულება: 100%-ით,  
 ნების-ყოფა და გმირული აზრი (!)  
 მორჩა პირადი ნაფარეულით,  
 ცეკვით, დაირით, სასიმღეროთი,  
 მიღწევებისგან გადარეულის  
 რევილიუციის სადღეგრძელოთი.

ამოვსებული ბოღმით ყელამდი  
 იცინის ყალბად, გასაგებია,  
 დარჩა ნაბიჯი საღრჩობელამდი  
 ხურგის ნაღველი და ტრალეღია:

ერეკნული  
ხეზლირთისა

„იციტ მუშა ვარ, კაცი—კაკალი,  
შემომაქვს მიწა, ჩემი საბანიც.“  
და მოაწერა ხელის კანკალით  
გლეხმა ქალღმრთე ჯვარის ანბანი.  
ქონდა სხეული გადაფარული  
ომის დროინდელ ძველი მაზარით,  
ქონდა გულშიაც სვედა ფარული.  
მოჭედიფეთა გაჩნდა ბაზარი.  
მან მოითხოვა ნაფარეული...

„დამისხი, დამალევინე“,  
თან სულიც დამალევინე.  
გვერდით მიუჯდა კაცი მსუქანი,  
სახე წითური, თვლის კამარით,  
გადისწორა უღვაშის რქანი.  
მუცელზე ერთეა ვერცხლის ქამარი...  
„გზა დაულოცე გადასახლებულს,  
სადაც მიფეა ყინეა და ქარი  
მე იქ მიედივარ...“

მიმაქვს სული და მარტო ქამარი...  
იბედნიერეთ,  
გაგიხარიათ,  
დღეს ჩემი ხარი  
თქვენი ხარია.  
მოსპევით ხურგი, კერა, სახლ-კარი  
ერთად იჩხუბეთ, ერთად დაძკარით.  
ათასწლოვანი მოსპეთ კორღანი,  
ვაშაღეთ ველი სიგრძე-სივანით...  
ვიყავ მდიდარი?

გამალარიბეთ,  
თქვენ ხართ მდიდარი.  
არ ვარ პატრონი მე ძველი მიქა  
მინდვრებზე ყანებ გადაშლილისა,  
აიღე ჭიქა—  
წვევლა და კრულვა შენი შეილისა,  
ყინეა და ქარში...

აბა რა გამაძღვევინებს...

„დამისხი, დამალევინე“  
თან სულიც დამალევინე.

„მე მიხარია ჩემი შინისა,  
არა მომტერე ჩემი შეილისა,  
მწამს საკუთრება და მეშინია

მეზობელების ავი თვალისა,  
ათასი წლის ვარ და იმედი მაქვს  
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალისა.  
ჩემია იგი... ქვაა თუ როკი,  
მტკიველა მიწამ უნდა მარჩინოს,  
დავეკიდები ღირზეთ თოკით,  
რომ ხურგი სიკვდილს გადავარჩინო.  
არ მაქვს იმედი მთა-ველებისა  
დიდ სივრცეებზე გადაშლილისა,  
ესვამ სადღეგრძელოს თაველებისა—  
წაველას და კრულვას ჩემი შვილისა.  
მოკვდეს, გაქვაყდეს წაქცეულ ხედა,  
კრულვაი მისი არ ნემსნელება  
რადგანაც შეილში მე აღარ ვხედავ  
ჩემი სიცოცხლის მსგავს გაგრძელებას.  
„ხომ ჩემ წინაშე დაეცა ღმერთი,  
თხის წვერიანი, თიხის ბებერი,  
აღარ გადარჩა ცაზე არც ერთი...  
აღარც მიწების კანონმდებელი—  
ღმერთი —კორღანი ათას წლოვანი.  
და როგორც გლეხი სამპიროვანი  
არ დგას მინდორზე ძალგულოვანი,  
მდინარეშია გადახვეტილი  
ღმერთი ნაკემი და დახვრეტილი.

წინ, მთელი ღამე ედავებოდა  
თავ-ბრუ დასხნული შვილი მამასა:  
ნამა, მითხარი როდის ჩამოხსნი  
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასა...  
ხომ ხარ ზეციურ ძალთა მემობელი.

- მ.: სანამ ცოცხალ ვარ და თემ-შარაზე  
უცხო გაივლის თუ მეზობელი...  
თვალის ძალა მწანს, ის ანადგურებს  
მტრულად ანთებულ თვალის ძალასა,  
ბრძენმა დაჰკიდა, მე არ ჩამოვხსნი  
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასა.
- მ.: შებორცებხარ პირ-მეტყველთ მოდგმა  
პირუტყვეთ თვალასა...
- მ.: გომურის ნაცვლად დიდი ქარვასლო  
აიგე ჩემთვის თუ შეგიძლია.
- მ.: კერძო ქარვასლებს მე არ ავაგებ,  
არც ვარ მემკვიდრე შენი კერისა.

- მ.: წაღი, მომშორდი, თავი წააგე,  
 შვილი ხარ, გიძგერს გული მტერისა.
- შ.: შენი აზრები შენ გემტყრება,  
 ნებზე ცხოვრება ვერ შეგიცვლია,  
 მე შემიძლია ბედნიერება  
 მოგცე, სიახლე თუ შეგიძლია.
- მ.: ბრძენის ნათქვამი შენახსოვრება,  
 ბრძენს შენზე ნეტი დაეჯერება:  
 „სჯობს შეჩვეული ჭირში ცხოვრება  
 შეუჩვეველი ბედნიერებას!“.  
 გააბათილა ღმერთი დროებამ,  
 შექოთნებების გაკეთებული,  
 შექოთნებების ანკეს მოება,  
 დღეს ჩემს გულშია განეფებული  
 საკუთარ მიწის სარწმუნოება.  
 მიწას საპურეს თუ სავენახოს  
 მენაც ვეყოფი, შენ არ მჭიროდე,  
 კარგი იქნება არ დამენახო,  
 კარგი იქნება დამიტიროდე.

წავიდა შვილი, როცა წყვედიდი  
 ჩავიდა, როგორც მგონების მწირი,  
 მზე ამოვიდა, როგორც დიადი  
 ორიგინალურ პოემის გმირი“.

## ქალი სარკეში \*)

### IV

#### წაპითხული პახეზი

კამარელმა გადაიტანა ნერვების ანთება და ოქტომბრის შუა რიცხვებში, როცა ოდნავ მომჯობუნდა, ექიმების რჩევით გაემგზავრა სამკურნალოდ შავი ზღვის პირის ერთ-ერთ სანატორიუმში.

ნოემბრის დამლევს წას ესტუმრა ინტენერი ვაისმანი.

კამარელი ვაისმანის წინაშე თავს დაშინაშევედ გრძობდა და სინიდისის ქენჯნას განიცდიდა.

ათასგვარი უღირსი ეჭვი, უკვე განვლილ სულიერი ქარიშხლის დროს მასში აღძრული, ახლა თვით მასვე სტანჯავდა. ვაისმანი მის თვალში თავდადებულ მეცნიერად და ღირსეულ მეგობრად სჩანდა. გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალ საერთო მუშაობაში ათეცად მიეგო მისთვის მეგობრული სიყვარული. ამიტომ, როცა გაიგო ვაისმანის ჩამოსვლა, ძალიან გაეხარდა და მაშინვე მოიწვია.

ეს პირველი შეხვედრა იყო კატასტროფის შემდეგ: ექიმების მიერ აკრძალული იყო ავადმყოფთან მეცნიერული ხასიათის ბაასი და ახლობელ თანამშრომლებს მას არ აკარებდნენ. ახლა-კი კამარელი სავსებით მოკეთებული იყო, მხოლოდ ფერის სიმკრთალე შერჩა და გულს ჩაწოლილი უზინარი შელანქოლია.

— ალბათ შემდურით, — პირველი მისალმების შემდეგ უთხრა ვაისმანმა. — არ ვიყავი თქვენთან ბოლომდი გულახდილი, მაგრამ, იმედი მაქვს დამიჯერებთ, რომ ჩემს მოქმედებას საფუძვლად ედო მხოლოდ მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო სიფრთხილე. მინდოდა მომესწრო პირველი შედეგების შეჯამება, რომ ჩემი შეცდომები თვითვე გამესწორებია.

— პირიქით, — დარცხენით უპასუხა თავდაბრილმა კამარელმა. — მე უნდა მოვიხადო თქვენ წინ ბოდიში, ბალღურად მოვიქეცე, ავეყვ გაუწაფავ გრძობების უსუსურ ატაცებას, მე შეგიშალეთ ხელი და ღირსი ვარ იმ სასჯელის, რაც მივიღე.

— სასიამოვნოა, რომ უკვე კარგადა ბართ და, მიშასადანე, შეგვიძლია მალე შევედგეთ მუშაობას.

— ორი კვირის შემდეგ დაბრუნებას ვაპირობ. ახლაც ვმუშაობ ცოტაოდენს, — კამარელმა გაიღიმა და მაგიდაზე რვეულებს თვალი მოავლო.

\*) იხ. „მნათობი“ № 2-3.

— მეც იმიტომ გამოვიშვეს თქვენთან ეჭიშვება, რომ მეუწარმე მტანადართუ-  
ლი გაქვთ. ჩემი ეკრანი ამჟამად თითქმის დამთავრებულია, უკვენი თქვენს ჩა-  
მოსვლას, რომ საბოლოო მსჯავრი დავსდეთ.

— მე პირდაპირ მაღრზობს თქვენი ახალი მიღწევის დეტალურად გაცნო-  
ბის სურვილი.

— მეც სწორედ იმიტომ ვნახეთ, რომ ვავიგო, როდის შეიძლება თქვენი  
სურვილის შესრულება.

— ერთი რამ არის ჩემთვის სრულიად გაუგებარი: როგორ მოხდა, რომ  
მარსხედაც სწორედ ისეა მოწყობილი ეკრანი, როგორც თქვენს ლაბორატო-  
რიაში? შორეული ხილვის პრობლემის სინათლის სხივებთან დაცემირება ჩემთ-  
ვის ვასაგებია.

ვაისმანმა პასუხი შეაგვიანა.

— ამაზე ცოტა ვრცლად მომიხდება ლაპარაკი. ვშიშობ, რომ დაგვლით.

— ნუთუ ისე ცუდად გამოვიყურები?

— მაშ ნებას მომცემთ?

— მე სმენად ვარ ქვეშული.

ვაისმანმა პორტფელიდან რამდენიმე წიგნი და რვეული ამოიღო, წაგიდახე  
დაალაგა და დინჯად დაიწყო:

— თქვენმა პიპოტეზმა ელექტრო-მაგნიტურ ტალღათა პარალელად ასხი-  
ვების შესახებ მე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შორეული ხილვის პრობლემა  
გადაწყდება უფრო წარმატებით ორ პლანეტათა შორის, ვიდრე დედამიწის ზე-  
დაპირის ორ პუნქტს შორის. დედამიწაზე სხივის სწორხაზობრივი მოძრაობა  
აბრკოლებს მის გამოყენებას შორეული ხილვის მიზნებისათვის. ამიტომ მე ავად  
მეუბნობა სულ სხვა პრინციპზე. როგორც იცით, მარსი და დედამიწა ხშირად  
ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ დროს პარალელ სხივების კონა ადვილად  
მიადწევს უცვლელის ძლიერებით ერთი პლანეტიდან მეორემდე. მაგრამ სხივების  
დასაქერად საჭიროა ორივე პლანეტაზე არსებობდეს მიწლები და გადამცემა აპა-  
რატები.

— სწორედ ეგ არის ჩემი შეკითხვის აზრი, — წარმოსთქვა კამარელმა და  
სკამის ზურგს მიეყრდნო.

— მე ერთი წუთითაც არ შეეშვებოდა, — განაგრძო ვაისმანმა, — რომ მარსზე  
არსებობს სიციოცხლე. მართლაც, როგორ შეიძლება აღამიანმა იფიქროს, რომ  
განუსახლერედ მსოფლიოში, ამდენ შხეთა სისტემებში, ურიცხვ პლანეტებზე,  
რომელთა შორის უთუოდ მრავალია ისეთი პლანეტები, როგორიც დედამიწაა  
თავისი ქიმიურ-ფიზიკური პირობებით, როგორ შეიძლება ამ უამრავ ქვეყნებში  
არსად სიციოცხლე არ არსებობდეს და მხოლოდ დედამიწა იყოს რაღაც უცნა-  
ური გამონაკლისი? ეს აზრი, როგორც მოგეხსენებათ, შეცნიერებაში უდავოა:  
სიციოცხლე მსოფლიოს საყოველთაო ძირითადი ფუნქციაა. ჩვენს სისტემაში, დე-  
დამიწის თვალსაზრისით, სიციოცხლე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მარსზე.

— ამიტომ აკედებოდენ ჩვენი მეცნიერები მარსის შესწავლას, მაგრამ სამ-  
წუხაროდ არაფერი გამოდიოდა, — გააწყვეტინა სიტყვა კამარელმა. — ბოლო დროს

ხომ მთლად შეერცხვით: 1924 წლის აგვისტოს, როცა მარსიეზში მინტოვიჩი კილომეტრამდე მოუახლოვდა დედამიწას, მთელი ქვეყნის ობსერვატორიების ტელესკოპების დაშვებული თვალებით შინჯაედენ მის ყოველ ხაზს და წერტილს, მაგრამ, როგორც იცით, არა თუ არაფერი ახალი არ აღმოჩნდა, სრულიად გაქრა ის საოცარი არხებიც, რომლებიც ათასჯერ უნახავს ტელესკოპებს გაცილებით უფრო შორ მანძილიდან.

— მეც სწორედ აქეთვე ვაპირებდი ჩემი საუბრის გადატანას, — გაეხარდა ვაისმანს. — დაკვირვებართ თუ არა თქვენ ამ გაუგებარ მოვლენას: რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უფრო სუსტა და პრიმატიულ ინსტრუმენტებში დიდ სიშორეზე ნათლად და გარკვევით სჩანდა არხების სწორი ხაზები, 1924 წელს კი, თანამედროვე ტელესკოპების უდიდესმა და ურთულესმა ობიექტივებმა არხების კვალიც ვერ შენიშნეს!

— სწორე გითხრათ, მეც გამაკვირვა ამ მოვლენამ! — დაუდასტურა კამარელმა.


— მე კი მეტად ჩამაფიქრა, — განაგრძო ვაისმანმა, — და სწორედ ამ დროდან დავიწყე არხების შესწავლა ძველი რუკებით და ფოტოგრაფიებით. რომ ეს უცნაური ხაზები არსებობდნენ, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა: სხვადასხვა დროს მეცნიერთა აუარებელი დაკვირვება ამოწმებს ამ ფაქტს. ფოტოგრაფია ხომ უტყუარია ამ შემთხვევაში! როგორ ხსნიდენ ამ ხაზებს მეცნიერები? პირველ ყოვლისა იძურობდა ყურადღებას ის გარემოება, რომ ხაზების მწყობრი სისტემა შეუძლებელია ყოფილიყო ბუნებრივი პროცესების შედეგი. არსად დედამიწაზე ამგვარ მოვლენას ადგილი არა აქვს. მაშასადამე, რჩებოდა ერთი ახსნა: რომ ეს ხაზები გაყვანილია რაიმე მიზნით გონიერ არსებათაგან. ყველაზე უფრო დამაჯერებელ ახსნას დედამიწის თვალსაზრისით იძლეოდა არხების ჰიპოტეზი. მაგრამ ამ ჰიპოტეზს გამოუსვლელ მდგომარეობაში აყენებდა არხების განსაკვირვებელი განი: 60-დან 300 კილომეტრამდე. ასეთი ვეება არხების გაყვანა პლანეტის ერთი პოლიუსიდან მეორემდე მწყობრი პარალელური და სამკუთხური სისტემით ადამიანის თვალსაზრისით არ არის არც მიზანშეწონილი და არც ტექნიკურად მოსაბერებელი. შიკტიეს აგრეთვე ყურადღება კიდევ ერთ გასაოცარ მოვლენას: ზოგიერთ კუთხეში ეს უზარმაზარი არხები ხანდახან სრულიად ქრებოდა რამდენიმე კვირის და ხან დღის განმავლობაში. იცლებოდა აგრეთვე დროგამოშვებით არხების მთელი სისტემა.

— მართლაც გასაკვირია ეს მოვლენა! — ვერ მოითმინა კამარელმა.

— როცა არხების ფოტოგრაფიების შესწავლას შევეუდექი, — განაგრძო ვაისმანმა და რვეული გადაფურცლა, — ჩემი ყურადღება მიიპყრო სკიპარელის მიერ გადაღებულმა სურათებმა. მან გადაიღო არხების ერთი და იგივე ადგილი ჯერ 1884 წელს, შემდეგ 1886 წელს და სრულიად გაუგებარსა და აუხსნელ მოვლენას წააწყდა: ორი წლის განმავლობაში არხების მთავარი მიმართულება დარჩა უცვლელად, ხოლო ცალკე ხაზები ზოგან გაქრა, ზოგან ახალი მოემატა და კუთხეთა კომბინაცია შეიცვალა.


ვაისმანმა რვეულიდან ამოიღო არხების სურათი და კამარელს წინ გაუშალა.

ქვემოთაა  
ხიზლირთხვა




ეს არის სკიაპარელის მიერ 1884 წელს გადაღებული სურათი. დააკვირდით ამ სისტემას, განსაკუთრებით მის შუა-ნაწილს, და შეადარეთ ორი წლის შემდეგ გადაღებულს იმავე არხების სურათს.

ვაისმანმა კამარელს მეორე სურათი გაუშალა წინ.



ეს იგივე სისქემია, გადაღებული 1886 წელს. შედარება ნათელყოფს პარალელებისა და სამკუთხედების ისეთს ცვლილებას, რაც უკარგავს არხების ძიპოტებს ყოველგვარ საფუძველს.



— არსებობს სხვაგვარი ახსნაც, — ჩაუბრუნო სიტყვა კამარულმა. — მეორე სურათს დაუწყო შინჯვა, — რომ ეს შავი ხაზები წარმოადგენენ სიბნელის მსაპირებს, სადაც მკენარეები გაშენებული. თვით არხები არა სჩანან, მკენარეებს კი დიდი ადგილი უჭირავთ და ჩრდილის ზოლებივით მისდევენ არხების მიმართულებას.

რატომ ქრება ხშირად ამ ზოლების ნაწილი? — იკითხა ვაისმანმა.

— შემოდგომაზე მკენარეებს ფოთლები სცვივა და ჩრდილიც იკარგება, — ვგონებ ასე ხსნიან.

აბა, დააკვირდით ორსავე სურათს: ტერიტორია ერთი და იგივეა, ზოლები სხვადასხვა. ფოთლების დაცვენით ამ ცვლილების ახსნა შეუძლებელია. მაშინ ზოლები კი არ უნდა, იცვლებოდეს — სულ უნდა ქრებოდეს განსაზღვრულ დროს. რა თქმა უნდა ასეთი ახსნა არაფერს აქნაყოფილებდა. იყო სასაცილო ვარიანტიც: თითქო ეს ზოლები გზებია, სადაც დროგამოშვებით მოძრაობენ ცხოველთა დიდძალი ჯოგები.

ვაისმანმა ორივე სურათი წინ გაიშალა და ოდნავ შეჩერდა.

— 1924 წელს რომ ზოლები სულ არ გამოჩნდა, — განაგრძობდა მკირე პაუზის შემდეგ, — მე ამ გარემოებამ, როგორც გითხარით, ძალიან ჩამაფიქრა: თუ ასე ახლოს არაფერი სჩანს, ტელესკოპების მოჩვენება ხომ არ იყო ეს არხები? მაგრამ ბროლის ობიექტივი უალრესად ობიექტიურია და გალამუცინაციებს არ არის ჩვეული. ფოტოგრაფიების შესწავლამ ზოლების ურთიერთობაში ერთი დამაფიქრებელი ნიშანი გამოაჩინა: სამჭუთხედების და პარალელების რიცხვი და ხასიათი განსაზღვრულ თანამიმდევრობით ლაგდებოდენ. როცა ჩავუყვირდი ამ დეტალს, ჩემში უცებ იელვა აზრმა: ეს შავი ზოლები ხომ არ არის სიგნალი, რომელსაც მარსი დაეინებოდა უგზავნის დედამიწას?

ამ სიტყვებზე კამარელი წამოვარდა და ალღევებით ჩააქცერდა ვაისმანს.

— პლანეტის ნათელ ზედაპირიდან, — განაგრძობდა ვაისმანი, — არ შეიძლება სხივებით სიგნალიზაცია: არ გამოჩნდება შორ მანძილზე. ჩრდილის უზარმაზარი ზოლები კი კარგად მოსჩანს ნათელ ფონზე.

— საოცარია, — შესძახა გაკვირებულმა კამარულმა, — რომ ეს აზრი არაფერს მოსვლიდა თქვენამდე!

— ქეშმარიტად საოცარია! — დაეთანხმა ვაისმანი. — და მარსმაც მიმართა უკანასკნელად მეტად მახვილ საშუალებას: 1924 წლის მოახლოების დროს სრულიად მოხსნა ეს სიგნალი, ალბათ იმ იმედით, რომ მიაქცევდა დედამიწის განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მოვლენას. რომ ეს ზოლები მაშინაც ენახათ, დაიწყებოდა გაუთავებელი კამათი იმის შესახებ, თუ როგორ არის ეს არხები გაყვანილი, მოსჩანს თუ არა არხების ჯვარედინებზე ქალაქების ნიშნები და სხვ.

— სწორ მიმართებას ერთხელ აცდენილი აზრი, — ჩაუბრუნო სიტყვა კამარულმა, — ბრძანებით დაეხეტება ოდროებზე ვიდრე მართალ გზას გაიგნებდეს.

— ძველი ნაპოვნი იყო, — უკვე გატაცებით განაგრძობდა ვაისმანი, — და მთელი სისტემაც ადვილად აეგო მასზე. ხომ ელოდენ მარსიდან სიგნალს? მაგრამ აბა თუ ვინმე დაჰფიქრებია ამ სიგნალის ხასიათს



— მე მახსოვს, თითქო რაღაც ხმაური ისმოდა მაშინ კამარელში და ისევ დაჯდა.

— შეტ ვიცი ეგ, მაგრამ ეს შესაძლოა ყოფილიყო უბრალო გაუგებრობა, ყოველ შემთხვევაში, ეს ხმაური შემდეგ არ განმეორებულა.

ვაისმანმა პორტფელის პატარა უბიდან ამოიღო გაზეთის ამონაჭერი და წაიკითხა:

„1924 წ. 23 აგვისტო. ბრიტანეთის რადიო-ტელეგრაფი შემდეგს იუწყება კანადიდან: დღეს დილით პოინტ-გრეის რადიო-სადგურის მუშაებს ესმოდათ გამოუცნობი სიგნალი: საოცარი ჯგუფი ხმებისა, რომლებიც არ არის აღნიშნული არც ერთ რადიო-კოდებსში“.

— ხომ არ უარყოფთ თქვენ მარსიდან ასეთი სიგნალის შესაძლებლობას?— შეეკითხა კამარელი.

— სრულებითაც არა. მაგრამ მე საკითხი სულ სხვაგვარად მაქვს დამძული: რა ენაზე შეუძლია ერთმანეთთან დალაპარაკება ორ პლანეტას? ხომ არ გამოდგება ამისათვის დედამიწის კაცობრიობისათვის გამოგონილი ნიშნები? მე ვამტკიცებ, რომ პლანეტათა შორის სიგნალიზაცია უნდა მოეწყოს ისეთ ნიშნებზე, რომლებიც საერთოა და გასაგები მთელი მსოფლიოსათვის.

— სად არის ასეთი ნიშნები?— გაიკვირვა კამარელმა.

— ეს ნიშნებია სხივისა და პლანეტების მოძრაობის გზები!— უპასუხა ვაისმანმა და კამარელს ჩააცქერდა.


კამარელი იჯდა გაკვირებული, ფერმკრთალი და ეტყობოდა, რომ მისი გონება ვაისმანის გაბედულ მიხედვრას ვაეტაცნა.

ვაისმანმა განაგრძო:

— პარალელები, წრეები, სამკუთხედები, საერთოდ გეომეტრიული ფიგურები, ეს არის უნივერსალური ნიშნები, ენერჯისა და ნივთიერების მოძრაობის საერთო კანონებზე დამყარებული. თუ მიწის გარეთ სადმე არსებობს ადამიანის მსგავსი გონიერი არსება, მას ეს კანონები უთუოდ ისევე უნდა ესმოდეს, როგორც ადამიანს, ვინაიდან სხივი მთელს მსოფლიოში ერთნაირად მოძრაობს. მეც ამ მხრით ჩაუუკვირდი მარსის ზოლებს. ჩემი ყურადღება მიიპყრო პარალელებისა და სამკუთხედების ჯამის მუდმივობამ. ზედმიწევნით შევისწავლე ეს მოვლენა და გასაოცარი შედეგი მივიღე: ერთი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა დროსა და ადგილს გადაღებულ ფოტოგრაფიულ რუკებზე პარალელურ ხაზებისა და სამკუთხედების ურთიერთ განწესრიგების ციკლი სამჯერ განმეორდა გასაკვირი სიზუსტით. თეთი ციკლი შეიცავდა 12 ფიგურას. როცა ფიგურები მათემატიკურ ნიშნებზე გადავიყვანე, მივიღე ჩემი ეკრანის ფორმულა.

— ვაშა, მეგობარო!— წამოიძახა ალელეებულმა კამარელმა და ვაისმანს გაბრწყინებული თვალები მიანათა.— გენიალური მიხედვრია. უწინარეს ყოველისა, სწორედ ეს აზრი უნდა დაბადებოდა ზოლების ყოველ მკვლევარს.

— ეკრანი აფაგე და სამი თვის განმავლობაში უჩინარ სხივებს ვესროდი მარსის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს. ბოლოს ერთს ასეთს სხივების კონას, როგორც ანკესს, წამოვეგო მარსის შივლები აპარატი და ჩემი ეკრანი ბუნდოვანად



ვანათდა. თანდათან ვავაუმჯობესე აპარატი იმ ზომამდე, რომ შექმნებოდა ვერანოდან თვით მარსელის დახმარების მიღება. შემდეგ გამოირკვეა რომ დედამწისა და მარსის ლერძების დაქანების კუთხე იმგვარად უპირისპირებს ერთმანეთს ორივე პლანეტის ჩრდილო-სდევროებს, რომ ეკრანებს შორის სხივების სწორ მოძრაობისათვის უფრო მოხერხებულია ეკრანის დადგმა ჩრდილო განივის 40 43 გრადუსის ზონაზე, როგორც იცით, ტფილისი ამ ზონაშია. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ჩემი მოსვლა თქვენთან.

კამარელს მოეჩვენა, რომ ვაისმანის ყველა საექვო სიტყვა და მოქმედება, რაც მას ასე ალღევებდა შეხედრის პირველ დღიდანვე, ნათელი და გასაგები შეიქნა. მას მუდამ ამძიმებდა ამ კაცის დაშიფრული ბუნება და ახლა, როცა ყველაფერს შუქი მოეფინა, იგრძნო მძიმე ტვირთის საამო შემსუბუქება და პირველად გაუწოდა ხელი ამ უცნაურ ადამიანს უჩრდილო და აუღმვრეველი გულით.

— უნდა ვითქვითო, — უთხრა მან ვაისმანს ღიმილით, — უკვე დადგა დრო, როცა საჭიროა მივხლოს კეისრისა კეისარს.

— ესე იგი? ვერ გაიგო ვაისმანმა.

— ესე იგი გამოცხადდეს „ლეტარგინი“-ს ნამდვილი აღმომჩენი.

— პო, რა გეტყობათ? — თითქმის უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ვაისმანმა. — გერ ამისთვის სადა გეცალია? ახლა შე მაწუხებს ერთი ახალი მეტად ამაღლელებელი ამოცანა. თუ ნებას მომცემთ, ამაზე ტფილისში მოვილაპარაკოთ.

— ეკრანთან დაკავშირებით? — ჰკითხა კამარელმა და უკებ თვალწინ წარმოუდგა უკვე მივიწყებული (როგორც მას ეგონა) მარსელი ქალის შექმოსილი სახე. გულზე უკბინა რაღაცამ. ნუთუ კვლავ სდარაჯობს მის გონებას მეოცე საუკუნის ეს შავი მაგია — ხორცშენახული რეალობის ნისლოვანი აჩრდილი? ნუთუ ვერ იშორებს თვალთაგან სიციხადისა და სიზმრის ჯადოსნურ კავშირს, მოწვევებად ქვეულს ცოცხალ არსებას, ამ უტყუარი ხილვის ამასრზენ კალაქციანაქას?

— არა, — თითქო წყალი შეასხა კამარელის აგზნებულ ფიქრებს ვაისმანმა, სულ სხვა ამბავია, სრულიად მოულოდნელად წამოჭრილი. როცა ეკრანის ფორმულის შესწავლის დროს მნათობთა მოძრაობის გზებს ვაკვირდებოდი, შემთხვევით წივანყვდი ამ პრობლემას, მაგრამ ამაზე შემდეგ. რაც შეეხება ეკრანს, მკონი დაგლალეთ, მაგრამ ვითქვითო სავსებით გაგაცანით ჩემი მუშაობის პროცესს. ამეამად კმარა.

და ვაისმანი წამოდგა.

— წასვლის წინ, ამ საღამოს, კიდევ გნახავთ.

გამოემწვიდობა კამარელს და ოთახიდან გავიდა.

კამარელმა აივანზე გააცილა.

თვალი გააყოლა ეზოდან მიმავალს.

კიდევ ახალი საიდუმლოების მოლოდინი!

ოღონდ ეკრანთან არ იყოს დაკავშირებული და ყოველგვარ განცდას და ალღევებს შეურიგდება.

ოღონდ მოიცილოს როგორმე ეს აკვიატებული მოჩვენება, რადგან ადუნებს მის შემოქმედებას და უჩრდილავს გონებას!

თორემ საზარი პერსპექტივაა: სარკეში უცქირო საყვარელ არსებას, ვეს-მოადეს მისი ხმა, ხედავდე ყოველ მის მოძრაობას, ღამის ფარვანასავეით ასკდებოდეს ანთებულ შუშას გაოცებული თვალები, უიმედოდ ფართხალებდეს, ფრთებს იღწავდეს და შიგ ველარ შედიოდეს; გეჩვენებოდეს—თითქო საკმარისია შეალო კარი, რომ გულს ჩაიკრა აღელვებული სატრფო, ხელი შეახო მის აგზნებულ სახეს, იგრძნო მისი გულის ცემა, თავბრუდამსხმელი სუნთქვა და სხეულის დამათრობელი სითბო,— და იცოდე კი, რომ ნამდვილად 100—200 მილიონ კილომეტრით არის დაშორებული შენგან ეს ქალი, და ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ შეახებ მას ხელს, ვერ მიუახლოვდები, რომ გავინული სიერცის პირდაღებული უფსკრულია ეკრანს გადაღმა და სიკედილის წაეი თვალებით იცქირება...

## V

## კომედა „გიულა“

ოთახში თანდათან დაბნელდა.

ვაისმანი ზის ღია ფანჯარასთან დაფიქრებული.

ფანჯრიდან მოსჩანს კვიპაროსის შავი კენწერო და უღრუბლო რბილი ცა! მზე კარგა ხანია ჩაეიდა, მაგრამ ცაზე ჯერ კიდევ შრიალებს მზის მოსახამის ბოლო, ოდნავ ოქროდ შეფერილი იისფერი აბრეშუმი.

აბრეშუშზე თეთრი ყვავილები სცვივა საიდანღაც, თეთრი ბრწყინვალე ზამზამები.

ერთ მათგანს სისხლის ფერი გადაჰკრავს...

გარეთ თმაშვეერცხლილი დეკემბრის მკებნარი სუსხი დგას, მაგრამ ვაისმანი სიცივეს არა გრძნობს. იგი გასცქერის სისხლიან ზამზამს, ხელში უჭირავს თავისი უშველებელი სათვალეები, შუშებზე თითებს არაწყუნებს, და ეს ღარიბი აკომპანიმენტი მუსიკის გრიალივით ნისდევს მისი ფიქრის უჩინარ გრივალს.

უცებ, ერთი წუთით ჩადგა გრივალი და გული გაანათა შორეულმა ვარსკვლავმა.

— კარო! შენ გგზავნიან!— მოესმა გახარებული ჩურჩული და ღია აიენანზე ჩიტოვით დაეშვა ქალი.

— გადაწყდა!

— თი თქმის ერთხმად!— და მის შუბლზე გედას ხავერდის თემები დაიღვარა.

— შენ უნდა შეასრულო დანაპირი, რაც უნდა დაგიჯდეს.

მას ათრობს ქალის ცხელი სუნთქვა, გულში კი უჩინარად მოძრაობს ჩრდილი, და ჩრდილი თითქო კვნესის:—ვისთვის, ვისთვის არის ეგ თვალები ანთებული? ვინ იტაცებს ამ სუნთქვას, უხილაეი და უცნობი?..

— შეეასრულებ.— ამბობს იგი და ქალს წელზე ხელს მოხვევს.

ქალის სხეული კანკალებს, როგორც ხელში ჩაბღვნილი შაშვი, და სწევს ვაჟის ხელს.

— ზედმეტად ღელავ, გედა. ტკბილად ვალერსება.—სიცხე გაქვს. შენ დასვენება გჭირია. მენდე, შევასრულებ. თუმცა ვიცი, საით მიტრის შენი ოცნება. ვედა, რათ იღუპავ თავს?

— კარო, ჩემო კარო! ჩურჩულებს ქალი.—მე ვანჭირული ვარ, მაგრამ ტკბილია ჩემი ტყვეობა!.. დიდია უფსკრული, მაგრამ შე ვხედავ შორეულ ნაპირს და მესმის ძახილი, აუტანელი ბედნიერების დაუძლეველი ძახილი...

— შევასრულებ!—მიეორებს იგი და ქალს თვალბეჭდში ჩააცქვრდება.

— მაგრამ რომ დაიმსხვრას ოცნება? შორიდან მიშხიდველი ობრან პირუტყვივით რომ აბლაღლდეს?

პარკში ოქროსთვალეებიანი ხომალდი ვაიშხუილებს და აივანზე შეტყუებულ ქალ-ვაჟს ელვა ვაანათებს.

— მაშინ დავიღუპები.—ძლივ გასაგონად ჩურჩულებს ქალი და ოცნებით ანთებულ თავს ყვავილის დამძიმებულ ყლორტსავით დახრის და ვაჟს მხარზე დაანდობს...

კარზე დააკაჟუნეს.

ვაისმანმა სათვალეები გაიკეთა, ფანჯარა მიხურა და შუქი აანთო.

— მობრძანდით!

შემოვიდა კამარელი.

— ხომ არ გალოდინეთ?

— ეისვენებდი, საღამო თავისუფალი მაქვს.

მაგიდაზე წიგნები დაალაგა. პორტფელიდან ქალაღდები ამოიღო და წინ გაიშალა.

კამარელი მის პირდაპირ დაჯდა.

— მე მინდა მოგვლაპარაკოთ ერთი კომეტის შესახებ,—დაიწყო ვაისმანმა, აილო დიდტანიანი წიგნი და ვადაშალა.

— ახალი კომეტა ხომ არ გამოჩნდა?—შეეკითხა კამარელი. გულში-კი გაივლო: არწივი გაუშვია, ბელურას მისდევს...

— არა, კომეტა ძველია. სახელად ჰქვია ბიელას კომეტა.

კამარელი ერთ დროს ძალიან დაინტერესებული იყო კომეტებით, მთელი წელიწადი იმუშავა ამ საგანზე და გამოკვლევაც გამოაქვეყნა კომეტების მოძრაობის შესახებ.

— მე ვიცნობ ამ კომეტის ისტორიას,—შეუმჩნეველი უკმაყოფილებით წარმოსთქვა კამარელმა.

— მე მაინც გთხოვთ ორიოდ წუთი დამითმით და მოთმინებით მოისმინოთ რასაც ვაიმობთ.

ვაისმანს ოდნავ აღელვება დაეტყო.

— ზოგი რამ ამ კომეტის შესახებ წიგნებიდან უნდა ამოვიკითხო,—განაგრძობდა ვაისმანი და ფურცლავდა წიგნს.—ყველაფერი, რასაც ახლა თქვენ

მოისმენთ, თქვენთვის ძველი და ნაცნობი ამბავია, მაგრამ მეწინააღმავლო ჩასაც  
ბოლოს ვიტყვი, ის სრულიად მოულოდნელი იქნება.

კამარულმა ურუბი სცქვიტა.

— სიამოვნებით გისმენთ.

— ბიელას კომეტა პირველად შენიშნულ იქნა ტელესკოპით 1772 წელს; შემდეგ 1805 წლის 10 ნოემბერს ეს კომეტა ხელნეორედ იქნა აღმოჩენილი. — ვაისმანმა მონახა საჭირო გვერდი და განაგრძო კითხვით, — „პონსის მიერ. ბესსელმა და ჰაუსმა გამოიანგარიშეს მისი ორბიტი და ბრუნვის პერიოდი, რომელიც უდრის  $8\frac{1}{2}$  წელიწადს. 1826 წელს კომეტა ისევ უნდა დაბრუნებოდა მზეს. ეს იცოდა ავსტრიელმა კაპიტანმა ბიელამ, რომელიც ამ დროს იდგა ბოჰემიაში და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა პატარა ტელესკოპით კომეტის გზას. მისმა მუშაობამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო: 1826 წლის 27 თებერვალს მან დაიჭირა ცაში ეს კომეტა, რომელსაც შემდეგ მისი სახელი დაერქვა. 1832 წელს ეს კომეტა ისევ მობრუნდა დანიშნულ დროზე, მაგრამ ამჟამად თან მოიტანა დიდი შიში და მღელვარება, ენაიდან გამოანგარიშებამ დაამტკიცა, რომ კომეტის ორბიტს უნდა გადაეჭრა დედამიწის გზა. თუკი ამ წერტილს ერთდროულად გაივლიდნენ დედამიწა და კომეტა, — კატასტროფა აუცილებელი იყო. მთელი ქვეყანა შიშის ხარმა მოიცვა, განსაკუთრებით დელავდა პარიზი. ცნობილმა ლალანდმა გადასწყვიტა აკადემიაში კომეტების შესახებ ლექციის წაკითხვა. ლექცია პოლიციამ აკრძალა, რადგანაც ხალხში ხმა გავრცელდა მეცნიერი ქვეყნის დაღუბვას წინასწარმეტყველებსო“.

ვაისმანმა მეორე წიგნი გადაშალა.

— აი რას სწერს ამის შესახებ ასტრონომი ვილფრ:

„ამ ხმების წყალობით გაერკელდა ისეთი პანიკა, რომ მთელი პარიზი კანკალით ელოდა დანიშნულ დღეს. იყო შემთხვევები შიშისაგან სიკვდილის, სხვადასხვა ნერვულ ავადობის და სხვ.; სამღვდლოების უღირსი წარმომადგენლები-კი მშვენიერად სარგებლობდნენ ამ ამბით და შიშისაგან გონებადაკარგულ ხალხს რიგიან ფასად პირდებოდნენ ცოდვათა სრულ პატიებას“.

— თვით უდიდესი გეომეტრი ლაპლასი, — ფურცლავდა ვაისმანი მესამე წიგნს, — შესაძლო კატასტროფას ასეთ საშინელ ფერებით ასწერდა: „შხის სისტემაში შემოჭრილ მრავალ კომეტათა შორის შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც დაეჯახება დედამიწას. ასეთი შეტაკების შედეგის წარმოდგენა ძნელი არ არის: დედამიწის ბრუნვის ხასიათი და მისი ღერძის მდგომარეობა შეიცვლება; ზღვა დასტოვებს თავის ეხლანდელ საწოლს და გაეგანება ახალ გეოცენტრისაკენ; ხალხი და ცხოველები დაინთქებიან ამ მსოფლიო წარღვნაში, თუკი უფრო ადრე არ დაიღუპნენ იმ საშინელ მუჯღუგუნისაგან, რომელიც დედამიწის ბურთს დააბარბაცებს. ყველა ერი დაიღუპება და დაინგრევა კაცობრიობის გონების ყველა ძეგლი...“

— ეს პანიკა ცრუმორწმუნეობით როდი იყო გამოწვეული! — შესწყვიტა კითხვა ვაისმანმა. — ეკეს გარეშეა, რომ ასტრონომიული თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელო მცირე მასის სხეული, მაგალითად ერთი კილომეტრის სისქე

ქვის ბერთი წამში რამდენიმე კილომეტრის სიჩქარით რომ დაეჯინებოდა, პლანეტას, შეუძლია გამოიწვიოს დედამიწის ცოცხალ არსებათა სრული კატასტროფა, ციურ მოძრაობათა სისტემაში-კი ასეთი კატასტროფა არავითარ კვალს არ დასტოვებდა. პირდაპირ დაჯახებაც რომ არ მოხდეს, დედამიწის მახლობლად უბრალო გადაფრენითაც ასეთს სხეულს თავისი მიმზიდველობის ძალით შეუძლია გამოიწვიოს ზღვის დონის ისეთ სიმაღლეზე აწევა, რომ კილომეტრების სიმაღლე ტალღები გრიალით გაივლიდნენ დედამიწის პირს საშინელ წარლენად და გადარეცხდნენ სიცოცხლის ყოველ კვალს.

— შიში მაინც უსაფუძვლო გამოდგა, — უნიშნა კამარელმა, რადგანაც, როგორც ვიცით, კომეტამ თავისი გზა გაიარა და მთელი ქვეყანა, და შიშით აკანკალებული პარიზიც, უცნებლად გადაარჩა.

მართალია, — დაეთანხმა ვაისმანი, — შიში უსაფუძვლო გამოდგა, ვინაიდან, როგორც ეს დამტკიცა ვენის ობსერვატორიის მაშინდელმა დირექტორმა ლიტტროვმა, შიშისაგან დაბრძანებულ ხალხს დააიწყებდა ერთი გარემოება, რომ 1832 წლის ნოემბერში თუშქვა ბიელას კომეტამ გადასჭრა დედამიწის ორბიტი, მაგრამ ამ დროს თვით დედამიწა ამ წერტილს 11 მილიონ მილით იყო დაშორებული. მაგრამ იმავ ლიტტროვმა საგანგებოდ გამოიანგარიშა მაშინ ამ კომეტის მოძრაობა და აი, რა გამოვიდა. მოვიყვან თვით ლიტტროვის სიტყვებს:

„თუშქვა დედამიწა ყოველ წელიწადს ნოემბრის 30-ს გაივლის მიწისა და ამ კომეტის ორბიტების გადაკვეთის წერტილს, მაგრამ დაჯახება ამ ადგილას შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კომეტას თავისი ორბიტის პერიოდის (მზესთან უახლოესი-მანძილის წერტილის) გავლა მოუხდება 28 დეკემბერს. ასეთი შემთხვევა კი, როგორც ზუსტი გამოანგარიშება გვიჩვენებს, შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ერთჯერ 2500 წლის განმავლობაში“.

ვაისმანმა კითხვა შესწავლიტა.

— აქედან იწყება ის „ახალი ამბავი“, რომელსაც მე თქვენ დაგპირდით, ლიტტროვმა, — ვაისმანი ისევ მიუბრუნდა წიგნს, — ესეც გამოიანგარიშა. აი, რას ამბობს ის ამის შესახებ: „უახლოესი ასეთი შემთხვევა მოსალოდნელია 1933 წელს“. რას იტყვით ამაზე?

— გამოანგარიშება სწორი იყო, — მიუგო კამარელმა, — მაგრამ ერთ-ერთ თავის მოგზაურობის დროს, სახელდობ 1872 წელს, ამ კომეტას რაღაც მარცხი შეემთხვა: ის მოულოდნელად დაიკარგა ცის სივრცეში. ამ წლის 27 ნოემბერს, როცა დედამიწამ გაიარა ორბიტთა გადაკვეთის წერტილი (ლიტტროვის გამოანგარიშების შემდეგ ამ წერტილმა უკან დაიხია სამი დღით), მაერში აერთო პეტეორების მთელი ჯოჯი. მაშინ დასკენეს, რომ ეს იყო დაშლილი კომეტის ნანგრევები და კომეტაც გამჭრალად გამოაცხადეს.

— ეს იყო ისეთი ლაპსუსი, რის მსგავსიც მეცნიერების ისტორიას ბევრი არ ახსოვს, — სთქვა ვაისმანმა და სკამის ზურგს გადააწეა. — 1872 წლის 27 ნოემბერს დედამიწამ, მართალია, გაიარა ორბიტთა გადაკვეთის წერტილი, მაგრამ სად უნდა ყოფილიყო ამ დროს კომეტა? როდის უნდა გაველო მას ეს წერ-

ტილი? გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ ამ წელს კომეტამ დედამიწის ერთზე მეტი გადასჭრა სექტემბრის 16-ს. მაშასადამე, 27 ნოემბერს, როცა დედამიწამ კესეოსის ვერტიკლი გაიარა, კომეტას უკვე შემოვლილი ჰქონდა მზე და საშინელის სიჩქარით მიჰქროდა უკან თავისი ორბიტის მეორე ხაზით იუპიტერის ორბიტისაკენ. რაც შეეხება მეტეორების იმ წვიმას, რომელმაც გაიანთა 27 ნოემბერს დედამიწის ატმოსფერო, ეს იყო მეტეორების ჩვეულებრივი „ნოემბრის ჯგუფი“, ასტრონომიაში „ლეონიდებდ“ წოდებული. შეუძლებელია ეს ყოფილიყო ბიელას ნანგრევები, კიდევ რომ შემთხვეოდა ამ კომეტას კატასტროფა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ვერტიკლი მან გაიარა, როგორც ეთქვი, 16 სექტემბერს და 27 ნოემბრამდე ეს ნანგრევები ერთ ადგილს არ დაუწყებდნენ დედამიწას ლოდინს.

— მაშ სად ვაქტა კომეტა?— იკითხა კამარულმა, — რატომ არ გამოჩნდა თავის ვხაზე ჩვეულებრივად, თუცა დაშლილი არ იყო?

— კომეტა არ დაშლილა. იგი განაგრძობს უცვლელად თავის ორბიტზე სრბოლას და გენიალური ლიტეროვის გამოანგარიშების თანახმად ის გადასჭრის დედამიწის ორბიტს 1933 წლის ნოემბრის 25-ს.

კამარული ოდნავ შეშოთდა.

— და ამ დროს დედამიწა იქნება სწორედ იმ ვერტიკლზე, სადაც ორბიტები ერთმანეთს გადაკვეთენ, — დაასრულა ვაისმანმა.

— მაშასადამე? — წიოიძება კამარულმა.

— მაშასადამე დაჯახება აუცილებელია.


— ამას უფრო დამაჯერებელი დასაბუთება სჭირია, — შეედავა კამარული.

— ინებეთ.

ვაისმანმა ქალღმერთს რევა დაუწყო.

— მე უკვე ვიცი, რამ გამოიწვია მეცნიერების შეცდომა. ბიელას კომეტა, რომელიც სჭრის დედამიწის ორბიტს, თავის მზრივ განიკდის მეორე მეზობელ კომეტის ამგვარსავე დაუპატრიებელ შემოჭრას. ამ კომეტას ჰქვია ენკე. მე თქვენ ახლავე ვაგაცნობთ ამ კომეტის ორბიტსაც.

ვაისმანმა გაშალა რუკა და კამარულს წინ დაუდო.



ეს არის დედამიწის, ბიელას და ენკეს ორბიტების კომბინაცია: a, b, c—დედამიწის ორბიტა; a, c, g—კომეტა ბიელას ორბიტა; d, e, f.—კომეტა ენკეს ორბიტა. როგორც ხედავთ, ბიელა ჯერ გადასჭრის ენკეს ორბიტას, შემდეგ შემოიჭრება დედამიწის ორბიტაში. როგორც ჩვენა გამოანგარიშებამ დაამტკიცა, და ეს თქვენ შეგიძლიათ ახლავთ შემოიწმინთ, სწორეთ 1872 წლის აგვისტოს 2-ს მოხდა ბიელასა და ენკეს შეხვედრა ამ წერტილზე. ეს არ იყო დაჯახება, ვინაიდან ორთავე კომეტის მთავარმა მასსამ ერთი-მეორეს გვერდი აუბრუნა, მხოლოდ ენკემ ჩააქრო ბიელას ელვარე გარსი, რადგანაც მოხდა ელექტრო-მაგნიტურ სხივების უცარი დაცლა კომეტების აირის კონტაქტის გამო. ჩამტკიცალი ბიელა ტელესკოპში არ გამოჩნდა.

ვაისმანმა ფორმულებითა და ციფრებით აქრელებული ქალაქი გადასცა კამარელს.

მართალია, ლეტარგინისა და შორეული ხილვის ეკრანის მოულოდნელობამ შეაქრო ინტენივი კამარელი, მაგრამ კომეტების საკითხს ისე კარგად იყო გაეცნობილი და იმდენად უფრო ზეულებრივი მოვლენა იყო მისთვის ეს ყოველგვარ ფანტასტიკის გარეშე ნაწარმოები ანგარიში, რომ აქ იგი არა გრძნობდა შიშის მომგვრელ ქრუანტელს, რითაც იმსჯელებოდა ბოლმე ყოველთვის, როცა ეკრანის ფორმულაზე გაიფიქრებდა. ის უკვე თავის ბუნებრივ ატმოსფეროში გრძნობდა თავს და ამიტომ სრული სიღინჯით შეუდგა ვაისმანის ციფრების შემოწმებას. მაგრამ რაც უფრო მეტს აკვირდებოდა ამ ციფრების კორიანტელს, მით უფრო ემჩნეოდა მის სახეს აღელვება და ბოლოს, როცა გაეცნო ყველა სტემას, ქალაქები დაეცა, ნელა დაალაგა მაგიდაზე, ხმის ამოუღებლად წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი ხართ, — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მიმართა ვაისმანს, — თქვენი ანგარიში სწორია. რა უშიშვანელო რამ ჩრდილია საქმაო ხშირად, რომ მეცნიერების ბრწყინვალე თვალებს ბინდი აეკრას. როცა უმეშვეო საფრთხის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, ხალხი ღელავდა და შიშისაგან კანკალებდა, ახლა-კი, როცა აუცილებელი კატასტროფა მოახლოებულია, არაფერ საფრთხეს არ მოეღის.

— საქირია გაფრთხილება, — წყნარად წარმოსთქვა ვაისმანმა.

კამარელმა გაიკვირვა:

— რა აზრი აქვს გაფრთხილებას?

— მეცნიერებამ თავისი მოვალეობა უნდა მოიხადოს. ვინ იცის, რას შეიძლება კაცობრიობა უკიდურეს საფრთხის წინაშე!

კამარელი ხელმოკრედ მიუჯდა მაგიდას და გადაშინჯა საბედისწერო ციფრები.

ვაისმანი იჯდა ქანდაკებასავით გაუნძრეველი და კამარელს შესცქეროდა.

— კატასტროფა აუცილებელია! — აღელვებით დაასვენა კამარელმა. — სამწუხაროდ, კაცობრიობა სრულიად უძლურია ამ საფრთხის წინააღმდეგ. ამიტომ, ვფიქრობ, უმჯობესია არაფერი იცოდეს ამის შესახებ.

— მე არ ვეთანხმებით, — ენერგიულად მიუგო ვაისმანმა. — ვაჭარულად ვაჭკობ და ვაჭკობთ ქვეყანას მოსალოდნელი საფრთხე? არიან სხვა მეთოდები, რომლებიც ნება მათ გამოიხიბონ რაიმე საშუალება. დაე მათაც იკვლიონ უბედურების ასაცილებელი ხეულები.

კამარელს უცებ მოაგონდა მარსელი ქალის მიუწვდომელი სახე და იგრძნო გასაკვირებელი სიმშვიდე: თითქო მძიმე ტვირთი მოსცილდა გულს. უსაზღვროების ფანჯრიდან შემოჭრილი მისი პიროვნული კატასტროფა გადაიქცა მსოფლიო კატასტროფის წინაშობედ გრგვინად, რომელიც თანდათან უახლოვდება საცოდავ დედამიწას, რათა ორი წლის შემდეგ საბუდამოდ გააბნოს მისი ლეშის ნანგრევები ვაყინულ სივრცის უფსკრულში. თუ შეუძლებელია ადამიანისათვის გადაახტეს ამ უფსკრულს, დასძლიოს მისი უსაზღვრო სიბნელე და აფრინდეს შორეულ სფეროში სულის დამატკობელ ჩვენებათა განსაცხადებლად, უმჯობესია სამარადისოდ დასამაროს ამ უნაპირო საფლავში მღვდლვარე გული და უფროთ სხეული.

— ამაშიც მართალი ხართ. — უთხრა მან ვაისმანს და წამოდგა, — კაცობრიობამ უნდა იცოდეს, რა ელის მას.



მეორე დღით კამარელმა პულკოვის ობსერვატორიის დირექტორს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეში:

„არის საფუძველი დაეასკენათ, რომ კომეტა ბიელა უახლოვდება დედამიწას. საჭიროა დაკვირვებით გაიზინჯოს ვარსკვლავთა ფოტოგრაფიული რუკები, რათა შემოწმებულ იქნას, ვაიარა თუ არა ამ კომეტამ ორბიტების კრიტიკული წერტილი 1920 წლის 17 ოქტომბერს და 1927 წლის 21 აპრილს.“

სამი დღის შემდეგ კამარელმა პასუხი მიიღო. პულკოვის ობსერვატორიის ფოტოგრაფიებში კომეტა არ აღმოჩენილა, მაგრამ მას შეკითხვა დაუგზავნია შეიდ უმთავრეს ობსერვატორიისთვის; მთვან ორს დადებითი პასუხი მიუცია: ჰამილტონის ობსერვატორიას (კალიფორნია) და Boyden-Station-ს (პერუს მიდამო). ეს ორი ობსერვატორია იმყოფება განსაკუთრებით უპირატეს ატმოსფერულ პირობებში და ამიტომ ბოლოწაჭრილ უშუქო კომეტის ბუნდოვანი ჩრდილის დაჭერა მხოლოდ მათ მოუხერხებიათ. მაგრამ, როგორც პულკოვის ობსერვატორიის დირექტორი იტყობინებოდა, ამ ჩრდილის მავგარ სხეულისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და ბიელას მობრუნება სენსაციას გამოიწვევს, თუ გამართლდაო.

კამარელისთვის ეს ცნობა სავსებით საემარისი იყო.

მან დაამზადა წერილი, რასაც შინის ქარიშხალში უნდა გაეხევა მთელი დედამიწა, და ვიდრე გამოაქვეყნებდა, გადასწყვიტა ტფილისის მეცნიერთა ვიწრო წრეში წაეკითხა, რომ პატარა ფარგლებში შეემოწმებინა მოსალოდნელი დიდი შთაბეჭდილება. კრებაზე მოიწვია პროფკავშირისა და სტუდენტობის წარმომადგენლებიც.

მომხსენება წაიკითხა ფრთხილი, მეცნიერული სიღინჯით. ჩემს მსწავლელს ამაღლდებელი ატმოსფერა არ შეეკნა, კატასტროფის საკითხი უფროსად გაუსწვლად ჩაატარა, ფორმულებისა და ოდნავ მისახვედრ შედეგების დამშვიდებულ სიტყვებში უჩინრად მიშალა საშინელი ქეშმარიტების მკბენარი შორიელი. მოხსენება გათავდა.

თითქმის არავითარი შთაბეჭდილება.

პაუზა.

სიჩუმე დაარღვია თავმჯდომარემ:

— შეკითხვა ხომ არავის გაქვთ?

— მაქვს. — ჩაახველა ახალგაზრდა ისტორიკოსმა.

— ბრძანეთ.

— მომხსენებლის ანგარიშით დედამიწას კომეტა უნდა დაეჯახოს. როგორ ფიქრობს მომხსენებელი, რა შედეგი ექნება ამა დედამიწისათვის?

კრებამ ყურები სცქვიტა. ამ შეკითხვამ სულ სხვა სახე მისცა მოხსენებას. სიტყვების თბილ საბნოდან შორიელმა ერთი ფეხი გამოჰყო.

— სხვა ვისა გაქვთ შეკითხვა?

არავის.

სხვა რაა საკითხავი? მთავარი ესაა.

კამარელი თითქო ანკესზე წანაგავს.

მაგრამ გამოცდილი თევზი გაუსხლტა ანკესს და წყალში ბუნდოვანად ჩასრიალდა.

— ამჟამად მე ვიკვლევ კომეტის მასას. დაჯახების შედეგი იქნება უმნიშვნელო, თუ კომეტა მცირე სიმძიმის აღმოჩნდა, მაგრამ თუ მას თავისი მასის სიმკვრივე და მოცულობა ძველი აქვს, მაშინ მოსალოდნელი იქნება დედამიწისთვის მეტად სახიფათო მდგომარეობა.

რატომ არის მოსალოდნელი კომეტის ძველი მასის შემცირება? — კიდევ შეეკითხა ისტორიკოსი.

— აცი მოგახსენეთ, 1872 წელს ეს კომეტა დაეჯახა მეორე კონეტას. მაშინ ჩაქრა მისი ანთებული გარსი. შესაძლოა მასსაც დაიშალა ნაწილობრივ.

— თუკი კომეტას შერჩა ძველი მასა, — განაგრძობდა შემკითხველი, კონკრეტულად რა ხასიათის კატასტროფაა მოსალოდნელი ჩვენი პლანეტისათვის?

— ეს იქნებოდა დედამიწაზე სიცოცხლის უცარი განადგურება, — მიუგო კამარელმა. თვითონ დედამიწას, როგორც პლანეტას, შეიძლება არაფერი ზიანი მოუვიდეს, მაგრამ სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა მასზე უთუოდ დაინგრევა, რადგანაც კატასტროფა გამოიწვევს დედამიწის კანის სრულ დაშლას. შესაძლოა დედამიწა აენთოს. მაშინ იგი მილიონ წლების განმავლობაში ივლის ჩვენს სისტემაში როგორც მეორე პატარა მზე.

დარბაზში შიშის პირველმა ნიაემმა დაჰბერა და ბევრს თმა აუბურძენა.

შორიელი ნახევრად გამოძვრა სიტყვების აბლაბუდიდან.

— რამდენად არის მოსალოდნელი საერთოდ ამგვარი შექატასტროფა? — განაგრძობდა შემკითხველი. — მეცნიერებამ იცის თუ არა ასეთი შემთხვევა მოფლიოში? დედამიწა ამდენი ხანია არსებობს და თუ წარსულში არაფერი შემთხვევია, რისთვის უნდა ველოდეთ მომავალში ამგვარ ხიფათს?

კრებამ იმედიანად ამოისუნთქა.

შორიგლმა ფეხი დამალა.

კამარელმა შემკითხველს პასუხი გასცა:

— მეცნიერებამ იცის კატასტროფის შემთხვევები მოფლიოში. ეგრედწოდებული ცვალებადი და ახალი ვარსკვლავები წარმოადგენენ მოფლიო კატასტროფათა შედეგს. ცაში მოფლოდნელად აენტება ახალი ვარსკვლავი, ან უკვე არსებული ვარსკვლავი უფრო მეტი სიძლიერით დაიწყებს კაშკაშს. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ეს კატასტროფის შედეგია: პირველ შემთხვევაში შორეული მზის სისტემის რომელსამე ბნელ პლანეტას დაეჯახა ამ სისტემაში მოფლოდნელად შემოჭრილი სხეული და აანთო იგი. მეორე შემთხვევაში ეს გარეშე სხეული დაეჯახა თვით მზეს და გაუდიდა სხივოსნობის ძალა.

თი რას ამბობს ერთი ასეთი შემთხვევის გამო მეცნიერი ფოგელი:

„1892 წელს აღმოჩენილ იქნა ახალი ვარსკვლავი Nova Aurigae. ეს ვარსკვლავი 1891 წლის 2 ნოემბრამდღე იყო მე-13 სიდიდის, სრულიად უნიშვნელო და ძნელად შესამჩნევი. იმავე წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ვარსკვლავი გადიდდა მე-7 სიდიდის ზომამდე. 7 დეკემბერს მიადწია მე-6 სიდიდეს. 20 დეკემბერს კი ვარსკვლავი კაშკაშებდა როგორც მე-4 სიდიდის ბრწყინვალე მნათობი. შემდეგ დაიწყო დაბნელება, თანდათან უკლო სინათლეს და 1892 წლის აპრილის დამლევს სრულებით გაქრა“.

„ბუნებრივად ისმება საკითხი. — ამბობს ამის შესახებ ფოგელი, — როგორ უნდა ავხსნათ ყველა ეს ფაქტი, უნიშნული სამყაროს შორეულ სივრცეში? მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყავით უდიდესი კოსმიური კატასტროფის მოწმენი. ჩვენი აზრით, უზარმაზარი ბნელი სხეული საშინელი სიჩქარით შეიჭრა რამდენიმე-პლანეტაზე მზის სისტემაში და მოფლოდნელად დაარღვია ამ სისტემის წესი და მშვიდობა. თუ პირდაპირ არ დასჯახებია ეს სხეული სისტემის ცენტრალურ მნათობს, რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ თითქმის უკვე გაცივებულ მდგომარეობაში, ისე ახლოს გაუჭროლა მას, რომ თავისი დიდი მიწიბდევლობის ძალით გამოიწვია მნათობის შინაგანი თხელი ნივთიერების ლეღვა. მნათობის კანის გასკდომა და ავარვარებული სითხის პროტუბერანცების საბით სივრცეში გადაღვრა“.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამს მეცნიერბ მიიერი:

„ყველა ფაქტი და ჰიპოტეზი რომ ერთმანეთს შევეუფარდოთ, — ამბობს იგი, — პირველ ყოვლისა უნდა დავასკვნათ, რომ ახალი და ცვალებადი ვარსკვლავების წარმოშობა ატარებს კატასტროფის ხასიათს: ეს უეცრად ანთებული ვარსკვლავები წარმოადგენენ რომელიმე დაღუპული ქვეყნის სამგლოვიარო ქინჯილს“.

თვით ჩვენი მზის სისტემაშიც, როგორც მტკიცდება, ჰქონია ასეთს კატასტროფას ადგილი. როგორც ცნობილია, პლანეტების დაშორება მზისაგან ეწყა-

რება ერთგვარ კანონს. ამ კანონის მიხედვით მარსსა და იუპიტერს უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი პლანეტა. როცა ასტრონომებმა დაუწყეს ამ პლანეტას ძებნა, სწორედ იმ ადგილას, სადაც გამოანგარიშებით პლანეტა უნდა ყოფილიყო, აღმოაჩინეს პატარა სხეულების მთელი გროვა; ევრეთწოდებული ასტრონომები. მათი რიცხვი 1000-დე აღის. მეცნიერების აზრით ისინი წარმოადგენენ პლანეტის ხანგრძლივებს. ცხადია, პლანეტას დასჯახებია რომელიმე კომეტა, თვითონაც დაშლილა და პლანეტაც დაუნგრევია.

მაშასადამე, მზის სისტემაში, თითქმის დედამიწის გვერდით, მომხდარა ასეთი კატასტროფა და რატომ იქნება გასაკვირი, რომ ეს ხიფათი ჩვენს პლანეტასაც შეემთხვას!

მართალია, დედამიწის ხანგრძლივი წარსული აქვს. მაგრამ გეოლოგიური ანგარიშით იგი ჯერ კიდევ ჯაბუკობის ასაკშია. და ის ფაქტი, რომ მას წარსულში არაფერი გასჭირვებია, არ ამტკიცებს მომავალი უბედურების შეუძლებლობას.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ჩვეულებრივი მეცნიერული ხასიათის სადღომა უჩვეულო განწყობილებამ მოიცვა.

— შეკითხვა კიდევ!—წამოიძახა მათემატიკის პროფესორმა.

— ინებეთ.

— 1872 წლის შეჯახებას შეეძლო თუ არა დაეშალა ნაწილობრივ კომეტის მასსა? და თუ კომეტამ მასსა დაჰკარგა, შეეძლო თუ არა მას იმეგობრებოდა და დარჩებოდა თუ არა ამ შემთხვევაში მისი ბრუნვის პერიოდი უცვლელად?

კამარელს მიხედა, რომ ფრჩხილები უნდა გახსნას.

— კომეტას ორბიტი და ბრუნვის პერიოდი არ შეუცვლია, მაშასადამე, მართალია შემთხვევითი, მასსაც ძველი უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ ეს ფაქტი თითქმის უაზროდ მზის კომეტის მასის ცვლევას, მაგრამ მდგომარეობის სიმწვავის გამო მოვლენის ყოველი მხარე ზედმეტივენი უნდა იქნეს შესწავლილი.

— მაშასადამე, იმ ფაქტებისა და მოსახრებათა მიხედვით, რაც ამგვარად ჩვენს განკარგულებაშია, კატასტროფა აუცილებელია!

— თითქმის!—უპასუხა კამარელმა.

კრებას დაეტყო, რომ კრიტიკული წამი დადგა.

ერთი დამსწრეთაგანი წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. ფრთხილად დაწყებული ოპერაცია მტკივნეული შეიქნა. მშვიდობიან სიტყვებში შეფუთული მორიელი გამოძვრა დაბეულ არტაბებიდან და დამსწრეთა გრძნობიერების საერთო ნერვში გესლი ჩაანთხია. კამარელის მეცნიერული ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, მისი მოხსენების საფუძვლები იმდენად მტკიცე და დამაჯერებელი, რომ შედაცება ძნელი იყო.

— როგორც სჩანს, ვიღუპებით!—სცადა პროფესორმა უღმობელი კითხვის ღიმილით შეწყობა.—მეცნიერებას, თანამედროვე ტექნიკას აქვს თუ არა რაიმე საშუალება კატასტროფის ასაცილებლად?

— კაცობრიობას არ შეუძლია ასეთი მასშტაბის კონსტიტუციონერული შეცვლა ან შეტერება. — მიუგო კამარელმა.

წამოდგა ერთი სტუდენტი და სიტყვა მოითხოვა.

— მე მინდა მოხსენებელმა ერთი განმარტება მომცეს. — სიტყვა მან. — როგორც მოხსენებელიან სჩანს, კომეტა ბიელასა და დედამიწის ბრუნვის პერიოდები იმგვარ ურთიერთობაში არიან, რომ ეს ორი სხეული ყოველ 2500 წელს ერთხელ უნდა შეხედენ ერთმანეთს მათი ორბიტების გადაკვეთის წერტილზე. დედამიწა არსებობს მრავალ მილიონ წლების განმავლობაში. მაშასადამე, იგი უნდა დალუპულიყო ამ კატასტროფისაგან თავისი არსებობის პირველსავე საუკუნეებში. და თუ დღემდე მოახერხა უვნებლად გადაარჩენა ამ საბედისწერო შეხვედრისაგან, რა საფუძველით ამტკიცებს ახლა მეცნიერება, რომ ეს შეხვედრა რაღაც განსაკუთრებულია და უკანასკნელი?

ეს მოსაზრება თუმცა უიმიედო იყო, მაგრამ შეშინებულ გონებას ხსნის მალამოდ ჩაეწყვითა.

მე ჩვენს მოხსენებაში ვაკვრით შევხებ ან საგანსაც. — მიუგო კამარელმა. რადგანაც კრების ნაწილისათვის საკითხი საკმაოდ გაშუქებული არ ყოფილა, საჭიროდ მიმაჩნია უფრო ვრცელი განმარტება წარმოვიდგინოთ.

კომეტები ჩვენი მზის სისტემის პირვანდელი წევრები როდი არიან. კომეტა მოდის უსაზღვრო სივრციდან, და როცა გაივლის მზის ახლო, იგრძნობს მზის მიზიდველ ძალას და გაექანება მისკენ ისეთი სისწრაფითა, რომ ვერ ახერხებს ზედ დაცემას, შემოვლის ირგვლივ და ინერციის ძალით გავარდება პარაბოლის მეორე გვერდით და გაიჭროლებს ისევ უსაზღვროებისაკენ.

მაგრამ შეიძლება მზის სისტემაში შემოსვლის, ან გასვლის დროს ისე ახლოს გაუაროს რომელსავე დიდ პლანეტას, რომ ამ უკანასკნელმა შესცვალოს მისი გზის მიმართულება და კომეტა დაატყვევოს მზის სისტემაში.

მაგალითად, იუპიტერს, როგორც უდიდეს პლანეტას, დატყვევებული ყავს 23 კომეტა. თავისი უზარმაზარი მიზიდველობის ძალით ეს პლანეტა ღუნაქს ახლოს გავლილი კომეტის პარაბოლას, ატყვევს მას ელიპსად და ერთხელ ცის უსაზღვროებიდან შენთხვევით, შემოჭრილ კომეტას ხდის ჩვენი სისტემის მუდმივ წევრად.

ხდება ზოგჯერ პირიქე მოვლენაც: რომელსავე პერიოდულ კომეტას ისე აუქნევს ხელს მის ახლო გავლის დროს, რომ ბურთისავით აისერის უსაზღვროებაში და სამუდამოდ ადგებს მზის ოჯახიდან.

ბიელაც სწორედ იუპიტერის მიერ დატყვევებულ კომეტების რიცხვს ეკუთვნის.

როდის ჩამოვირდა ეს კომეტა ჩვენს სისტემაში, ამის გამორკვევა ძნელია.

მე ვფიქრობ, მას უკვე ჰქონდა დედამიწასთან სამი შეხვედრა. დედამიწის ელიპსის საკუთარი ბრუნვის გამო, ეს სამი შეხვედრა არ იყო კრიტიკული. მაგრამ კატასტროფებს მაინც ჰქონდა ადგილი. ჩემი აზრით ატლანტიდის დაღუპვა, ყინულოვანი პერიოდი და მსოფლიო წარღვნა, ეს სამი კატასტროფული მოვლენა, არის ბიელასთან შეხვედრის შედეგები.

მომავალი მეოთხე შეხვედრა ხდება სწორედ კრიტიკულ შემოქმედებაში-  
ტომ არის ეს შეხვედრა უფრო საბიფათო.

პერი დამძიმდა წიწის ვიბრიონებით.

უცნობი, არაჩვეულებრივი გრძნობა დაეუფლა კრებას. წიწი იყო სხვა-  
გვარი, რაღაც არა-ადამიანური, განუცდელი.

ყოველი მათგანი, ეინც ამ კრებაზე იყო, შეიძლება წარმეუხრეოდ შე-  
ხვედროდა პირად სიკვდილს, მაგრამ მთელი დედამიწის ერთდროული უცარი  
სიკვდილის გრძნობა ველარ ეტეოდა გონების ფარგლებში და იწვევდა გაუგე-  
ბარ სულიერ განწყობილებას.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე.

დარბაზში დამცინავ დისონანსად შემოიჭრა ქუჩიდან გაზეთის გამყიდვე-  
ლის უღარდელი ტენორი: «კომუნისტი! შაჟ! სამუდამო კალენდარი!»..

— ამხანაგებო! — წამოღდა პროფკავშირის წარმომადგენელი, სტამბის მუ-  
შა, — ვუყურებ ამ პატიოსან კრებას და ვერ გამოვივა, რაშია საქმე! ჩვენ მუ-  
შებმა, ძალიან კარგად ვიცით რა უნდა ექნათ, როცა ჩვენს საქმეს, ჩვენს, სი-  
ცოცხლეს რამე საფრთხე მოელის. მზადა ვართ ბრძოლისათვის და თავსაც ვაფ-  
წირავთ, თუ მდგომარეობა მოგვათხოვს. დღევანდელი მოხსენებიდან მე მხოლოდ  
ერთი რამ გავიგე, რომ მოდის საიდანღაც კომეტა, რომელიც უნდა დაეჯახოს  
ჩვენს ქვეყანას. ეს არ არის სოციალური ძალა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას  
ჩვეული ვართ. ეს არის ბუნების სტიქიონი, მაგრამ ისეთი ხასიათისა და ზომის,  
რომ შეუძლებელია ფიქრიც მის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ყოველ შემთხვევაში,  
დღევანდელი მოხსენებიდან ასე ირკვევა. რა დავგრჩენია ჩვენ? ძალა, რომელიც  
ჩემი გავლენის გარეშე დგას, მე არ მაინტერესებს. ჩემი აზრით ჩვენ თავი უნდა  
დავანებოთ იმაზე ფიქრს, თუ როგორ შევძლოთ შეუძლებელი. იმ კომეტას შე-  
მოსვლა არ უციხხავს ჩვენთვის, არც ვასელას გვეთხავს. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს,  
დაეუბრუნდეთ ყველა ჩვენს სამუშაოს და უმოკლესი იქნება იმ კომეტაზე  
ლაპარაკა და წერას სულ დავანებებდეთ თავს: ვარდა პანიკისა არაფერი გა-  
მოვა უიმედო მიტქმა-მოთქმისაგან. რაც აუცილებელია — თავისთავად მოხდება.  
თუ განწირული ვართ, რა საქიროა სიკვდილამდე თვალების დათხრა!

კრება დასრულდა.

მუშის სიტყვამ ბევრს დაუბრუნა გონების სიფხიზლე, მაგრამ ბევრს თან  
გაძევა მორიელის გესლი.

## VI

### 3 3 6 0 3 3

მეორე დღეს დეპეშათა სააგენტომ მთელ ქვეყანას გადასცა ცნობა კამა-  
რელის მოხსენების შესახებ. ორი დღის შემდეგ მან მიიღო სხვადასხვა ქვეყნის  
შეტყუებულთაგან მრავალი შეკითხვა. პასუხად კამარელმა თავისი წერილი გამოა-  
ქვეყნა.

კამარელის წერილში სენსაცია გამოიწვია. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში 7-მა ობსერვატორიამ შეამოწმა კამარელის დასკვნა და უდავოდ დასტურდა საზინელი კატასტროფის აუცილებლობა.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს მომავალი კატასტროფის ხასიათი და თავზარდამცემი შედეგი მიიღეს: კომეტის მასა იმ ზომამდე დიდი აღმოჩნდა, რომ დაჯახებას უნდა გამოეწვია დედამიწის ორად გაყოფა. „გასკდომამდე დედამიწა აენტება, — სწერდა ერთი ამერიკელი მეცნიერი, — დაიწყებს თავის ლერძის ირგვლივ ტრიალს საშინელი სისწრაფით და ეკვატორი ნელ-ნელა შეაზე გაიყოფა ერთ-ერთ მერიდიანის რკალით. შემდეგ ორივე ნახევარი მიიღებენ სფეროვულ ფორმას, ერთმანეთს დაშორდებიან 50 ათას კილომეტრით და ერთი-მეორის გარშემო დაიწყებენ ბრუნვის. 1933 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 6 ს. და 43 წ. გრინვიჩის დროით, კაცობრიობა სამუდამოდ შესწყვეტს თავის არსებობას“.

პირველ ხანებში ფართო საზოგადოებას დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამ ცნობისათვის, მხოლოდ მეცნიერთა წრეებში სდულდა მომავალი უბედურების წინასწარი მტკიცების საშინელი ქვაბი. მაგრამ როდესაც სპეციალურ ორგანოებიდან ეს ამბავი პოლიტკურმა პრესამ ქვეყანას მოსდო, სენსაციამ მიიღო საყოველთაო პანიკის ხასიათი.

პირველად პანიკა გაერყელდა უმთავრესად საზოგადოების მაღალ წრეებში. ბირემ პანიკას უპასუხა უმაგალითო არეუ-დარევეთ, რამაც ევროპისა და ამერიკაში ეკონომიურ-ფინანსიური ქაოსი გამოიწვია. პანიკით დაბრუნებული მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია ეცა ბანკებს და საში დღის განმავლობაში უღიდეს ფინანსიურ ტრესტებისაგან ნანგრევები-ლა დარჩა. არავინ იცოდა რისთვის გამოქანდა ბანკიდან ფული, მაგრამ ბურჟუაზიულ-სპეკულიანტური შეგნების რეფლექსი ყველგვარ შიშსა და საფრთხეს ფულიან ქისაზე ხელის მოჭერით უპასუხებს. არ გასჭრა ტრესტებისა და კონცერნების შტაბების უამრავმა მოწოდებამ, — რომ არავითარი აზრი არა აქვს ფულის გამოტანას, რომ კატასტროფამდე მაინც არ უნდა დაინგრეს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ „რალაც იმედებია“ და სხვ. ყველაზე მეტად აცახცახებული თვითონ ამ შტაბების წევრები იყვნენ, ამიტომ მათს მოწოდებებს არავითარი გავლენა არ ჰქონია.

საზოგადოების დაბალი კლასები პირველ ხანებში ბურჟუაზიის ამ საცოდვე კანკალს ზეურებდნენ როგორც მოულოდნელ გასართობს, თვითონ კი არ სჯეროდათ კატასტროფა, და უბილავი კომეტის მოახლოება ტეინ-მერველ მეცნიერების გამოგონებად მიაჩნდათ. მაგრამ პანიკა გადამღებ სენივით ერცელდება. მაღალ კლასებიდან შიშის ცეცხლი საზოგადოების დაბალ ფენებსაც მოედო და მთელი ევროპა და ამერიკა აფართხალდა როგორც ბნელდამორეული ავადმყოფი.

პანიკას გადარჩა მხოლოდ ფერად-კანიანი კაცობრიობა. მის არაფერი სჯეროდა თეთრი რასის, არც სიხარული, არც შიში და დიდის სიამოვნებით ელოდა კატასტროფის დღეს, რომელსაც მისი ღრმა რწმენით უნდა გაენადგურებია მხოლოდ თეთრი რასა, ვინაიდან მას სწამდა, რომ ღმერთი გამოდიოდა პატივყრილ და დამცირებულ ფერად-კანიანების დამცველად და სასტიკად

სჯიდა ვერაგსა და გაუტანელ თეთრებს. ამერიკის ფერად-კანიანთა კონგრესი ტომები ისე გათამამდენ, რომ აღარ დაუცადეს თეთრების „ციური ცეცხლით“ დაწვას და რამდენიმე პატარა ქალაქი იერიშით აიღეს, გაძარცვეს და ამოხოცეს შიშისაგან თავბრუდასხმული საზოგადოება.

ევროპაში პანიკამ მრავალი სახე მიიღო. საფრანგეთის ბურჟუაზია მიეცა თავდათვნილებულ გარყვნილებას და მთელს რესპუბლიკაში ავხორცობის ვაკანა-ლიამ დაპყრობა შიშისა და უძლურობის გრძნობა. ქვეყანას მოენგრა ბურჟუები და თავდაყირა გადამბრუნდა ცხოვრების ყველა საფუძველი. თითქო წაიშალა სო-ციალური საზღვრები და თავხარდაცემული ხალხის ბრბო საშინელი უფსკრუ-ლის წინაშე სტურავდა სიგიჟისა და გარყვნილების მორევეში.

ინგლისმა ოდნავ შეირჩინა სულის სიცივე, მაგრამ თანდათან მასაც მოედო პანიკის ეპიდემია. შესწყდა კოლონიებთან კავშირი და ინგლისის „ძღვევამოსილ“ დროშას უტყარად შემოეცალა მის „საფარველ“ ქვეშ ძალით დაბმული ერები. გაიბნენ წიწილები და ბრიტანეთის ბებერ კრუხის ფართო ფრთებ-ქვეშ სიბ-ნელემ და სიცილიერემ დაიბუდა.

ლონდონი ერთხანს ცდილობდა შეენარჩუნებდა სახის უშიშარი გამოშეტ-ყველება, მაგრამ როცა პანიკამ ნისლოვან კუნძულზედაც დაატლამუნა თავისი შავი ფრთები, ინგლისის მთავრობამ რიხიანად გამოაქვეყნა პატრიოტული მოწოდება:

„ბრიტანელებო! მსოფლიოს მეზღვაურებო! რამდენჯერ გამოგიჩენიათ სულის უმაგალითო სიმტკიცე და რაინდობა დასალუბავად გამზადებულ გემე-ბის ბაქნებზე. რამდენჯერ ჩაძირულხართ თქვენს საყვარელ გემთან ერთად ოკეანის ცივ უფსკრულში უსიტყვოდ, წარბ-შეუბრელად, თქვენის განუყრელის ჩიბუხით პირში. მეზღვაურებო! ილტუება ჩვენი უკანასკნელი ზომალდი, საყვა-რელი ჩვენი პლანეტა, რომელიც ამდენ ხანს ღირსეულად ატარებდა ბრიტანე-თის მაღალ დროშას. დადქით ზომალდის ბაქანზე თქვენი-თქვენს ალაგას, დაი-ცავით დისციპლინა, და დანარჩენ კაცობრიობას, — ზომალდის მგზავრებს, — ერთ-ხელ კიდევ და უკანასკნელად უჩვენეთ თქვენი გმირული ბუნება, უშიშარი გული და მტკიცე ხასიათი! მეზღვაურებო! დაე უკანასკნელად ჩაიღუბოს სიგრცეში უიმედო და განწირული კივილი: S.O.S! მაგრამ ამ კივილს თან გაჰყვეს დრო-შად ჩვენი ქედმაღალი ერის გმირული სიმღერა:

გიახლოვდები,  
გიახლოვდები  
მე შენ, უფალო!..“

ეს მოწოდება პირველად წაკითხულ იქნა თემთა პალატაში. მოწოდების მოსმენის შემდეგ სნოუდენმა მეორედ მიმართა პალატას წინადადებით: ეინაი-დან, სულ ერთია, ორი წლის შემდეგ ყველა ერთად დავილუბებით, დაუყოვნებ-ლივ გადავიდეთ სოციალისტურ წყობილებაზეო. პალატას უნდოდა სიცილით ეპასუხნა ამ წინადადებისთვის, როგორც ეს პირველად, 1924 წელს, მოხდა, მაგ-რამ „უშიშარ“ ბრიტანელების ზურგზე მაინც დალოლაფდა კიანქველათა საქმია

რიცხვი, რამაც სიცილის გრძობა სათავეშივე ჩაკლა და სწორედ მან წინადადება სამუდამოდ ჩაიხარბა ღრმა მღუმარების საფლაკში.

\* \*

ერთად-ერთი ევროპული ქვეყანა, სადაც პანიკამ ფეხი ვერ მოიკიდა, იყო საბჭოთა კავშირი.

მთელს ვლუბობას და მუშათა კლასს სრულიად არ შეხებია მოსალოდნელი საფრთხის სუსხი, მხოლოდ კანტი-კუნტად ისმოდა მათ შორის ქვეყნის დაღუპვის შესახებ გაგონილი ერთი-მეორის საწინააღმდეგო ზღაპრები.

მუშათა კლასის მოწინავე ნაწილს და ქვეყნის მმართველ წრეებს გათვალისწინებული ჰქონდათ პანიკის უარყოფითი შედეგები და ყოველ ღონეს ხმარობდნენ უმიზნო და უნაყოფო შიშის ძირშივე აღმოსაფხვრელად.

ამრიგად, კავშირის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ადვილად აიცილა ის საშინელი ნგრევა, რის მსხვერპლიც შეიქმნა კაპიტალისტური ქვეყნები.

\* \*

დადგა 1932 წლის იანვარი.

პანიკის გავრცელებიდან სამი კვირის განმავლობაში მთელი მსოფლიო ციებ-ცხელებიან ავადმყოფივით ცახცახებდა და ჰბოდავდა.

მომავალი სიკვდილი ათასჯერ დამტკიცებული იყო, არსაიდან საშველი არ სჩანდა და ზარდაცემულ გონებას საშინელი აღსასრულის აჩრდილი თანდათან უახლოვდებოდა.

იანვრის 10-ს რომში შესდგა კათოლიკური სამღვდლოების საგანგებო მსოფლიო კრება. კრების წეს-რიგში იდგა ერთად-ერთი საკითხი: „მეორედ-მოსვლის ნიშნები და სამღვდლოების ტაქტიკა“. კრება გახსნა რომის მთავარ-ეპისკოპოსმა „უწმიდესი პაპის“ სახელით და წარმოსთქვა შესავალი სიტყვა:

„ქვეყანა წარყვანა ურწმუნოებამ, კაცობრიობამ დაივიწყა ღმერთი და თაყვანსა სცემს ყოველგვარს ბიწიერებას. და განრისხდა უფალი ღმერთი ჩვენი და ცეცხლისა და წარღვნის მოლოდინით დააჭრო უკეთური გონება ადამიანისა; ცახცახებს შიშისაგან სასოწარკვეთილი უგნურება, აღარ არის იმედი დამატკობელი და იტანჯება სული უნუგეშო. სისხლითა და კაცთა მძულვარების შხამით აღივსო ჭურჭელი სიყვარულისა და სათნოებისა. ვილოცოთ უფლისა ჩვენისა მიმართ, რათა გარდამოგვიღინოს ძემან ღეთისამან იმედი და ნუგეში და ყოვლად სახიერმან განამტკიცოს. სარწმუნოება ჩვენი“.

სამოციქულო კათედრაზე აღის მომხსენებელი; ღრმად მოხუცებული პრელატი მამა ბენედიკტი.

მამა ბენედიკტი: ქრისტეს მიერ ძმანო და ღირსნო მამანო! სრულდება ანდერძი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა და იყვნენ ძრვანი ადგილ-ადგილ, და იყვნენ სიყმილნი და შფოთნი... მისკეს ძმამან ძმა სიკვდილად, და მამამან შვილი. და აღსდგეს შვილნი მამა-დედათა ზედა და მოკლვიდეს მათ... ხოლო ოდეს იხილოთ

სადაგელი იგი მოხრებვისა, თქმული დანიილ წინასწარმეტყველსა მსიერს მსგომარე ადგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა ჰყავნ... რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჰირისანი, რომელი არა სადა იქმნა ესე ვითარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადნა ღმერთმან ვიდრე აქამომდე და არცალა იყოს... აჰა ესერა წინასწარ გითხარ თქვენ ყოველი. მათ დღეთა შინა შემდგომად ჰირისა მის მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი ზეცით გარდამოსცვივენ, და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ. და მაშინ იხილნ ძე კაცისა მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა...

ერთი დელეგატი: (ადგილიდან) ზეპირად ვიცით, მამო, ზეპირად! თქვენ ის გვიბრძანეთ—ძე კაცისა მოდის თუ სატანა ჯოჯოხეთისა?

თავმჯდომარე: ვინ არის, უბედური, სიტყვას აწყვეტინებს მოციქულთა სწორს?

ერთი დელეგატი: შეწუხებულ არსსული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე, მამო ჩემო, და ველი სიტყვას ახალსა და ნათელს, რათა განმიფანტოს ბურუსი, დაქმული მეცნიერთაგან ურიცხვთა. ხოლო სახარება ვიცი ფრიად.

მამა ბენედიქტი: (განაგრძობს) და მაშინ წარავლინნეს ანგელოსნი მისნი და შეჰკრიბნეს რჩეულნი თვისნი ოთხთაგან ქართა, კიდითგან ქვეყნისათა ვიდრე კიდემდე ცისა... და აჰხდა კვამლი იგი საყმეველთა ლოცვისა მიმართ წმიდათსა ზელისაგან ანგელოსისა წინაშე ლეთისა. და აღიღო ანგელოსმან მან სასაქმველე იგი, ალავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველსა და დაასხა იგი ქვეყანასა, და იქმნეს ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და ძრვა. და შეიღთა ანგელოსთა, რომელთა აქენდეს შეიღნი იგი საყვირნი, გაშხადნეს თავნი თვისნი ცემად. და პირველმან მან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და იქმნა სეტყვა და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა და მოვიდა ქვეყანად...

მეორე დელეგატი: ჩვენ აქ მოვედით არა იმისთვის, რომ საღმრთო წერილი ვიკითხოთ. ჩვენ გვინდა გავიგოთ—რა მოხდა, რას უნდა ველოდეთ და როგორ მოვიქცეთ?

თავმჯდომარე: საღმრთო წერილია ჩვენი გზის მაჩვენებელი. იქონიეთ შოთშინება.

მამა ბენედიქტი: მეორემან ანგელოსმან დასცა სეყვირსა, და ვითარცა შთა დიდი მოტყინარე ცეცხლითა შთაფარდა ზღუად... და მესამემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავი დიდი მოტყინარე ვითარცა ლამპარი...

თავმჯდომარე: აი, ხომ გესმით: გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავიო!.. ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, უფლისაგან წინასწარ გვაქვს ნაღწეობი.

მამა ბენედიქტი: და მეოთხემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და იწყულა მესამედი მზისა და მესამედი მთოვარისა, და მესამედი ვარსკვლავთა... და ვიხილე და მესმა ერთისა ანგელოსისა მურიჩეალისა ჰაერთა შინა: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს შევიდრთა ქვეყანისათა!..

ერთი დელეგატი: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს ჩვენდა, რამეთუ არა ვიცი სად შევაფაროთ უზადრუკი თავი ჩვენი!

მამა ბენედიკტე: და მეხუთემან ანგელოსმან დასცა კვეციანად და ვიხილე ვარსკვლავი, რომელი გარდამოვიარდა ზეცით ქვეყანად... და მიეცა მის კლიტე ჯურღმულისა მის უფსკრულისა. და განალო წყარო უფსკრულისა, და აღზდა კვამლი ჯურღმულისაგან, ვითარცა ცეცხლისა მოტყინარისაგან, და დაბნელდა მზე და ჰაერი კვამლისა მისგან ჯურღმულისა...

მესამე დელეგატი: (ჰყვირის) ჯურღმულში ვცვივით სულიან-ხორციანად! რა დროს ეგ არის? არ გვინდა პანაშვიდი, გაგვაგებინეთ—მეორედ-მოსვლაა, თუ მართლა უღვთოდ იღუპება ქვეყანა?...

თავმჯდომარე: ზირს აწკარუნებს.

მამა ბენედიკტე: და კვამლისა მისგან გამოვიდეს მკალნი ქვეყანად... და მსგავსება იგი მკალთა ესე ვითარი იყო: მსგავს იყვნეს ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად, და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გვირგვინნი მსგავსნი ოქროსანი, და პირნი მათნი, ვითარცა პირნი კაცთანი. და აქვნდა თმები, ვითარცა თმანი დედათანი, და კბილნი მათნი, ვითარცა ლომთანი იყვნეს. და აქვნდა ჯაჭვები, ვითარცა ჯაჭვი რკინისა, და ხმა ფრთეთა მათთა, ვითარცა ხმა ეტლთა ცხენთა მრავალთა, რომელნი რბიოდნიან ბრძოლად. და აქვს კუდები მსგავსი ღრიანკალთა, და საწერტელები აქვნდა კუდებთა მათთა...

მეორე დელეგატი: არ გვინდა ასეთი მოხსენება! ხომ არ დაგვცინით, მამაო! ჩემთან ასობით მოდიან მორწმუნენი და მეკითხებიან: რისთვის აიღო უფალმა ჩვენზე ხელი და რათ უნდა დაეცისაჯოთ ჩვენ, მორწმუნენი, ურწმუნოთა ცოდვითაგან? მე ვინდა ვიცოდე, რა ვუპასუხო მათ, რით ვანუგეშო?

მამა ბენედიკტე: მეექვსემან ანგელოსმან დასცა საყვირსა თვისსა, და ვიხილე რიცხვი მხედრობათა მათ ცხენთა ორიზვეერი ბევრთანი. და მსხდომარეთა მათ ზედა აქვნდა ჯაჭვები ცეცხლისა, და იაკინთისა, და წუნწუბისა სახენი, და თავნი ცხენთანი, ვითარცა თავნი ლომთანი, და პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კვამლი და წუნწუბა... კუდნი მათნი მსგავს არიან გველთა, და აქვს თავები და მით ენებენ...

დარბაზში ხმაურობაა. დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და ხმამალა კამათობენ. ისმის გუგუნე.

ერთი დელეგატი: მამაო, თავმჯდომარე! მეტის მოთმენა შეუძლებელია! ჩვენს ღრმად პატივცემულს მცოვანს პრელატს, ეტყობა, არა აქვს წარმოდგენილი მთელი სიმწვავე ჩვენი მღვდმარობისა. რად გვინდა ჩვენ ის, რასაც მომხსენებელი ამბობს? გვიპასუხეთ იმ კითხვაზე, რომელიც დასმულია წეს-რიგში: კატასტროფა, რასაც მთელი ქვეყანა ელის, მეორედ-მოსვლაა თუ სხვა რამ სტიქიური უბედურება? თუ მეორედ-მოსვლაა—რათ სდუმან მოძღვარნი და რათ მეტყველებენ საშინელის წინასწარმეტყველებით უკეთურნი და ბიწიერნი?

მამა ბენედიკტე: და ვიხილე სხვა ანგელოსი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით, და ემოსა ღრუბელი დი ირისე...

საშინელი ხმაურობა და აურზაური აღტყდება. ერთი მღვდელი კათედრაზე ავარდება და მომხსენებელს ხელიდან გამოჰგლეჯს „იოანეს გამოცხადებას“. მომხსენებელი რაღაცას ბუტბუტებს და კათედრიდან ჩამოდის. თავმჯდომარე რეკს-კათედრაზე ადის მეორე დელეგატი:

— დიდი ხანია ჩვენ ვჭადავებთ: მთავარ-ანგელოზნი უფლისაჲს მსჯელობითა ცეცხლისათა აუწყებენ ქვეყანასა მეორედ მოსულას უფლისა ჩუენისა!... დღეს-კი რას ვეხდავთ? მთავარ-ანგელოსთა ცეცხლის საყვირის ნაცვლად ასტრონომების ტელესკოპები ჰყივიან, ტაძრების ნაცვლად ობსერვატორიები შეტყველებენ. სად არის ჩვენი პაპი, ქრისტეს მოადგილე ამ ქვეყანაზე? რათ არ წარსდგება ჩვენს წინაშე და არ გვაუწყებს ლეითურს ნებას? და თუ ქვეყანა იღუპება უფლის ნების გარეშე, როგორ შევათავსოთ ეს მოვლენა საღმრთო წერილთან?

თავმჯდომარე: არაფერ უწყის ნება უფლისა. თვით ქრისტემ ბრძანა: ხოლო დღისა მისთვის და ეამისა არა ვინ იცის, არცა ანგელოსთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან. იხილეთ და მღვიძარე იყვენით, და ილოცვედით, რამეთუ არა იცით ოდეს იყოს ეამი იგი...

კრება ხმაურობს.

„არცა ძემან?“ — ბევრს უკვირს ეს სიტყვები, თითქო პირველად გაეგონოს. უმწვერვალესი კონსპირაცია!

მაშ შეცნიერებმა საიდან იციან?...

მეორე დელეგატი: წინადადებას ვიძლევი, პაპი მოვიწვიოთ კრებაზე.

— პაპი! პაპი! — ისმის ხმები.

— პაპი მოვიწვიოთ!

კრებას დადგენილება გამოაქვს: წარგზავნილ იქნას პაპთან დელეგაცია და სთხოვოს მის უწმიდესობას მობრძანდეს კრებაზე.

დელეგაციაში ირჩევენ 12 კაცს (12 მოციქული).

დელეგაციის თავმჯდომარედ ირჩევენ პარიზის დელეგატს აბატ დე-ბრიონს, მამაკაცს მოწიფულს და მხარ-ბეჭიანს.

კრება სწყდება საღამოს 6 სათამდე.

\* \* \*

დელეგაცია ვატიკანს ჩავიდა პირველ საათზე.

პაპის სასახლეში მას საღამოს 5 სათამდე მოუხდა ლოდინი, ვიდრე კარდინალი გამოვიდოდა.

მამა დე-ბრიონმა მოახსენა კარდინალს კრების დადგენილება და სთხოვა შეუძღვეს დელეგაციას პაპთან.

— პაპს დღეს თქვენი მიღება არ შეუძლია, მოკლედ მოუტრა კარდინალმა.

— რატომ არ შეუძლია? — გაიკვირვა დე-ბრიონმა.

— საქმე აქვს.

— რა საქმე უნდა ჰქონდეს ეკლესიის მსოფლიო კრებაზე უფრო მნიშვნელოვანი? — შეედაფა დე-ბრიონი.

— ლაპარაკი ზედმეტია, პაპს თქვენთვის არ სცალია, — უკმებად მიუგო კარდინალმა და ოთახიდან გავიდა.

პატიემოყვარე აბატი შეურაცხებამ ისე გააბრაზა, რომ დაჰკარგა ეტიკეტის ყოველი შეგნება და ძალით შევარდა პაპის დარბაზში.

დარბაზში პაპი არ იყო.

გაიარა რამდენიმე ოთახი, მაგრამ პაპი ვერსად ნახა.

ერთ ოთახში წააწყდა ერთს ანაფორიან ახალგაზრდას, რომელიც ჩემოდანში რაღაც ნივთებს ალაგებდა.

ანაფორიანს აბატისთვის უკრადლება არ მიუტკეცვია, სახეგაფითრებულმა აიღო ჩემოდანი და ქურდივით უხმოდ, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

აბატმა მისდია.

ანაფორიანმა ჩაირბინა დაბლა სართულში, შეუხვია ეზოსკენ და იქვე თითქო მიწა გაუსკდაო, სადღაც ჩავარდა.

აბატი გაჰყვა მის კვალს ოდნავ განათებული კიბით და ნახევრად ბნელ გვირაბში გავიდა. გვირაბის ბოლოს სპირალური კიბე ჩადიოდა ღრმა ტაში.

ქის ფსკერზე მარჯვნივ კარი გადიოდა საკმაოდ განიერ, სარდაფივით-კამარა-შეკრულ ოთახში, სადაც რამდენიმე კაცი უფთებს ალაგებდა.

ანაფორიანმა ეს ოთახიც გაიარა და მარცხნივ კარი შეაღო.

გამოჩნდა კარგად განათებული განიერი ოთახი.

აბატი შეუმჩნეველად შეჰყვა ამ ოთახში ანაფორიანს.

შუა ოთახში დაბალ სავარძელზე იჯდა თავ-ჩაქინდრული, უზომოდ გამხდარი პაპი. ხელები სავარძლის სახელურებზე დაეწყო, ზურგით სავარძელს მიყრდნობოდა და დანაოკებული ნიკაპი მკერდზე მიებჯინა. თვალები დახუჭული ჰქონდა და, თეთრად მოსილი, ჰგავდა ქვის ქანდაკს.

ანაფორიანმა ჩემოდანი კარადაში ჩასდო.

კუთხეში სამი კაცი კედელზე რაღაც ინსტრუმენტს ამაგრებდა.

პაპმა უცებ თვალები გაახილა.

— ვინ არის ეს კაცი? — მისუსტებული ხმით იკითხა მან და აბატს მია-  
ცქერდა.

ანაფორიანი მოტრიალდა და როცა უცხო კაცი დაინახა, ეტგრა:

— თქვენ ვინა ხართ? ვინ შემოგიშვათ აქ?

— მე ვარ ეკლესიის მსოფლიო კრების მიერ არჩეული დელეგაციის თავმჯდომარე აბატი უკან დე-ბრიონ. გაბედულად უპასუხა აბატმა და ორი ბიჯი წარსდგა პაპისკენ.

— უნდა მოვახსენო მის უწმიდესობას, რაც კრებამ დამავალა.

— თქვას, თქვას, ნუ უწლი! — მიმართა პაპმა ანაფორიანს, რომელიც აპირებდა დაუკითხავად შემოსულის უკან გაგდებას.

— დელეგაციის წევრები ზევით მიცილიან. ოთხი საათია, თქვენს კართან ვდგევართ, თქვენო უწმიდესობავ! თქვენის ნებართვითა და სახელით მოწვეულ იქნა ეკლესიის მსოფლიო კრება, რომელსაც უნდა განეხილა ქვეყნის აღსასრულის მოახლოების საკითხი. კრება დღეს გაიხსნა, მაგრამ, შიშითა და ძრწუნვით მოცული, ელის თქვენს სიტყვას, რომ ეუწყოს მას თქვენის პირით ნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისა...

— მე არაფერი ვიცი! რა უნდა გაუწყოთ? — მოულოდნელად აკაპასდა პაპი და გაუწვალებულ სახეზე ნაოკების წვრილი ხაზები ობობას ქსელივით გაი-

შალა.—ქრისტე არაფერ შუაშია აქ... ქვეყანას სატანა ლუპავს, <sup>ქვეყნისთვის</sup>—სატანა... მე თავი დამანებეთ!

— როგორ ვანუგეშოთ მორწმუნენი?—აღელდა აბატი.—ჩვენ გვეკითხებიან ათასნი და ათიათასნი და სიტყვა მისაგებელი ჩვენ არა გვაქვს.

— მართალი ხარ, შვილო!—უცებ მოღბა პაპი.—ხომ ხედავ, მე როგორ ვეშხადები? ასევე მოეშხადით თქვენც.

— მე არ შესმის, რასა ბრძანებთ.—მიუგო გაკვირვებულმა აბატმა.

— აბა ყური დამიგდე.—თავის კანკალით ამზობდა პაპი.—არაფინ იცის, რა მოუვა დედამიწას კომეტასთან დაჯახებით. მეცნიერებს არაფერი დაეჯერება. იქნება დაინგრეს სახლები, ხანძარმა გადაჰბუგოს ქვეყანა, ზღვამ გადარეცხოს ზმელეთი... მაგრამ შემდეგ, შეწეენითა ლეთისათა, ისევ დაწინარდეს წყალი, დამწვიდდეს ჰაერი და ქვეყანას დაუბრუნდეს ჩვეულებრივი სახე... და, ვინ იცის, თუ ამ გარდამავალ წარღვნას როგორმე თავს დავალწვეთ, იქნება გადავრჩეთ კიდევც...

— წარღვნაა მოსალოდნელი თუ შეორედ-მოსვლა?—შეეკითხა პაპის აბნეული საუბრით შეშინებული აბატი.

— მე ნიშანი არა მაქვს,—არა მცნო ღირსად ქრისტეზან, პაპმა ხელები ზედალპყრო და ჩაყვითლებული თვალები ტერს მისო.—მაგრამ სწერია: აბა ძრვა იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა ვითარცა ძაძა ბალნისა, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა ვითარცა სისხლი. ვარსკვლავნი ცისანი გარდამოცვივეს ქვეყანად, ვითარცა ლელემან დაჰყარის პირველი ნაყოფი თვისი ტარისაგან დიდისა შერყეითა. და ცა წაროგრაგნა ვითარცა წიგნი წარგრაგნილი, და ყოველი მთა და ბორცვი აღგიღთა თვისთაგან შეიძრნეს, და მეფეთა ქვეყანისათა, და მთავართა, და ათასისთავთა, და მდიდართა, და ძლიერთა, და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქვაბთა შინა და კლდეთა და მთათა შინა, და ეტყოლეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩვენ ზედა და დაგეფარენით ჩვენ... აი, რა სწერია საგულისბზოდ ჩვენდა... ჰო და, მეც „ქვაბსა შინა“, მიწის ქვეშ ვიმზადებ ბინას... ბეტონით შეკრული თალები და კედლები... სანოვადე და შეეებადი ერთი თუ ორი თვის სამყოფი... სხვა საშუალება მე არ ვიცი...

სანამ ქრისტეს მოადგილე, თხუნელასავეთ სოროში ჩამძვრალი, თავის უცნაურ რჩევას დაასრულებდა, იმედ-გაცრუებული აბატი ზევით ამორბოდა, რომ დღევგაციის წევრებისათვის გადაეცა თავზარდამცემი ამბავი.

რომში დღევგაცია საღამოს 7 საათზე დაბრუნდა.

კრება არ დაძრულა ადგილიდან და მოუთმენლად ჩელოდა ვატიკანიდან ცნობას.

დღევგაციის თავმჯდომარემ დაწვრილებით გადასცა კრებას ყველაფერი, რაც ნახა და მოისმინა პაპის სადგომში.

— როგორც თქვენი სიტყვებიდან სჩანს,—მიმართა კრების თავმჯდომარემ აბატს,—პაპს უნებებია უწიშროების ძებნა არა ქრისტეს ტაძარში, არამედ მიწის ქვეშ!

- რას ამბობთ? რა დროს ეგ არის?! აღრიალდენ შეშინებულ ადგილებს.  
 ტები.— თუ ხსნა მიწის ქვეშ არის, — უნდა ჩავძვრეთ მიწაში! *შინაღმართისა*  
 — მიწაში!  
 — მიწაში! — ბლაოდენ მღვდლები და გარბოდენ დარბაზიდან.  
 — ქრისტეს მიერ ძმებო! — ყვიროდა სკამზე შემდგარი ერთი მოხუცებული  
 პატრი, — სად გარბით, ამიხსენით, რა მოხდა? ძმებო! ღმერთი არის თუ არ არის?..  
 ერთი წამის განმავლობაში დარბაზი დაიკალა.

მეორე დღეს კრების დელეგატებმა და გაზეთებმა მთელ ქვეყანას მოსდეს  
 პაპის მიწაში ჩაძრომის ამბავი.

ატყდა აურზაური.

მეცნიერები ამტკიცებდენ, რომ უაზრობაა მიწის ქვეშ უნიშარი ადგილის  
 ძებნა, ვინაიდან დედამიწის კანი დაჯახების პირველსავე წამს გავარჯერებულ  
 ცეცხლად იქცევა. მაგრამ შეშინებული გონება მზად იყო ყოველგვარ სისულე-  
 ლეს ჩასქიდებოდა, თუ კი ის მცირე იმედს მაინც ჩაუნერგავდა.

და მთელი ევროპა და ამერიკა დაემსგავსა თბუნელების ველს. სთხრიდენ  
 მიწას და იშხადებდენ ბინას შეძლების მიხედვით: ერთი ოთახიდან ხუთ და ათ  
 ოთახამდე. გულში ყველას ჰქონდა შიში, რომ ეს ბინა შესაძლოა სამარედ გა-  
 დაქცეულიყო, სადაც ცოცხლადვე თავს იმარხავდენ, მაგრამ იგი მაინც იძლეო-  
 და იმედის ჩრდილს და წყალ-წყალეებული „კაცობრიობა“ ენერგიულად ებლაუ-  
 ქებოდა ამ უსუსურ ხავსს.

ეს ფუქი ნუგეში იმდენად მიშხიდველი შეიქნა, რომ მეცნიერებშიც გა-  
 მოჩნდა რამდენიმე მისტიკოსი, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ პაპს უზენაესმა  
 ძალამ შთააგონა კაცობრიობის გადარჩენის ეს საშუალება. ერთ თვეში მთელი  
 ქვეყნის ბურჟუაზია მთლიანად მზად იყო მიწაში ჩასაძრომად. საზოგადოების  
 დაბალ ფენებს ხომ თავიდანვე სარდაფების ჯურღმულებში ჰქონდათ ბინა, ამი-  
 ტომ ახალი ბინის ძებნისთვის თავი არ შეუწყულებიათ.

მიწაში ჩაძრომის ტენიკამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმაღლესი  
 ფორმა მიიღო ამერიკაში, სადაც ითხრებოდა ასეული მეტრის სიღრმე ტები.

ყველაზე მეტი უნარი და გამჭრიახობა ამ მხრით გამოიჩინა ნაუ-იორკის  
 ერთმა დიდმა ბანკირმა, ძებვების თუ ღორების მეფემ მისტერ დინკეინი.

მან ჩაუშვა 700 მეტრის სიღრმეში ხუთი კარგად მორთული ფოლადის  
 ოთახი, მოწყობილი მკვებადის, კანალიზაციის და მაცივარი (სიღრმის ტემპე-  
 რატურის წინააღმდეგ) აპარატებით.

შემდეგ აქედან გაიყვანა წყლისგან უვნებელი ლაბირინთოსებური გვირა-  
 ბი ზღვის ფსკერამდე. ზღვასთან შემეერთებელი ფოლადის კარი იმგვარად იყო  
 მოწყობილი, რომ ზღვიდან სპეციალურად ამ მიზნისათვის აგებული წყალქვეშა  
 ნავი ნახევრადის ძვრებოდა გვირაბში და შიგ იჩხირებოდა ისე, რომ წყალს  
 გვირაბში არ უშვებდა, ხოლო ნავის კარი იხსნებოდა გვირაბში. უკან დაბრუ-  
 ნების დროს ნავი ავტომატურად კეტავდა გვირაბის კედელს.

ამნაირად მიწის-ქვეშა სახლიდან გზა ვეირაბით გადიოდა. წყალ-ქვეშა ნავისკენ, შემდეგ ზღვაში, ხოლო მიწის ზედაპირიდან ჰა ამოვსებულ სქესს მტკონით. დინგვეის ბინა სრულებით უწიშარი იყო მიწის ძვრისა და წარღვნისაგან.

მაგრამ დინგვეი უსახო შიშის ჭვანავებს ისე ყავდა ჩაბღუჯული, როგორც კორის ბრტყალებს წიწილა.

ხანდახან მის დასიცხულ გონებაში ჩრდილივით გაიჭროლებდა ულინო ნუგეში: მე მარტო ხომ არ ვიღუპები—მთელი მსოფლიო ისპობა! მაგრამ ბოლოს იგრძნობდა, რომ ეს არ იყო იმედი: პირადი გაჭრობის გრძნობა უფრო ასატანი იყო, ვიდრე ქვეყნის აღსასრულის ბნელი და გაუგნებელი უფსკრული. სიკვდილზე მას არასოდეს არ უფიქრია, ჯანით სავსე მილიარდერს ამ ქვეყნიური არსებობის ყველა სადავე ხელში ჰქონდა ჩაქდებული და მომავალი მის მოკრულ ფანტაზიას ეხატებოდა როგორც ოქროს რელსებზე ოქროს ექსპრესის გაქანება. სიკვდილის აჩრდილი მხოლოდ ახლა წეებო მის თვალებს, როცა მოულოდნელი სიმძაფრით მთელი ქვეყანა შეარყია პირლია უფსკრულის სუნთქვამ. მის გარშემო ყველაფერი ჩვეულებრივი დაირღვა და დამყარდა უცნობი, გაუგებარი ურთიერთობა.

თი ახლაც, ზის რბილ სავარძელში, თავის კომფორტაბელურ კაბინეტში, და მთელს მის სიცოცხლეში პირველად გრძნობს უძღურობის, უშეწომის და სასოწარკვეთილების ლაჩრულ ცახცახს. გამბდარი სახე გაყვითლებია, ზედა-ტუჩი პერგამენტავით მიწებებია კბილებს, ხოლო ქვედა-ტუჩი ოდნავ ძირს ჩამოწეულია. თვალების ქუსთუთოები უძილობით აფუჭებია და სისხლ-ნასვამ წურბელებით ლურჯად დასივებია. ზურგს უკან დიდ სარკეში მოსჩანს მისი კონუსივით წვეტიანი უდროოდ მოტყეპილი თავი, შეუფერებლად განიერ და ძარღვიან კისერზე მსუბუქად დაყრდნობილი. თავს ძალას ატანს, რომ წარმოიდგინოს რელიგიური თანატოლშით დამშვიდებული გონება, მაგრამ ამაოდ: ღმერთი არა სწამს და სასუფეველის ტკბილი იმედი დიდხანია მოწყალეებასავეთ უბოძა მშვირთა და გლახაკთა ბრბოს. ერთად-ერთი ღმერთი, რომელსაც დღემდე პირნათლად ემსახურებოდა, ოქრო, დღეს უძღურია და მტვერი, როგორც ფეხით გასრესილი ტიანტყელა.

უცებ ტელეფონი დარეკს. ზარის მოულოდნელი წკრიალი მიწის ძვრის გრიალივით შედის დინგვეის გამახვილებულ ყურებში. ერთ ხანს შიშისაგან გაბრუებულია, არ იცის რა მოხდა. ტელეფონი კიდევ დარეკს და დინგვეი უმცრად მიხედება, რომ ეს ჩვეულებრივი მისალმებაა, რომელსაც ყოველ დილით უგზავნი მისი საყვარელი ქალი ლენორა. დინგვეის უყვრს, სად გაქრა ის ჟრუანტელის მომგერელი გრძნობა, რითაც იგი ყოველ დილით ხედებოდა ლენორას ტკბილ სალამს. გულის გამანადგურებელი სიცივე ჰქრის ახლა ტელეფონის მილიდან. გაუგებარია და უცნობი მისთვის ახლა ყველაფერი, ვარდა ერთი შიშველი და გამკვივანი სიცოცხლის ინსტინქტისა. ოღონდ დარჩეს რაიმე, და მზად არის თვისი აფორიაქებული სული სიცოცხლის უმდაბლეს ჭურჭელში ჩაღვაროს. თუნდ გველად იქცეს, ბუზად, თუნდ ჭლექის ან ხოლერის მიკრობად, ოღონდ იძვროდეს და არსებობდეს ამ ქვეყანაზე.

დინგვეი ტელეფონის შეშფოთებულ მილს აიღებს და მარჯვენა ხელს დასდებს. დაწუმდეს, ჩაუწყდეს ხმა იმ აბეზარ დედაკაცს, რომელიც ასე შორეულად და უცნობაა მისთვის ახლა!

მაგრამ ვინ იცის, რისთვის რეკდა ასე დაჟინებით ლენორა? იქნება იცის ახალი რამ? შეშინებული დინგვეი საჩქაროდ იღებს ტელეფონის მილს.

— 18-20-17!—ჩაფერფლილი ხმით ჩხავის ლენორას ტელეფონის ნომერს.

— ქალბატონს სთხოვეთ!.. სად არის?.. როდის?..

დინგვეის კანკალი აიტანს. წასულა, ალბათ სასწრაფო რამ უნდა ეთქვა... იქნება მეცნიერები შეტდნენ, დრო ვერ გამოიანგარიშეს და კატასტროფა უფრო ადრე მოხდეს?!. დინგვეის აგონდება გაზეთში წაკითხული რომელიღაც მეცნიერის აზრი კატასტროფის წინამორბედ მოვლენების შესახებ, მაგრამ ყველაფერი ისე ირევა მის გონებაში, რომ ავიწყდება რას ამბობდა მეცნიერი. მახსოვრობის ძალზე დაკვირვის შემდეგ უცებ მკაფიოდ და ნათლად იგონებს სტრიქონებს, რომლებიც არასოდეს არ წაუკითხავს: კატასტროფა უნდა მოხდეს გაცილებით უფრო ადრე, მაგრამ ვერაიენ იტყვის—როდის...

შიშის ზარი აიტანს დინგვეის, წამოვარდება სავარძლიდან და გარბის... ჩქარა მიწაში!.. მიწაში!.. მოაწეროს როგორმე მიწაში ჩასვლა და მერე რაც უნდა მოხდეს...

ხუთი წუთის შემდეგ თავის წყალ-ქვეშა ნაგით გვირაბისაკენ მიეშურება. კიდევ რამდენიმე წუთი და დინგვეი თავის მიწის-ქვეშა ბინაში სულს ითქვამს.

თანდათან გონს მოდის. უჰ! რა მძიმეა და აუტანელი ადამიანის გონება!.. წამოწევა დივანზე. მაკივარის ტრიალი რიტმიული გუგუნით აესებს ოთახს, თითქო ოკეანის გემი მიარღვევს აგუგუნებულ ტალღებს და კაჟუტაში ლაჟიკიდან შემოდის დამსხვრეული ზვირთების ხმაური... მიჰქრის გემი და დინგვეი ისვენებს კაჟუტაში. შემოდის თეთრად ჩაკმული ლენორა და აძღვეს რადიო-გრამას: ჩიკავოს ქარხნებში მუშები გაფიცულან... ძეხვები და კონსერვები ღებდა... ქირის მომატება შესაძლებელია, მაგრამ დაუშვებელი...

— ლენორა, რა ვუყოთ მუშებს?—ეკითხება დინგვეი საყვარელ ქალს და ხელზე კოცნის

— ფი! რა დროს მაგ პირუტყვებზე ლაპარაკია!—კატასავით იბრინება მშვენიერი ქალი და ჯდება დივანზე.

— მუშები გაფიცულან და ჩემი ძეხვები და კონსერვები ღებდა.

— დალპეს, მე რა?—გულგრილად ამბობს ლენორა და ფრჩხილებს ათვლიერებს.

— რას ამბობ, ლენორა? მილიონები ძეხვებს მოაქვს და დამპალი ძეხვი არაფერი ღირს!

ლენორა მიხვდა:

— დიდი ხანია გეუბნები, მუშებთან საქმე ნუ გაქვს-მეთქი, აქამდის უნდა ამოგეტლიტა ეგ პირუტყვთა გროვა და მოისვენებდი.

— ყველას ხომ ვერ ამოვლეტ? ვინ-ღა იმუშაოს?

— ამდენი მე არ ვიცი, — ამბობს ლენორა. — თუ მუშები საჭიროა, უნდა დამიპოჩილო.

— მართალს ამბობ, ლენორა! უნდა დავეიმორჩილო დავიშორდები კიდეც! და ღინგვეი სწერს პასუხს: გაფიცულები დაითხოვეთ. ამუშავეთ! კლასიკური კლანის წევრები. ჭირა მოუმატეთ.

— გეთაყვა, დარგე და გადაეცი ტელეგრაფისტს.

ლენორას მიაქვს რადიოგრამა, მაგრამ კარებთან უცებ მოტრიალდება, რადიოგრამას დახვეს, ამოიღებს უბიდან უშველებელ რევილვერს და უმიზნებს ღინგვეის.

— ასწი ზევით თავი, შუბლში უნდა მოგახვედრო!

ღინგვეის უკვირს, როგორ დამალა ლენორამ თავის პატარა უბეში ტყვიამფრქვევის ოდენა რევილვერი.

— გაფიცვის კომიტეტმა სიკვდილი გადაგიწყვიტა, — ამბობს ლენორა და ცალთვალ-დახუჭული უმიზნებს. — სისრულეში მოყვანა მე დამავალეს.

ღინგვეი გაქვავებულივით ზის და უყურებს რევილვერის ტუნს, საიდანაც უცებ იელვებს ალი.

ტყვია მოხედება სწორედ შუბლში.

არც სროლის ხმა ესმის, არც სტკივა-რა. ტყვია ნელნელა შედის თავში. ტვინში თითქო გველი დაიწვილებს და რძისფერი ნისლი ჩაიდურება შიგ. ღინგვეი გრძობს სიკვდილს. აი, რა ყოფილა სიკვდილი!.. გათავდა ყველაფერი...

ლენორა დგას კუთხეში და ვილაცას უცდის.

შემორბის კაპიტანი.

— ბატონო, ღინგვეი! ორ წუთში გემი ყინულს დაეტაკება! კატასტროფა აუცილებელია! თავს უშველეთ!

მთელ გემზე ატყდება მგზავრების ღრიალი. ლენორას გული წაუფა. ღინგვეის უნდა დაიყვიროს, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოდის, თითქო ხახა ბამბით აქვს გატენილიო.

უეცრად გემი აზანზარდება და კაჟუტას აავსებს დაჯახების საშინელი გრიალი... და ღინგვეი იღვიძებს.

— ღმერთო ჩემო! ეს რა მოხდა! — ბუტბუტებს ოფლში გაწუწული ბანკირი და ირგვლივ აცეცებს შეშინებულ თვალებს.

დიდის გაჭირვებით თანდათან გამოერკვევა.

— იქნება უკვე მოხდა კატასტროფა! — ფიქრობს ღინგვეი და უცებ სიხარულის ერთანტელი დაურბენს სხეულში.

— მაშ, გადავჩი! ვადავჩი! — ჰყვირის გახარებული და გარბის გვირაბში.

— საბრალო ლენორა! ალბათ დაიღუპა! აი, თურმე რისთვის შირკდა! იქნებ ჩემთან მოდიოდა, მე კი არ დავუცადე. ჩემო ლენორა!.. ჩემო ლენორა!.. — ღრიალებს ღინგვეი და გრძობს ლენორასადმი სიყვარულის მობრუნებას.

წყალ-ქვეშა ნავი თავის ადგილზეა, მასასადამე ზღვა არ აორთქლებულა! ეს კარგი ნიშანია.

ღინგვეი ვადის წყალში. ყველაფერი თავის ჩვეულ რიგზეა.

ქალაქსაც ცვლილება არ ეტყობა.

მოდის თავის ბინაზე.

— ხომ არაფერი მომხდარა?—ეკითხება კამერდინერს. **ერქინეული**

— არაფერი. ქალბატონი გვახლათ. კაბინეტში გელით **გელით**

ერთი წუთით მიმალული სიკვდილის აჩრდილი დინგვეის უცებ დაჰკრავს თავში რკინის ტოტს. შიშის აღტანელი გრძნობა ათიათას ბრჭყალს ჩაასობს აკანკალებულ გულში... ოპ! ღმერთო ჩემო! ნუთუ არ არის საშველი? ლენორა უცდის... რისთვის?... რა უნდა?... ელვასავით გაურბენს თავში უზარმაზარი რევოლვერი... ალბათ შემოჩენილია... აჰა, სად შემოძვრა მოლაღატე გველი!..

ოფლიანი, გაფითრებული და აკანკალებული დინგვეი შედის. კაბინეტში და კარებთან გაჩერდება.

ფანჯარასთან სკამზე ზის ლენორა და ხელები მკერდზე დაუქდევია. უთუოდ რევოლვერს მალავს უბეში.

— გადაადგე რევოლვერი! საზიზღარო გველო!—ჰყვირის დინგვეი და ჯიბეში რევოლვერს ეძებს.

— ჯეკ, რა დაგეპართა, რას ამბობ?—წამოხტება გაკვირვებული ლენორა.

— ფეხი არ დასძრა!—ჩხავის დინგვეი,—ერთხელ ხომ მომკალი? აღარ მეშვები?

— ჯეკ!—ჰკივის ლენორა და მივარდება დინგვეის.—ჯეკ! ხომ არ გაგიტდი, რას ამბობ?

დინგვეი რევოლვერს გაისვრის, მაგრამ ლენორა ხელს აუჭნევს და ტყვია ფანჯრის შინას ჩალეწს.

ახალგაზრდა ლენორა, ჯამბაზურ ტრაჟუკებში გაწაფული კინო-ვარსკვლავი, თვალის დახამხამებაში აართმევს რევოლვერს და კუთხეში გადისვრის. დინგვეის ხელს მოხვევს და დივანზე დასვამს, თვით გვერდს მოუჯდება.

— დამშვიდდი, ჯეკ, რა მოგივიდა?

— საიდან მოხვედი? ვინ გამოგგზავნა ჩემთან?—ეკითხება დინგვეი და სკლილობს წამოდგომას.

— დილით რომ გირცედი, რათ არ მიპასუხე? გუშინ რათ არ მოხვედი ჩემთან?—უპასუხებს ლენორა და ხელებს მაგრად უჭერს.—მთელი საღამო მარტო ვიყავ და ვტიროდი. დღესაც ტელეფონზე ხმა არ გამეცი. შენთან გამოვიქეცი, სამი საათია აქ გიციდი, ახლა მოკვლასაც მიპირობ, რა ამბავია, რა დაგიშავე?...— და ლენორას ცრემლი წასკდება.

დინგვეი თითქო გონს მოდის. ატირებული ქალის სლოკინი მთლად გამოაფხიზლებს.

— ეს რა მომდის, ღმერთო ჩემო!—ბუტბუტებს და ქალს თავზე ხელს გადესობს.

— მაპატიე, ძვირფასო, ეს სამი დღეა ჩემს ჰქუაზე არა ვარ...

— მთელი ქალაქი საშინელი უბედურების მოლოდინშია—აწვევტინებს სიტყვას თვალცრემლიანი ლენორა,—ყველა აწრიალებულია, შენ-კი მარტოდ დამავდე. არც კითხულობ ჩემს ამბავს, შენთან მოვედი და აჰ...

ლენორას არ ყოფნის ღონე დაუმსახურებელი შეურაცხების ასატანად და ისტერიულ ჭკითინს მოჰყვება.

— ხომ გითხარი, ჩემს კეკუხზე არა ვარ-მეთქი! ყოველგვარი საშინელება მელანდება. მესიზმრა, თუ მომეჩვენა, თითქო მილალატი, გაფიცულმა შენებმა მოგისყიდეს და მკლავდი... უნდა მოელოს ბოლო ამგვარ ყოფას... უნდა მოვისაზრო რამე. ასე შეუძლებელია გაგრძელება!..

— ხომ შზადაა მიწის-ქვეშა ბინა?—ეკითხება ლენორა, თავს ამართავს და თვალებს იწუნებს.

— შზად არის. სწორედ იქ ვიყავი, როცა საშინელი მოჩვენება თავს დამესხა.

— მიწა თუ გასკდა, როგორც წინასწარმეტყველებენ, მიწის-ქვეშ რა ხეირი დაგვეყრება, ნეტა?

— ხომ ამბობს ზოგი, — ბრაზობს დინგვეი, — რომ შესაძლოა მიწის კანს არაფერი მოუვიდესო? რაღა მაინცა-და-მაინც აყვია მატყუარებს უნდა დაუჯგროთ?— თავს ინუგეშებს, მაგრამ ამოიდ, — დედამიწის ორად გაყოფის საშინელი მოლოდინი მასაც იპყრობს. მაშინ ხომ ყოველი ახრი ეკარგება მიწის ქვეშ ბინის ძებნას? უთუოდ ასეც მოხდება! — ადასტურებს შეშინებული წარმოდგენა — მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, რათ უნდა იტანებოდეს ხალხი? ვინ არის ის ჯალათი, ვინც ქვეყანას პირველად აუწყა გარდუვალი საშინელება? რა საჭირო იყო ეს? ხომ არ არის არავითარი ხსნა? სჯობდა მოულოდნელად მომხდარიყო ის, რისი წინასწარი მოლოდინი მხოლოდ უნაყოფო მწუხარებით და შიშით სტანჯავს კაცობრიობას? თავის გაართობა მაინც შეიძლებოდა რითიმე! დაუთარგუნავი, მოურევნელი შიში საზიზღარი მკვლელებით გაწყვეტილად თანა სდევს მის ყოველ ნაბიჯს და ფიქრს.

დინგვეი დადის ოთახში აღელვებული, გამხდარი, უძილობით და უქმელობით ღონემიზნული, შიშველი ნერვებით შემოსილი და ფიქრობს, როგორ მოისვენოს ერთი წუთით მაინც. ო, რომ შეიძლებოდა მოიშოროს მტანჯავი გონების აუტანელი სიფიზღლე! რომ იყოს საშუალება დარჩეს რადმე ამ ქვეყანაზე! თუნდ გველად იქცეს, ბუზად, თუნდ კლექის ან ხოლერის მიკრობად, ოღონდ იძვროდეს და არსებობდეს!

ლენორას შეუშინებლად მიეძინება დივანზე.

დინგვეი ფეხბარებით გადის ოთახიდან.

საქმეს რომ თავი დაიანება, შიშმა უფრო იმძლავრა. იქნება ჩვეულმა საქმიანობამ დაუბრუნოს წინანდელი სულის სიღინჯის ნასახი მაინც! რამდენი ხანია ქარხნები არ უნახავს, იქნება მართლა გაფიცვია! ნეტავ აგრეც იქნებოდეს! მაშინ გაუჩნდება დინგვეის ნერვების სხვანაირად გაღიზიანების საშუალება. იქნება კვლავ დაუბრუნდეს კაპიტალის ვეფხვს ბასრი კლანჭები და ბრძოლისა და ძლევის ინსტიტუტი!

დინგვეი საათს დახედავს და სადგურისაკენ მიჰქრის. ჩიკაგოსკენ ხუთ წუთში ჩქარი გადის.

\* \* \*

ქარხანა ასთავიან გველშაპივით ქშინავს ელექტროს ბუდეში და მრძრობს.

## მარტოობა

გაფიქვია არ არის: მსოფლიო კატასტროფის სტიქიურ გრგვინში სტატიკური შეჭიდების ენერჯია მოუღუნებია. ქარხანა მუშაობს უშიშარი, თავის მჭეხარე რიტმში ჩაქედლი, შიშ-ნაკრავ ადამიანებით გარშემორტყმული.

დინგვეი გაივლის ქარხნის ეზოს და შედის სასაკლაოში. მსახურნი თეთრ ხალათს ჩააცმევენ ძეხვების მეფეს და შეპყვებიან ღორების პავილიონში. სამი ათასი თეთრი ღორი საამური ღრუტუნით შეეკცევა სიმინდსა და ქარხალს. ერთი-მეორეს დინგის კვრით ეცილებიან კამაში და უზარმაზარ პავილიონში დგას უზრუნველი ღრუტუნის, სიმინდისა და ქარხლის ხრამუნის და სიცოცხლით სავესე კვირილის ბედნიერი და მშვიდობიანი მუსიკა. ხეალ დილით ღორებს შთანთქავს გაუმძღარი მანქანა და რამდენიმე საათის შემდეგ ეს სამი ათასი ღორი უამრავ ძეხვებად იქცევა, მაგრამ ღორებმა ეს არ იციან და ვერც გაიგებენ. რა ბედნიერები არიან! რა დიდი უპირატესობა აქეთ განწირულ ადამიანების წინაშე...

დინგვეი გრძნობს ოდნავ სულიერ სიმშვიდეს ამ აუმღვრეველი სიცოცხლის ბუნებრივ ატმოსფეროში. ანიშნებს მსახურთ, რომ მარტო დასტოვონ. წუთით მაინც დაივიწყოს ადამიანთა მოღვმის საშინელი ბედისწერა და გაითქვიფოს ამ პირველყოფილი ინსტინქტის ცხოველურ სიმარტივეში.

მიდის ღორებთან ახლო და ფეხს წაჰკრავს ერთ მათგანს. ღორი დაიჭყვირებს და დინგს აღწევს. დინგვეი დაიხრება, აიღებს ქარხალს და ღორს პირში მისცემს. ღორი ქარხალს ხელიდან გამოვლევს და სჯიჯვნის.

ხომ შეიძლება ადამიანს გადაედოს ეს სუფთა და უჩრდილო ალღო, რაც არის მხოლოდ სიცოცხლისა და არსებობის სავსეობა, მოკლებული ყოველგვარ წინათგრძნობას და მოლოდინს?... ხომ არის რაღაც ცხოველური მაგნეტიზმი, ცხოველთა სამეფოს სხვადასხვა სახის გამაერთიანებელი? დინგვეის წაუკითხავს სადღაც, რომ ხერხემლიან ცხოველებს აქეთ ფიზიოლოგიური მაგნეტიზმი, ღორიც ხომ ხერხემლიანი ცხოველია? რათ არ შეიძლება ადამიანის ტვინში შეიქრას ცხოველური მაგნეტიზმის უხილავი ფლუიდები და გადასცეს მას მშვიდობიანი ინსტინქტის პირვანდელი ხალისი, რომელსაც არ აწუხებს ადამიანის გონების ზედმეტი სიფხიზლე?

დინგვეი ოთხზე დგება, რომ თავი დაუახლოვოს ცხოველური მაგნეტიზმის მოქმედების არეს, მიიტანს ცვირს ღორის დინგთან და შეახებს. ღორი გაკვირვებით დასუნავს ადამიანის ცვირს და დაიღრუტუნებს.

დინგვეი მისთვისვე მოულოდნელად ღრუტუნითვე უპასუხებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

# ქ ი ა კ ო კ ო ნ ა

1

მაროს მამა თუთილღე ხელმოკლე მეკომური იყო.

დღე და ღამე გაერთიანებული ჰქოხდა, მაგრამ ოჯახის რჩენა მაინც უჭირდა.

ხელისგულის სიფართე ვენახში არაოდეს მოუკრეფია ერთ დასაწურზე მეტი ყურძენი.

დიდი ხნის წინად გაშენებული და ნაცრისაგან დაკნინებული ეახები კომპლა-კომპლა ისხამდა და ღვინო ყოველ წელს მუავე დგებოდა.

მიუხედავად ამისა, თუთილღეს დედას ანუსის ჭიაკოკონობაზე ვენახის თავში ცეცხლის დანთებას ვერაფერს მოასწრებდა.

ეხლაღ ანუსი და მარო საჭიაკოკონე ფიჩხის მომარაგებას დილიდანვე შეუდგენ.

მაროს სიხარულის ზღვარი არ ედო.

ის თრითინასავით დახტოდა და ვენახში და ვენახის კიდურებზე დარჩენილ ჩალის ღერებს შეუსვენებლივ თხრიდა, ხოლო ანუსი მოთხრილ ჩალის ღერებს, გამხმარ ღერწებს და ხეხილის ნახლავ ხმელ ტოტებს ერთ ალაგას აქურჩებდა.

მარო ღონიერი გოგო იყო და ჩალის ღერებს იოლად თხრიდა, მაგრამ ერთი ჩალის ღერა მეტად გაუძალიანდა. მარო ჯინაზე არ მოეშვა. ცოტა შეისვენა, წინ გადმოცვენილი კულულები გაისწორა, ნაჭრის საბანივით შეკერილ კაბის კალთით ფართე შეზღზე ოფლი მოიწმინდა და ღრმით ფესვებ გამდგარ ჩალის ღერას ორივე ხელით მოეჭიდა. უეცრად, ერთი მოწვევისთანავე, ჩალის ღერა მიწიდან ამოვარდა, რის გამოც მარომ თავი ველარ შეიკაე და ყირამალა უკან გადაგორდა.

ამის დამნახველმა ანუსიმ მკლავზე დაწყობილი ჩალის ღერები იქვე დაჰყარა და შემკრთალი მაროსაკენ გაეშურა. ბებიას მისვლამდე მარო კისკისით ფეხზე წამოხტა და თავზე წამოხურული კაბა ჩამოეშვა.

— ხო არაფერი გიტკენია გოგო!

— არაფერი ბები, სრულუბით არაფერი! გინდა კიდო გადავიდე ყირაზე?

— ნუ სულელობ, ყირაზე ხტომა რა გოგოს საქმეა! აწი თხრას თავი დაანებე, მოთხრილების თავის მოყრაში მომეხმარე და სახლში წავიდეთ. გვეყოფა.

— ცოტას კიდო მოეთხრი ბები, ხო იცი ჩვენი კოკონი ყველაზე ძლიერი უნდა იყოს. თადეოზა ძაან დამეჭადნა, მარა ვაყურებივებ მის სეირს, ის რაღა მაჯობებს.

სხაპასხტობით წარმოსთქვა მარომ და კვლავ დატრიალდა.

სალამოს, როგორც კი მზე გორებს მოეფარა და სოფელში წინით ჩამოწვა, მარომ, კეცის ნატებით, სახლიდან ნაკვერცხლები და ნაპირებ დატყულებული სპილენძის მომცრო ტაშტი მოარბენინა.

ანუსი ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა, ხოლო მარომ მოუთმენლად მოკლე კომბალი და ტაშტი მოიმარჯვა.

ნაკვერცხლების გაღვივებისთანავე კვანლის ზეინი აიმართა, მალე ეს ზეინი ანუსის ადრინდელ საჩიხტიკოპე ლენაჭივით გაიწალა, შემდეგ ლენაქს აქა-იქ წითელი ზოლები აყვა, ზოლები თანდათან ზედმეტ-ნაკლებად გაფართოვდა, განრავლდა და როცა ყველა ერთ დიდლად იქცა, მარომ ფიცხლავ ტაშტს კომბალი შემოაქრა და ტაშტის ხმაურთან ერთად თეოფილეს გარემოდან შორი-შორს გაისმა:

აარული კუდიანებს,  
თქვენი სვით და თქვენი სქამეთ  
ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ...  
ჩვენს ვენახში გოდრა-გოდრა  
სხვის ვენახში კიშლა-კიშლა.

ვაპკიოდა მარო და ტაშტზე კომბლის ცემით ჭიაკოკონას ირგვლივ თავ-კამეტებული დარბოდა.

მაროს და ანუსის მეხობლებმაც წაბაძეს, მეხობლებს კიდევ სხვებმა და თვალის დახამხამების უმალ მთელი სოფელი პატარა კოკონების შუქში გაეხვია.

კოკონების გარშემო ყველგან ბავშვები, მეტ წილად ბიჭები დარბოდნ ბან ცეცხლს აბტებოდნ და მაროსავით ვაპკიოდნ არულს, თან ტაშტებზე მთელი ძალღონით ჯოხებს უბრაგუნებდნ.

განსაკუთრებით თადეოზ ეჯიბრებოდა მაროს, თუმცა კოკონი არ ენთო მაროსთანა, მაგრამ არულში კი სჯობნიდა.

ხანდახან ისე გამძაფრდებოდა ბავშვების კივილი და ტაშტებისაგან გამოცემული ხმა, რომ შეშინებული ძაღლები უჩვეულო ყეფას ასტებდნ.

მარტო თეოფილეს ძმის მოსიას ეხოდან არ ისმოდა არული, თუმცა წესით ჭიაკოკონა მის ცოლს კესოსაც დაენტო.

— რა ჯანდაბა აკივლებს ასე ცივი ხნით ი გომბიოს?

შურით წარმოსთქვა აიგნის კუთხეში სკამლოგინზე წამოწოლილმა მოსიამ.

— მეტი არ გაგიძლია, რაეაც შენმა კივილმა მამაშენს ჭურები არ აუფსოს. არ განიხერხა ურუები ბეჩა!

ღვარძლიანათ დაუმატა მოაჯირზე დაყრდნობილმა კესომ და გადახედა თავის კოკონს, რომელიც მაროს კოკონთან შედარებით, საცოდავით ბეტუტავდა.

— მართალი უნდა თქვას კაცმა და თეოფილე უფრო ბედნიერია ჩემზე. ის გოგო ისეთი გამოვა, რომა ბარე ორ ვაეკაცს აჯობებს.

— კაი მოუვიდა მის პატრონს, კაი ის იქნება!

— ჩვენ რო არც კაი გვყავს და არც გლახა?

კესომ არაფერი უპასუხა.

კოტახნის შემდეგ მოსია ზანტად წამოდგა და ცოლის გვერდით გაიწერდა.

მოსიას თვალწინ გადაეშალა გაღმა-გამოღმა ქიაკოკონების ქვემოთმოხალე-  
ბული და არულით ახმაურებული სოფელი, რომელიც გაშენებული იყო გარს  
შემორტყმულ მთების კალთებზე და გულზე პატარა მდინარე ჩაუდიოდა, რის  
გამო სოფლის მდებარეობა შუაზე გაპობილ დიდ გობს მოაგონებდა კაცს.

მდინარის ნაპირებს, ორივე მხრივ, მთელს ოკრიბაში იშვიათი ნოყიერი  
და ვრცელი საყანე ადგილები ეკრა. ეს მდინარე მთების გაწვეტილ რგოლში  
გაელის შემდეგ ერთვოდა წყალწითელას, რომელსაც, აქეთა კედაროს, ამჟამად  
ტყიბულის რკინისგზა მიყვება.

მდინარეზე რამდენიმე ალაგას ჩელტის ხიდები გაეკეთებიათ, რომელთა  
საშუალებით გაღმა-გამოღმელებს ხშირი მიმოსვლა ჭკონდათ ერთმანეთში.

ადრე დამდგარ განაუხულს თოვლი მაღალ მთებზედაც კი გაედნო და სო-  
ფელში უკვე თბილი სიო ქროდა.

მოსიას ახლად აგებული წაბლის ორთვალისანი მშენებელი ოდა ბეჭობზე  
იდგა, საიდანაც ყველაფერი კარგათ მოსჩანდა.

ისედაც გამსჭვირვალე ღამეს კოკონების ალი ძალაედა და მოსია ახლო-მა-  
ხლო ეზოებში მყოფთაც კი ცნობილობდა.

განსაკუთრებით თვალნათლივ არჩედა თეოფილეს ნახევრად მიწურ სახლს.  
რის პატარა ეზოს და ცამდე ავარდნილ კოკონის ირგვლივ მარბენალ მაროს.

— გასაოცია ამ დღდაშენის საქმე, როცა ჩვენსა იყო, განძრევა ეზარებო-  
და, იქ კი მთელი დღე ფუსფუსებს და ყველაფრით მოწადინებულია თეოფილეს  
ჩვენზე მეტი შესძინოს. ახლა, ხედავ რამხელია ცუცხლი დაუნთია?

მოსია ფიქრებში იყო გართული და ცოლის ნალაპარაკებისათვის ყურად-  
ღება არ მიუქცევია. ბოლოს თავისთვის გულნაკლულად წარმოსთქვა:

— ამოდენა სოფელში მარტო ჩენი ეზოა პარტახივითა, რა შავკვით მინ-  
და ეს სიმდიდრე, თუ კაცი ვერ გაივებს ჩემს არსებობას! ან ვის უნდა დაუტი-  
ოთ ამდენი ქონება!

— ნეტავი ვის ესაყვედურები, ღმერთს თუ შენივე თავს?

მჭირდავით შეეკითხა კესო.

— სასაყვედურო ვინცხაა, კარგათ იცი!

— უი, ღმერთო მომკალი, იქნება შე მამრალემ შენ სივლახეს, ა?

— აბა ვისი ბრალია ქალო!

— ვისი? ვისი და შენი. სისხლი არ გივარგა და იმიტოა!

— შე კი არა შენ ხარ გამოფიტული, თვარა...

— თვარა რა, ერთბაშით სულ ბიჭები გეყოლებოდა, აი. არა, შენ თვალ-  
დამდგარო, ქალს კანი მასკდება და მაჭიკივით სისხლისაგან დაწრეტილებს წა-  
დარებ?

— არ მეყოლებოდა თუ, დიხაც მეყოლებოდა შენ რო ვარგოდე. მე შენ  
გეტყვი ჯანი მაკლია, ვაქვაცი არ ვარ? ჰაი გიდი-გედმანეს, თათარი ვიყო, მაშინ  
განახვებდი ჩემ ბიჭობას!

— გაჩუმდი, გაჩუმდი, ტრამბის მეტი არაფერი იცი შე საცოდავო!

— ნუ მაჭებებ გეუბნები თვარა, ქალი სხვაც ბევრია და ჩემთვის დაგმიტყეობ ვინცაა ბერწი.

კესოს უარესი უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეეშინდა ისეთი რამე არ წამოცდნოდა, რაც მოსიას იჭეებს ალუძრავდა, ან ეფროსინეს ჭორს გაახსენებდა და სიტყვა აუკრა.

— რამ აგტება შე კაცო, რაღა მიცდურივით შემომიჩნდი ამ მაზიარებელ ქალს და უხიავ რამეზე ამდენს მილაპარაკებ. შენც კაი ხარ და მეც, მარა ალბათ ღმერთს ასე სურს... შეიძლება აწი გაგვიჩნდეს შეილი, რა დიდიხნის ცოლქმარი ჩვენ ვართ!

დატკბა კესო და უნდოდა მაგალითად თავის ბებია დავსახელებია, რომელსაც თურმე ჯვარის წერადან 10 წლის შემდეგ შეეძინა პირველი შეილი, მაგრამ ამ დროს თადეოსის ჯინაზე მარამ ისეთი წკვავებ ხმით შემოსძახა არული და ისე ძლიერ აახმაურა ტაშტი, რომ თეოფილეს ღობესთან ტყეშალზე შებუღრებული მოსიას ქათმები ერთბაშად საშინლად აკრიახდენ, თან ერთი დედალი ქვასავით ძირს ჩამოვარდა.

მათ კრიახს ნაგაზიც აპყვა და იქაურობა აფორიაქდა.

— ღმერთო იჯურობა შენი სახელი, გაგიყვდა ეს გომბიო თუ რა ამბავია! სულ არ დამიფრთხო ქათმები?

ამ სიტყვებით კესომ მაშინვე კიბე სწრაფად ჩამოირბინა და ქათმებისაკენ გაეშურა. აიყვანა თუ არა ჩამოვარდნილი დედალი, ერთბაშად შეიცხადა:

— უი, დამიდგეს თვალი, ჩემი ახლად მოყვებული ქორორა არ ჩამოვარდნილა? ღმერთო შენ გადაუშენე მარიკელას თავი, მის პატრონს, რაეც ამან აწი სანაშენით აღარ ივარგოს! რამდი უნდა იკივლოს იმ გომბიომ ასე?

გაცეცხლდა კესო და ქათმიანათ თეოფილეს სახლის პირდაპირ ღობეს მიადგა.

— დაანებე თავი, სახლში მოდი ადამიანო, ტყუილა თავს ნუ იცუტურაკებ?

ურჩია მოსიამ, მაგრამ კესომ არ დაიშალა და მკვიანა ხმით გადასძახა:

— ეფროსინე, ეფროსინე!

ანუსი კოკონს ფიჩხს უმატებდა, ხოლო მარო ისევ გატაცებით განავრძობდა არულს და ტაშტზე ჯოხის ცემას, რის გამოც კესოს ძახილი დიდხანს არავის გაუგონია.

კესომ კვლავ გადაკვივლა:

— ეფროსინე, მარო, ეფროსინე!

ეფროსინე ვახშმის შხადებაში იყო გართული და უკვე კარგად გაბურებული კეცები რომ არ განელეხულიყო, ქადის ცოშს ჩქარა ზელდა.

იქვე, კერიასთან, სამღვება სკამზე იჯდა ტყიბულიდან გვიან დაბრუნებული თეოფილე და მაროსაგან ზეპირათ ნასწავლ ძველი დედა-ენის ფურცლის ნახევარში ვახვეულ თამბაქოს სწევდა.

ძახილი პირველად თეოფილეს შეესმა და ცოლს უთხრა:

— გახედე ბოშო, ვიღაცა სტუმარია!

— დასწყევლოს ღმერთმა, ვინაა ნეტავი, ქალების დაჯგუფებას ვერცხვებს-  
წრო, საცაა კაცები ჩაცვინდება!

ამ სიტყვებით ეფროსინემ ცომი ააგუნდა და კარი გამოაღო.

— რომელი ბრძანდები!

— ქალო, რავე წელკავიანივით ავეირებთ ი ბავშს, მოძულეებული გყავთ  
თუ რავეა თქვენი საქმე?

წელიწადზე მეტი იქნება, რაც უბრათ იყვენ შილებე და ამიტომ ეფრო-  
სინე ძლიერ გაოცებული დარჩა, როცა მომღვრავის ხმა იცნო.

— მაზიარებელია და იქნება მიტო უნდა გამომელაპარაკოს!

გაიფიქრა ეფროსინემ და რადგან თვითონაც არ სურდავინმეს უბარი ზი-  
არებულიყო, ნაძალადევი რიღით შეეკითხა:

— რა იყო ბენა, დაგიშავა რამე თუ!

— რავე რა იყო, გავგაყრუა ქალო, გავგაყრუა, ამის ვინ ჩივა, ქათმები  
ვადამირია ამდენი კეილით, მაი ვადარია ციხის მაცხოვარმა. ერთი დამფრთ-  
ხალი დედალი ძირს ჩამოვარდა და ავერ ხელში მაკვდება! ესაა კაი?

ეფროსინეს იმდენათ გერის დაწყველა არ სწყენია, მაგრამ მაინც ნიშნის  
მოგებით უპასუხა:

— მაგაზე დამდგარა ჩემი დარდი, ნეტავი სულაც ვაგიწყვდებოდეს!

— მაშ ასე, ხო, აწი მე მიყურე რავეცხა უნდა მტრობა. შენთან არაფერი  
გოუვა აღამიანს, ისეთი წყეული მონაგარება ვაქ!

— რას მომხტომიხარ ამ შუალამზე შე კახა, ა! აქედან წაეთრიე, თვარა  
ქვით ვაგიბობ მაგ ბატისტვინა თავს!

გააღმანდა ეფროსინეც.

კესომ უარესი უთხრა, ეფროსინემ კიდევ უფრო საწყენი სიტყვები ესრო-  
ლა და შეიქნა კეილი, წყველა და გაბახება.

აურზაურზე ცნობისმოყვარე მეზობლის ქალები ლობებებს ჩუმით მოადგენ.

მარომ და ანუსიმ სანქაროდ მიატოვეს კოცონი.

თოფილევ გამოვიდა ცოლის დასაშოშინებლად.

შეამჩნია თუ არა კესომ თოფილე, მაშინვე დაუტატანა:

— კაი მოვივიდა კაი ცოლშვილის პატრონი შენ ხარ, მარა თვითონაც რო  
პრ უქნიხარ ღმერთს! როცა კაცი ცოლისაგან თავში საჩაქტუნებელი ვახდება,  
იმასთან მეზობლობას, სულ უმეზობლობა სჯობია.

თოფილე დიდათ მომთმინე კაცი იყო, მაგრამ კესოს უქმებობამ ისე გააბ-  
რაზა, რომ თავი ველარ შეიკავა და უკადრისათ შესაბა.

— ხმა ჩაიწყვიტე დედაკაცო, თვარა ძირში მივაქრი მაგ გველის ენას!

— მოსია, მოსია, არ გესმის კაცო, რაფერ ათრევენ შენს ცოლს? რას  
უდგინხარ მაქანე!

შესწივლა კესომ ქმარს და ხშიანი ტირილი მოართო.

ამ დროს მოსულიერებული დედალი ბავშვივით მოტირალ კესოს ხელიდან  
ვაუსხლტა და თოფილეს ეზოში კრიახით ვადაფრინდა.

მოსიას მეტი არ უნდოდა, ის აივნიდან პირდაპირ გადმოსვლა შეეცა-  
ბული, ქადილით მივარდა ლობესთან:

— რა ამბავში ხარ ეაუბატონო, მე შენ ვასწავლი რაღა უნდა ქალთან ჩუბი. აქეთ გამეიწი თუ გულს გერბის, ნაცარქექიასავით რო იქადნები მაქედანი!

დაიღრიალა მოსიამ და ლობედან სარი ამოაძრო.

თეოფილეს ეგონა მოხტომის მიპირებსო და იქვე სოხანეზე ჯირკთან დაგდებულ ნაჯახს ხელი დაავლო, თან მოსიას შეუტია:

— ლმერთი არ გაგიწყრეს ფეხი არ გამოდგა აქეთ, თეარა სააღდგომო კვერციხივით შეგიღებავ მაგ თავპირს?

— ვის აშინებ შე პირძაღლო, ა!

წამოიძახა მოსიამ და ცალი ფეხი ლობეზე შესდგა, მაგრამ კესომ მიშინვე კვილით ახალუბის კალთებში ხელი წააქლო და ღონივრათ უკან დასწია.

აქეთ თეოფილეს ჩააფრინდა ეფროსინე და ანუსი, რომელიც თან ბედს ესაყვედურებოდა:

— რას შევესწარი ამას, ასე რაღა უნდა შექვიმონ ერთმანეთი ძმებმა, ვის გოუგონია ამნაირი რამე!

უფროსებზე ადრე თადეოზი მოვარდა და სახლის ღირესთან შიშისაგან გაქვავებულ მაროს ამწყათ გვერდით დაუდგა.

თადეოზს ისეთი გამბედავი სახე ჰქონდა, თითქო მაროს აზნევებდა:

— ნუ გეშინია, აგერ ვარო!

— გამიშვი მაგის სისხლი დავლიო, მაგის...

იმუქრებოდა მოსია.

— ბიჭო, რამ შეგიცვალა ასე მხარი, მეზობლების მაინც არ გრცხვენია?

— შენი ბრალია ყველაფერი, შე კუდიანო!

შეიღოს მაგიერ რძალმა ვადმოსძახა ისედაც გულდაკოდით ანუსიას.

— რაა ჩემი ბრალი, რას გიშავებთ მე უბედური, ქე მაინც ვიცოდე ხეტავი!

საცოდავით წაიღულღულა და მოთქმა დაიწყო:

— მიტელაა, მიტელაა? რატო თან არ წამიყვანე შე ცხონებულო, რისთვის დამტოვე აქნენი თუ ასეთი დღე მელოდა? ვაი ჩემს მოსწრებას?

მოსია კვლავ იწევდა ძმისაკენ, მაგრამ მალე მეზობლები მოკვინდენ და დიდი ვაივავალხით როგორც იქნა ძმები თავიანთ სახლებში შეიყვანეს.

## II .

თეოფილეს და მოსიას ბავშობაშიაც არ ქონიათ ძმური განწყობილება.

თეოფილეს ხშირად ანაღვლიანებდა ის გარემოება, რომ მშობლები მასზე უფრო მოსიას ესაყვარულებოდენ.

თეოფილეს ისიც უყვირდა, თუ რატომ მაინცდამაინც მას ასაქმებდენ ყველაფერს, ხოლო მოსიას ნებას აძლევდენ მთელი დღე ეთამაშა და იავარათ ერბინა.

თეოფილე სიყრმიდანვე გარჯაში იყო.  
მამამისი მიქელა გვერდიდან არ იშორებდა: ხან ტყეში დაჰყავდა, ხან  
ყანაში.

შინ ხომ სულ არ ქონდა მოსვენება—დედამისი ანუსი კულში გამოიბამდა  
და ვოგოსავით აკეთებინებდა ყველაფერს.

განებიერებული მოსია კი ამ დროს ან სარიკტაფელე ჯოხებს თლიდა, ან  
შვილდ-კოდალათი ჩიტებს დასდევდა და გაფაციკვებული ეძებდა ბუდეებს.

ხშირად მოსიას პატარა კვერცხებიანი ბუდე მოუტანია შინ.

ერთხელ მან ბუდიდან ახლად გადმოსხმული ორი გულჭრელა ბარტყი  
მოიყვანა და წაწეღისაგან მოწულ გალიაში დაამწყვდია.

მალე დედა ჩიტი მოფრინდა და ეზო ყივილით აიკლო.

მოსიამ ხან ქვა ესროლა, ხან შვილდისართი გამოუდგა, მაგრამ ვერც  
მოკლა და ვერც მოიშორა.

გამწიარებული დედა ჩიტი ხიდან ხეზე მოუსვენრათ დაფრინავდა და ხან-  
დახან ისე გულსაკლავად მოსთქვამდა, რომ მისმა საცოდაობამ თეოფილეს მოს-  
ვენება დაუკარგა.

ბარტყები დედის ხმაზე გალიაში ფრთებდაცვნილი დაფოფბავდენ და  
უცნაურად სხიოდენ.

— გაღშვი ბიჭო ეს ბარტყები, რათ გინდა, მაგლობელი ჩიტები ხო არ  
არიან, უბრალო ჩიტებია, ვერც დახდი შენ მავათ!

მოსიამ არც კი შეხედა თეოფილეს.

ერთბაშად დედაჩიტის ხმა შეწყდა.

გახარებული მოსია ბარტყებისათვის თუთის მოსატანად გაიქცა.

სინქარისათვის ხეზე ასვლას ტოტების დარეკა ანჯობინა და ჯვერი მოი-  
მარჯვა.

მოსიამ ფაცაფუცით აჰკრიბა მოლზე დაცვენილი თუთის მარცვლები და  
ხამის პერანგის კალთაში მოავროვა. უკან სირბილითვე დაბრუნებულს ჭიბი  
უჩანდა და პერანგის აკვალთულ კალთიდან გამოეჩინილი წითელი თუთის წვენი  
მუცელზე ხოლ-ხოლად სდიოდა.

მოსიამ სვეტზე დაკიდებულ გალიაზე ორი ჩიტი შეამჩნია და ნაბიჯს  
უკლო. ჩიტებს გალიის ღარალუბში, წაწეღსა და წაწეღს შუა, ნისკარტები  
უხმოთ ჩაეყოთ, ქვევიდან კი ბარტყები დამშვიდებული ყივილით შესცქე-  
როდენ.

მოსიამ განიზრახა ერთ-ერთი ჩიტის დაქერა და გალიისაგან ფეხაკრფით  
გაეშურა, მაგრამ მიახლოებისთანავე ჩიტებმა იფრთქილეს და იქვე თელის კენ-  
წეროზე ზრიალით შემოსხდენ.

ბოცა მოსიამ გალიიდან ერთი ბარტყი გამოიყვანა და თუთის მარცვლი  
პატარა ყვითელ ნისკარტში ძალით ჩაატენა, დედა ჩიტმა ცხვირის წინ ისარი-  
ვით გაუქროლა, ხოლო მამალმა ჩიტმა ყურზე უკორტნა.

ბარტყი მოსიას შეეშინდა და ბარტყი მაშინვე გალიაში შესვა, შემდეგ  
თუთის ნაწილი შიგ ჩაყარა, ხოლო დანარჩენი პეშვით თვითონ შესქამა.

თუთის წყნით სახე მოხუხნულ მოსიას ეხლა ბალი მონათესავე და მისი ბოლოში სტეენით გაიქცა.

ბარტყების დამკარგველი ჩიტები კვლავ გოდებდნენ.

თეოფილემ, რომელიც ჩეროში გიდელს წნაედა, ველარ გაუძლო მათ მწუხარე ქლურტულს და მოსიას ნამალავათ ბარტყები ვენახში გადასხა.

ბალით ყულამდე გაეყვილმა მოსიამ დაინახა თუ არა ცარიელი გალია, გველისაგან შეშინებულებით უჩვეულო კივილი მორთო და მანამდე იზღუტუნა სანამ დედას თეოფილე არ გაალახვინა.

როცა ძმები წამოიზარდნენ, მიქელამ გადასწყვიტა:

— ორი ვაჟი გვყავს, ლუგროსი ოჯახში მომხმარეთ ვიყოლიოთ, უნცროს რაიმე ხელობა ვასწავლოთ!

უთხრა ერთ დღეს ანუსის მან და შემოდგომაზე მოსია ქუთაისში წაიყვანა.

ორი წლის შემდეგ კობტად გამზწყობილი მოსია მშობლებს ეწვია.

დედას შავი დარაიის თავსაფარი მოუტანა, მამას საჩოხე შალი და ძმას ხანჯალი.

ეს იყო და ეს. მისგან მეტი არაფერი უნახავთ მათ.

როცა მეორეთ ჩამოვიდა, ძმის მორიდებით, მშობლებს მთელი ღამე რაღაცაზე ელაპარაკა და ეხვეწა.

მეორე დღეს თეოფილე განგებ დედულში გაავხვენეს.

დედულიდან დაბრუნებულს შინ აღარც მოსია დახვდა და აღარც ხარები.

თეოფილეს უსიამო ერუანტელმა დაუარა და მამას მოკვეთით შეეკითხა:

— სადაა მოსია, სადაა ხარები?

მამამ დაგვიანებით და დაღერდილათ უპასუხა:

— მოსია წავიდა შეილო, ხარები გასაყიდათ ვევატანე, თავისთვის დუქანს აღებს და სერმია სჭირდება.

თეოფილეს ფეხქვეშ მიწა შეერყა. ყურებმა უცნაურად დაუწყეს ჟული.

ის ისე იყო ხარებთან შეზრდილი და შეჩვეული, რომ უიმართოთ ყოფნა კერ წარმოედგინა.

ანუსიმ შეატყო შეილს წვეწა და დაყვავებით უთხრა:

— შე კაცო, ასე რაფერ გეწყინა, ხარები ხარებია, ახლა ზამთარია მიანც და რჩენა-მოვლის მეტს რას უნდა გამოიჩინილიყავი. ვაზაფხულამდე ჩალაც არ გვეყოფოდა. ვაზაფხულზე ი ბიჭი ხარების ფულს სარგებლით დააბრუნებს და მე იყიდით სამაგიერო ხარებს. უკეთესსაც, აბა რა, შენ გონია ხარების ფულს მოსიეი შევამს თუ! იმას რო არღანი უყივია, მარტო ის ღირს თურმეთ უღელ ხარათ. არ უნდოდა ჩვენი შეწყუხება, მარა ცოტა მიაკლდა და დანმარება გვთხოვა! უარი გვეთქვა? მაგანზე მეტი საჯავრო ღმერთმა ნუ მოგცეს შეილო!

თეოფილე უხმოთ გატრიალდა.

— არ შეგონა თუ ასე დაწყებოდა გული, ვაი თუ მოსიამ დანაპირი ვერ შეასრულოს და სულ უხაროთ დაერჩეთ. ხო დავიღუპებით!

ცოტახნის შემდეგ დაფიქრებით წარმოსთქვა მიქელამ.

— რა ვიცი, ისე რავე წოუხდება საქმე, თაენი შაინც ვერა მშენებნისა  
დაეჭვებით წარმოსთქვა ანუსიმატ.

— ეატრობა ლატარია, ვინ იცის!

— შე კაცო, ამდენი თუ გესმოდა, ქე რას დაყაბულდი.

— ამ ბოკისთვის შაინც გვეკითხა, ვერ მოგვევიდა კარგათ!

კელავ ნაღვლიანად წარმოსთქვა მიქელამ და დაეყვილი ადგა.

მიქელას ეჭვი გამართლდა:

მოსია არ გაკოტრებულა, მაგრამ მშობლები კი დააილაღტიანა.

მიქელა რამდენჯერმე ჩავიდა ქუთაისში და ყოველთვის წელმოწყვეტილი დაბრუნდა.

ხენა-ბესვის ალო დგებოდა.

მიქელა ისე იყო დაბნეული, რომ ვენახში მუშაობასაც ველარ ახერხებდა.

ისევე თეოფილე დატრიალდა.

ხან ერთ მუზობელს შეურჩია დრო და ხარები გამოართვა, ხან მეორეს და ყანები დახნა. სამაგიეროთ ზოგს ზედმეტათ ვენახის სხელაზე მოეხმარა, ზოგს ყანების დახვნაში და ზოგს კიდევ სიმინდის გამარგვლა-გამოროდებაში მოხმარება აღუთქვა.

იმავე წლის შემოდგომაზე თეოფილეს ქალი შერთეს.

მიქელამ ღარიბული, მაგრამ ლამაზი და ტკბილი ქორწილი გადაუხადა უფროს შვილს.

მაიკოს კარგი მზითები მოყვა.

არც შესახედობით ჩამორჩებოდა სხვა პატარძლებს.

მოსიამ ძმას არღნიანი სარკე გადააგდო, რამაც შექორწილენი აღტაცებაში მოიყვანა.

სარკეში სათითაოდ ჩახედვის შემდეგ, მის ხმას ყველა უჩვეულო ღიმილით უსმენდა.

არღნიანმა სარკემ მათზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ვიდრე სარკე არ ვაჩუმიდა, დაჯდომა ვერ მოახერხებს, თუმცა სუფრა უკვე გაწყობილი იყო.

მოსიამ სარკე წეფე-დედოფალს წინ დაუდგა და როგორც პირველი „შაფერი“ ძმას თავმომწონეთ გვერდით მოუჯდა.

თამადათ მოსიას ნახაზეინარი მიკიტანი გერასიმე აირჩიეს.

გერასიმემ ჯერ მადლობა გადაუხადა ყველას დაფასებისათვის და შემდეგ ახლად ჯვარდაწერილები შეამკო და სადღეგრძელო ორი მოზრდილი ყანწით შესვა.

— ჯერ არაფერი გვიჭამია და თუ ასე უკვასევა, შენი მტერია დავითო-ცებით.

წაულაპარაკა ქალის ერთმა მყარმა მეორეს.

გერასიმემ განსაკუთრებული ყურადღებით და მრავალფეროვანი სიტყვებით ადღეგრძელა მოსია, თან თვალის ეშმაკური ჩაქვრით საცუკვავო „პესნის“ დაკვრა თხოვა.

მოსიამ სარკე ახლოს მიიწოჩა და კლიტის მაგვარი ჩანდა მისი ფი-  
ცარში სერიოზული სახის გამომეტყველებით რამდენჯერმე ვინმე უბრალოდ  
ამასობაში ვილაქამ მაიკოს ამხანაგს და მოსიას რჩეულ „პადრუქას“ დაირა  
გადაცა და მალე სარკეს დაირაც აყვა.

დაირისა და უცნაური არღანის ხმაზე თითქმის ყველამ იცეკვა.

მიქელა და ანუსიაც კი ჩამოუცოციალეს.

როცა ლეინო მოგვიდა, თამადაშაც იკადრა ცეკვა და ბალდადური დაუარა.  
სარკე სულ ერთდამივე ჰანგზე უკრავდა და მასზე ბალდადურიც არ ეწყო-  
ბოდა, ტაშიც არეულად ისმოდა, მაგრამ მიუხედავით ამისა, გერასიმე ერთბა-  
შად ბალდადურიდან ლეკურზე გადავიდა და მოსია გაიწვია.

გახალისდა სტუმრები.

გახშირდა ცეკვა და სიმღერა.

სადღეგრძელოები.

— ვაი თუ ლეინო აღარ გვეკოს, ხო შვერცხვით ქალო.

გადუფუნუნა მიქელამ ცოლს.

— გვეყოფა შე კაცო, აწი ბერს ველარ დაღვეენ, ხვალ ქე ვიშოვით  
საცხა!

დააიშედა ანუსიმ და შეიღებს თავზე დაადგა.

მაიკოს დედამ რალაც გულის ტყვილი იგრძნო და თვალები კრემლებით  
აეცსო.

ჯერ ანუსის შეხედა, შემდეგ მორცხვად მჯდომარე შეიღს და თავი  
ჩაქიდა.

მომღერალ სარკის ამბავი მთელ სოფელს მოედო.

ქორწილის შემდეგ შორეული მეზობლებიც კი მოდიოდნენ მის მოსასმენათ.  
განსაკუთრებით ბავშვები არ შორდებოდნენ იტაურობას.

ერთი კვირის განმელობაში სარკე განუწყვეტლივ უკრავდა, მაგრამ სწორ-  
ზე ვერას ვზოთ ხმა ველარ ამოაღებინეს.

— ნუ გეშინიათ, მოსიაა ამის ეჭვი!

ანუგეშა მიქელამ შეწუხებული რძალ-დედამთილი და იმავე დღეს დიდი  
სიდურთხილით სარკე ქუთაისში წაიღო.

### III

მაიკო დღე-დღეზე ელოდა მორჩენას და ანუსი მთელი დღე კედლში დას-  
დევდა, რომ რაიმე მძიმე არ აეწია, ან არ შეეწინებოდა.

ქმარიც და მამამთილიც ზედმეტად უფრთხილდებოდნენ მაიკოს.

— წყალი ხო არ გინდა შეილო?

ეკითხებოდა მიქელა.

— იქნებ გენატრება რამე, მითხარი შე ქალო?

ტკბილად და დაბალი ხმით ეუბნებოდა თეოფილე.

— ბოშო, არსად წახვიდე, ქალს თვალი არ მოაშორო. არაფერი შეიწიოს  
ყური უგდე, შე მარჩიელთან გვეიპცევი, გვეიგებ, ხო შეიღობის ლოგინობა

ეჭვება. ბიჭი რო ეკოლება, ჭე ვიცი, ისეთი მუცელი აქ, მარჯვენა მუცელზეა ეარჩევიებ.

უთხრა ერთ კვირას მიქელას ანუსიმ და შინ მოქსოვილ თავშალის ცალ კურეში გახვეულ ყვინჩილით გაუდგა გზას.

ყვინჩილას მარტო თავი უჩანდა და ხანდახან თავშალის ფოხს კორტნიდა.

— შე სატურე, თავშალი არ დამიხიო, თეარა წაგაწყვეტავ მაგ თავს!

წაილაპარაკებდა ხანდახან ანუსი და ყვინჩილას ნისკარტს დაუტყურა.

ანუსი ფრენით დაბრუნდა და მოსვლისთანავე რძალს აკოცა:

— ბიჭი იქნება, ბიჭი, იოლათაც მოილოგინებ, ვენაცვალე შენს გამზრდელს.

თეოფილეს იმ დღეს სამხრე გოდორით ვაშლი და ყველი ქონდა წაღებულნი ქუთაისს და გვიან დაბრუნდა, მაგრამ ნარჩევით გახარებულმა დაძინება მიანიც ვერ მოახერხა.

— ბიჭის მამა ეიქნები, ალბათ მე შეგვჯანება, უსათუოთ ვასწავლი, მიწიდან აღიარაფერი ხეირია. რაც დრო გაეა, უსწავლელი კაცისათვის ცხოვრება უფრო გაჭირდება. ან ღვღღათ გაეხდი ან სუღღათ, ორივეს კაი გამოარჩენა აქ.

ფიქრობდა მოსია და ცოლის მუცლის სინძიშეს თეითონაც გრძნობდა.

დრეყვანში ანუსი და მიქელაც დიდხანს იჯდნენ და ლაპარაკობდნენ მომავალ შეილიშვილის შესახებ.

მარიამობისთვის სავსე და ბაკმიანი მთვარე მთელ სოფელს ღლესავით ანათებდა.

— რაეც ფეხს ეიდგავს, ჩოხა-ახალუხს შეუტყრავ.

ამბობდა მიქელა და თან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ბიჭს ენას უჩლიქავდა:

— ბაბუ, მოდი ერთი ყალიონისათვის ნაკვერჩხალი მომიტანე! დაუძახებ და მაშინვე მომიტანენებს. მერე რა ტკბილი იქნება მისი ხელით მოტანილ ნაკვერჩხალით გაჩაღებული ყალიონი, იფ!

წარმოსთქვა მიქელამ და მოსალოდნელი სიამით ყალიონი მოსწია.

— შე კი ჯანჯუხებს და ტკბილისკვერს არ გამოვუღლევ ჩემს ბიჭიკოს. ზამთრისთვის ისეთ ჭრელყელა წინდებს მოვუქსოვ, რომ სულ ლაბოსავით ქონდეს ფეხები, ენაცვალოს იმას ბებია!

— კი, მარა რა უნდა დაეარქვათ, ა?

სერიოზულათ იკითხა მიქელამ.

— სახელების მეტი რაა შე კაცო, რომელიც კაი იყოს ის დაეარქვათ!

— რომელია, მერე კაი, ხო უნდა ამოვარჩიოთ!

— შე ნიკიფორე მომწონს, კაი სახელია!

— კაი მოგივიდა შენ! მაგას რაეა დაეარქმევ ბავს!

— აბა შენ თქვი უკეთესი ყველაფერის დაწუნება რო იცი!

მიქელა დაფიქრდა.

— ოქროპირა! ჩვენი ღვღღის შვილის სახელი: ისიც საღვღღლოთ ემზადება, კაი ბიჭიკაა, მარა სენხიაც კაი ეკოლება!

— უი შენ შემოგვივიდა გულზე, რა სახელია ბოზო ეს. წყნარად  
— რატო ხარ ქალო ასე გოლგნებელი, რავე ჩვენ ლედელს ვეძღვრებით  
წიგნში უწერია და გლახა სახელს დაარქმევდა თავის შვილს?

— შეიძლება კაც იყოს, მარა მე არ მომწონს, მაგას ცხონებული მამაჩემის სახელი სჯობია!

— ლუკაია? ხა, ხა, ხა!

ჩქირდავით გაიცინა მიქელამ.

— შენმა თავის ტეხამ მამაშენის სახელი უფრო კაია აპა!

გავულისდა ანუსი.

— დიახაც კაია, სად ლუკაია და სად დავითი. ჩვენი გელათი ვისი იგებულა თუ იცი? დავით აღმაშენებელმა არ ააშენა? მას აღარებ მამაშენს, რავე არ გცხვინია ქალო!

— იმას კი არა მამაშენს ვადარებ! მაგაზე თუ წავე საქმე, არც ერთი წირვა არ იქნება ისე, რო ლედელმა და დიაკონმა ლუკაია არ ახსენან! მთელი სახარება წმიდა ლუკაიას გამოთქმული არაა?

აღბათ მოხუცებულებს ჩხუბიცი მოუფიქროდათ სახელების რჩევა-რჩევაში, მაგრამ ამ დროს ოთახიდან თეოფილე თოფნაკრაივით გამოვარდა:

— მიკო წუხს, მიშველეთ!

წარმოსთქვა და ისევ ოთახში შეიჭრა.

— არიჭა, გეიჭეკი ბებიასთან, მალე, რავე ბურკულობ შე საკოდავო, ჩქარა ჭენი!

შეუძახა ანუსიმ მიქელას და ისიც ოთახში შევარდა.

მაიკოს ტკვილიშა უმატა და მალე კივილი დაიწყო.

ანუსიმ სასწრაფოდ მოამზადა ყველაფერი და რძალი მკლავზე დაიწვინა.

თეოფილე ცახცახმა აიტანა.

ამასობაში მიქელა და ბებია ქალიც მოვიდა. მათ რამდენიმე მეზობელი ქალი მოუვა და შეიჭნა ფუსფუსი.

— რა თქვენი საქმეა, ასეთი ამბის ყურება!

დატუქსვით წარმოსთქვა ბებიამ და კაცები სამზად სახლში გადენა.

მაიკო თანდათან ცივი ხმით ჰკიოდა, რაც თეოფილეს გულზე ლურსმანივით ექდობოდა. მან ველარ გაუძლო ცოლის ვაებას და გარეთ გავიდა.

— ღმერთო შენ გადაშირჩინე ჩემი...

თეოფილეს ვედრება მიქელამ შეაწყვეტინა:

— მორჩა, მორჩა, ა ბიჭო თოფი. ისროლე მალე! განათებული სახით უთხრა შეილს მიქელამ და ერთი კვირის წინ გატენილი საჩიტე თოფი გადასცა. თერთონ ისევ შინ შებრუნდა.

აკანკალებული ხელით თეოფილემ ლულა მთვარეს მიუშვირა და თოფის ხმა მთებმა გაიმეორეს.

სადღაც შეშინებული ძალი აყვფდა.

თეოფილე თოფის მეორეთ გატენის მიზნით სახლში შევიდა.

მიქელა წელმოწყვეტილი დახვდა.

— რა იყო მამა, ქალს უჭირს რამე თუ?

მიქელა იქვე სამუფხა სკანზე დაჯდა და ძლივს წაილულულა.

— არა, შევეციდი, გოგო ყოფილა!

IV

მაიკოს შშობიარობა იოლი ქონდა, მაგრამ ფეხზე წამოდგომა კი გაუჭირდა. პირველ ხანებში ძუძუები ვიდრეუბივით ეკიდა და რძე თავისთავად ღიოდა, რის გამო მაიკოს ეშინოდა მოჭარბებულ რძეს ბავში არ დაეხრჩო და ძუძუს წოვების დროს თვალს არ აშორებდა.

რომ წყლისა არ გაჩენოდა, მაიკო დღეში რამდენჯერმე ზედმეტ რძეს ხელით იწურავდა, ან რძენაკლულ მუზობლის ქალების ბავშვებს აწოვებდა.

— ძალიან სანაშენო ქალი შეგხვდა ბიჭო, ამდენი რძე ნეტა ჩვენს ძროხას მისცა!

ეხუმრებოდა შვილს ანუსი და თან რძლის დადიდგინებულ ძუძუებს უცქეროდა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა მაიკოს რძე თანდათან უშრებოდა და თვითონაც სუსტდებოდა. მალე რძე ისე დაეღოა, რომ თავის ბავშვსაც აღარ ყოფხიდა.

მაიკომ ერთხელ დედაშთილს მუცლის ტკივილი შესჩივლა.

— არაფერია ქალო, ცხელ კეცს დაგადებ და გაგივლის! დააიშედა ანუსიმ.

მაიკოს სისხლის დენამ, შეწყვეტის ნაცვლად, უმატა. აღარც მადა ჰქონდა და აღარც ბავშვის მოვლის თავი.

უჭმელობით ბავში დღე და ღამე ტიროდა.

ანუსი შეაფიქრიანა რძლის მდგომარეობამ:

— რა უბედურებაა ჩვენს თავს, ეს მოწიფებული ქალი რაღა სანთელფოვით გვადნება ხელში, ბავშიც რო ხორცს არ იბამს?

შესჩივლა ერთ დღეს ანუსიმ ქმარს და თვითონვე დაასკვნა:

— ნამდვილად გაგვითვალა ვინცბამ? დევილუპეთ! რატო აქამდის ვერ მივხვდი მე საშიწე!

ანუსიმ იმავე დღეს მლოცველი ქალები მოიყვანა მაგრამ მაიკოს უკეთობა არ დაეტყო.

— წვეციყვანოთ ქუთაისში, თეარა საცაა ქალს სული ამოძვრება!

უთხრა შეწუხებულმა თეოფილემ მშობლებს.

— ეჭიმებმა ბევრი იციან, ძან გათვალულია და იმიტო უჭირს მომჯობინება. ხვალ აღრიანად მანდიკორში გადავალ და დალუნდარიძის ქალს ვადმევიყვან. იმისანა მლოცავი ამ ოკრიბაში არაა. რანაირი გათვალულიც არ უნდა იყოს, უსათუოდ მოარჩენს. ლოცვის გარდა მკითხაობა და წამალიც იშვიათი იცის. შენ ჯავრი ნუ გაქ, უავადმყოფო ჩიტი არაა შე კაცო!

მართლაც მეორე დღეს მაიკომ, დიდის ამბით მოიყვანა დალუნდარიძის ქალი, რომელსაც ყაპო წინახევივით ეკიდა და სახე თავის შავი კანის სათავის შგავსათ ჰქონდა დანაოკებული.

დაღუნდარიძემ ავადმყოფი დაათვალიერა და ცოტა ხნის შემდეგ შემდეგ ორ ადლიანი ქრელი და ფოჩებიანი სარტყელი მოხსნა; ხანსაჲსიდან შავტარიანი დანა ამოიღო და ანუის ნახშირი მოახზოვა.

როცა ყველაფერი მოიზარაგა, სარტყელი თვლით დამტკაელა, მაიკო ლოგინში წამოაჯინა და წელზე შემოარტყა. შემდეგ ნახშირი და დანა ავადმყოფს თავზე რამდენჯერმე შემოაელო და დაიწყო ჩიფნიფი:

აღისასა მალისასა, შეგილოცავ თვალისასა...

ანუის და ცნობის მოყვარე მეზობლის ქალები გასუსული ადევნებდნენ თვალს მლოცავს.

ერთ შეძიძურ ქალს მაიკოს ზაფში ეჭირა და ძუძუს აწოვებდა.

დაღუნდარიძე ლოცვის დროს შაშვის ბარტყივით აფუნუნდა პირს და თანდათან ძლიერ ამოქნარებდა, ხანდახან თავისთვის, მაგრამ სხვების გასაგონათ იტყოდა:

— დედა, დედა, რა თვალნაკრავია თქვენი ქირიმე! ღრანქები დამემტვრა.

დრო გამოშვებით, აგრეთვე ნახშირს ჩამოთლიდა და ჩამონათალს სულს შეუბერაედა.

როცა ლოცვის მორჩა, მაიკოს სარტყელი მოხსნა და დამტკაელა, მაგრამ სარტყელი წინანდელზე ნახევარი ცილით შეტი აღმოჩნდა.

— უიმე, ასეთი გათვალული ჩემს დღეში არ მინახავს!

გაიოცა მან და მაიკოს მიმართა:

— ვილაცაი, სწორედ თქვენი ამოვდება უნდა, ეტყობა თვალი ძიან უჭრის, იმ წყეულს, მარა მალე მოეტეხავ ლოჯს!

შემდეგ სარტყელი კვლავ მაიკოს შემოარტყა და განმეორებით შეუდგა ლოცვას.

მეორეთ სარტყელმა თავის ზომას ერთი გოჯით გადაამეტა.

იქ მყოფთ ფერი ეცვალათ. დაღუნდარიძის ქალის ლოცვა, მოქნარება, ნახშირის ნათლების განიავება და სარტყელის ზომვა მათში თანდათან შიშს იწვევდა.

— მალე ვძლევ ღვთის წყალობით!

წარმოსთქვა მლოცავმა და მესამედ შემოარტყა სარტყელი ავადმყოფს, რომელიც წაქცევისაგან თავს ძლიერ იკაეებდა, ისე დაილაღა.

დაღუნდარიძემ მოქნარებას უკლო.

როცა ლოცვის მორჩა, სარტყელი მოხსნა და მის დამტკაელას ოსტატურათ შეუდგა.— დაძარღველ და გამზმარ თითებს ისე შლიდა, რომ სარტყელი ზედმეტნაკლები არ გამოსულიყო.

— აი, ხო ხედავთ, პირველათ რო შემოვარტყი, სწორედ მისი ტოლა გახდა. ძიან გამიჭირდა მარა მაინც ეძლიე, ჩემ ლოცვას რომელი აეთვალის ჯადო გაუძლებს. დაწიქი ბიცოლა, დაისვენე, აწი არაფერი გიჭირს.

წარმოსთქვა მან და ადგა.

მაიკო მკედარ-ცოცხალი დაწვა.

— შენს ენას ვენაცვალე, თუ მაგას მომიჩინე, შენ იქნები ჩვენი ხატი და სამუდამოთ გემსახურებით!

საწყლათ მიმართა ანუსიმ.

— მაგისანები მომირჩენია? მუცლის ტკივილის წამალს <sup>წამალს</sup> და მეტი არადფერი უნდა. წყარფსავით წამოვა.

— ქუც უნდა მიმარჩიელო კილო, შენ შემოგველე, კი, უნდა მანიშნო, ვინცაა ჩვენი დამტყვევარი!

— მომათქმევიე შე ქალო სული. აბა, თუ არ გირჩიე, ისე რავე წაივალ!

— დაისვენეთ ჩემო ქალბატონო, თუ გნებავთ, აგერ წამოწყევით ტახტზე, ყველაფერი სულთაა.

• დალუნდარიძის ქალი წამოწევა.

ანუსიმ მოიბოდიშა და გარეთ გავიდა, სახლის წინ მოწრიალე მიქლა მაშინვე დაბალი ხმით შეეკითხა:

— რა თქვა ქალო!

— ნულა მკითხავ, დედა რა ყოფილა, რა ყოფილა, რატო აქამდე არ მევიყვანეთ, რამ შეგვეკრა ასე.

— რაო, აღარ იტყვი?

— ძაან გათვალულიაო, ვინცააო თქვენი ამოვლება უნდაო, აბა, ახლა უნდა ვაკითხაო და თუ მიმაგნებია მის კვალს, გადაუწევს არ გოუშობ. დაწერილებით მერე გეტყვი. ახლა წადი და ერთი დოჭი თავი ლეინო ამეილე, კალათში ყველაფერი ჩალაგებულა, დღეს აქანე კი არ მეიცდის, უნდა წაყვე და ძღვენიც თან უნდა წაუღო. ძღვენს ვერ დეიწუნებს მარა ათი შაურის მეტი რო არ გვაქ!

სხუმის მეტს მივეცემთ, რავე ძღვენი ფული არ ღირს!

— კილო ღმერთმა ნუ დაგვაჭირვოს, რას ამბობ, წამალს რო გამოგატანს ფული მაშინ მიეცი, თუ იცოტაოს, შეპირდი, რას უხამ! წამალი კი წამეილე. დაარჩევა ქმარი ანუსიმ და შინ შეტრიალდა.

დალუნდარიძის ქალი და ანუსი მეორე საშხად ოთახში გავიდნ.

სუფთა საინზე დასხმულ წყალში მარჩიელმა ნეკი აურია და დააქკერდა.

ბევრი რამე უთხრა ანუსის, მაგრამ აეთვალისანის ვინაობა დაბეჯითებით ვერ ანიშნა.

— შემალემა, მარა როცა იქნება მივაგნებ. გათვალულთან ერთად ქალს ნადისი მოსდევს, ციხიის მაცხოვარი უნიშნო მოხვერს ითხოვს.

წარმოსთქვა ბოლოს და მარჩიელობა შესწყვიტა, თან დაუნატა:

— შესაწირავს ნულა დაავციანებთ, უამისოდ ავადმყოფს არც ჩემი შელოცვა არგებს და არც წამალი. დასალეე წამალს დღესვე გამოვატან გამყოლს. იმ კვირაში ამბავი შემატყობიე და აეთვალისაგან დასაცაე წამალსაც დაგიმზადებ შეე ტინქში სამყურათ გამოკრულს. ეს წამალი ქალს პერანგზე ლლიავთან დაუკერე, ხოლო ბავშს მაჯაზე შევაბი შევიეე ძაფით, ხო გვიგონე. ასე ჩემო ანუსი. როგორც დაგარიგე ისე შეიქეცი და ეშმაკი ვერაფერს დაგაკლებთ.

ამ სიტყვებით მარჩიელი და ანუსი ავადმყოფთან გამოვიდნ.

— ჩასძინებია! არ გაალეძოთ, აი, რავე ხელათ უშვა ხელი ი წყეულმა.

საიდუმლოებით მოკული ხმით წარმოსთქვა მარჩიელმა და თავშალი მოიხურა, შემდეგ ჯოხი დაიბჯინა და გარეთ გავიდა.

ანუსი პატივით გაყვა:

— დარჩენილიყოფით ამაღამ, საკადრისათ მოგასვენებთ შვილებს გეფიცებით.

— არა შენ გენაცვალე, რას ბრძანებ, ვინ იცის ახლა საიდან მოსულები მელოდებიან შინ. მათი ცოდვით აქ რა გამაჩერებს.

წაქცევაზე მიმდგარ მარნის კარებთან ატუზულ მიქელას ანუსიმ გარეთ გამოსვლისთანავე მიაძახა:

— აბა, ჩქარა, კაცო, რაღაი აღარ იცდის, ქე შაინც ნულა დავაგვიანებთ. მიქელა მაშინვე კალათით და დოქით მარჩიელს უკან გამოუდგა.

დალუნდარძის წასვლის შემდეგ მაიკოს ციემა ოფელმა დაასხა და როცა თვალი გაახილა მუცელში ბასრი დანის გასობა იგრძნო. მაიკო ტკივილისაგან პირუტყვივით აზმიფულდა.

მთელ დღეს ტყეში ნამუშევარმა თეოფილემ მასთან ერთად თეთრად გაათენა ღამე.

დილას მიქელამ ნავალევი ფულით რგუნაში უნიშნო მოზვერი იყიდა და მოიყვანა.

მესამე დღეს ალიონზე მიქელა უბრათ აღგა, მოზვერს რქებზე თაფლის სანთლები დაანთო და ავადმყოფ რძალსა და ბავშვს სამჯერ გარს შემოაუღო.

მიქელამ უბრათვე წაიყვანა შეწირული.

მზის ჩასვლისას კიხიდან დაბრუნებულ მიქელას ეზოს ბოლოში მოესმა ანუსის გამწარებული კივილი და მუხლები მოეკვეთა.

დაგრძელება იქნება.

## შორეული\*)

### VI

საზღვარ-გარეთის ყველა საუნევერსიტეტო ქალაქებში, სადაც კი რუსეთიდან ჩამოსული სტუდენტობა თავს იყრიდა, დაარსებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დამხმარე ჯგუფები. ასეთივე ჯგუფები სხვა პარტიებსაც ჰქონდათ—ესერებს, ებრაულ ორგანიზაციი—ბუნდს და სხვებს.

ჯგუფის დანიშნულება იყო არალეგალურ პარტიულ ლიტერატურის გავრცელება, თანამგრძობების მოპოება, პარტიისთვის წევრების შეძენა, პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა და პარტიის მატერიალური დახმარება.

ჯგუფი ცენტრიდან ლეგულობდა ლიტერატურას, რომლის ნაწილს იქვე ავრცელებდა და ნაწილსაც სხვადასხვა მოხერხებით რუსეთში ჰგზავნიდა.

რუსეთში ლიტერატურის გაგზავნისთვის მრავალნაირი ხერხი იყო მოგონილი. ყველაზე პრიმიტიული კონვერტით გაგზავნა იყო, კონსპირატიული მისამართით. ან და რუსეთში მიმავალ ისეთი ამხანაგის შემწეობით, რომელიც ლიტერატურის წაღებას თანხმდებოდა.

იყო ერთი უფრო რთული ეანდარებისთვის თვალ-ასახვევი ხერხი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: სქელი ფერადი ქაღალდისგან კეთდებოდა მილი. მილის ზედა კანსა და ქვედა კანს შუა ჩაიწყობოდა პაპიროსის ქაღალდზე ისკრას სპეციალად გამოსული ნომრები. ნაპირზე ოთხი თითის დადების სიგანით იმავე ქაღალდისგან იკვროდა მილის პირი და შუაში დარჩენილ ცარიელ ხვრელში, რაიმე ილიუსტრაცია, ან სურათებიანი ფურჩალი თავსდებოდა რგვლად დახვეული. მისამართის პატრონმა იცოდა, რომ მილი უნდა გაეჭრა და შიგ იპოვიდა ლიტერატურას.

ჯგუფი მმართავდა რეფერატებს, რისთვისაც სპეციალად ამისთვის ეწევიდან იწყევდა ცნობილ პარტიულ ამხანაგს, რეფერატის შემდეგ იმართებოდა კამათი.

პარტიის მატერიალური დახმარების მიზნით, ჯგუფი მმართავდა კონცერტებს, საღამოებს და შემოსულ ფულს უგზავნიდა ცენტრს.

მეორე ყრილობაზე მომხდარ უთანხმოების შემდეგ, როცა ფრაქციებმა ცალცალკე იწყეს მუშაობა, მეუმრავლესეთა ჯგუფი საზღვარ-გარეთის ქალაქებში არსებობდა მხოლოდ ბერლინში, ლეიპციგში და კიდევ მგონი პარიზში. სხვა ქალაქებში (ენენეის გარდა, რასაკვირველია) ჯგუფები მეუმცირესების ხელში იყო.

\*) იხ. მნათობი № 2-3.

სახლვარ-გარეთის სტუდენტობა, წერილ ბურჯაძეზე მემკვიდრეობის ხოლოგიით გაეღწეოდა, უსათუოდ შეუმცირესებს მიგეედლებიდან უსათუოდ რაველებს, ამიტომაც ჯგუფების უმრავლესობა მათ შერჩათ.

ჩვენი ჯგუფი მალინოვსკის ხელმძღვანელობით მძლავრ ჯგუფად ითვლებოდა. უმრავლესობა ჯგუფისა ქართველებისგან შესდგებოდა.

მაღე ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ლეიპციგში ჩამოვიდა მიშა დავითაშვილი, მაღაქია ტორიშელიძე, ალექსანდრე სვანიძე, რომელიც შეუმრავლესეთა ჯგუფში შედიოდენ.

ჩვენ ჯგუფში შემოდოდა აგრეთვე გერონტი ქიქოძე, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ცხრაას ხუთ წელს, პარტიაში აქტიურად მუშაობდა.

ლეიპციგში ამ დროსვე იმყოფებოდა და უნივერსიტეტში სწავლობდა გრიგოლ რომაქიძე, მაგრამ როგორც ახლა, ისე მაშინაც არც ერთ პარტიაში არ შედიოდა.

## VII

იმ ზამთარს ჩვენმა ჯგუფმა საღამოს გამართვა გადასწყვეტა. შემოსული ფული უნდა გავგვეზავნა ლენინის მიერ განზრახულ გაზეთ „გპეროდის“ გამოცემის დასაზმარებლად.

მიემართეთ ლეიპციგში მოსახლე რუსეთიდან ჩამოსულ ოჯახებს, რომელიც ჩვენ პარტიას თანაუგრძნობდენ და ნაცნობობა ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

ლიტოვო აბრამოვნი იყო დაბალი ტანის საშუალო ხნის დარბაისელი ქალი. თვის მოხუცი დედათ სცხოვრობდა მამისგან დატოვებული სიმდიდრით ლეიპციგში. რევოლიუციონერთა წრეებში ტრიალებდა. ნაცნობობა ჰქონდა ადგილობრივ ინტელიგენტურ წრეებში. მოხერხებული, ჰკვიანი და ენერგიული—საღამოების გამართვაში დახელოვნებული იყო.

მას იცნობდა ერთი ჩვენი წრის თანამგრძნობელი მოსკოველი თამბაქოს მექარხნის შვილი, ვინმე პიგიტო. ესეც მუდმივი სტუდენტი. რატომღაც მას მოსწონდა რევოლიუციონერთა ცხოვრება. რევოლიუციონერ მუშაობაში თვით აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. მაგრამ ამხანაგური განწყობილება და კავშირი მხოლოდ მათთან ჰქონდა. უყვარდა ქართველები. ცხოვრობდა მდიდრულად. ფულს ხარჯავდა მხოლოდ პარტიულებთან.

პარტიულ დავალებას საიმოვნებით ასრულებდა. კმაყოფილი და ამაყი იყო, თუ კი რაიმეს შესრულება შეეძლო. უყვარდა პარტიის ლიდერების გაცნობა. ამიტომ რეფერატისთვის ჩამოსულ ამხანაგს მასთან დავაბინავებდით ხოლმე.

ბასის და კამათის მოყვარული იყო, ფილოსოფიურ მსჯელობაში გადავიარდნილი. ამიტომ იყო რეფერენტი მეორე დღეს რომ გვისაყვედურებდა ამხანაგურად: „ოჰ, მომკლა წუხელის ჩემმა მასპინძელმა. ღამის ოთხ საათამდის ლაპარაკობდა, მყამათებოდა, აღარ დამაძინა“...

თვით პივიტი კი მეორე დღეს ყველას ჩამოუვლიდა, ყველას მხუდრად და იკვებინდა: იცით ვინ იყო წუხელის ჩემთან? ესა და ეს რუსული ხევი ვეკამათე, კითხვები მივეცი და ჩაკებრი კიდეც! — но, он всетаки с эрудицией, кональя, знает!! — დაუმატებდა.

ამოვირჩიეთ საღამოს გამართავი კომისია. დავეიქირავეთ დიდი საკონცერტო დარბაზი. დავბუქდეთ ბილეთები, მოსაწვევი ბარათები და დავარიგეთ გასაყიდათ.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ძალები, — მომღერლები, პიანისტები, არტისტები, — უმეტესი ნაწილი უსასყიდლოთ.

ლიტბოვ აბრამოვნა იყო იმ საღამოს დიასახლისი. ბილეთების უმეტესი ნაწილი იმან გაჰყიდა. ბუფეტი — რუსული საქმელებით და ჩაი რუსული სამოვარით იმან მოაწყო.

ვიკოდით, რომ საღამოზე ყველა სმოკინგში იქნებოდა გამოწყობილი. ჩვენ კი მხოლოდ ფიჯაკები გვექონდა. არც შეძლება გვიწყობდა ხელს, რომ გვექირავებინა. მიშა დავითაშვილი მოვარდა ჩემთან.

— აბა, ბიჭო, როგორმე, გახამებული თეთრი საყელო და გული უნდა მიშოვნო! — შიბხრა.

მოვძებნეთ საყელოები, მაგრამ ყველა განიერი გამოადგა. რას ვიზამდით!.. გაუფეთეთ ის, რაც გვექონდა. ხოლო მისი გამხდარი კისერი ამ განიერ საყელოში ჯოხისგან გაკეთებულ მანეკენის კისერს წაავადდა. თეთრ გახამებულ განიერ სამაჯურებში, შავი გამხდარი ხელები, თოკივით ჩამოეკიდა. ხშირად ასწევდა ხელის ზურგს და სამაჯურს მიაღებდა, ხომ აქ არის, არ ჩამოვარდნილაო... კისერს აქანაევებდა, რომ საყელო ეგრძნო, ხომ ზედ არისო. ფიჯაკი გაისუფთავა, ყელსახვევი გაისწორა. შავი წვერებით შებურღნილი, ბუსავით გამოიყურებოდა გახამებულ პერანგში.

გაუფლდეთ გზას. მივადექით გაჩირაღდნებულ შესავალ კარს. განიერი, მაღალი, ელექტროს სხივებით მოფენილი კიბე. კიბესთან დერეფანში იხდიან პალტოებს.

დეკორატიანი ქალები აშრიალეზენ კაბებს, სარკესთან ისწორებენ თმას. პერაში გაფანტულია სურნელება. სმოკინგიანი ყმაწვილები, თეთრი გახამებული პერანგის გულით, თავაზიანად და მორიდებით ართმევენ ქალებს წამოსასხამს. სადღესასწაულო ელფერი ადგეს ყველას. ელექტროს სხივებზე ბზინავს და ციალობს თმაში ზარქობილი ბრჭყვიალა სავარცხლები, საყურეები და გამიშვლებული წინ წამოხდილი თოვლის გუნდასავით გულმკერდი.

შრიალით ადიან მაღალ განიერ ხალიჩით დაფენილ კიბეზე. რხევით ეფინება აბრეშუმის ფერადი კაბა ფეხის კუნთებს. წვევილად მისცურავენ ფაფის შავი და ქალის თეთრი ტუფლები სადუხურებზე.

მოკრძალებით, თითქოს ქურდულათ ვიხდით პალტოებს და შევდივართ დარბაზში, მზზინავი ქალებით რომაა გაშუქებული.

დარბაზის კუთხიდან ეუშუერთ მორთულ-მოკაზმულ სტუმრებს. ლიტბოვ აბრამოვნა აღესილი და აღელვებული დადის. იძლევა განკარგულებას. სწუხს

რომ რომელიღაც მისი მოპატივებული სტუმარი არ მოვიდა. *ჩინტან მგერინებს  
ხინტანინენს*  
პერ პილმანი?!...—გვეკითხება ყველას.

ხშირად მასთან მიიბრუნეს კორპორაციის ნიშნით სახე დაჭრილი სტუდენტი. რაღაც შეკითხვას მისცემს... გაისმის—*ja wohl ja wohl Fräulein!*.. და ისევ გაბრუნდება.

უკვე ათი საათია და კონცერტს ვერ იწყებენ. ხალხი ნაკლებათაა დარბაზში. რიგებში აქა იქ სხედან წყვილები.

მალინოვსკის წვერი შეუკრეპია, ტანისამოსი გაუწმენდია და შორეულ ლინდივით დაიარება დარბაზის გვერდით მყოფ ოთახში, სადაც ბუფეტია გამართული. თვალი მოგვკრა. გვიხმობს.

— იცით! ჩავეკეთო!.. არ მოვიდა ხალხი. გასაველსაც კი ვერ ავინახლავრებთ!.. დაეიღუპეთ! რა გვეშეულება?..

— ნუ სწუხართ, ამხანაგო მალინოვსკი—მიმართავს პიგიტი—ჯერ კიდევ ჩვენები არ მოსულან. გერმანელები პუნქტუალური ხალხია. ეგენი კონცერტს მოისმენენ, იტყვიან და წაველენ. საღამოს ნამდვილი შემოსავალი კი კონცერტის შემდეგაა—ბუფეტი, ლატარია და სხვა. ჩვენები კონცერტის შემდეგ მოვლენ საცეკვაოდ და სასმელად. აი, თუნდ ლიუბოვ აბრამოვნას ჰკითხეთ... ლიუბოვ, აბრამოვნა!.. ლიუბოვ აბრამოვნა! ერთი წუთით თუ შეიძლება!...—გასძახა მიმავალ ლიუბოვ აბრამოვნას.

— როგორ გგონიათ, ლიუბოვ აბრამოვნა, საღამოდან შემოსავალი ხომ იქნება?

— ჯერ არ ვიცი, ვნახოთ ბუფეტი ან ლატარია რას მოგვეცემს!.. ხალხი მაინც ცოტაა!..

— არა! დამიჯერეთ, რომ საქმე კარგად წავა?—დაჟინებით იძახის პიგიტი ლიუბოვ აბრამოვნა ისევ მალე მიტრიალდა და ბუფეტისკენ გაიქცა. ახლა იქ მისცა წესრიგი.

პიგიტი მალინოვსკის მიუბრუნდა და ეუბნება:

— თუ გინდათ მომიყიდეთ ეს საღამო. ორას მარკას მოგცემთ წმინდა მოგებას. ხარჯს მე ვავისტუმრებ.

მალინოვსკიმ გაიღიმა. მიხვდა რომ პიგიტი მზათაა, თუ წავება იქნება თავის ჯიბიდან დაფაროს და პარტიას დაეხმაროს.

დარბაზში ტენორის ხმა გაისმა. კონცერტი დაიწყო. ყველა იქით გაეშურა.

განყოფილებებში ხალხი მიდიოდა ბუფეტისაკენ. ყველა რუსულ საქმელებს ეტანებოდა და რუსულ არაყს.

— ნამდვილი რუსული არაყი, მა!..—იძახდნენ გერმანელები.—აი, აი! ეს კიდევ რუსული სამიყარი! *wie schön ist es! kolossal!*..

მაგრამ ნამდვილი მუშტრები ბუფეტისა ისევ რუსები იყვნენ. სვამდნენ არაყს და ატანდნენ დამჯავებულ სოკოს.

კონცერტის შემდეგ დარბაზში მარტო რუსობა დარჩა და ნამდვილი საღამოც მაშინ დაიწყო.

დარჩენილი სტუმრები ლაღად გრძობენ თავს. დიდ დარბაზში სწავლებიანი ორკესტრი მოიღალა. პარკეტიან იატაკზე რამდენიმე წყვილი მოქანკრება მისრიალებს. კაბა შრიალებს, ლაკიანი ფეხსაცმელი პრიალებს.

დიდ ოთახში, სადაც ბუფეტია—ჩამწკრივებულ მაგიდების გარშემო სხედან დროებით ლეიბციგში სავაჭროდ ჩამოსული ვაჭრები, შემთხვევით დარჩენილი ათიოდე გერმანელი და სტუდენტები. შეექცევიან ვაზშამს. ხსნიან შამპანურს.

კუთხის ერთ მაგიდასთან სხედან—მალინოვსკი, პივიტი და ორიოდე ქართველი. ქართველები წყნარად, მოკრძალებით სხედან. ამის მიზეზია უფულობა.

სუფრაზე მაინც მოაქვთ პივიტიცგან დაკვეთილი სასმელი და საქნელი. მას უფერას გადაკვრა. მალინოვსკიც ბელს არ აკლებს.

— დაელით ამბანაგო მალინოვსკი!

და ერთი მოსმით ჩაუშვებენ ულეშიან ტუტებში თეთრი ჭიჭით თეთრ არაყს. ლენოს არ სვამენ და ამიტომ არაყს, ბენედიქტინს, შარტრუხს და სხვა ლიკიორებს მიყოლებენ.

მალინოვსკი ჩემად ზის, წყნარად სვამს. ილუკმება და უშერს პივიტს, რომელიც გაუჩერებლად ლაპარაკობს. იგონებს რუსეთულ სტუდენტურ ცხოვრებას, ჰყვება ანეგდოტებს და იცინის ბოხი ხმით.

## VIII

ბუფეტთან ხშირად ჩამოდგებიან სმოკინგიანი ზურგები, მარჯვენა მოკაუკებული მკლავით პირთან არაყს მიიტანენ, კეფას გადმოაქნევენ და ჭიქას ისევ დაზვანე დასდგამენ.

მაგიდებზე წყნარი ლაპარაკი უფრო მალაღ ტემპში გადადის. წყარუნობს ჭიქები, თეფშები. გახამებულ თეთრ პერანგიანი ფარეშები სირბილით მიდიან ბუფეტთან და სირბილითვე შიქვთ მაგიდებთან ბოთლები, საინები და ჭიქები.

ქალიშვილებს დააქვთ ყვაკილები, ლატარიის ბილეთები და დანომრილი წერილები.

ზმაური, მისელა-მოსელა, გადახილი მატულობს. ჰაერი სასმელის და ენიანობის სუნითაა გაგლუნთილი. სკამების ზურგს აწვებიან, ბორგავენ... და ოთახი ქანაობს, როგორც გემი...

უეტრად რომელიღაც მაგიდაზე მალაღი ტენორი წამოიწყებს:

От зари до зари,  
лишь зажгут фонари...  
вереницей студенты шатаются...

და თითქოს ამას მოვლოდნო, როგორც ელექტროს ტოკით ამოძრავებული სხეული, ისე შეინძრევა შთელი დარბაზი და მაგიდებიდან სხედასხვა ხმებით აპყვებიან...

Вера чумбор ла-ла  
вера чумбор ла-ла  
чум-чум, чум!..

ახლა უკვე რუსული ძარღვი ათამაშდება...

ნარკინული

მაგიდებიდან მაგიდებთან მირბიან. ერთი ადგილიდან მეტბეჭეტეჭეტიდან. იმ ადგილს, სადაც ტენორი გაისმა, ქალიშვილები გარს ეხვევიან და ისინიც მღერიან...

სიმღერა თავდება, გაისმის ხმები: „დუბინუშკა!.. დუბინუშკა!..“ არა, „ვარშავეიანკა! ვარშავეიანკა!..“ ზოგი მარსელიეზას მოითხოვს, ზოგი სხვას და მყვირალა ხმები ერთმანეთს ეცილებიან შეძახილში.

და უეცრად ჩვენს მაგიდაზე მალინოვსკი მიეყუდება სკამის ზურგს, ყელს აიღვრებს და ბარიტონის ხმით დაიწყებს:

Много песен слышал я в родной стороне,  
не на радость, про горе в них пели...

მისი ხმა კანკალებს, სხეული თრთის, ბეჭებით სკამის ზურგს აწეება... დარბაზი გაყურებულია და უცბად ყველა—ქალი თუ ვაჟი, მომღერალი თუ არა მომღერალი—დისკანტით, ტენორით, ბარიტონით თუ ბანით ერთად შესძახებენ:

ей, дубинушка ухнем  
ей, зеленая сама пойдет...  
подернем, подернем, да ууухнем...

აგუგუნებული სიმღერით კედელი ზანზარებს, აწეული ხმები თითქო ჭერს მიეხედა, მიაწეა... ერთ წუთს იქ შეჩერდა და უცბად დაეცა ძირს...

ფარეშები კედელთან გაჩერებულან და გაფართოებული თვალებით უცქერიან ამბავს.

ლიუბოვ ამბამოვნა ჩქარი ნაბიჯით მოიბრუნს ჩვენთან და გვეუბნება:

— რა დროს სიმღერაა!.. თუ ლატარიაში ეს მოსული ვაჭრები არ ჩავითრიეთ შემოსავალი არ გვექნება!..

როცა მალინოვსკის და პიკიტს დააჯერდება—მიხედება რომ მათი გამოყენება არ შეიძლება და მოგვმართავს ჩვენ.

— წამოდით ჩემთან, დამეხმარეთ!..

და ლიუბოვ ამბამოვნა გვიხსნის რაშიც მდგომარეობს დახმარება.

მან შეამჩნია, რომ ერთ ვაჭარს ძალიან უნდა საშოვარი მოიგოს. ამერიკულ ლატარიის წყალობით ის უკვე ჩათრეულია და იმდენად, რომ თავს არ დაანებებს და რათაც არ უნდა დაუჯდეს უკანასკნელ სიტყვას ის იტყვის. ამიტომ ჩვენივე, ე. ი. ბუფეტთან აღებულ ფულთი უნდა ვეთამაშოთ. მე მოგცემთ თქვენ ფულს და ყოველ მის გამოძახილზე, როცა მოუმატებს, თქვენ არ დაინებოთ—აქყევით. ფული მათლაფაზე დასდეთ. იმან რა იცის რომ თქვენ ჩვენი ხალხი ხართ და ასე ამნაირად ჩვენ იმას ფასად დავუცვამთ ამ საშოვარს...

ჩვენც ასე მოვიქცეთ. ვეტყოდით ერთ მარკას, ის იტყოდა ორს, ჩვენ ვიძლეოდით სამს, ის იძლეოდა ხუთს და ასე მათლაფაზე გროვდებოდა მხოლოდ მისი ფული.

ჩვენ უკვე სინდისი გვაწუხებდა, მაგრამ ლიუბოვ ამბამოვნას თვალებს ვერ ვუძლებდით, რომელიც არ ინდობდა ამ მატადც ვაჭარს.

ყველა ლატარიის გარშემო მოგროვდა. ყველა ამ ჰაზარტზე უფროსად ვაჭარს ესმოდა, რომ მის შესახებ იყო ლაპარაკი და უფროსად აწყობდა მითლადებზე ხუთ მარკიანებს, ოც მარკიანებს...

ალარ მახსოვს, როგორ გათავდა ეს ამბავი.

მახსოვს როცა ადგილზე დავბრუნდით, ლიუბოვ აბრამოვნა მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

— იცით, რამდენი დაეუსვით იმ ვაჭარს ის სამოვარიო?

— არა, არ ვიციო!.. მაინც?

— რეასი მარკა!..— ყველა განცვიფრებულია.

— ეს არის ჩვენი წმინდა შემოსავალი. ის რომ არ ყოფილიყო დეფიციტი იქნებოდა! ახლა წავიდეს და სადაც თავისი დაიკვებოს, ჩვენიც იქა სთქვას!..

— მაშ, თუ ეგრეა უნდა დავლიოთ, ლიუბოვ აბრამოვნა!— შესძახებს პიგოტი... მაგრამ ლიუბოვ აბრამოვნა ხელიდან დაუსხლტება, მიწაველ სტუმრებს კარებთან დაეწევა, მადლობას გადუხდის და კიბემდის მიაცილებს.

... налей, налей бокалы полней

чтобы наша семья собиралась тесней...

დაიწყებს მღერას პიგოტი. მალინოვსკი სკამის ზურგს აწევა. ორ ფეხზე შემდგარი სკამი ლამის გადაბრუნდეს. მის გვერდით მჯდარი ლამბაშიძე უკნიდან აწევა და სკამს იკავებს.

ახლა დარბაზში ხალხი ცოტაა. მუსიკა წასულია. ორი წყვილი ახალგაზდა მაინც სრიალებს პარკეტზე. მაგიდები ცარიელია.

მალინოვსკი უცბად წამოხტება. მაგიდას ისე მძლავრად დაარტყამს ხელს, რომ კიბები გადმოცვივდება, ღვინო დაიღვრება, საინები იმსხვრევა...

ეს სრულიად მოწლოდნელი იყო ჩვენთვის. წყნარი და მშვიდი მალინოვსკი უცბად შეიცვალა. თითქო ვილაციისკენ იწევეს, კარებისკენ გაეშურა. შევაჩერეთ. მოუტანეთ პალტო და ქუდი. გვინდა ჩავაცვათ დავახუროთ და ასე დამშვიდებით გავიყვანოთ.

— ჩაიცი, წავიდეთ!.. ვეუბნევით.

ის იღიმება. თითქო დაგვცინის.

— ში!.. კარგი, წავიდეთ!.. მაოტა პალტო!.. მაგრამ გვატყუებს, და რომ გვატყუებს ბავშვივით უხარია, იცინის...

პალტოს ძალით ვაცმევთ. ხელებს არ ანძრევს. მოდუნებული აქვს მკლავები და თოკივით ჩამოკიდებული. მოვარდა ლიუბოვ აბრამოვნა.

— მალინოვსკი, ამბანაგო მალინოვსკი! რა დაგემართათ? ნუ თუ ეს თქვენა ხართ?

მალინოვსკი იცინის, იღიმება. თითქო ამბობდეს— რა სულელები ხართ რომ იცოდეთ, რა სულელები!..

ადგილიდან მაინც არ იძვრის. უნდა ხელები გაინთავისუფლოს, მაგრამ არ ვუშვებთ. ის კი ჭირვეულობს.

ლიუბოვ აბრამოვნა გვეხვეწება გავიყვანოთ როგორმე.— „არ ივარგებს, სკანდალია!...“ ამბობს.

მიგვეყავს ძალით. პიტი მას ექონაგება— „რა გინდათ, ჩვენს მათე, გაუშვით!“

როცა სულთა ჰერზე გავედით, შევისვენეთ, ისიც დაწყნარდა. შეგვეხეწა. ხელი გაგვეშვა. ჩვენც გაუშვით. უცბად მოიქუზა და გაიქცა. ჩვენ უკან მივდევთ ვერ ვეწევით. გარბის. მოიხედავს და იცინის. და ბოლოს დივეწიეთ. მოვიდეთ ხელი. ვეხეწებით დაწყნარდეს, თორემ შუცმანი დაგვიტყერს ყველას.

ძალაობს და იწევს. სად მივბრბის, რისთვის მივბრბის, თვითონაც არ იცის... გვეხეწება— „გამიშვით... აი, არსად წავალ“. მაგრამ ხელს მოუშვებთ თუ არა გარბის.

ასე სირბილში, დატერაში და გაშვებაში გავიარეთ ქუჩები. მოვიქანცეთ. თებდებოდა მის ბინას რომ მივადგებოდ...

## IX

სალამოდან შემოსული რვაასი ფრანკი ენევაში გავგზავნეთ.

ენევიდან ხშირად მოდიოდენ ლეიპციგში ამხანაგები რეფერატის წასაკითხათ. განსაკუთრებით მათი მოსკლა გახშირდა, როცა პარტიული განხეთქილება გაღვივდა და ფრაქციები ერთმანეთს აღარ ინდობდენ.

ამ მიზნისთვის ლეიპციგში ჩამოსული მენშევიკი რეფერენტები კულ-ამოძღებული ბრუნდებოდენ უკან, რადგან ჩენი ჯგუფი მტკიცით ადგა ბოლშევიკურ მიმართულებას და მათ ვერ შესძლეს იქ პარალელურად მენშევიკური ჯგუფის დაარსება.

რამდენადაც რუსეთში რევოლუციონური მოძრაობა იზრდებოდა, იმდენათ მისი მაჯის ცემა თავის გამოძახილს ჰპოებდა საზღვარ-გარეთ მყოფ რევოლუციონერთა ცხოვრებაში.

ჩვენ დავიწვებული გვექონდა, რასაკვირველია, აკადემიური მეცადინობა. მიტოვებული გვექონდა ლექციები და თუ სემესტრებში მაინც ვეწერებოდით, მხოლოდ იმიტომ, რომ სტუდენტის პრივილეგიებით გვესარგებლა. დაედოდი თნივერსიტეტის მდიდარ და მშვენიერ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში და სიცივისგანაც იქ ვიფარებდით თავს.

რუსეთის რევოლუციონური მოძრაობა კი თანდათან ფართოვდებოდა. გაფიცვები, დემონსტრაციები, ტერორისტული აქტები— ერთმანეთს მოსდევდა. განწყობილება იყო ისეთი, რომ რევოლუცია არ დაიგვიანებდა.

მეორე პარტიულმა ყრილობამ რუსეთის სოც-დემოკრატიულ მუშათა პარტიას მისცა ერთი მალიანი პროგრამა და წესდება. ამ ყრილობამდე, მართალია არსებობდა ეგრედწოდებული რუს. სოც-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც საფუძველი პირველმა ყრილობამ ჩაუყარა 1828 წელს, მაგრამ ამ ყრილობის შემდეგ არ მოხზდარა არადერი ორგანიზაციული მუშაობა. ყრილობის მონაწილენი მალე დაიქირეს. მუშაობა გრძელდებოდა ჯგუფური, კუსტარული გზით.

„ისკრა“ იყო ის ვახეთი, რომლის გარშემო იკრიბებოდა რევოლუციონური ნაწილი სოციალ-დემოკრატიულ მუშაკების. მანვე ჩაუყარა საძირკველი

ორგანიზაციულ მუშაობას და დაქსაქსული ჯგუფები შეაკავშირებდა. მათი მიზანი იყო მთლიანი მონაწილეობა მეორე პარტიულ ყრილობის მოწვევაში.

რაკი და შედგა ეს ყრილობა, მან შესძლო კიდევ ის, რომ პარტიის მის-  
ცა ერთი მთლიანი პროგრამა და პარტიული წესდება. მაგრამ ამჟამად ყრილობა-  
ზე თავი იჩინა მარქსისტულ რევოლუციონურმა ტაქტიკამ და ოპორტუნის-  
ტულმა სულისკვეთებამ. პარტია გაიყო ორ ნაწილად—ბოლშევიკებად და მენ-  
შევიკებად.

ახლა ლენინი ისკრას რედაქციიდან გამოსული იყო და თავის გაზეთ  
„კვერილი“ უშვებდა. საუკეთესო რევოლუციონური ძალებიც ამ მხარეს ი-  
კრიბებოდა.

კავშირი რუსეთში მომუშავე ამხანაგებთან გაბმული იყო და ნამდვილი  
პრაქტიკოსი მომუშავე ამხანაგებიც ბოლშევიკურ მხარეზე იყო. ტფილისში ამჟამად  
ხანაში დაარსდა „რუს. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კავკასიის კავ-  
შირი“, რომელიც მთლიანად ბოლშევიკებს ემხრობოდა.

გენგვიდან მოკლებულ მისამართით ჩვენ ვგზავნიდით საქართველოში არა-  
ლეგალურ ლიტერატურას, იქიდანაც ვღებულობდით წერილებს და ამნაირად  
გვქონდა გაბმული ძაფი ისევე რუსეთის მოძრაობასთან.

რაც შეეხება ადგილობრივ, გერმანულ სოციალ-დემოკრატებთან დამოკი-  
დებულებას, მათთან უშუალო კავშირი არა გვქონია. ჩვენ დავიარებოდით მათ  
კრებებზე, მიტინგებზე, გაზეთ „Wolkszeitung“-ის რედაქციაშიც შევიხედავდით  
და ამით თავდებოდა ყველაფერი.

მზირად დავიარებოდით აგრეთვე მათ სახალხო სახლში (Wolkshaus), ხო-  
ლო მათ რევოლუციონურ მსვლელობის გზებს ჩვენ ვერ ვხედავდით. მართა-  
ლია, საქსონია გერმანიის ყველა პროვინციებიდან იმით გაირჩეოდა, რომ მთლად  
წითელი იყო და ლანტაგში და რეინსტაგში სოციალ-დემოკრატები გააყავდა,  
მაგრამ ეს იყო არჩევნების ხერხები და რევოლუციონური გამოსვლები კი ნა-  
კლები იყო.

ისეთ მათ ცხოვრებას ჩვენ მეშინურ ცხოვრებას ვუწოდებდით და თვით  
დემონსტრაციებიც—როგორც პირველი მისის დემონსტრაცია—რალაც მეშინურ  
რი გამოდიოდა.

რუსეთის რევოლუციონური ტალღები თანდათან იზრდებოდა, ხვართდ-  
ებოდა და მალე შეცხრე ტალღას მოაგორებდა. ჩვენც ამ დღისთვის ვეშაადებო-  
დით...

X

ცხრა იანვარს პეტერბურგში მუშების გამოსვლამ, ლეიბციგში მყოფ სტუ-  
დენტობაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. საღამოს ექვსი საათი იყო გა-  
ზეთებმა რომ დეპეშები გამოუშვეს იქ მომხდარ ამბების შესახებ. ცნობები მე-  
ტად გადაჭარბებული იყო. აწერილი იყო ბარიკადული ბრძოლა ქუჩებზე და  
სხვა.

თრთოდა სხეული. ოთახში ველარ ვდგებოდი. გვინდოდა <sup>მამათა</sup> გა-  
ცვლა-გამოცვლა. მივდიოდი ამხანაგის ფანჯარასთან, ეუხმინდით <sup>ჩამოსუ-</sup>  
ლიყო. ვგროვდებოდი, ვმსჯელობდი. ვალიარებდით რომ ეს იყო რევოლუ-  
ციის დასაწყისი.

ბევრი რამ გაურკვევი იყო დეპეშებიდან. ვინ არის ეს ვილაც გაპონი,  
რომელიც ხელმძღვანელობს მოძრაობას. რატომ არ სწანს ორგანიზაციული ხე-  
ლი პარტიის?

ერთი იყო ცხადი, რომ გამოსვლა მასიური იყო. რა ვუყოთ მერე, რომ  
მეფესთან მიდიოდნენ? სინამდვილეს ახლა გაიგებენ და ამ მოძრაობას ვერ შეა-  
ჩერებს ვერადერი.

მეორე და მესამე დღესაც მოდიოდა ცნობები დეპეშებით, რომ უ-მრავი  
მუშებია დაბოცილი შეფის სასახლესთან, რომ წერაქვებით, ცულებით და ნაჯა-  
ხებით შეიარაღებული მუშები კვლავ განაგრძობენ ბარიკადულ ბრძოლას, რომ  
გამოსვლები სხვა ქალაქებსაც მოედო...

ჩვენი ნერვიული მდგომარეობა, უმალლეს წერტილამდე ავიდა. გვინდოდა,  
პარტიის ხმა გაგვეგონა, რუსეთიდან მოსული ნამდვილი ამბავი გაგვეგო... მე-  
ოთხე თუ მეხუთე დღეს პეტერბურგიდან, ერთმა ნაცნობმა მიიღო კერძო წე-  
რილი. „გწერ სულ ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ...—ეწერა წერილში,—ის  
რაც მე ვნახე, მისი დაწერა ძნელია. ვცდილობ მაინც დალაგებით მოგიყვე რაც  
მოხდა. იანერის პირველ რიცხვებში პუტილოვის ქარხნებში და სხვაგანაც გა-  
ფიცვა დაიწყო. გაპონის ორგანიზაციის მუშებმა მოახდინეს კრება... აირჩიეს  
დელეგატები... უნდა მომხდარიყო საერთო გაფიცვა... და მთელმა ქარხნებმა  
სამუშაო შეაჩერეს... გაპონი მღვდელია, ახალგაზრდა, კარგი ორატორი... მას  
მისდევს მუშების მასა. ცხრა იანერის წინა დღეს დანიშნული იყო გაპონის მიერ  
მოწვეული კრება. დარბაზი გაკედილია მუშებით. ყველას უნდა გაპონის ლაპა-  
რაკი გაიგონოს. მუშებს სწამთ მისი სიტყვა. ენობიან და გაკუცებიან კიდევ.“

„ორ საათზე დარბაზში შეჭოდის გაპონი. მისი ხმა ჩახლწილია. მაგრამ  
პირველსავე სიტყვებთან დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. შიგა  
და შიგ მოხუცები ტირილს ვერ იკავენენ. ჩურჩულებენ და პირჯვარს იწერენ...  
გაპონი კი, გულზე დაჯვარიდინებული ხელებით მოუწოდებს მუშებს, მათ ცო-  
ლებს და შვილებს, ხეალ ცხრა საათისთვის შეიკრიბონ, წავიდნენ მეფის სასა-  
ხლესთან და განუცხადონ: შენი ჩინოვნიკებისაგან არა გვაქვს საშველი, მოუ-  
წოდე ხალხის წარმომადგენლებს, რომელიც ჩვენ გაჭირვებას გაარჩევს. წავიდეთ  
მეფესთან და თუ არ მოგვისმინოს, მაშინ ჩვენ დავიძახათ: „ძირს მეფე!“... ის  
ჩვენი მამა არ ყოფილა...“

„იყო მაღალ წერტილამდის მისული მღვლეარება. ამ დღეს მრავალ ად-  
გილს მოეწყო მიტინგები, ბევრს არ სძინებია ხვალინდელი დღის მოლოდინში.“

„ღამე იყო უჭრი... ცხრა იანვარს დილა გათენდა სუსტი ყინვით. სუნთქვა  
იყო მსუბუქი, მკერდი სცემდა გაბალებით. პატარა ნაკადები მუშათა ჯგუფებისა  
მოდიოდა სანაპირო ქუჩებიდან, გროვდებოდა და იზრდებოდა. მოდიოდნენ მო-  
ხუნცი, დედები, ცოლები; თან მიჰყავდათ ბავშვები. შეერთებული ჯგუფები  
ზღაზნით მიემართებოდა შუა ქუჩით...“

ქაქუცავაძე

„ალექსანდროვის ბალის გალაგებზე და ხეებზე, ცნობის მოყვარე, ცხელაზღებში, ჩიტებივით ტოტებზე ჩამომსხდარნი, გაოცებით შესცქერდნენ მიმავალ ბრბოს. და ყველა მოედანზე, ყველა გადასახვევითან, ბრბოს ხედებოდა შეიარაღებული ცხენოსნები, ენადარმები, მაგრამ მუშები არ იხვედნენ უკან. ხშირად შეიარაღებული ცხენოსნები ნოვაციით შეიჭრებოდნენ ბრბოში, მაგრამ ხალხი მიინც ემატებოდა და იზრდებოდა... დაკუმზულ სიჩქმეში და ჯიუტობაში, მოსწანდა რაღაც ძლიერი და შემაძრწუნებელი...“

„და აი, მოედნიდან გაისმა—„დაიშალეთ, თორემ გესვრით!“.. შეძახილი სამჯერ განმეორდა. ბრბო არ შედრკა. პირიქით, გინებით და ყიეინით უპასუხა: „გვესროლეთ! არ წავალთ!.. ჩვენ მეფე გვინდა ვნახოთ!“.. და შეცრად პირველი რიგი სალდათებისა იჩოქებს. კონდახებს მხარზე შიიდებს და თითქო გიზანში იღებს... ერთი წუთით აქანდაკებული ბრბო შედრკება. მაგრამ უკან რიგებიდან მოწოლილი ძალა კვლავ წინ წასწევს... წინა რიგებში მოხუცები ქუდს იხდიან, ლოცულობენ, პირჯვარს იწერენ და ამ დროს ოფიცრის თეთრი ხელათმანი პაერში გაიუღვებს და დახოქელ სალდათების ლულებიდან ცეცხლი ავარდება... დაეცემა ერთი, დაეცემა მეორე... მიინც არ სჯერათ... ისმის ყვირილი, კენესა, გოდება, წყევლა და გინება... ავერ დაჭრილი ბავში წამოდგომას აპირებს, არ გრძნობს რომ ტყეია აქეს მოხვედრილი. ხოლო ეს რა არის, სისხლი?... ავერ ხეზე ჩამოკიდებული ცნობის მოყვარე ბავში ჩვარივით ტოტებში იხლართება, მერე უძრავად ეცემა თოვლზე გასისხლიანებული...“

„ახლა ხალხი გონს მოდის. დაჭრილებს, დახოცილებს მისცვივდებიან, წამოაყენებენ, ჭრილობას უხვევენ. ხელში აიყვანენ. სალდათებს აჩვენებენ და უყვირიან: „რა ჰქვნიოთ; რა!.. თქვე ჯალათებო!.. მკვლელებო!.. სისხლის მსვლელებო!“...“

„შორეულ ქუჩებში ბარიკადები ამართეს. იარაღის მალაზია დაარბიეს... მაგრამ ჯარმა მიინც თავისი გაიტანა... ასობით უნდა იყოს დახოცილი... და ათასობით დაჭრილი... დღეს სიწყნარეა... მაგრამ რაღაც შინაგანი გუგუნი, ძლიერი და შემზარავი ისმის... რა იქნება ხვალ არ ვიცით... ეს ტალღა მოედება პროვინციას... და მგონი ჩვენ ვდგევართ რევოლიუციის წინაშე“... ასე მთავრდებოდა წერილი.

ამ წერილმა ააფეთჭა ჩვენი დაგუბებული რევოლიუციონური ძალის შეკუმშვა. სხვადასხვა პარტიების მიერ მოწვეულ იქნა საერთო კრება.

დარბაზი სავსე იყო ხალხით—უმრავლესობა სტუდენტობა, ლეიბციგში დროებით მოსახლე რუსის ოჯახები, ორიოდე ძველი ნაროდნიკ-რევოლიუციონერი და ჩამოსული ვაჭრები.

გამოდიოდნენ ორატორები სხვადასხვა პარტიების. იფთოვანებული სიტყვით, ალესილი სახით და გაფართოებული თვალებით. ულოცავდნენ რუსეთში დაწყებულ რევოლიუციას, თვითმპყრობელობის მალე დანგრევას და თავისუფლების გამარჯვებას...

„რუსეთში დაწყებულია რევოლიუცია... პეტერბურგის ამბავი მთელ რუსეთში ჰპოებს გამოძახილს“... ათავებდნენ სიტყვას ორატორები.

-უნდა წავიდეთ რუსეთში! წვენც უნდა დაედგეთ ბარკადებში...  
 -სწავლას თავი უნდა დავანებოთ, წიგნები გვერდზე გადავდოთ და იარაღით ხელში მუშებთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ!..."

„გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას... გაუმარჯოს სოციალიზმს!... ისმონდა აღელვებული ყვირილი.“

Отречемя от старого мира,

Отряхнем его прах с наших ног....

მღეროდა მთელი დარბაზი... ზანზარებდა კედლები... თრთოდა სხეული, იჭიმებოდა ყელში ძარღვები და ფართოვდებოდა თვალები...

შორს ათასეული ვერსის მანძილზე, ბარიკადებზე იბრძოდა რუსის მუშა, იღვრებოდა სისხლი... და აქ, უცხო ქვეყანაში მყოფ თანამემამულეთა შორის ეს სისხლი საბრძოლველად სჩქეფდა კუნთებში და იგივე ბარიკადა შელახული და გასისხლიანებული სანეტარო და საოცნებო საგნად გამოხდარიყო...

„ამხანაგებო! ბრძოლის ველზე უკვე მრავალი მებრძოლი დაეცა, ის ვეღარ იხილავს რევოლუციის გამარჯვებას. საუკუნოთ იყოს მათი ხსენება ჩვენს გულში!... დაიძახებს ერთი აფეთქებული.“

ყველა ფეხზე დგება. სკამებს გასწევენ... და ათრთოლებული გაისმის სამგლოვიარო სიმღერა:

Вы жертвой пали в борьбе роковой...

В любви беззаветной к народу....

რად კანკალებდა ხმა და თრთოდა სხეული? რატომ იყო თვალები ამღვრეული და ერთი უხილავი წერტილისკენ გასწრაფებული?... რატომ იყო სახე ასე მრისხანე?

...Порой извивали по тюрьмам сырым...

კაკანებდა აწეული ტენორის ხმა.

...И шли вы гремя кандалами...

გუგუნებდა დაწეული ბანი.

და ამ სიმღერის თრთოლაში, ამ ერთ წერტილისკენ მისწრაფებულ თვალებში, გაფითრებულ ტუჩებში, თითქო ისახებოდა მთელი სინამდვილე რუსეთის ცხოვრებისა—ციხის კედლები, ხუნდები, ტუნდრები და თოვლით მოპენტილ მინდორზე ბორკილიანი ტუსაღები.

რალაც შეშხარავი ჭადილი, დაგუბებული ბოლშა და ბრაზი, გესლი და შურისძიება, მიყენებულ შეურაცყოფისთვის, გაფანტული იყო სხეულში...

„ამხანაგებო! გამართულია ხელის მოწერა ფულის შესაკრებად რუსეთში ამხანაგების გამგზავრებისთვის. მსურველი ბევრია!“

და ფურცელს ხელს აწერდა შეძლებულიც და შეუძლებელიც. ერთი საათის განმავლობაში შეგროვილი ფული რამდენიმე ათას მარკას აღემატა.

## XI

მეორე დღეს მიშა დავითაშვილი და ზე უკვე ვალაგებდით, ბარგს, ვე-თხოვებოდით ამხანაგებს.

მეცხრე მუხარამი

და მახსოვს... როცა გავფსწორდი დიასახლისს და კაფეტაში ჩავეჯექი ბარგს მაგიდაზე დარჩენილი მამა ჩემის სურათი დავადე, დივანზე დასასვენებლად ჩამოვეჯექი—რატომღაც ჩემს გულს სევდა მოაწვა.

წელიწად ნახევარი გავიდა, რაც საქართველოდან რევოლუციის გულისთვის და მისი მსვლელობის შესასწავლად წამოვედი ლეიპციგში და ახლა იმავე რევოლუციის გულისთვის ვბრუნდები უკანვე. და მერე? რა გავაგეთ ამ ხნის განმავლობაში? არაფერი! თითქმის არაფერი!.. შევიძინე რამ ცოდნა? ახალ რამეს ვეტყვი მუშას?... ან ცხოვრებაში მოვიპოვებ რაიმე ალაგს, თუ ისევ ისე გარიყული დავრჩები?

რევოლუცია!.. ბარიკადები!.. წითელი დროშა!.. როგორც ეკრანზე სურათი, ისე გაივლიდა ჩემს თავში ფიქრი. რევოლუციის გამარჯვება ჩემი გამარჯვებაა!.. და ჰქრებოდა დანარჩენი აზრი.

მამა ჩემი? იმას რალას ვეტყვი? განა ასეთი იმედი ჰქონდა, როცა აქეთ მისტურებდა? რა უნდა ვუთხრა, რისთვის დავბრუნდი?... ჩემი პატარა დამეზბის გამოზღაში დახმარებას რომ ვპირდებოდი?...

რევოლუცია!.. რევოლუცია!..

მამის სურათი კალათიდან მიშვრდა შუბლმოკმუხენილი...

დავბრუნდებოდი კიდევ? გავაგრძელებდი ისევ სწავლას ლეიპციგში? თუ ჩავრჩებოდი საქართველოში გამზარულ ვაჟის წინაშე?

რატომღაც გული მტკიოდა. მენანებოდა ლეიპციგის დატოვება... მაგრამ ისევ ჩემი წაბაძულება და ამხანაგების გავლენა, რაც ჩემი ცხოვრების გზას შირთავდა, მეზიდებოდა იქით.

ბრძოლა, წითელი დროშა, გამარჯვების ყივინი, ბარიკადები... და მივისწრაფოდი რევოლუციისკენ...

უწინვრდი ჩემს სუფთად მოწყობილ ოთახს, ჩემს სამეცადინო მაგიდას. ლეიპციგის ქუჩებს, სადაც ერთი ხანა ჩემი ცხოვრებისა გავატარე, სადაც მრავალი მიფიქრია მომავალ ცხოვრებაზე და იმედებით სავსეს მივლია მის ფილაქინზე...

მეორე დღეს სადგურზე გავვაცილეს ამხანაგებმა. ბევრ მათგანს წამოსვლა გადაწყვეტილი ჰქონდათ და მალე წამოვიდნენ კიდევ, ხოლო პირველად ჩვენ წამოვედით.

შლინოვსკიმ მოგვითანა ტფილისის კომიტეტის ბოლშევიკური ფრაქციის მისამართი („იაკვა“) რამდენიმე გამამხნეველები სიტყვა გვითხრა.

— მალე, მალე თავისუფალ რუსეთში კვლავ შეგხვდებით ერთმანეთს!

ბაქანზე მალე ჩამოვდა მატარებელი. ვადაეხვებით ერთმანეთს, ვაგონში ბარგი ავიტანეთ და ფანჯრიდან დაუწყუეთ ამხანაგებს შერა.

— Uertig!..—დაიძახა კონდუქტორმა და მატარებელიც დაიძრა. ეკიდებოდით ლეიპციგს. მალე მიიშალა შენობები. მხოლოდ Rathaus-ის აწეული კოშკი დად ხანს არ მოგვცილდა თვალთაგან.

— დავბრუნდებით როდისმე კიდევ ლეიპციგში?— ვეკითხები მიშას.

— 38! თუ რუსეთში რევოლუცია გაიმარჯვებს, ვინ იქნება ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე?

მატარებელი ნიჰქრის და გვაახლოებს რუსეთის საზღვარს. მალე დავტოვებთ გერმანიას და შევალთ რევოლუციონურ რუსეთში... რა მოგველის იქ? როგორი ხასიათისა იქნება ჩვენი მუშაობა? რა სახეს მიიღებს რევოლუციის მსვლელობა და როგორ დამთავრდება იგი?..

— ნიშა, ახლა ხომ შეწყდება ჩვენი ბრძოლა მენშევიკებთან და ერთის ტაქტიკით გავილაშქრებთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ? როგორ გგონია შენ?

— არ ვიცი! ჩავიდეთ, ვნახოთ! თუ ისინი თავიანთ ოპორტუნისტულ ტაქტიკას არ დაიშლიან, მაშინ სავესებით ჩამოვიკლდებით და ჩვენს გზას გავუკვეთით. და მგონი ეს ასეც მოხდება, რადგან ვიცით მათი ოპორტუნისტული სული.

— ნეტა ვინ არიან ახლა იქ ბოლშევიკები ჩვენი ამხანაგებიდან?

— ხომ იცი სოსო ბოლშევიკია! მიწერ-მოწერა მქონდა მასთან. იწერება კიდევ ტფილისში უმრავლესობა ჩვენსკენ არისო. ხოლო საკითხი ჯერ მასაში არ არის გადასული...

მალე ვავიარეთ ტორნი — გერმანიის საზღვარი. აღექსანდროვსკში რომ შევედით და რუსის ეანდარმეები ვიხილეთ, კვლავ თვალწინ წარმოგვიდგა დავიწყებული რუსეთი თავისი სინამდვილით. გაგვიხრიაკეს, პასპორტები გაშინჯეს და გაგვიშვეს.

გვიკვირდა, რომ რევოლუციის შედეგები აქ არაფერს ეტყობოდა. ხოლო ვარშავაში რომ ჩავედით და ქუჩებზე ვავიარეთ, აქ კი შევამჩნიეთ, რომ რუსეთში რაღაც ხდება. გვანცვიფრებდა ის გარემოება, რომ რევოლუციის სახეს აქ მახინჯი ნიშანუბნობა მიეღო.

საქმე ის იყო რომ დღეები დაკეტილი იყო და დარბებზე ხატები იყო ჩამოკიდებული.

გვითხრეს ებრაელების დარბევას მოეღიან და ქრისტიანი ვაჟრები თავიანთ მალაზიებს ხატებით იცავენო.

წინ დღით პეტერბურგის მუშების გამოსვლის გამო დემონსტრაცია მოეწყობო. მეორე დღეს კი ებრაელების დარბევას მოელოდენ...

რაც უფრო შიგნით მივდიოდით რუსეთში, მით უფრო მშვიდი, მეშინური ცხოვრება მიმდინარეობდა თავის წელი და წყნარი მსვლელობით, თითქმის ლაპარაკიც აღარ იყო პეტერბურგის მუშების ბოცვა-ტყუარის გამო... ჩვენი წარმოდგენა, რომ გავივლიდით ქილაქებს ბარიკადებით გამართულს, არ გამართლდა...

## XII

ტფილისი! არ გამხარებია აქ ჩამოსვლა! რატომ? შორს, ძალიან შორს დარჩა ლეიპციგი. — ახლა ვივარძენი, თუ როგორი მიწიდეელი იყო ის ჩემთვის!

ავერ ტფილისის მტერიანი ქუჩები, თითქო ხანძრისგან გადაშვარნი, დაბალი ორსართულიანი სახლები.

დიდების ქუჩაზე გავიარეთ. ბავშები დამწკრივებულები იყვნენ. ჯარის კაცები. ჯოხები მხრებზე გაედოთ, წინ ერთი ბავში მიუძღოდა, სიმბოლო სიარულით მიდიოდნენ და რუსულად მღეროდნენ:

Ура, ура, ура,  
Ура, ура, ура  
Да здравствует император  
Никола втора!...

მეორე დღეს დავითაშვილი და მე წაველით ლეიპციგიდან წამოღებული მისამართის („იაკის“) ბინაზე. ვინახულეთ ანხანავი.

— სწორედ კარგ დროს ჩამოხვედით!... მენშევიკებთან გაათრებული ბრძოლა გვაქვს!... აბა, თქვენ იცით! ზევისთვის კავშირის კომიტეტის სხდომა იქნება. თქვენც მოხვალთ. გააკეთებთ მოხსენებას... სხვა ვინ არიან კიდევ იქ ამხანაგები? როდის ჩამოვლენ?

მოვეუყვით იქაურ ამბავს, პარტიულ მომუშავეთა მდგომარეობას.

— ხომ კარგად შეისწავლეთ მარქსიზმი?

— მარქსის შესწავლა ვინღა დავგავალა, მაშინვე პარტიულ უთანხმოების საკითხებში ჩავებით!—ღიმიოდა დავითაშვილი მეფისტოფელური ღიმიით.

— ჩვენ აქ რევოლუციისთვის ჩამოვედით, თქვენ კი ამბობთ მენშევიკებს ებრძოდეთ... იმათ კი ადვილად დავამარცხებთ, მაგრამ ამ რევოლუციისა რომ არაფერი ისმის?..

— მოიცა, მოიცა!. რევოლუცია შორს არ არის! ხოლო ჯერ ამ მენშევიკებს უნდა ამოვამტკრიოთ ცხვირი!

— ბევრი არიან?

— უჰ! სულ ხურდა-მურდა ხალხი! ხოლო ჯერ მუშებში არ არის კითხვა გადატანილი. დღეს სამშაბათია ხომ? ჰოდა ხუთშაბათს შევიკრიბოთ და უველად ვილაპარაკოთ...

ხუთშაბათს დავითაშვილი და მე დანიშნულ დროს მიველით კრებაზე ბოტანიკურ ბაღის მიღობზე, საიდანაც მთელ ტფილისს დავცქერდით. კრებაზე უკვე მოსული იყვნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები.

სახლვარ გარეთ მომუშავე ამხანაგების, იქაური მდგომარეობის, ფრაქციული ბრძოლის და ცხრა იანვრით გამოწვეული შთაბეჭდილების შესახებ მოხსენება გააკეთა დავითაშვილმა.

ველა დაინტერესებული იყო ბოლშევიკური მიმართულების მსვლელობით. კითხულობდნენ ამა თუ იმ ამხანაგის პოზიციას, იკონებდნენ პლეხანოვს ბოლშევიკებს რომ გადაუდგა და იმედოვნებდნენ, რომ თუმცა სახლვარგარეთის ინტელიგენციის უმრავლესობა მენშევიკების მხარეზეა, სამავიეროთ აქ, სადაც პრაქტიკული მუშაობა სწარმოვებს, უსათუოდ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ.

საუბარმა გამოარკვია, რომ ტფილისის კომიტეტი შთლიანად მენშევიკებისგან შედგება, ხოლო კავშირის კომიტეტი—ბოლშევიკებისგან.

საუბრის და აზრთა გაცელა-გამოცელის შემდეგ ჩვენ დავვევალა ძველ ნაცნობ მუშებთან კავშირის აღდგენა და მათ შორის ბოლშევიკური პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა...

რადენ ჯღამაძე ჩემი ძველი ნაცნობი მუშა იყო, ხელობათმეცნიერი მისი შეხვედრა ძალიან გამეხარდა. წაბლისფერ უღელსებებიანი, მუდამ მოლოდინში

შეხვედრისთანვე პარტიულ ცხოვრებაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. მინდოდა გამეგო, თუ იცის რამე პარტიულ განხეთქილების შესახებ. თვითონ შემეკითხა:

— შენ გეცოდინება კაცო, რაღაც განხეთქილება მომხდარა პარტიაში!..

— კი, კარგადაც ვიცი! დაწერილებით მოვიყვები როცა გინდა!

— მაშ, იცი რა? მოდი ჩვენთან! ჩემთან ერთად ოთხი ამხანაგი სტუდენტობს კიდევ. იმავე ეზოში მოსახლეობენ სხვა მკერავებიც. თავს მოუყრი... მოდი უსათუოდ!

მეც ეს მინდოდა.

— რაც შეიძლება მეტ ამხანაგებს მოუყარე თავი! უსათუოდ მოვალ!..

დავნიშნეთ დღე. გამოვართვი ნისამართი და აღნიშნულ დღეს მივედი კიდევ.

ოთახში უკვე მოგროვილიყო შვიდი თუ რვა ამხანაგი, მათ შორის ორიოდე ძველი ნაცნობი. დანარჩენი პარტიაში ახლად შესულები.

კითხვას პარტიული განხეთქილების შესახებ ინტერესით ისმენდნენ. მოკლედ მოვეყვი მეორე პარტიულ ყრილობაზე მიღებულ პროგრამისა და წესდების შესახებ. ვრცლად შევეხე წესდების პირველ ნუხლს, რომელმაც მთავარი განხეთქილება აღმოაცენა ყრილობაზე და რომლის გარშემო დიდი კამათი გაიმართა.

ყველაფერი ეს მათთვის ახალი და უცნობი ამბავი იყო, თითქო ფარდა აიხსნა და იქ მრავალი და მათთვის მოულოდნელი სახეები და მოვლენები გამოჩნდა.

— პლენაროვი და ლენინი ერთ პლატფორმას იცავენ ყრილობაზე?

მეკითხებოდნენ ამხანაგები.

— თითქმის ყველა მთავარ კითხვებში!

— მერე რატომღა მოხდა, ყრილობის შემდეგ პლენაროვი რომ მარტოვან და აქსელროდთან აღმოჩნდა?

— იმიტომ რომ პლენაროვი ვერ შეტერდა მტკიცე რევოლუციონურ გზაზე...

სწეინდათ რომ პლენაროვი არ იყო მთლიანად ლენინთან. თვით ლენინის შესახებ მათ არ ჰქონდათ კიდევ ნათელი წარმოდგენა, ხოლო როცა გადაცემით აუწყრე მისი რევოლუციონური წარსული, მისი მოღვაწეობა ისკრას გარშემო, მისი ორგანიზაციული ტალანტი, რევოლუციონური მისწრაფება, როცა დავანახე თუ რა დიად ძალას წარმოდგენს იგი პარტიაში—დამაჯერებელი აღმოჩნდა ჩემი სიტყვა და ამხანაგებიც მთლიანად გაჰყვენ ბოლშევიკურ გზას.

ორიოდეჯერ კიდევ შევიარე მათთან. ახლა საუბრის სახით ლაპარაკობდით მომავალ რევოლუციაზე და ბოლშევიკურ ტაქტიკაზე ამ რევოლუციაში.

კავშირის კომიტეტის წევრს გადაეცემა ჩემ მიერ გაბოლშევილებულ წიგნს შე-  
სახებ. შემეკითხა მათ ვინაობას და დასძინა.

— დარწმუნებული ხარ რომ საცხებით ჩვენსკენ არიან?

— რატომ არ გჯერა? თუ ვინდა შენ თვითონ წამოდი, რომ დარწ-  
მუნდე.

— არა! მაგისთვის არ მცალია! ენახოთ, აი მალე ნაძალადეგში დიდი  
კრება იქნება მოწინავე მუშების, წამოიყვანენ შენი წრის ბიჭები და ენახოთ რას  
იტყვიან!

რა კრება იქნება?..

— რა და, თითქმის გადამქრელი ჩვენი ორგანიზაციისათვის!... ხომ იცი  
კავშირის კომიტეტმა წერილი მისწერა ტფილისის კომიტეტს დაშლის შესახებ,  
„раскасирование“... ჰო და, მენშევიკებს უნდათ ეს ამბავი დემაგოგიური გზით  
ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენონ და გვიწვევენ კრებაზე.

— მერე, რა ძალები ჰყავთ მაგათ?

— აი, ენახოთ კრებაზე ვინ გამოცხადდება!

— ხომ უსათუოდ დავამარცხებთ?

— ეგ მუშებზეა დამოკიდებული.

— მერე, როგორ!.. ვანა მუშები...!

— ეე... მოწამლულები არიან მენშევიკებისგან!..

### XIII

კავკასის კავშირის კომიტეტს წერილი ჰქონდა მიწერილი ტფილისის კო-  
მიტეტისადმი, რათა მას გადმოეცა ნისტვის სტამბა; და ვინაიდან ტფილისის  
კომიტეტმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა, მას ეძლეოდა წინადადება დაშლი-  
ლიყო და ყოველი ქონება, კავშირი და სტამბაც გადაეცა კავშირის კომიტეტის  
მიერ დანიშნულ ახალ კომიტეტისთვის. კავშირის კომიტეტს, დებულებით ამის  
უფლება ჰქონდა, მაგრამ მენშევიკები წაედევნენ წერილის ბრძანებითი ტონს — კო-  
მიტეტის ოცდაათხ საათში გადადგომის შესახებ და ამის გამო ასტებეს გან-  
გაში.

ნაძალადეგში მოწვეულიყო მოწინავე მუშების კრება. აქ დაირაზმა ტფი-  
ლისში მყოფი მენშევიკები და მოხდა გადამწყვეტი შეტაკება ბოლშევიკე-  
ბთან.

შაბათი საღამო იყო. ნაძალადეგში კრებაზე მივდიოდით დავითაშვილი და  
მე ერთად. ვავიარეთ რკინისგზის ხიდი, გადაექვით ორიოდე ქუჩა და შე-  
ველით პატარა ეზოში. პატარა დაბალ ქერიან ოთახის კარის წინ დავდგით.  
ფანჯრები დარაბებით იყო დაკეტილი და მხოლოდ ვიწრო გავთლებულ კუჭ-  
რუტანიდან გამოდიოდა მკრთალი სინათლე. ოთახის კარი გავაღეთ და პაპი-  
როსის ბოლისგან დაბურული და დაბუთული ჰაერი გარედან შემოვარდნილ ცივ  
ჰაერს დაეჯახა. თეთრი ზოლი კვამლისა, ქარისგან აბნეულ ღრუბლებივით გაე-  
შურა კარის ბჭეში.

შუა ოთახში პატარა მაგიდა იდგა, თეთრი სუფრით გადაფარებული. ზედ  
პატარა ლამა ბეურტავდა, როგორც ნისლიან ღამეში შორეული ვარსკვლავი. და

ამ წინსვლით მოცულ ოთახის სივრცეში მოსჩანდა ამხანაგების სიყვარული და მადლი. გარშემო სკამებზე ისხდნენ. უკან ფეხზე იდგნენ და ჯგუფური ზეპირი საუბრით და ნელი ისმოდა ჩურჩულით. შიგადაშიგ მოჰქრავდი ყურს ორ სიტყვას — „ეგ არ არის მართალი!“... „აი, ენახოთ რას იტყვიან ბოლშევიკები!“. „მერე, როგორ შეიძლება ოცდაათი საათში!“..

კრების ვახსნის მოლოდინში მღელვარებდნენ ამხანაგები. ერთ მხარეს ისხდნენ ბოლშევიკები. ცხადია სჩანდა, რომ ჩვენ უმცირესობაში ვიყავით. არც მუშებიდან გვეყავდა ბევრი. აქ იყვენ ის მკერავი მუშები, რომლებთანაც მე დავდიოდი. მათი იმედი ძალიან შექონდა. ერთად ვიდგეთ.

დავითაშვილმა ვიღაც უცხო ქალს დაუწყო ლაპარაკი. ქერა ახალგაზდა ქალიშვილი ყველას ყურადღებას იქცევდა. ეტყობოდა რუსეთიდან იყო ჩამოსული და ალბად მეუწმრავლესე. ქალი სკამზე იჯდა. დავითაშვილი მოლუნული ელაპარაკებოდა. შევამჩნიე მიწამ ჩემზე რალაცა უთბრა, რადგან ქერა ქალმა ყურადღებით შემომხედა.

ოთახი ისე გაივსო მოსული ამხანაგებით, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა. პაპიროსის ბოლისაგან დახუთული ჰაერი სულის თქმას აძნელებდა.

მაგრამ რატომ კრებას არ ხსნიან? ვიღას უცდიან? რომ მოვიდეს კიდევ ვინმე. ოთახი ხომ ვეღარ დაიტევს? ფეხზე დგომით უკვე დავიღალეთ. თვითვე სკამზე კი ოროლი ზის. ინტერესი კრებისადმი ისე დიდია, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაზე არაფერ ფიქრობს.

მეორე ოთახის კარი გაიღო. ახლო მდგომანი შეჩოქოლდნენ. მოსულებს გზა მისცეს. წინ მოდიოდა ქალარა შერეული, რომელსაც მოწინებით გზას აძლევდნენ.

„ოო!“ — გაეფიქრე — „შობრძანდენ დღევანდელი დღის პატრონები. აი, რატომ იგვიანებდენ სხლომის ვახსნას. მაგრამ ვინ არის ეს წვერიანი ქალარა? როგორც ყოველ პატრონს თავის სახლში, მათაც თავი ღალად ეჭირათ. შივიდნენ მაგიდასთან. ერთმა ახალ-მოსულთაგანმა განაცხადა: — „ამხანაგებო! კრებას ვახსნილად ვაცხადებ. კრების თავგდომარეთ ამხანაგ ანდროას ვასახელებ!“..

„ანდროა, ანდროა!“ — შესძახა მრავალმა ხმამ.

„იყოს ანდროა, ანდროა!“... — მეორედებოდა ოთახის კუთხეებში.

მაგიდასთან დაჯდა ქალარა.

— ვინ არის? ვინ? — იკითხებოდნენ აქეთ-იქიდან.

— ნოეა ეაცო, ნოე!

— ნოე ჟორდანია?

— ჰო, ნოე ჟორდანია!

„ნამ ნოეც აქ ყოლიუა? ალბად იმას უცდიდნენ. — ეფიქრობ.

— ბიჭო, კოტე, ზედავ ნოე მენშევიკებისკენ ყოფილია!..

ეუბნება ჩემი ნაცნობი მუშა მკერავი მეორე მუშას.

და ამ შეკითხვაში უკვე სჩანს მისი განწყობილება.

ჩემი თვალები შეხვდება ჩემი ნაცნობი მუშის თვალებს. უკვე გამოხედვა არ არის სწორი, პირდაპირი. გატეხილია ხაზი.

თავჯდომარე დღის წესრიგს აცხადებს, ერთი მოთვარი კომიტეტი — კავშირის კომიტეტის წერილი ტფილისის კომიტეტთან.

სიტყვის იღებს თვით ჟორდანია. ბოლშევიკები პროტესტს აცხადებენ, რადგან მათ უნდათ ერცელი მოხსენება გაუკეთონ კრებას, რის გარშემო შემდეგ უნდა გაიმართოს კამათი. მაგრამ მენშევიკებს ხმის უმრავლესობით გააქვე წინააღმდეგი და ჟორდანია ლაპარაკობს ბოლშევიკურ ფრაქციასზე.

ის მოუყვება კრებას მეორე პარტიულ ყრილობაზე აღმოცენებულ განხეთქილების შესახებ. ბოლშევიკებს ახასიათებს ბლანკისტურ მიმართულების ადამიანებად, რომელთაც პარტია წარმოუდგენიათ შეთქმულების ორგანიზაციად და ამიტომ არც აძლევენ საშუალებას მასამ ფართე მონაწილეობა მიიღოს პარტიულ მუშაობაში. მენშევიკები კი წინააღმდეგ ბოლშევიკებისა პარტიაში შესვლას და პარტიის წევრობის საშუალებას აძლევენ ყოველ მუშას, ვინც მის პროგრამის მიიღებს და მის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებს. ასე რომ ყოველი გაფიცული მუშა, ყველა ვინც ორგანიზაციის პროკლამაციას გააერცულებს, შეიძლება პარტიის წევრი გახდეს. ამის გარდა ბოლშევიკები პარტიას აწყობენ ზევიდან, ისინი არაფრად ავდებენ მასას, არ მისდევნენ დემოკრატიულ პრინციპს და კომიტეტებს არ აძლევენ საშუალებას თავისი გზით განავითარონ მასიური მუშაობა. პო და, სწორედ ამის შედეგია ის, რომ კავშირის კომიტეტი ასეთი ბრძანებითი ტონით იწერება: ტფილისის კომიტეტის დაშლას...

კავშირის კომიტეტის წერილი იყო, რომელზედაც დიდ ხანს შეაჩერა მსმენელთა ყურადღება და დამსწრეთა განწყობილებაც თავის მხარეზე შექმნა.

სიტყვის დამთავრების შემდეგ ილაპარაკეს ბოლშევიკებმა, რომელთაც ხაზი გაუსვეს მენშევიკების ოპორტუნისტულ ხასიათს და იმ გარემოებას, რომ თუ წესდების პირველ მუხლად მიღებული იქნებოდა მენშევიკების წინადადება — ეს ნიშნავდა პარტიაში არა სასურველი ელემენტების თავის მოყრას, ეს ნიშნავდა პარტიის რიგების ორკოფულს, არა საიმედო და ინტელიგენტურ პირებით ავსებას... ამიტომ იყო, ამბობდნენ ისინი, რომ პლებანოვმაც ბოლშევიკურ წინადადებას დაუჭირა მხარი. ბოლშევიკების მიერ მიღებულ მუხლის ძალით პარტიაში ვერ შევა ვინც ორგანიზაციაში მუშაობას გაურბის და აი, ამიტომ მისი კარი ღიაა სწორედ მუშებისათვის, რომელთაც არ ეშინიათ ციხე-გადასახლებისა და სამაგიეროდ დახშულია მოლიბერალო ინტელიგენციისთვის, რომელნიც მუდამ მზად არიან ოპორტუნისტში გადავარდნენ. ამიტომ პარტია გაიწმინდება რა ასეთი ელემენტებისაგან, ჩვენ დაგვრჩება წმინდა ორტოლოქსალური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია... ასეთია ლენინის მიერ წამოყენებული დებულება, რომელსაც ყველა ბოლშევიკი მისიდეს...

ჯერ კიდევ სიტყვა დამთავრებული არ იყო, რომ მენშევიკები შეეცადნენ მისი შთაბეჭდილების შესუსტებას, აზრების დამახინჯებას, დემაგოგიური ფრაზებით მუშების მოხიბვლას...

ერთი მენშევიკი გაჰკიოდა — „თქვენ უზურპატორები ხართ! მუშებს არ უწყევთ ანგარიშს... ბრძანებლობითი კილოთი ოკდაოთხ საათში გინდათ დაშა-

ლოთ მუშებისგან ამორჩეული კომიტეტი. ამის უფლებას არ მზავებენ მუშები, არა!..

— არ მიეცემთ, არა!..— შესძახებდა რანდენიმე მუშა.

— აი, ზომ ჰხედავთ!.. ეს მუშის ხმაა!.. მუშის ნებაა!..— კვლავ გაიძახდა რომელიმე მენშევიკი.

კრება ნერვიულობდა. ახლა უკვე მსჯელობის აზრი და ლოღიკა დაკარგული იყო. ალესილი იყო გონება და ათრთოლებული ნერვები...

წესრიგი უკვე დარღვეული იყო და სიტყვის ველარ ათავებდა ორატორი. პაპიროსის ბოლი ნისლივით შემდგარიყო. დაღლილი მუხლები იცეკვებოდა, სხეული მოთენთილი იყო. დახუთული ჰაერი სუნთქვას აძნელებდა. მაგრამ არავინ ჰტიჟრობდა კრების მალე დამთავრებაზე.

შეტაკება ორ მიმდინარეობის შორის გამწვავებული იყო და თუმცა ცხადი უმრავლესობა მენშევიკებისაკენ იყო, მაგრამ დახლართული, გაურკვეველი კითხვები მიიხიცი თხოულობდნენ გადაჭრას.

გონება გამახვილებული იყო, თვალები გაფართოებული. გასავალი ჰქონდა ლამაზ, დემაგოგიურ ფრაზას და არა ლოღიკურ მსჯელობას.

უკვე ლამის ორი საათი იქნებოდა. ახლა უკვე საჭირო იყო კონსპირაციის მოსაზრებით კრება დაშლილიყო. ზოლო მთავარი, რაც კრებას უნდა გადაეწყვიტა— რეზოლიუციის გამოტანა— ჯერ შეუსრულებული იყო.

კრების მულეფარება უკვე კულმინაციონურ წერტილზე იყო ასული. ახლა კამათი ორი რეზოლიუციის გარშემო ტრიალებდა. ბოლშევიკები მიიხიცი იბრძოდნენ. საჭირო იყო გამორკვეულიყო რამდენი ხმით, რამდენი ხმის წინააღმდეგ გაეიდოდა მენშევიკური რეზოლიუცია.

შეიძლება ეს მენშევიკების ფანდი იყო, რომ უეცრად ოთახში შენოვიდა ამხანაგი და გააცხადა: ქუჩაზე საეჭუო პირები დაიარებიან. საჭიროა კრების დაშლაო...

მენშევიკებმა ფიცხლად უყარეს კენჭი თავის რეზოლიუციას... ..დიდი უმრავლესობაა, დიდი უმრავლესობა!..“ დაიძახეს და კრებაც დაშალეს.

კარი გაიღო. ოთახის დახუთული კომლიანი ჰაერი გარედან შემოსულ ცივ ჰაერს დაეჯახა. ჰერიდან თეთრი ზოლი გაიჭიმა და ნაკადივით კარის ბჭეზე გასრიალდა.

აირიენ ერთმანეთში. ზოგი ვადიოდა, ზოგი იცდიდა; ერთმანეთს ეძებდნენ, ეშვებოდნებოდნენ...

დავითაშვილი ქერა ქალით მომიახლოვდა.

— დათიკო, გაიცანი ამხანაგი ტანია!.. გესმის, მე ამაღამ სოსოსთან წავალ, შენ კი ამ ამხანავს წაიყვან ჩვენს ბინაზე!

— როგორ ჩვენ ბინაზე!

— ჰო! მიხვდი რაღა! ბინა არ აქვს, ამაღამ შენთან იქნება! აი, ამხანავო ტანია, ამას გაყვებით!

— თქვენ სად მიხვალთ?— შეეკითხა დავითაშვილს.

— მე სხვაგან წავალ!..

- ჩემი გულისთვის? რატომ? მოეთავსდებით როგორმე ჩემს გულს?
- არა, შე მაინც საჭმე მაქვს სოსოსთან! აბა, ნახვანდის!
- შენ... დათიკო!.. გესმის... ჰყვინანლ იყავი!..
- რა უსინდისო ხარ, მიშა!..
- მიშა დავითაშვილი არეულ ხალხში მიიშალა, სოსო მოძებნა. მას ვაპყვა. გამტერებულ ვიდექი ერთ ადგილს, დაბნეული.
- რაღას ვდგეერთ ამხანაგო, წავიდეთ!.. მომართა ტანიამ.
- კი, წავიდეთ!

## XIV

ჩემს გვერდით მოდიოდა დაბალი ტანის ქურქში ვახვეული ახალგაზრდა ქერა ქალი.

ის რუსეთიდანაა ჩამოსული. იყო ბაქოშიც, მაგრამ ამხანაგებმა გადაწყვიტეს მისი ტფილისში გამოგზავნა ბოლშევიკების დასახმარებლად. პარტიულ კითხვებში კარგათაა გარკვეული და ლენინის მათაყვანებელია. პირადათ შეხვედრია მას ჟენევაში. აქ სწავლობდა უნივერსიტეტში. მაგრამ პარტიულმა მუშაობამ გაიტაცა, სწავლას თავი მიანება, მშობლებსაც და ახლა მუშათა წრეებში დადის. ძალიან მოსწონს ტფილისი... მისი ოცნება იყო საქართველოში ჩამოსვლა.

უყვარს ტართველები. ეგონა რომ აქ ყველა ბოლშევიკები იქნებოდნენ. და რატომ მოხდა, რომ მენშევიკებმა უმრავლესობა შექმნეს და მუშები გადიბირეს—ვერ გაუგია...

— არ მოველოდი, არ მოველოდი! вот не ожидала!

განცვიფრებული იძახის ტანია.

— არა უჭირს რა ამხანაგო, ტანია! სტამბა ჩვენს ხელშია, საუკეთესო მოწინავე მუშებიც ჩვენსკენაა, მუშაობას გაეახურებთ და უსათუოდ გავიმარჯვებთ!

— დარწმუნებული ვარ!.. მთელი რიგი რუსეთის დიდი ორგანიზაციებისა ჩვენსკენაა!.. ხომ იცით, ყრილობის მოსაწვევად უკვე არჩეულია საორგანიზაციო კომიტეტი და ყრილობაზე უსათუოდ უმრავლესობაში ჩვენ ვიქნებით...

ბინას მიუეახლოვდით. ალაყაფის კარით ბნელი ეზო და აივანი გავიარეთ. ოთახის კარი გავალე. წუმწუშა აევანთე. პატარა ოთახის კედლებზე ლამურას ფრთებივით ჩრდილები აფრიალდნენ. მაგიდაზე მდგარ ლამუას შუშა მოვხადე, აევანთე და ოთახი გავანათე.

ოთახში ციოდა. პატარა თუნუქის ფეჩი, მის ძირში დამზადებულ დაქრილ შუშით აევანთე. ოთახიც მალე გათბა. ტანიამ პალტო გაიხადა. პატარა ტანით, ყურებზე და შუბლზე ჩამოკეცივულ თმებით და ღია ცისფერ თვალებით—სინდოვალას წაავადდა. ბამბაზიის შეკრული ბლუზა ეცვა და ამ ბლუზაში პირტიტველა ბიჭს წაავადდა მოკრეკილი თმით. ხოლო აბურცული გულმკერდი, სუნთქვასთან ერთად მწყობრად ირხეოდა მჭიდროდ შეკრულ ბლუზის ქვეშ.

ფეჩის გუგუნმა, თუნუქის წითელმა გვერდმა, ოთახს მყუდრო ელფერი მისცა. სხეული გათბა და მოდუნდა.

— ჩიი მაქვს, ამხანაგო ტანია! შაქარიც, ყველიც... მხოლოდ პური აი, პატარა ხატეხია!..

— გვეყოფა! მე არ მშია!

პატარა ჩაიდან. გახურებულ ფეხზე მალე აღდგა.

— პატარაა, მაგრამ მუდროა თქვენი ოთახის!—ამბობს ტანია.

— აბა როგორ შეედრება იმ ოთახებს, სახლვარ გარეთ რომ გვექონდა!

— კი, მართალია! მაგრამ დიასახლისები არ ვარგოდენ იქ! სტუმარს ვერ მიიყვანდი შენს ოთახში. იმათ ჰგონიათ რაკი და ერთ ოთახში ქალი და ვაჟი დარჩება, უსათუოდ ცუდი რამ უნდა მოხდესო... აჰ! არ მიყვარს სახლვარგარეთი! შეშანები არიან! რუსეთი სჯობია!

— საქართველო? მოგწონთ?

— კი! როგორ არა! აქი გითხარით! მხოლოდ მე უფროსხვა წარმოდგენისა ვიყავი!

— შავალითად!

— შე მეგონა აქ ყველა შავი, შავრემანი იყო, ალგზნებული თვალებით, თავზე ხელაღებული, მედიდური და გამომწვევი!.. თქვენ კი აი, ჩემსავით ქერა ხარ და ძლიერ გულკეთილი!..

— მაშ, ასეთი ადამიანი არ მოგწონთ?

— არა! შე ეგ არ მითქვამს? პირიქით!

ოთახში უკვე დაცხა. ჩაისა და გახურებულ ფეხისაგან თითქმის ოფლი მოგედოდა. დაღლილობა შეგვეტყო და ძილმაც გვაგრძნობინა თავი.

ჩაის კურკელი მივალავე. გაგრილების მიზნით გარედ გავედი, რომ საშუალება მიმეცა მისთვის ტანთ გაეხადა და ჩემს დაბრუნებამდე დაწოლილიყო უკვე მიჩნეულ ლოგინში. ხოლო როცა დაგბრუნდი ის ისევ გაუხადელი იჯდა ფეხთან.

აღარ ვიცოდა როგორ მოგვეცუულიყავ. რალაც გაურკვევეი უზერხული მდგომარეობა შეიქნა. კედლის სურათები აათვალღერ-ჩამოათვალღერა, მერე ისევ ფეხთან დადგა.

— უჰ! ცხელა!—ამბობს თავისთვის. — ამხანაგო, მეც მინდა გაგრილება!— უცბად მომმართავს.

— აი, აივანზე გადით!

— ეგ კი ვიცი, მაგრამ... ის... სად არის?

— მართლა, უკაცრავად... აი, აქეთ ჩაათავებთ მთელ აივნის სიგძეს, იქ კიბესთან მის ძირში მარჯვნივ კარებია... აი ასანთიც წაიღეთ!..

სანამ ის დაბრუნდებოდა მე უკვე ლოგინში ვიყავი.

— უჰ რა ცივა გარედ!—მხიარული შემოვარდა ტანია.

— აბა, ახლა თქვენ იქით გადაბრუნდით, რომ გაეიხადო და დაეწვე!


გადაგბრუნდი, თვალებიც დავხუტე... მაგრამ ყური?...

კარგად ნესმოდა ლილებიან გახსნა. ბლუზის გახდა, ფეხსაცმელების, ჩულქების. თეთრი პერანგით, შიშველი ფეხით იატაკზე დგება.

— ლამაზა ჩავაქრო?

— როგორც გინდათ! ცოტა ჩაუწიეთ! ეგრე!

ლოგინში ჩაწეა. საბანი გადიხურა. დაამთქნარა.



— ღამე მშვიდობისათ!

— ღამე მშვიდობისათ!..

რატომლაც ძილი გამიტყდა. მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა.

რომ გავიღვიძე, ტანიას ეძინა. ტიტველი მკლავები საბნის ზევით ეწყო.

ფეხს ვახურებდი. უცბად წმული შემომესმა. ტანიას წარბები შეკრული-ყო და მშფრთვარე ხაზები სახეზე აღნიშნოდა. ხელნაკრავივით გადაბრუნდა. თვალები გაახილა და შეშინებული სახე ჩემსკენ მოაბრუნა.

— რა იყო ამბანაგო? რათ წმულოდით?

— უბრალოდ საშინელი სიზმარი ენახე? როგორ მიცემს გული! მოდით ნახეთ? აბა, დაადეთ ყური აქ?

და საბანი გადასწია. თეთრი პერანგი აბურცულ გულზე გადასკიპია და ჩემსკენ გადმოსწია. თავი დაველუნე და ყური ჩაეფალი თბილსა და რბილ პერანგში. გული ყმბარისავით სცემდა...

უცბად მოეტრიალდი. ფეხზე დადგმული ჩაიდანე ადუღებულყო. ქული დაეიხურე და გარედ გავედი პურის მოსატანად.

რომ დაებრუნდი ოთახში დაეითაშვილი დამხვდა.

— ხომ კარგათ გეძინათ?—ეკითხებოდა უკვე ჩაცმულ ტანიას.

— კარგად, კარგად!.. რა დამიშლიდა?

— რა ვიცი! იქნებ ამბანაგმა არ დაგაძინათ!

— Hy!..

— უსინდისო ნუ ხარ მიშა!.. ვეუბნები გაჯავრებული.

ჩაი დაველიეთ. მიშა მოგვიყვა კავშირის კომიტეტის მუშაობის ახალ გეზს. ტფილისში რჩებოდენ მხოლოდ კომიტეტის წევრები. რადგან კავშირის კომიტეტის ხელში სტამბა იქნება, მან უნდა გაახუროს ლიტერატურული პროპაგანდა-აგიტაცია... დანარჩენმა ამბანაგებმა პროვინციას უნდა მიაშურონ, რომ იქ შეიქნას ბოლშევიკური ორგანიზაციები. რაკილა ტფილისის მუშები გაიგებენ, რომ ნაძალადევის მუშები მენშევიკებისკენ არიან, ყველა უსათუოდ მათ გაყვება. კავშირის კომიტეტმა უკვე შეადგინა სარედაქციო კოლეგია და ფურცლების და ბროშურების გამოცემას დაიწყებს.

მართლაც ასე მოხდა. როცა მუშებმა გაიგეს, რომ ნაძალადევის მუშები მენშევიკებს მიეკედლა და ნოე ყორღანიაც მათყენა—ეს უკვე საკმარისი შეიქნა მენშევიკებს მიმხრობოდენ...

ჩემ მიერ გაბოლშევიკებულ რკა მუშაში მხოლოდ ერთი შერჩა ჩვენ გზას—რაოდენ ჯლამაძე—დანარჩენებმა მეორე დღიდანვე აღმაცერად დამიწყეს ცქერა. ჯერ არაფერს მეუბნებოდენ. პირიქით, ახლად გამოშვებულ რამდენიმე ას ცალ ფურცელს რომ მივუტანდი მუშებში გასაერთილებლად, მეუბნებოდენ—ეს ცოტაა! კიდევ მოიტანე ოთხასი—ხუთასი!..

მიკვირდა ასეთი გულმოდგინება. მეც გახარებული ვიყავი და მიმქონდა ფურცლები...

ერთ დღეს ჯლამაძემ მითხრა—„შენ გგონია ფურცლები მართლა გაავრცელეს?..“

— მაშ?

— დასწევს, ყველა დასწევს!..

— რაო?..

— ჰო! არ დაიჯერებ! ეორდანიას წინააღმდეგ მიმართულ ფურცლებს ჩვენ არ გავაერთიანებთო!.. მაგ დურაკებს ეორდანია მართლა დიდი რამე ჰგონიათ!..

— მართლა ამბობ, თუ მატყუებ, თუ ძმა ხარ?

— ახლა არც თვითონ დაგიმილავენ, გეტყვიან! ჰკითხე?..

გამოკითხვიდან მართლა გამოირკვა, რომ ფურცლები ყველა დაეწვათ და ამ ამბავზე ცინიკურად ლაპარაკობდნენ.

ოო! საზიზღარი, ვერაგული საქციელი!.. მუშა მუშის პროკლამაციას სწევდა!

ჯერ კიდევ გუშინ აღერსით და სიყვარულით უცქერდნენ ჩვენი თვალები ერთმანეთს! ჯერ კიდევ თბილი მეგობრულ-ამბანაგური გრძობა, ერთი იდეისთვის შეერთებული გული, ერთი მტრის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, სიყვარული, გატაცება და... ეხლა ერთმანეთისადმი სიძულელი, მტრობა, ლალატი...

მერე, რატომ გუშინ არ ვხედავდი კოტეს ასეთ უშნო და უღაზათო შუბლს, ვიწროს, დახშულს!.. ეს თვალები ასე პირუტყველად რათ გამოიყურებოიან? ტუჩები ასე განიერი, თოკივით დაგრებილი რამ გახადა?

ბოლმით საგსე ვიდებო, ვუცქერდი მათ და ვერაფერს ვამბობდი.

უცბად მოეტრიალდი და კავშირის კომიტეტის წევრთან გავიქეცი. ვუთხარი მათი ასეთი საქციელი.

თუმცა გვიან იყო, მაგრამ მაშინვე წავედი მათთან. ყველა სახლში დაგვიხედა. ზოგი უკვე დაწოლილიყო.

ამხანაგმა ჯერ სიცილით, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი. მერე თანდათან აენტო—და ისე ტკეპნით, დალაგებით დაუნდობლად გამოლანძღა სათითაოდ, რომ გაშეშებული, გაყურებული მუშები, სიტყვის შებრუნებას ვერ ახერხებდნენ.

\* \* \*

ქუჩაზე მიმავალ მიწა დავითაშვილს და ტანიას შევხვდი. ტანია ისეთი მშვენიერი, ატაცებული და მზიარული იყო, რომ უნებლიედ უცნაურად მივაპყარი თვალი.

მერე, რატომ აჩქოლდა გული? სადეთქელმა რად დაიწყო გამალებით ცემა?

ის კი ცმუკავდა, მღეროდა, თითქო ვისმეს გამოსაჯავრებლად. ლაღად ეპირა თავი. ლილინებდა და ლაპარაკის დროს ბავშვივით ტიკტიკებდა, შუბლთან ქუდში შემწყვდეული თმის ღერო გამოპარულიყო და წარბზე აბრეშუმის ხეყულად ქანაობდა.

მიწა დავითაშვილი ლურსმანის თვალით მიმზერდა. შეგკრთი, თვალი მოვარიდ.



— სადა ხარ დრახინა, ორი ღამეა სახლში არ მოსულხარ?  
 — რაო, ვითომ ანგარიში უნდა ჩაგაბარო?

ხელნაკრავივით ნაბიჯი უკან გადაედგი, რატომ ასე უკმეხად მიპასუხა?

— მე თქვენ ტფილისის ვტოვებ შალე!—მეუბნება ტანია.

— მართლა? სად მიხვალთ?

— ბაჭოში! მიშაც იქ მოდის!

მიშას შეგხედვ. ორი ლურსმანი ხმა ამოუღებლად ჩაეკლო ჩემს თვალებში...

— გზა დამილოცნია! თქვენ იცით როგორც ვააბოლშევიკებთ ბაქოს პროლეტარიატს!..

— აბა, თქვენი ტფილისის პროლეტარიატიდან მენშევიკების მეტი თუ კი არაფერი გამოდის?—ბოროტეულად მეუბნება ტანია.

— შენ კი მგონი ხაშურში წახვალ, ასე სოქვა სოსომ.

მეუბნება მიშა.

— ხაშურში?

— ჰო, შენ ხომ იქ ნამუშევარი ხარ? ჰოდა, იქ მუშები გიცნობენ და ბოლშევიკური ორგანიზაცია უნდა შექრას!..

— არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს! სოსოს ენახე, მოველაპარაკები! თქვენ როდის მიხვალთ?

— შალე! ამ დღეებში!

— მე კიდევ ხვალვე წაეალ!..

— სოსოს ნახეა თუ გინდა, ბოჭორიშვილის სახლი ხომ იცი? იქ ნახე!

— აბა, ნახვამდის, იქნებ ვეღარც გნახო!..

— არა! ამაღამ სახლში მოვალ!

— ტანია, მშვიდობით, ალბად ვეღარ შეგხვდებით!..

— ნახვამდის, ნახვამდის, აშხანაგო!.. უკეთეს პირობებში კიდევ შეგხვდებით ერთმანეთს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

## ა ჯ ა გ ო

საგრძელება \*)

### XIII

თქვენ გინახავთ დიდი და უწინო ბაყაყი, ზოგჯერ სიღმე ბრტყელ ქვას ქვეშ ნესტიანს მიწაში-ჩაქვადული, თუ ძველი, ძირ-მომპალ ლობის ძირას თავ-აწევ დაყუნცული?

ან კიდევ შეჰფეთებინათ სიღმე ნაყანგვის სასაზღვრე ბეგობზე უტეხი სი-უტიფრით გადმომდგარს უზარმაზარ მეტეკებიან გომბეშოს?...

მაშ, თქვენთვის საჭირო აღარ არის აჯაბოს გარეგნობის კიდევ სხვა რა-იმე ფერადებით აღწერა.

ამ სურათს დაუმატეთ მხოლოდ ორ ფეხზე მოსიარულე, რალაც ადამიანის მსგავსი არსება, საკმაოთ უსუფთაო, ღივი და ლორწოიანი, რომელსაც ამასთა-ნავე ლაპარაკის ნიჭიც აქვს; მხოლოდ ეს ლაპარაკიც დიდათ არ განსხვავდება გომბეშოს ყიყინისაგან.

აჯაბოს გომბეშოსავით უყვარს ბნელი და ნესტიანი ადგილები.

ამ ჟამად იგი, კაცობის წყალობით, სარდაფის მოქეცებითი პატრონი, უფრო კი მისი იძულებითი, მუდმივი ბინადარი და მოწესეა.

შაგრამ უწინაც ხომ თითქმის მუდამ ასევე იყო.

რუსეთში, მაგალითად, საცხოვრებელ ბინათ თუ საეპრო ადგილად მას მუდამ სარდაფის მიგვარი დაბალი რამე უნდა იქონია. უმისოთ იგი ვერ ისვენებდა.

და როცა რამდენიმე წლის განმავლობაში ოთხ-ხუთ სართულიანი სასტუ-მროს პატრონ-გამგებელი ვახდა, მას პირად საცხოვრებელ ბინად მაშინაც კი რალაც სარდაფის მსგავსი, დაბალი, ბნელი და ნესტიანი ოთახი ეჭირა ამ უზარ-მაზარს შენობაში.

ეს მას იმდენათ სიძუნწით არ ემართებოდა, რამდენადაც ძვალსა და რბილში გამჯდარ ჩვეულებით.

ასეთივე იყო თითქმის ყოველგან, სადაც კი მას ქარბათ ჰქონდა თუ ასევე ქარბათ აკლდა ცხოვრებისათვის საჭირო სახსარი.

აჯაბოს მოვლილი ჰქონდა თითქმის მთელი ჩრდილოეთი, ციმბირიდან მო-კიდებული, გერმანიითა და ავსტრიით დათავებული.

გერმანია და ავსტრია აჯაბოს მსოფლიო ომში აჩვენა.

მაზურის ტბებთან, გენერალ სამსონოვის რაზმი რომ დაიღუბა, ცოცხალ-მკედარი აჯაბო ტყვედ ჩაუვარდათ ხელში გერმანელებს და ქ-დ-ში, ხოლო იქი-დან ქ-ლ-ში ამოაყოფინეს თავი.

რატომ მოხდა ეს ამბავი უეჭველად მაზურის ტბებთან?

\*) იხილეთ „მნათობი“ № 2-3.

ესეც, ალბათ, აჯაბოს საერთო თვისებებით თუ აიხსნება **თქვენთვისაა გა-  
მართლება ამ მოვლენას არ მოეპოვება.**

ტყვეობაში აჯაბო, როგორც თვითონ გვარწმუნებს, სრულიადაც არ ნა-  
ღვლობდა თურმე, პირიქით, ისე შეეწყო იქაურ ხალხს და წესებს, რომ სულ  
თავისუფლად გადად-გადმოდიოდა ერთი ადგილიდან მეორეში.

ასე ვაჩინავთ, გერმანიიდან—ავსტრიაში და იქიდან ისე უკანაც თითქმის  
საყესებით დაუბრკოლებლავ ახერხებდა გადასვლ-გადმოსვლას.

გერმანელები აჯაბოს ისე უყურებდნენ თურმე, როგორც თავისიანს; ამაში  
მას დიდათ უწყობდა ხელს მისი ქართველი ჩამომავლობა.

— ეჰ, იქ, ძმაო, ხელმწიფესავით ვცხოვრობდი... აბა, სად იყო ნაღველისა  
და დარდის დრო...

გაოცებით იტყვის ხოლმე აჯაბო.

— იქ ისეთი სქელი და ჯან-ღონით სავსე ქალები იცის, ბროწეულისფერ  
ლოყებზე ისე ასქდებათ მოწითალო კანი, რომ, გვეგონებათ, ცეცხლი უკიდაოს...

საოცარია ეს პირუტყვი თავის ენებიან მადა-აწლილობისა და საკუთარ  
გახრწინილების ყოველ წუთს მამკლავებელ საზიზღარი ლაპარაკის დროს.

ამ დროს ქვევითა მისი ყბა ხევეითაჲ უფრო მოკლე აქვს, ნიკაბიც რაღაც ისე  
მიღებული, რომ მისი სახის პროფილი თავდაღმა გადმობრუნებული კიბის საფე-  
ხურებივით არის შუბლიდან ყელამდის შიგნით შეწყული და ეს დატეხილ-დაკ-  
ლაკნილი ხაზი მოიჩვენს, მისი შუბლიდან ცხვირისაკენ გადმოტარებით, შვერდა-  
მდე.

მის შესახედავათ გულის მოთენთვამდის მსუქანი ლაბები მყარდზე ორად  
თუ სამად არის დაკეცილი, რაც სურათს კიდევ უფრო ასრულებს.

განსაკუთრებით ბავშვებს უხარიათ სტუმრათ მისულ აჯაბოს გამახარა-  
ვება. იმისი სახის პროფილის კონტურებისაგან ღამე კედელზე სინათლით გაკრულ  
ჩრდილს რომ ახაზავენ, სწორედ ის გადმობრუნებული კიბე გამოდის თავისი  
ხუთი თუ ექვსი კიდე—მოქობილი საფეხურებითა.

ამ შემთხვევაში „საფეხურების“ ეს კიდის მოქობილობა აჯაბოს სიმსუქნის  
შედეგი და ბრალია.

ზაფხულობით, როცა აჯაბოს სიმსუქნისაგან გლურჯ-გლურჯად დანაოკე-  
ბულ შუბლიდან ოფლი ხამუშ-ხამუშად ჩამოსდის, იგი კი არ სწყდება და მო-  
წყვეთავს ძირს, არამედ პატარ-პატარა ღვარებათ ლორწოიან კანზე პირდაპირ  
ჩამოღვენთავს შუბლიდან-ლოყებამდე, ლოყებიდან-ნიკაპსა და ყელზე, აქედან—  
შვერდზე, ხოლო შემდეგ—ტანზე და ასე—კოჭებამდის.

ზაფხულობით აჯაბოს საშინელი შმორის სუნი ასდის. ხოლო არავინ კი  
არ იცის, თუ საიდანაა ეს სუნი: პირიდან, ტანიდან, თუ სხეულის სხვა რომე-  
ლიმე ნაწილიდან?

არის ერთგვარი მწერი, ტანად დაახლოვებით ბალღინჯოს მსგავსი, მაგრამ  
სიდიდით ბალღინჯოზე თითქმის ათ-ათუხმეტჯერ მაინც უფრო დიდი. სიმყრა-  
ლითაც ბალღინჯოზე გაცილებით უფრო ძლიერია იგი. ერთი თვისება მას ქა-

მელეონისაც კი სკირს ხოლმე. ეს თვისებაა მისი გარეგანი ფერის, კერძოდ, კანის ფერი, რომელსაც იგი ოსტატურად უხამებს იმ გარემოს, სადაც მას მისი ცხოვრება უნდა გახდეს.

ხო და საკმაოა თქვენ ასეთ მწერს ხელი ოდნავ შეახოთ, რათა მან მაშინვე გამოსცეს ისეთი მყარალი სუნი, რომ ზელის შეტება კი არა, იქ მისელოსთვის თუ შემთხვევით მიხეტებისათვისაც კი სულ თავ-ბედს დაიწყევლით ხოლმე.

ზელს, რაღა თქმა უნდა, ფიცხლავ აშორებთ თქვენ ასეთ მწერს და ასეთივე სისწრაფით ლაშობთ ფეხების ამუშავებასაც, რათა განაშორდეთ იმ მწერსაც და იმ ადგილსაც, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად არის მოწამლული ამ უწნა არსების მიერ უხვად მოპნეულ სიმყარალითა.

მსგავს მოვლენას აჯაბოს ცხოვრებაშიაც არა ერთხელ ჰქონია ადგილი და შემთხვევა.

ერთი ასეთი შემთხვევის წყალობით, აჯაბომ თავიც კი დააძვრინა ერთხელ ყასიდათ დატყვევებასა და, ვინ იცის, იქნება—სასჯელსაც.

ეს მოხდა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში. კარტის თამაშის დროს, ჩვეულებრივ აყალ-მაყალის ჩასაცხრობათ სათიბაშო „პრიტონში“ შეჭრილი პოლიციელი რომ აჯაბოს მიუახლოვდა, როგორც გარეგნობით უცხო ეროვნების წარმომადგენელს, და მაშასადამე, იქ იმ წუთს მყოფთა შორის ყველაზედ უფრო „დაბალ-ღობეს“, მის ისეთი სუნი მოხვდა ამ უკანასკნელისაგან, რომ კინაღამ გულს არ შენოეყარა, წინ წადგმული ნაბიჯი და დამნაშავის შესაპყრობელად გაწვდილი ხელი ფიცხლავ უკანვე დასწია, რამაც ასე ალაღბედზე იხსნა აჯაბო მოსალოდნელ განსაცდელისაგან.

შეიძლება კაცობრიობის ისტორიაში ეს პირველი მაგალითიც იყოს, როცა პოლიციელის კლანჭებისაგან ასე უვნებლად დაეძვრინებოის ადამიანისათვის დასაბატიმრებლად განწირულნი თავი საკუთარი ტანის სურნელოვანებას.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რის შემდეგაც აჯაბოს შეუძლია იამაყოს კიდევ ამ თავისი ბუნებრივი საგანძურით, თუ კი ასეთი სახელით შეიძლება მოინათლოს, თუნდაც აღნიშნულ ბუნდური შემთხვევის შემდეგ, ადამიანის სხეულის სიბინძურე და ამისაგან გამოწვეული უსიამოვნო სუნი.

მაგრამ, ვანი, მარტო გარეგანი უსუფთაობის ბრალია აჯაბოს სხეულის ეს თვისება?

მე კი ასე მგონია, რომ ეს სუნი აჯაბოს უნდა ასდიოდეს პირდაპირ ტვინიდან, სადაც ზდება მისი ისეთი სიფაქიზით მოსილი აზრების დაზნადება.

შეიძლება ეს ასეც იყოს დაახლოებით მაინც, თუმცა აჯაბოს ლექსიკონი ამ შემთხვევაში მისი აზრისა და ზრახვების ზევითა სართულს აშკარად აკნინებს და ამ უკანასკნელის წინაშე უპირატესობას ისევ მის სარდაფს ანუ პირს ანიჭებს ხოლმე.

ჯერ შევჩანად, მგონი არავის სმენია ისეთი ფორმითა და შინაარსით ვიწება და უწმაწური სიტყვების ფანტეა, როგორც ეს აჯაბოს ებერება.

წარსულში, ტფილისის სარდაფებში აღზრდილი, აღმოსავლეთ საქართველოს ბშირი და ხანგრძლივი სტუმარი, თითქმის აქაური მკვიდრი, ხოლო შემდეგ—რუსეთის შთელი სიგარტე-სიგანით მომეღულ-მომქსელველი და ბოლოს ისევ



აქ, თბილისში დაბრუნებული აჯაბო ვინებისა და უწინაწორი ცემების ასე ესთქვათ, მუდამ ვატიწილს, თითქმის ბუნებრივ რუმზს წარმომტყუნს ხსანტყა ამიტომ, როცა ის ლაპარაკობს... უკაცრავათ, როცა ეს გომბეშო ასევენია თავის მუდამ ბალიშ-გადაგდებულ საგანგებო უზარმაზარ ხის სავარძელში და ყიყინებს, ასე ვგონიათ, აწმორებული ორთქლი ბოლქვა-ბოლქვათ ამოსდის ყელიდანო.

საოცარია, როგორ იჭერს ის თავს ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, როცა საპატო მანდილოსანი ან ვინმე ღირსეული და პირადათ მისთვის საჭირო და გამოსადეგი ვინმე უმართავს ხოლმე მას შესაიფს?

ასეთ შემთხვევაში აჯაბო დნება, იღვება, თაფლად და შერბათად ედინება. დგახარ და გიყვირს, თუ როგორ ახერხებს ეს ადამიანი თავის თავზე ძალის ასე დატანებას. უნებლიეთ იმსჭვალეები ამ წუთს აჯაბოსადმი თანაგრძნობით, თუმცა, მასთან მოლაპარაკე გაშორდება თუ არა მის, აჯაბო ერთბაშად გადმოანთხვეს ხოლმე მოგუბებულს შხამს და იქ მდგომი ამ დროს შენც ვეღარ უძლებ ამ ნაგუბის სუნს.

ამ წუთიდან მისდანი აღრინდელი თანაგრძნობა შენში უკვე ზიზღათ და წყრომად იცვლება ამ ყოვლად გაუსწორებელ ადამიანისადმი და შენც მიდიხარ, მიდიხარ კი არა, გარბიხარ, შორდება მას, თუმცა წინდაწინ ხარ დარწმუნებული, რომ თავის დროზე ნაგუბარის ტალღა და შმორი არც შენ ავცდება აჯაბოსაგან და თუ შენ, ასე ყასილდათ მისგან თავ-დაღწეულსა და ლტოლვილს, დაწვეით ვეღარ დაგეწევა ის, ზურგში ხომ მაინც უთუოდ აგედევნება შლამიან-წვირიან ნიაღვარივით...

#### XIV

ქვეწარმავალის სოროსავით დახვეული და დახლართულია აჯაბოს წარსული.

ამიტომ მთლად იმის, რაც ამ ნახევრად მხეც-ადამიანს უნახავს თუ თავს გარდახდომია, სავსებით აღწერა ან აღწუსება ყოვლად შეუძლებელია.

კაცოასთან მეორედ შეხვედრის შემდეგ, ჩვენ იგი მოსკოვში დაეტოვეთ.

მოსკოვს აჯაბო იაპონიის ომში მოსწყვიტა.

ხარბინში ისა და რუსის ჯარის მოწინავე ეშვლონები თითქმის ერთსა და იმავე დღეს ჩავიდნ, და თუმცა იმის ხელქვეშ მყოფ ბედის მაძიებელთა ლაშქარი, რომელიც აჯაბომ მოსკოვიდან თან გამოიყოლია, ხარბინიდან მოკიდებული ბრძოლის მოწინავე პოზიციებამდის იყო მიპნეულ-მოპნეული მთელს მანჯურიისში, მაინც აჯაბოს მთავარი სადგომი ისევე ხარბინში იმყოფებოდა და თავის რაზმს აქიდან განაგებდა და მთავარსარდლობდა იგი.

იშვიათად დაიძვროდა აჯაბო აქიდან. მას ირგვლივ გაბმული ქკონდა ძაფები და ყოველის მხრიდან მოსდიოდა სიმდიდრის ნოსახეჭი საშუალებანი.

საუყეთესო სასტუმროც ხელში ეპურა, როგორც გამოქნილ ობობას—თავისი ოსტატურად ნაგები ქსელი.

ერთი სატყვეთ, რუსის ჯარის შესანახად განზრახულ სანაპირო ნაწილში დადიოდა და ამ ხარჯის მეტი ნაწილიც ამ უკანასკნელის ჯიბეში რჩებოდა.

არა ერთი მოჭიშვისათვის დაუცია თავხარი აჯაბოს და მიუტოვებინებია მისთვის საქმე, რომელიც კი აჯაბოს კეთილდღეობას რითივე ემუქრებოდა.

და რაღა გასაკვირია, თუ რაღაც ორიოდვე წლის განმავლობაში აჯაბომ შეაქუჩა რამდენიმე ასეული ათასი მანეთი.

მას ისე გაუტყბა ეს შხარე და საერთოდ ციმბირი, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არც კი უფიქრნია იქიდან ფეხის მოცვლაზე.

არ ვიცი, რა ესთქვა და რა გაგაცლიო, თუ კაცი ხარ. ზოგს გადაჰკარგავენ, იმ „ცინდირიამ“ თუ, რაცხას რომ იტყვიან, შენ ხარ ჩემი ბატონი, და, იქ თვითონ წვალობს, აქ მისი ოჯახი იტანჯება, ნათესავი თუ ახლობელი სწუნს მისი ცოდვით.

ზოგი, შენ ჩემი ხარ, თვითონ მიაკითჩინებს თავს იმ დასაქცევში, მდიდრდება. კაცად ხდება და ქე ბრუნდება შინ მშვიდობიანად, ასე „გაკეთებული“ და ხელ-მომთბარი. მოდი ახლა და შენ გაიგე ყოველივე ამის ასავალ-დასავალი... ამ ჩვენ აჯაბოზე ამბობენ: ტომრები მოაქ. ფულებით დატენილიო..

ღნერთმა ვეგლას ხელი მოუბართოს. ჩემი რა იხარჯება?..

ათავებდა ამ სოფელურ ქარაგმით შეზავებულ შენიშვნას რომელიმე ნაცნობი თუ ახლობელი, აჯაბოს გამდიდრების შესახებ სოფელამდის მიღწეულ გადაჰკარბებულ ცნობებით გაკვირვებული, და თან, თუ გნებავთ, რამდენიმედ გულნატკენიც აჯაბოს ამ ბედნიერების სიხარბით.

ბოლოს ხარბინიდან აძრულ-აძარგებული აჯაბო ერთ ხანს ქ. ვერხნეუდინსკში შეჩერდა, აქიდან — ცოტა ჩიტაშიც შემოისვენა და, მოსკოვზე გამოვლით, როგორც იქნა, მოაღწია ბოლოს კაჯასიანდღე. შესწირა რა ამ გზას თითქმის ორი სანი წელიწადი და მეტი წილიც თავისი ოხრად შენაძენ სიმდიდრისა.

თბილისს აღარ გაჰკარებია აჯაბო, რადგან, მოსკოვიდან ნოვოროსიაზე გამოვლით, პირდაპირ ბათუმის ბოლახში გადმოუწევა ღუზა და ხანგრძლივადაც აქ ჩასტოპა.

აქ მან თითქმის მოსვლისთანავე შეიძინა საუკეთესო სახლი „მარინსკი პროსპექტზე“ და ამით მთელ ბათუმს მოსდო თავისი უსახლერო სიმდიდრის ამბავი, რომელიც ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, თავისი სიძლიერითა და გავლენით მის ბუნებრივ სიმყარალის სუნს ერთი ასად და ათასადაც უფრო სჭარბობდა.

ამავე ხანებში თავდასხმაც კი მოაწვეეს აჯაბოზე, მაგრამ ბევრი ვერაფერი წაავლიჯეს, რისთვისაც აჯაბოს თავიც კი არ შეუწუხებია. პირიქით, ამან კიდევ მეტად განუთქვა სახელი აჯაბოს და გააძლიერა მისდამი საზოგადოებრივი ინტერესი.

მართალია, პოლიციამ კი მოიბა ქეზი, მაგრამ ამ ზედმეტი ერთგულებით მანაც კი ვერ დაიმსახურა დიდათ მდიდარი აჯაბოს ყურადღება.

— ისევ „ჩემები“ იქნებოდენ...

ჭეჭრობდა თავის გულში აჯაბო, რომელიც ამ ჩემებშია ჩქარა ჩქარა მის „ნახელქვეითარ“ ბანდატებს და ამიტომ ერიდებოდა ზმუნისას ქველზე რაიმე ეჭვის აშკარად გამოთქმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოცხალი ხომ მისი პირადი წარსულიდანაც გამოაშკარავებოდა, რაც სრულიად ხელსაყრელი არ იყო ამ ეამიდ უსაზღვრო სიმდიდრისაგან თითქმის უკვე საეგებით გარდაქმნილ აჯაბოსათვის.

ფულიანი კაცის სახელ-განთქმული აჯაბო სასურველი სტუნარი შეიქნა თითქმის ყოველ ოჯახში.

შეიქნა ერთი მისი ნიპატივებ-მოპატივება და ხელიდან ხელში გლეჯა დაუსრულებელი ლხინითა და დროს გატარებით მოცული და მოქარგული.

მიუხედავით თავისი გარეგნული სიბინჩისა, შიგნით, უმთავრესად—ჯიბეში ოქროს შარავანდელთა გარწყინებული იგი „თვალში მოსდიოდა“ არა ერთ ახალგაზრდა ქალს.

— ეშმაკზე ცოტათი უფრო კარგით შესახედავი ნამაკაცი ყველა ლამაზად ითქმის.

ანუგეშებდენ ყმაწვილებს ხანში შესული დედები თუ ახლო ნათესავები. ბოლოს, როგორც იყო, ერთი ქუთათური ქალი მოეწონა აჯაბოს და ამაჟამად უკვე დანგრეულ ქუთაისის სობოროში ჯვარიც კი დაიწერა დიდის ამბით.

ქუთაისი რომ ყოველ მხრივ გაუტკბა აჯაბოს, როგორც „ქამის ქალაქი“, ბალახეანის ქუჩაზე ზედი-ზედ ორი დიდი სახლი შეიძინა და, ბათონი ვაჭრობისა და მოგების ასპარეზად რომ დაეგდო, ქუთაისი—„ქაი ქამისა“ და დროს გასატარებელ ადგილად გაიხიდა. ქუთათურ მოსიძლერე ყმაწვილ კაცების წრე აჯაბოს დრო-მოკლე ცხოვრების ოაზისად გადაიქცა, ხოლო უშნო და უშმაგესი აჯაბო ამ ოაზისის „უკვდავების წყაროთ“ და სურნელრეან ყვაილიათ გაიფურჩქნა, მიუხედავით იმ ბუნებრივ მუშკამბარისა, რომელიც მას ამ ქამადაც ისევე უხვად ახასიათებდა, როგორც ყოველთვის.

მსოფლიო ომმა შეუწყვიტა აჯაბოს ეს მოგებითა და სიამ-ტკბილობით საევე ცხოვრება, რომელიც ჩვენც ზვეით სწორედ ამიტომ გაეკრით მოვიხსენიეთ. პირველ ხანებში მან „ობოზში“, ხოლო შემდეგ—საინტენდანტოში მოიკალათა. მაგრამ ქრთამსა და გამოსარჩენზე ველარ მორიგდა ერთ „ბლონწ“ გენერალთან და გადარიცხულ იქნა მოქმედ ჯარში უბრალო ჯარისკაცად.

მწეალობლები აქაც გამოუჩნდენ აჯაბოს, მაგრამ მასურის ტბებთან მარცხისაგან იგი მაინც ვერაიენ ვერ იხსნა და ამ რიგათ აჯაბო ჩავარდა ტყვედ.

ერთი წლის ტყვეობის შემდეგ, მას მოუსწრო ფრონტზე „დამშობილების“ პერიოდმა, რითაც მოხერხებულმა აჯაბომ მშვენიერად ისარგებლი და საზღეარს გადმოალაჯა.

რაკი თავი სამშვიდობოს იგრძნო, წინდახედულმა აჯაბომ გამალებით მოუსაეა შინისკენ და რუსეთში საბჭოთა წყობილების გამოცხადების გამს იგი უკვე თავის საკუთარ ჭერქვეშ გრძნობდა თავს არბეინად.

ერთი წლის გერმანიაში ყოფნას ტყუილად მაინც არ ჩაუვლიდა. როგორც ქართველი, ის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა და მას იქ თავისუფლებასაც მეტს აძლევდნ. გერმანიიდან ის ავსტრიაშიც გადადიოდა. იმ წანებში რალაც საეპროს ოპერაციებსაც კი მოჰკიდა ხელი.

აქ, განსაკუთრებით—ვენაში, ხის დამშუშებულ ქარხნების დათვალეობების შემდეგ, აჯაბოს აზრად მოუვიდა სამშობლოში დაბრუნებისთანავე სახლები გაეყიდა და აღებულ ფულით გრესილ ავეჯეულობის პატარა ქარხანა მოეწყო.

ხითა და სხვა საჭირო მასალით მდიდარი ჩვენი მხარე კიდევ უფრო უძლიერებდა აჯაბოს ამ სურვილს, ხოლო მცოდნე ხალხის მოყვანა აჯაბოს ვენიდან ჰქონდა წინასწარ განზრახული.

საქმეს მხოლოდ შესათფერი ფინანსიურ საშვალეებათა უქონლობა აფერხებდა.

საქმე იმაშია, რომ სახლების შექენისა, ბათომში საეპროს ვახსნისა და ომში გაწვევასთან დაკავშირებულ ხირჯების შემდეგ, აჯაბოს ბანკში მინაბარებ თანხის წიგნაში ოთხად ოთხი ციფრი-ლა განსაზღვრავდა მთელ მის შეტლებას. მაგრამ აჯაბოს განკარგულებაში იყო უძრავი ქონება, რომლის შემოსავლით ახლა მისი ოჯახი თავს ირჩენდა.

და, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, აი, სწორედ ამ უძრავი ქონების განადგობით უნდოდა აჯაბოს ზევით აღნიშნული თავის განზრახვისათვის ფრთების შესასხმელი თანხის შექურება.

ძალიან კარგათ უოქვამს, ვისაც უთქვამს: „კეთილი განზრახვებით ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზებია მოკირწყლული“.

აქაც სწორედ საქმე ისე არ წავიდა, როგორც ეს აჯაბოს „მშვენიერი“ განზრახვით იყო ნაგულისხმევი.

და აი, ბევრი ნჯღრევისა და დაეიდარაბის შემდეგ, ქონებისაგან ხელგამდამშრალეული და ისევე ბედის საქიებლად აფორიალებული აჯაბო ცხოვრების პირობებმა, რომელთაც უფრო მეტი ფოლადის სიმტკიცე აღმოაჩნდათ, ვიდრე ადამიანის ვარდისფერ სურვილებს, აჯაბოს ისევე სარდაფში უკრეს თავი.

„გზა—ნავზურს, ხოლო წყალი—ნაწყლურსო“, ამბობს ხალხური სიბრძნე, და აჯაბოც ახლა, ამ სიბრძნის თანახმად, ურიგდება თავის ბედსა თუ უბედობას.

სარდაფს არ დაიწუნებდა აჯაბო, რომ ფაქტიურად ესეც თითქმის სავსებით სხვას არ ეკუთვნოდეს და თითონაც ამ „სხვისგან“ მოწყალების გულისთვის აქ შევრდომილი უბრალო და უმნიშვნელო „ხიზანი“ არ იყვენს. „ხიზანი“ სწორედ ისეთი, როგორიც მას თითონ ათობით და ოკობით ჰყოლია ოდესმე თავის განკარგულებაში, როცა ის ბედნიერების მაღალს ნწვევრვილზე იჯდა და როცა, არა თუ კაცი, დროც კრ მისთვის მუშაობდა, რათა ამ სხვების ნაჯაფითა თუ ნაწრომ-ნადაგით აჯაბოს კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი პირადი ბედნიერების ეს მწვერვალი, კიდევ უფრო გაეფართოვებინა თავისი ამ ქვეყნიური ბატონობა, დაეტკობ და დაეამწვენებინა თავისი პირადი ცხოვრება.

XV

— ადუ, შვილო ნოთიკო, ადუ... ვერა, ხედავ, შვილო, მამაშენი დაბრუნდა? ვილაც სტუმარიც მოჰყვა...

ადუ, გენაცუალოს დედა, ადუ...

მიიჭრა ერთ დროს სალომე ნოთიას საწოლთან, როცა გარედან მოცემულ ნიშანზე მოსულებს კარი გაუღო და ოთახში შემოვიდა რუსეთიდან ახლად დაბრუნებული კაცია, ვილაც უცხო კაცის თანხლებით.

სალომე დასტრიალებდა ნოთიას საწოლს თავს და გაზაფხულის პირველ-სხივ-ნაკრავ ფურტკარივით იყო გახარებული და აფუსფუსებული, ქმრის შინ მშვიდობითა და „უზინათ“ დაბრუნების გამო.

ადრიდანვე განებიურებული ნოთია საღამოობით ერთობ გვიან ბრუნდებოდა სახლში კავალრებთან ჩვეულებრივ ხეტილისგან, რის გამო, დილით ადრე ადგომა უჭირდა და დედაც იძულებული იყო თითქმის ყოველს დილას ეღვიძებინა თავისი ქალი, რათა მას სამსახურში არ დაგვიანებოდა.

ეს დღე კი უშუალოდ იყო და ნოთიას ლოჯინში ნებეგრობას დედაც არ შეუშლიდა ხელს, რომ მათს ოჯახში ასეთ არაჩვეულებრივ მოვლენას არ მისცემოდა ადგილი, როგორც იყო კაციას რუსეთიდან დაბრუნება.

კაცია სწორედ ამ დილის მატარებლით დაბრუნდა თავისი ხანგრძლივი მგზავრობიდან და თან ჩამოიყვანა ვილაც, რომელიც, სალომეს დაკვირვებით, და იმიტომ კიდევ, რომ კაცია სტუმართან სულ რუსულად საუბრობდა, რუსი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად წარსულში კაციას რუსეთის წინაშე ერთნაირი დავალიანებისა, რუსი ამ ოჯახში მაინც ყველას სძულდა და ყველაზე მეტად კი ამ სიძულვილს იჩენდა ქართულ ეროვნულ გემოზე აღზრდილი ნოთია, რომელმაც, ხანტი ხმორებით ლოჯინში თავ-წამოწეულმა, გაქიანურებულ მთქნარების შემდეგ, ბროლივით კბილებში წითლად წაღებავ ტუჩებიდან ძლივას გამოაძვრინა თავისი უკმაყოფილების გესლში ამოვლებული გაოცება:

— რუსიი?... რათ უნდოდა, ნეტავი, რუსი?... ვინაა, თუ იცი?...

მაგრამ შვილზე არა ნაკლებ უკმაყოფილო სალომეს იმაზე მეტი და უარესი, აბა, რა უნდა სცოდნოდა, რომ კაციას მოყოლილი სტუმარი იყო რუსი.

ვინ იყო კაციას თანამხლები ან რისთვის მოიყვანა ის კაცია?

ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ჯერ-ჯერობით არც სალომემ იცოდა რაზე და მით უფრო—არც ნათიამ.

— ეს ვილაც ოხერი რომ აგიკიდნია, ბიჭი რა უყავი?...

ცოტა უკამოფილების ჩენით, შეეკითხა კოტეს შესახებ კაციას სალომე, რაკი დარწმუნდა, რომ უცხო სტუმარს ქართულისა არაფერი გაეგებოდა.

კოტე, კაციას გაპირებით, მოეხსნა სამსახურს და მამის მიერ რუსეთისკენ გაგზავნილ ლეინოებს უკან ხედევნა, ვაზში—როგორც მცველი, ხოლო საქონლის დანიშნულების ადგილზე—როგორც კაციას იქ არ ყოფნის დროს მისი უშუალო პატრონი და ყურის მგდებელი.

— საქმემ შეაჩერა...

საქმის  
შედეგად

მოკლეთ და საქმიანი ტონით მოუჭრა კაცობა თავის ცოლს. კაციას მიერ თბილისიდან გაგზავნილი ლეინო ჯერ უნდა შეჩერებულიყო როსტოვში, როგორც საქართველოზე უახლოეს პუნქტში.

აქ რამდენიმე დღით ადრე მისულ კაციას წინდაწინ უნდა მოესინჯა ბაზრის მდგომარეობა, რათა მომზადებული შეხვედროდა საქონლის მოსვლას მისი მთლად ან ნაწილობრივ აქ გადმოსატვირთად თუ აქიდან შემდეგ პუნქტში გადასავსავნად.

თუმცა კაციას მიერ საზოგადოება — „ლეინო“-ს გამგეობასთან დადებულ ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ კონტრაგენტს ლეინო უმთავრესად კოოპერატიულ თუ სხვა სახელმწიფო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის უნდა მიეყიდა და კერძო მოვაჭრისათვის კი მას მხოლოდ ნაშთის მიყიდვა-ლა შეეძლო, მაგრამ ფასებისა და სხვა პირობების წოსინჯვამ პირადი მოგების სურვილით გატაცებულს კაციას ხელშეკრულება თუ სხვა ასეთი, თავისი აზრით, საზოგადოების წინაშე მხოლოდ „თვალის ასახვევად“ დადებული აღთქმა-შეპირებანი სულ გადააეიწყო.

შინ იმ თავითვე მთლიანად კერძო ფირმებთან საქმის დაჭერა ამჯობინა კოოპერატივებში „დროს კარგვას“, ან კიდევ სხვადასხვა „ზავებისა“ და „ზამების“ კაბინეტების კარებთან ხანგრძლივისა და ზოგჯერ უახრო ყურჯულტს.

— საზოგადოება „ლეინო“-სათვის ხომ სულ ერთია.

მსჯელობდა თავისთვის კაცია:

— მას ოღონდ თავისი გადაუხადო და დანარჩენი რა ნისი საძიებელია, თუ სად და ვის მივყიდე მე „ჩემი“ საქონელი?..

ძველ ვაჭრულ წესებზე აღზრდილს და გამომბრძენილს კაციას სხვანაირად არც შეეძლო მსჯელობა.

ლეინის განაღდება და ამისგან, რაც შეიძლება, მეტი მოგების მიღება — იი, რა იყო კაციას დევიზი.

მაგრამ სწორედ ეს „მიღება“ და საერთოდ საქონლის განაღდება იყო მთავარი.

ამ შემთხვევაში საზოგადოების წინდახედულება, რომელიც ამ უკანასკნელს თავის პრაქტიკაში უკვე საკმაოდ დაგროვილი გამოცდილებით ჰქონდა ვათვალისწინებული, კაციასთვის სახეირო იყო, რომ იმით მას ესარგებლნა, ვინაიდან უმჯობესია ცოტა გქონდეს და ნაღდი, ვიდრე ბევრი და ნისია, რომელიც ხალხის ბრძნული შენიშვნით, ყოველთვის „სხვისია“!..

საზოგადოების გამგეობაც თავისი ხელშეკრულებით სწორედ ამიტომ ურჩედა კაციას კოოპერაციასთან თუ სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სავაჭროებთან საქმის დაჭერას, რომ მას, ერთი მხრით, სწორედ ამ „ნისია-სხვისია“-ისა ეშინოდა, ბოლო, მეორე მხრით, მის რჩევას ხომ უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მიზანიც ამართლებდა იმავე დროს.

ყოველივე ეს შემდეგ გამოანკარავდა, როცა „ურემი გადაბრუნდა“, როცა კაცობა გვერდი აუხვია ხელშეკრულებასაც და სიტყვიერ აღთქმებსაც.

ერეკონული

„ვთუ, სიხარბემ წამწყმიდლო“, რომ იტყვიან, სწორეთ ვაგვამტყუაჲს მეტის მეტის შლამ ჩარჩს.

მთელი თავისი ღვინო კაციამ განსაკუთრებული ხელშეკრულობით გადასცა თავის მხრით ფირმას: „მ. პოდვოხოვების ღვინის საწყობს“, საიდანაც ფული უნდა მიეღო ნაწილ-ნაწილად განსახლვრულს ვადებში, ხოლო თუ ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადებში დაინტერესებული არ გამოცხადდებოდა ფულის მისაღებათ, მაშინ ეს უქანასკნელი ჭკარგაედა მაზედ უფლებას.

ხელშეკრულების ამ მუხლს მისი მიმცემნი აპართლებდენ ფულის ნიშნების კურსის მერყეობით იმ ხანებში.

ნამდვილად კი ვინ იცის რა საიდუმლოება არ იმალებოდა ამ უჩვეულო მოხერხებით აქ ჩართულ მუხლში.

ღვინის მთელ ფასთან შედარებით უმნიშვნელო თანხის წინდაწინ მიცემითა და თავისთვის ასეთი ხელსაყრელი პირობების დადებით — „ძებმა“ ჩაითრიეს კაცია თავიანთ ვაჭრულ ხრიკებით მოცულ ქველში, ეს ამოდენა სიმდიდრე ხელში ჰაიგდეს, საქმე ყოველივე სიბნელითა და ბურუსით გარემოცვეს და შემდეგ დაუწყეს კაციას ნელ-ნელა ყინულზე გაკურება.

როცა პოდვოხოვებმა უური მოპკრეს კაციას უბედობას, რომ იქ, სამხრეთში მთელი უძირო ზღვა არის თურმე ასეთი ღვინისა, რომლის „გემოც“ „ძებმს“ უკვე საკმაოდ ჰქონდათ ამ ეამათ შენაგრძნობ-შენაცნობი, სხვადასხვა ფანტასტიური კოშკების გებითა და თავ-ბრუ დამხვევი შეპირებებით, მოახერხეს კაციას სამხრეთისაკენ გამოკურება, რათა, ამის შემდეგ, მათ თავიანთი დაფარული კომბინაციებისათვის უფრო ხალვათად ჰქონოდათ ხელეტი გახსნილი.

კაციას სტუმრად ნამდვილად კი მხოლოდ გამოსასტუმრებლად. მოსატყუებლად და თვალის ასახვევად თან ჩამოყოლილი პირიც სწორეთ ერთი ამ „ძმათაგანი“ გახლდათ.

ეს იყო გაბრიყვებულ კაციას ხელში შერჩენილი ერთად ერთი ღერი ფრთა იმ ზღაპრული ფრინველის კულიდან, რომელსაც პოდვოხოვების ხელით ოქროს მთები უნდა დაედგა კაციასთვის იმ შემთხვევაში, თუ რომ მოახერხებდენ და საზოგადოებისაგან საზიაროდ კიდევ რამდენიმე ასეულ თუ ათასეულ ვედრო ღვინოს ჩაიგდებდენ ხელში.

კაციას მხრით ამ აზრით თბილისში დაბრუნება იყო, ასე ესთქვათ, ქორის მიერ დაქერილი იხვის ხელიდან განტეენა და, სამაგიეროთ, ახლოს ჩამოჭროლებულ კავახისათვის უკან დადევნება, ამ უქანასკნელის დაქერის მიზნით.

მართალია, ადგილზე დარჩა / გამოუცდელი კოტე, მაგრამ კოტეს „ტემპერამენტი“ სარისტანმა „ძებმა“ იმ თავიდანვე უკვე მშვენიერად შეზომეს.

ამიტომ, კაციას აქეთ გადმოსტუმრება, ხოლო კოტეს ადგილზე დარჩენა, ყოველივე ეს თვით პოდვოხოვების მიერ განზრახ მოგონილი, ოსტატურად დაგრეხილი თოკი იყო, რომლის ერთ ყულფშიც მოყოლებული იყო ახლა კაციას რეტდასხმული თავი, ხოლო მეორე ყულფი კი ხელსაყრელ შემთხვევაში განზრახ-

ხული იყო კოტეს აგზნებული ოცნებისა და საზოგადოება „მტყუნებელ“ ახალი ქონებისათვის.

საბაზი კაციას თბილისში დაბრუნებისა, როგორც უკვე ვსთქვით, საზოგადოებისაგან კიდევ ახალი პარტია ღვინის შიღვის განზრახვა იყო. კაცია იქ ვითომც არაფერს არ ჰქარავდა, რადგან საგზაო ხარჯი ამ შემთხვევაში პოდვობოვებისა იყო, რომლებიც ნამდვილად, პირიქით, სწორედ კაციას ხარჯზე ავგარებდნენ ყოველივე ამას.

სანამ კი ეს გამოირკვეოდა, მიზანი და პრესპექტივა შორიდან კაციასთვისაც დიდათ მიმხიდველი მოსჩანდა და ამიტომ ეს უკანასკნელიც ადვილად დიდირა თბილისისაკენ.

პოდვობოვებსაც სწორედ კაციას ეს აცუნდრუკება უნდოდათ.

## XVI

წინალამის შეპირების თანახმად, ამ დილით ნოთიას ბაღში გასაცილებლით მოსულ კინტირიას, კაციას ჩამოსვლით შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა, რათა ახალგაზრდა ქალის ბაღში გაცილების სასიამო განზრახვა ცოტა უფრო სხვა დროსათვის გადაედო, ხოლო ახლა კი სასწრაფოთ უნდა დატრიალებულიყო, ენახა საზოგადოება „ღვინო“-ს პასუხისმგებელი ხელმძღვანელები და წინწინ მოესინჯა ნიადაგი ახალი კომბინაციისათვის, რომლის მოგვარებასაც ამის შემდეგ ისინი ხვალდანვე შეუდგებოდნენ.

კინტირია მატრო ნიადაგის მოსინჯვითაც არ დამაყოფილებულა და მან თითქმის სავსებით შეაშხადა მეორე დღისათვის ამ კომბინაციების ჩასატარებელი მთელი გეგმა.

ახალგაზრდა კაცს ამოჰქედებდა არა მარტო ნივთიერი სარგებლობა, რომელიც მას თავბრუ დამხვევის სიტყვებით იღუფთქვა რუსეთიდან ჩამობარგებულმა „ღვინის მუსუსმა“, არამედ ის გარემოებაც კიდევ, რომ ამიერიდან კაციას ოჯახში მას გაუჩნდა ახალი, უფრო ცხოველი და ცოცხალი ინტერესიც, ნოთიას სახით.

ყმაწვილი კაცი არა ნაკლებათ იყო ჩამწვარი ამ „ცოცხალს ინტერესში“, ვიდრე ამ უკანასკნელის პატივცემული მამა თავისი დარბაისელი სტუმრით გატაცებული იყვენ ღვინის საყვარულოთ, ანუ უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, —სხვისი ქონებისა და აქიდან მოსალოდნელ გამოოსარჩენის მუჭოთად ხელში ჩაგდების ძლიერი სურვილით.

და როცა საღამოს ფრთებ-შესხმული და იმედით აფართქალბული კინტირია უკან დაბრუნდა, სასიამოვნო ამბებით დატვირთული, პოდვობოვმა შეიცვალა აზრი თბილისიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე კაციასაგან თავის დაბრუნებისა და ჩუმად გაპარვის შესახებ, ვინაიდან მას უკვე ახალი კომბინაცია წარმოუდგა თვალწინ, როგორც რეალი შესაძლებლობა. ასეთ პირობებში სულელი უნდა ყოფილიყო იგი, რომ ამ თავისით მასთან მოგორებული ბედისათვის გულზე ხელი ეკრა.

პოდვოხოვი ასე მსჯელობდა თავის გულში: „გამოდნება კი საქმეა, ხომ კარგი, არა და, თავის დაძვრენას ყოველთვის მოვასწრებო“.

ხელინდელი ბედნიერი წესამღებლობის მოლოდინში პოდვოხოვი მხოლოდ იმაზედ-ღა ჰფიქრობდა, თუ რომელ და როგორ მისთვის უფრო ხელსაყრელ კომბინაციაში ჩაეთრია მას „საზოგადოება“, თუ ენიცობაა ეს უკანასკნელი მართლაც გაბრიყვდებოდა მისდა სასარგებლოთ, ხოლო თავისდა, სახიანოთ და პოდვოხოვს საქონელს მისცემდა.

რა თქმა უნდა, გამოქნილი ავანტიურისტისთვის ის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, თუ ახლად მიღებულ პარტია ღვინოში მას მოცილვ და მოზიარვ არა-ეინ ყუოლებოდა.

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინდაწინ კაცისი და კინტირიას როგორ-მე თავიდან ჩამოშორება, რითიმე მათი შორიგება.

სწორედ ამ მხარეს შიაკტია მან მთავარი ყურადღება და დაინტერესებუ-ლი პირები წინდაწინ შორიგვა ვანსაზღერულ პირობების შიციქმითა და მათგა-ნაც სანაცვლოს ჩამორთმევეით.

საზოგადოება<sup>1</sup> „ღვინო“-ს წინაშე წერილობით ვალდებულებათა დადებას კი პოდვოხოვი სრულიად არ უფრთხოდა.

— ვაეცი, რამდენიც გინდა, თამასუქი, რომლითაც საბოლოო ანგარიშში, რა თქმა უნდა, არაფერს არ ჰკარგავ, ოღონდ კი თვით<sup>2</sup> გასანალდებელი საქო-ნელი ჩივგდ ხელში განუსაზღერელი რაოდენობით, ენაიდან მხოლოდ ეს საქო-ნელია რეალი ღირებულება, ფულიცა და სარგებელიც ყოველს ადგილსა და ყო-ველს დროში. აი, პოდვოხოვის დევიზი!

და, მისდა სანაქებოთ, ხოლო დანარჩენების სამარცხენოთ, უნდა ითქვას, რომ პოდვოხოვემა ჩინებულად შეასრულა თავისი განზრახვა.

კაცის და კინტირიას, ისე ვთქვათ, წაუჭქმითა, რუსეთიდან თან ჩამოყო-ლებულ საბჭოთა ფულის ნიშნების სახით, რომელიც საზოგადოება „ღვინო“-ს მოხერხებით თვითონ ვაცილებით მეტის რაოდენობით აქვე შიილო ბანკიდან. საშაგიეროთ, ორივე ჩააყენა საპასუხისმგებლო ვალდებულებებში საზოგადოების წინაშე, თვალის ასახვევათ რალაც ვექსილებზეც კი წაუწერა ხელი მათაც და „საზოგადოებასაც“, რალაც ძველი „მანდატებიც“ კი მოიშველია ამ საქმეში და ისინი მოხდენილად წამოუჩვენა დაინტერესებულ პირთ. ერთი სიტყვით, ყოველი ღონე იღონა იმისთვის, რათა სრულიად მექთად ხელში ჩაეგდო საზოგადოება „მტევანის“ მთელი დანარჩენი ქონება, ეს რამდენიმე ათასეული მანეთად ღირე-ბული, შხამზარეულად კასრებში მოთავსებული საუკეთესო ღვინის სახით.

თითქმის მთელი კვირის განმავლობაში ტვირთავდენ რუსეთში გასაგზავნ ღვინოს.

კაცია ისე დასტრიალებდა თავს ამ სხვის ქონებას, როგორც საკუთარს ოჯახში გასაწყობ ქორწილს, ან სხვა რაიმე დიდ შემთხვევას. ისეთი საქმიანობა იყო გაჩაღებული ამ „უპატრონო“ ქონების დატაცების ირგვლივ, რომ კაცს ეგო-ნებოდა: „ქვეყანა შენდებოა“!..

კაციაც მოხდენილი მსახიობივით იფერებდა ამ „ქვეყნის მშენებლის“, როლს.

მეორე მხრით, თავის მოსალოდნელ სარგებლობაზე იგი ეყრდნობა მეტსა-  
პფიქრობდა და გულშიც სულ ამ მოსალოდნელობის ანგარიშზე უჩინობდა.

მან კოტეს სასწრაფოთ წერილიც კი უფრინა, საქმის ვითარება აცნობა-  
და სთხოვა ყურადღების გაძლიერება.

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო! ამ ეამად კაციას უკვე იმდენი ინტერესი ჰქონ-  
და ამ საქმეში ჩაბანდებული, რომ არა თუ ერთად ერთი ვაჟი, რომ შესაძლებე-  
ლი ყოფილიყო, ცოლიცა და ქალიშვილიც უნდა დაეტრიალებინა, რათა შემთხვე-  
ვით და მარცხად საღმე უცხაით არაფერი გაბნეულიყო.

გაბნევა და დაკარგვა კი ასეთ მომენტში, როგორსაც კაციას დაკვირვებით-  
მიმდინარე ხანა მაშინ წარმოადგენდა, კიდევ მეტის იყო შესაძლებელი, ვიდრე  
შემთხვევით რისიმე პოვნა, როგორც, მაგალითად, მან იპოვნა სრულიად შემთხვე-  
ვით, ბაღში სკამზე ერთხელ ჩამოჯდომით მთელი ეს ნაწილობრივ უკვე მიღებუ-  
ლი, თუ მისაღებად კიდევ განზრახული სიმღიდრე.

კაციამ, ასე ვსთქვათ, საკმაოდ გაუზინჯა კბილი თანამედროვე ვითარებას.  
გარეგნულად ამ უაღრესად მოქმედებისა და თავგამოდების ხანაში, კაციას და-  
კვირვებით, შიგნით რაღაც ისეთ უჩვეულოსა და ყოვლად გაუმართლებელს ბე-  
დოვლათობას ჰქონდა აქა-იქ ადგილი, რომ ეს გარემოება არა საკადრის მიმარ-  
თულებით ზოგჯერ დიდ პატიოსნების მქონე პირებსაც კი ითრევდა ხოლმე.

საქმის საერთო მხარე კაციას სრულიადაც არ აწუხებდა. მისი აზრით, იმ  
საქმისათვის, სადაც ამ ეამად კინტირიები შეფობდნენ, არც კი ღირდა თავის ატ-  
კივება, არა თუ მისთვის ზედმეტი ერთგულებისა და გადამეტებული გულშემატ-  
კიერობის გამოჩენა. ასეთი საქმე ადრე თუ გვიან, კაციას ღრმა რწმენით, უნდა  
დაიღუპოს და ის დაიღუპება კიდევ. ამისი უტყუარი პირობა არის ის განსხვავ-  
ება მომჭირნეობასა, მოფრთხილებასა და გონივრულ მოპყრობას შორის ძველად.  
მაგალითად, როცა კაციას ჰქონდა თავისი კრძო სავაჭრო, და ებლა, როცა ყვე-  
ლას საზოგადო ბედნიერება ეყრა პირზე, ზოლო საქმით კი ყველა თავისი სა-  
კუთარი ინტერესისავე მიიწევდა, როგორც ნადავლით დატვირთული ჰიანჭვე-  
ლა საკუთარი ბუნავისაგან...

ყოველ შემთხვევაში ამაში ასე იყო დარწმუნებული კაცია და ჩვენც რა  
უფლება გვაქვს ეს რწმენა მას ძალად ჩავეჭროთ, სანამ ის კაციებს თავისით არ  
გაუჭრებათ.

და კაციაც არა თუ სწუხდა, ყოველივე ამის გამო, არამედ, პირიქით, თი-  
თონაც არ დააკლბდა ხელს, თუ კი შენიშნავდა რაიმე ყასიდათ ხელწამოსაკრა-  
ვს. კაციაშეც ნახა არა თუ მარტო ხელწამოსაკრავი, მთელი განძი, უსახლგრო  
ტივითი, რომელიც ეხლა მას ხელსაც ასე უსახლგროდ უმძიმდება და გულსაც.  
მიუხედავად ამისა, მას ნამდვილად სრულიადაც არ ემძიმებოდა ეს ტვირ-  
თი. პირიქით, სწუხდა კიდევ, რომ დაუდევრობა გამოიჩინა, როცა იმ თავიდან-  
ვე ვერ აუღო ალღო ღროს და, თუ არ კინტირიას ბაღში სრულიად მოულო-  
დნელი შეხვედრა და მომდევნო კომბინაციები, კიცის, შესაძლოა, სრულიად  
მოუსარგებლებლადაც კი გამოჰპარვოდა და ხელიდან წასვლოდა ეს რაღაც ნერ-  
ვიულობით ამობოჭრებული საქმიანობის ხანა.

ნანობდა კიდევ კაცია, ამ თავისვე დაუღვერობით ვიკითხე, რადგან და-  
კარგულს, თუმცა უკვე დაკარგულის და ხელიდან გაშვებულის შესახებ სინა-  
ნული და წუწუნის ახლა გვიანდა იყო. საჭირო იყო, რათა ამიერიდან მაინც  
იღარ ჩამორჩენოდა დროს უკან და რამდენიმეთ წასულსაც დასწეოდა, რითაც  
კი ეს შესაძლებელია იყო.

და კაციაც გადაციცებით აღეწებდა თვალყურს შურითა და სიხარბით  
ამღვრულ თვალებს. „მადა ჭამაში მოდისო“, ნათქვამია. და თუმცა გარეგნუ-  
ლად სიძინჯესა და სიღარბაისლეს არ იკლებდა, მაგრამ შიგნით კაცის გული  
იწოდა ძველი გაუმადრობის ენით.

იგი ასე მსჯელობდა:

„თუ კი ბაღში კინტირიას ერთხელ შეხედრამ მის წინაშე გადაშალა სარ-  
ფიანი მოქმედების ვრცელი ასპარეზი და მოგების უძირო ზღვა, მაშ, კვლავაც  
რამდენი უნდა იყვეს ასეთი სახიერო საქმეთა შესაძლებლობა ამ კურთხეულს  
ქვეყანაში. რამდენი კინტირია უნდა იყვეს კიდევ, რომელთაც უწინდელს დრო-  
ში კიტრის ფასდაც კი არავენ ისურვებდა, ხოლო დღეს ქვეყანას ატრია-  
ლებენო...“

და ერთხელ ზვირთების ქეჩოზე შეტევიტივებული კაციაც ახლა ოცნებით  
გამალებით უსობდა ნიჭებს თავისი ბედითა თუ უბედობით დატვირთული  
ხომალდის რაც შეიძლება წინ წასაწევით, რამდენიც კი შესაძლებელია, უმაღ-  
ლესი და უძლიერესი ტემპის განსაფითარებლად...

## XVII

ლენინობისა და პოდგოხოვის რუსეთისკენ შეიღობიანად გამგზავრების  
შეორე დღესვე კაცია ლენინით შეღობილ ძველი თავადივით, რომელიც მომხდარი  
ამბებით იმდენათ გაამპარტავებული იყო, რომ თითქოს თავისი ერთგული მოუ-  
რავი გაეგზავნოს მახლობელ ქალაქში სხვადასხვა გასასყიდით დატვირთული  
ურმებით და არა ვიღაც სრულიად უცნობი ვიგინდარას ხელში ჩაეყაროს ეს  
ამოდენა სიმდიდრეო, იჯდა სარდაფში, აჯაბოს გვერდით, და საზიარო „დუქნის“  
საქმეთა ვითარებას ეცნობოდა.

მარტივი და პრიმიტიული იყო კაცისი და აჯაბოს სარდაფის ბუჰალტე-  
რია, მაგრამ ორივე მხარისათვის კი დიდათ დამარწმუნებელიც იმავე დროს,  
რადგან თითქმის ყოველი ციფრი აქ ორივესათვის ნაცნობი, ნათელი და მისა-  
ლები იყო.

აქ სხვათა შორის არსებობდა დავთარი, რომელშიაც იწერებოდა მონაწი-  
ლეების მიერ „დუქნიდან“ გატანილი თანხები, ასე ვსთქვათ, ოჯახურ საჭიროე-  
ბისათვის.

კაცის თითქმის თავისი რუსეთში გამგზავრების დღიდანვე ოჯახი „დუ-  
ქანზე“ ჰქონდა მიბირებული და ნანაოვაც თუ სხვა რამ სალომეს ყოველ დღე  
აჯაბოსგან მოსდიოდა.

ნახარჯის სისწორე საეცებით აჯაბოს კეთილსინდისიერებაზე იყო მინდო-  
ბილი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აჯაბო ამ საქმეს ჯერჯერობით საეცებით  
პირნათლად ასრულებდა.

მართალია, სალომე სახლიდანვე უწყევდა კონტროლს ხანგრძლივად სწავლობდა, მაგრამ არც აჯაბოსთვის არსებობდა ჯერჯერობით რაიმე გარეგანი მიზეზი, რომელსაც უნდა შეერყია მისი ერთგულება კაციას ოჯახისადმი და მოესპო არსებული კეთილი განწყობილება ამ „ღვთის გულისთვის“ შევრდომილ ხიზანსა და მწყალობელ ალა-მასპინძელს შორის, როგორც იყვნენ აჯაბო და კაცია.

აღამიანი უნდა ყოფილიყო, შავ უმადურობასთან ერთად, საფრთხილო და სახიფათო უგუნურებთანაც გულსავესე, რომ მას, აჯაბოს ადგილზე, გულში გაეღლო ასეთი რამ კაციას ოჯახის მიმართ.

ჯერ ხომ იმდენი დროც არ იყო გასული, რომ აჯაბოს დაეიწყებოდა თავისი უმწყო მდგომარეობა, როცა კაციას სახლში მან პირველად შესდგა ფეხი.

მეორეც—დღეს აჯაბოს მდგომარეობა სავარძნობლათ არის გამოკრთებული. იგი ოჯახსაც ეხმარება სოფელში და თვითონაც მშვენივრად გრძნობს თავს აქ. მართალია, ოჯახს მოწყვეტილობა კი უმძიმს რამდენიმეთ აჯაბოს, მაგრამ ამის გამოსწორების დროც შორს აღარ არის. ერთი სიტყვით, აჯაბოსთვის არ არსებობს მიზეზისა და საბაზის მცირე აზრდილიც კი იმისთვის, რათა კაციას მიმართ რაიმე შეუფერებელი აზრი და ზრახვა ჯერჯერობით გულში გაიტაროს.

ამიტომ სრულიად საკმაო იყო კაციას შეკითხვაზე აჯაბოს პასუხი, რომ პირველის თვალწინ დამდგარიყო სავაჭროში საქმის ვითარებების სასურველი ნათელი სურათი.

კაციამ რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვაც კი უთხრა საერთოდ მიიწევაკრობის დონით უკმაყოფილო აჯაბოს; მოუწონა კიდევ ის, რომ საქონლის ბრუნვისაგან შემოსულს თანხას აჯაბო ხელში არ იჩერებდა და მას იგი, ასე ესტყავთ, ისევე „წარმოებაში“ აბანდებო: იძენდა სხვადასხვა წყაროებით ახალ-ახალ პარტია ლეინოებს და სავაჭრო სერმიას არა თუ არ ასუსტებდა, აძლიერებდა კიდევ.

სახოვადობა „მტკვანის“ ნაქონი თუ კაციას მიერ ნაკიდი ქურჭელი აჯაბოს ახლა თითქმის სრულიად შეეცვალა სხვა ახლად შეძენილი საქონელითა და ქურჭლით, რათა სავაჭრო ნომავალში დახლეულები ყოფილიყო ყოველგვარი უსიამოვნო მოსალოდნელობისაგან.

ყოველივე ეს აჯაბოს მოთათლებული ენით შელამაზებული, მართლაც, რომ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა ამ გამათ უფრო დიდი ინტერესებით გატაცებულ კაციაზე და ისიც, ამ განწყობილებით დატვირთული, უკვე განემზადა სარდაფიდან ამოსვლას სახლისაკენ წამოსასვლელად, რომ აჯაბო ეცა მკლავში და იჭვე გააკაიბა.

— აჯერ ერთი „ტაფა“ შეესდგი, ბატონო კაცია... თქვენი საკადრისი რა რა უნდა იყოს, მაგრამ, მეც რომ ვამეხარდეს, ამიტომ სადილი დღეს ერთად უნდა ექაშოთ.

ღრვეით მიმართა აჯაბომ კაციას, მკლავში ხელი შეუშვა და ჩოხის სახელოზე ეკიდებოდა მოკრძალებით, რათა უხეში მოპყრობით უსიამოვნება არ მიეყენებინა თავისი მწყალობელისათვის.

კაციამ ერთი-ორი გაიწია:

— დაღლილი ვარ.. მოსვენება მინდაო...

მაგრამ კირვეულ მასპინძელს თავი მიიწვ ვერ წაართქვას <sup>ნაქვეყნული</sup> მსა-  
მოწყვეტილივით სკამზე დაეშვა.

— ერთი ისეთი ნათარეული მაქვს, თქვენს სახელზე ჩაიცივებული, რომ...

ტუნების ლოკვითა და სიამისაგან ცრემლ-მორეულ თვალების კარკვლით ეუბნებოდა აჯაბო კაციას და, სადღაც ვითომ მიეშურებოა, ისეთს პოხაში იდგა მის წინაშე.

ერთად ერთი სარდაფის მოსამსახურე ბიჭი, იოსება, ბზრიალისავეით ტრია-  
ლებდა და სიტყვის შემოუბრუნებლად ასრულებდა აჯაბოს ყოველ ბრძანებას.

— ბიჭო, იოსება!..

დასძახოდა აჯაბო და უთითებდა გაურკვევლად საითყენლაც.

იოსება გარბოდა გამყერილი თითის მიმართულლებით, სანამ აჯაბო რაიმე გარკვეულის თქმას მოასწრებდა...

მაგრამ აი, გაისმოდა ნამდვილი ბრძანებაც, რომლის შესასრულებლათ იოსებას ახლა დიამეტრალურად წინააღმდეგის მიმართულლებით უნდა მიემართა გეზი. და იოსებაც სირბილითვე მოტრიალდებოდა წინ გაფრენილ ფეხებზე, რის გამო, ხშირად თითქმის წონასწორობასაც კი ჰკარგავდა, ისე ბრუნდებოდა და გარბოდა ამ ეპაღ უკვე ნამდვილის მიზნისაკენ.

ამ შეუსვენებელს ციებცხელებაში ქანაობდა იოსებას საშეალო სიდიდისა და ისეთივე სიმკრივის ტანი, ხოლო მასთან ერთად, ქანაობდენ მის მკერდზე ჩამოკიდული საათის ველსლის ძეწკვი და წელში გარკობილ საექტავების ვე-  
ბერთელა კონა. ლითონის საგნები თუ მათი ნაწილები ერთმანეთს ეკვროდენ, ეხახუნებოდენ, რკვდენ და მართლაც ქმნიდენ მავურებელში სიამოვნების აღმ-  
ვრელ თავდაღვიწკებული საქმიანობის მაგვარ სურათს.

სადილის მოლოდინში სარდაფში გრძლად გაწოლილი ღვინის ბოთლებით დატვირთული მაგიდა სანახევროდ განათავისუფლებულ იქნა. მაგიდის თავისუ-  
ფალ ნაწილზე ძველი გახეთის ქაღალდები გადაათარეს და ზედ დაალაგეს სადი-  
ლი, რომელიც შესდგებოდა ვეებერთელა ტაფაში საკუთარს წვეწში შეტვიტ-  
ვებულ ცხერის მობრაკული ბარკლისა, პურისა, ცოცხალი კიტრებისა, მწვანი-  
ლისა, თითქმის სრულიად ჭყინტლი, მგვრული გადახელილისა და ორიოდვე ბოთლი ღვინისაგან.

მოხრაკულის მიშხიდველმა სუნმა მოსადილეებს მადა აუშალა და პატარა ხანს უკან ამ მზანარეული სუფრის გარშემო ასტყდა სამი ადამიანის ყბებისა და ხელების დაუსრულებელი ქნევა.

ბევრი სადღეგრძელო წამოიჭრა, ბევრი კეთილი აზრი და სურვილი გამო-  
ითქვა, ბევრი ღვინო დაილია, ბევრა კიდევ დაიღვარა. მაგრამ, რაც მთავარია, ეს ისა, რომ კაციასა და აჯაბოს შორის მეგობრობა ამით თითქმის ერთი-ორად უფრო განმტკიცდა და ვაძლიერდა.

პურმარბილი ადამიანზე ისევე მოქმედობს, როგორც ჯაჭვი—ძალზე.  
აჯაბომაც მწვენივრად იცის პურმარბლის შავიური ძალა.

ის შუღამ ფრთხილად და მიზანშეწონილად მოქმედობს მტრის წინააღმდეგ. თავის სიკოცხლეში აჯაბო მარტო ერთხელ მოსტყუვდა და ისიც ამ ახალი დროს წყალობით, როცა მიხედულობით მანაკ სცადა ექსპერიმენტის გაკეთება, ხონელ ჩარჩთან დაამზანაგების სახით.

მართალია, მოსტყუვდა ამ შემთხვევაში, მაგრამ, სამაგიეროთ, ჰკუა კი საუკუნოთ ისწავლა. ამიერიდან აჯაბო თავს ისე ადვილათ აღარ დაჰკარგავს რომ ვინმე კიდევ გააცრუოს იგი ყინულზე. თუ ამზანაგისადმი ვერაგული მოპყრობა საეაღდებულაა, დეე, ისეე აჯაბომ უნდა დაასწროს! იი, ამიერიდან აჯაბოს დეეიხი.

ღვინითა და სადილით გამოტყინებული კაცია მასპინძელმა სარდაფის კარებამდის ამოაცილა, ჰუჩის კიდემდე მიიყვანა, აქ ეტლს დაუძაბა, სტუმარი ეტლში მოათავესა, ბედნიერი მგზავრობა და ტბილი ძილი უსურვა და ქვეწარმავალივით ისეე თავის სოროში ჩაძერა.

სარდაფში დაბრუნებულმა აჯაბომ ერთი ლაზათთან შეუერთბა ვილაცას, ასე რომ იოსებას, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სუფრის ალაგებითა და სარდაფის გასუფთავებით იყო გართული, კიდევ გაუკვირდა, თავისი ბაზინის ასეთი ტბილი და სასიამო შემთხვევის შემდეგ, უტბათ სრულიად მოულოდნელათ და უმიხეზოთ ასეთი ამყარლება.

მაგრამ „ჩვეულება რჯულის სიმტკიცედ“ ჩაუთვალა თავის წვირიან აღას, ხელში ცოცხი კიდევ უფრო მოიმარჯვა და დაიწყო მისი ჰაერში ისე ძლიერად ჰნევა, თითქოს დემონსტრატულად უნდა აგრძობინოს ამ უშნო ცხოველს, რომ სარდაფის ჰაერს გასუფთავება გჭირება ყოველი შმორისა და სიბინძურისაგანო.

## XVIII

ის იყო, აჯაბო ჩალაგდა თავის „საეარძელში“, ხოლო იოსება მორჩა სარდაფის დაგვას და ახლა ხელში წვირიანი ტილოს ჩერის უწესრიგო ტყაბუნით, თავისი აზრით, სხვადასხვა საგნებიდან მტვერს ჰფერთხავდა, ნამდვილათ კი მტვერს უფრო აყენებდა და სარდაფის ჰაერს ამით კიდევ უფრო ამძიმებდა, რომ ზევით, სარდაფისაქენ ჩამოსაშვებ ხერელის თავთან, გამოჩნდა ჩითახო მარცხიწვერიძე.

მართალია „ჩითახო“ მარცხიწვერიძის ზედმეტი სახელი გახლდათ, რომელიც ცალი ფეხით მისი სიკოკლისაგან უფრო წარმოსდგებოდა, ვიდრე სხვა რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის დამსახურებისაგან, მაგრამ ჭალაჭში მარცხიწვერიძეს მაინც ყველა ამ სახელით იცნობდა. მისი ნამდვილი სახელი კი, არა თუ ვინმე გარემეს, თვითონ ჩითახოსათვის რომ გეკითხათ, მგონი, იმასაც კი გაუჭირდებოდა იმისი მოგონება. დროთა ბრუნვას თან გაჰყოლოდა, როგორც სხვა მისი დანარჩენი კაცური ღირსებანი, ისე ეს ერთი უბრალო სიტყვაც. ამ ჟამად იგი მხოლოდ უბეში შემონახულ საბუთებში-ლა თუ კიდევ ახერებდა თავის შეფარებას შეხავრებულ ხის მორგვზე დაბუმბულ ფერულში თავშემონახულ ცეცხლის ნაპერწკალივით.

არ ყოფილა ხელისუფლება თუ ძლიერი პიროვნება, რომელმაც უმჯობესად შეუნდაც ერთხელ მაინც არ აკვიატებოდა ჩითახო. ის წააგაქდა იმ კულდახარს, რომელიც მუდამ სხეებისთვის ბუზების მოგვრებაშია ჩაბმული, როცა ნამდვილად მას თითონ თავისი საკუთარი თავის სასარგებლო თვით სრულიად უმნიშვნელო საქმის გაკეთებაც კი არ ეხერხება. სამაგიეროთ ამისა, მელას გაჭნილობითა და პირადი გამოსარჩენის ძალღურთხვნით იყო დასაჩუქრებული იგი ბუნებისაგან.

„ფერი ფერსა“—ო რომ იტყვიან, სწორედ ისეთი იყო ამ ადამიანის ანარეკლისა და აჯაბოს მეგობრობა.

— ალას ვახლავართ, ალას!

ჩამოსძახა მადლიდან ხერგლის პირზე ანაზდათ შეჩერებულმა ჩითახომ „საეარქელში“ ყასიდათ ჩაფლემილი კაცის მდგომარეობაში მყოფ აჯაბოს. აჯაბო ხომ ჩითახოზე არა ნაკლებ გაჭნილი და გაიძვერა იყო, მაინც ამ ეამად მათ შორის რომ აღგილები შეგვეცვალათ, აჯაბო, უიჰველია, მის ზემოდ, ხის კენჭეროზე პირში ყველის ნაჭერით დასტუბებულ ყვავის როლისათვისაც კი შეუფერებელი იქნებოდა მელას როლში ხალვათად მყოფ ჩითახოსთან შედარებით.

მიუხედავით ამისა, ამ ორი ადამიანის მეგობრობას მაინც ამტკიცებდა მათი საერთო თვისება და, როცა საშინაო ხუმრობით ერთი მეორეს „ეფიზო“-ს ეძახდა, მეორე პირველს „ალას“ სახელით ადიდებდა. ასეთი ქცევა მათი რაღაც თავისებური ახლო მეგობრობის დამამტკიცებელი იყო მხოლოდ.

გობზე პირგადახსნილ ფელამუშევით გაიდღვება აჯაბოს ნამთელიმარევი სახე ჩითახოს ჩამოძახილზე.

— ოჰ, მობრძანდი, „ეფიზო!“ ნამეტარი დაგაგვიანდა, შენ ნუ მომიკვდე.. არც სიდდერი გყოლია და აღარც სინამარი... ეს არის, ახლა ავდექით, სწორეთ, ა...

— რაშია ალაჯან, საქმე? ვინ იყო?!— ღვინის სმულობისგან მოტანჯულობა რომ შენიშნა აჯაბოს, რეტდასხმულივით დააყარა კითხვები „ჩითახომ“, რომელსაც დანაკლისის შესახებ ცნობის მოსმენა მძიმე ლოდივით შემოაწვა გულზე.

— ვინ უნდა ყოფილიყო? ყველა შინაურები ვიყავით; კაცისა შენც კი იცნობ, ლიქვნიაშვილს...

— გამიგონია...

— ჩემი დიდი მეგობარი და ძველი ნაპურდენევია. პო და, აი, გავიხსენეთ ძველი ხელი... ახლათ-ახლა გავასწრო აქიდან, ა.

— არც ხელი შეგრაზა შენ და არც ფეხი. სახლს თუ ცეცხლი გეკიდებოდა, ვეღარ გააგებე წინ და წინ, რომ ხელები მეც გამეთბო?..

ირონიული საყვედურით მიმართა „ჩითახომ“ თავის მეგობარს.

— არა, შენი თავი არ მომიკვდეს, ისე, ნაუცბათევეად მოხდა ყველიფერი ეს, რომ სამღურავი არც კი ითქმის ჩემზე.

— არა, შენმა მხემ, სხეები გამოაძლე და „ჩითახო“ მადლობას გადაგინდის...

ამ „საჯიბოსურმა ხუმრობამ“ აჯაბო გამოარკვია. ის მიხედავს, რომ „ჩითახოს“ ცუდად ჰქონდა საქმე სწორედ იმ ადგილს, სადაც საეარსლონის სახეობის მიწოლილ აჯაბოს ამ ეამად ხელეები ემყოფილებს აღმნიშვნელი პოზით უდარდელი სიმშვიდით ეწყო. მასპინძლისა და სტუმართმოყვარეობის ინსტიტუტმა იმ წამსვე უკბინა აღნიშნული ადგილის ცოტა ზემოდ.

— ბიჭო, იოსება! შოართვი ჩითახოს კერძი და ღვინო...

წამოიხრიალა აჯაბომ ელდა-ნაკრავივით და თანაც ერთი ისეთი წამოაბოყინა, რომ „ჩითახოსაც“ კი შეჭხარდა ამ დროს იქ ყოფნა.

იოსებამ სუფრა ისევ გაწალა. „კერძათ“ შორთმეულ სადილის ნარჩენს „ჩითახო“ ნამშეირევი მგელივით დაეჭვრა და ერთმაშად დიდრონ-დიდრონი ლუქმებით იწყო ყბების ამოვსება. ზედაც რამდენიმე მოზრდილ-მოზრდილი ქიქა ღვინო დააცეხლა და სულ რამდენიმე წუთში ისიც იმავე მდგომარეობაში ჩადგა, როგორშიც ამ ეამად სიქარბით ბრძანდებოდა იმისი პატიეცეული „აღა“.

— ძან გემრიელი კი იყო აი შენი კერძი!...

მადლობის ნაცვლად, ტუჩებისა და უღვაშების წუწყ კატასავით წმენდით დაატანა ბოლოს „ჩითახომ“, ხელში ტუჩების ნაწმენდი ქაღალდის უწუქვით...

აჯაბომ ბოთლი „ჩითახოს“ ქიქისაკენ ისევ გააქანა, რითაც თავისი ამყვი გულუხვობის დამტკიცებას უფრო ლამობდა, ვიდრე „ჩითახოს“ პატივისცემას, მაგრამ უკანასკნელმა მას ხელი აუკრა და ღვინის დასხმის უფლება აღარ მისცა.

— იოსება! მოიტანე ჭემთვისაც ქიქა...

გაითახოდა „ჩითახოს“ ამ ქცევით კიდევ უფრო ქებზობმული მასპინძელი. მაგრამ „ჩითახოს“ მიერ ღვინის სმის განგრძობის გადაქრით დაუარებაში უკანვე წააღებინა ერთგულ მსახურს როგორც აღის დაძახილისთანავე სუფრაზე შობენინებული ქიქა, ისე შთელი ეს ნასუფრალი.

მაგიდა გადასუფთავდა იმავე წესით, რა წესითაც იოსება ამ რამდენსამე წუთის წინ ასუფთავებდა სარდაფის დანარჩენ ადგილებს.

ამის შემდეგ, აღამ იოსება დაითხოვა, ბოლო სარდაფში დარჩენილ მეგობრებ შორის გაიმარტა ჭეულებრივი ქუჭუნია.

სძულდა იოსებას აჯაბო, კიდევ მეტად სძულდა ეს შატრავეცეა „ჩითახო“, რომლისგანაც მას, ცხოვრების პირობებით დაჩაგრულ შრომელს, არაფერი სარეგლობა არ ჰქონდა, გარდა გაუნართლებელი სინალიდან ქვევით ქედ-მადლური ვადმოხედვისა. „ჩითახოსაც“ კი, იმ „ჩითახოს“, რომელსაც პატიოსან შრომისთან არასოდეს არავითარი კავშირი არა ჰქონია, იმსაც კი თავის „დაბალ ლობეთ“ მიანდა შრომაში დაუხარელი, ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი იოსება, აჯაბოს წახედული, ისიც კი „იოსება“-თი იხსენიებდა მას. იოსებას არავისაგან არასდროს არ სწყენია ასეთი სახელწოდება თავის თავზე. არ სწყენოდა ის არც აჯაბოსაგან. იგი მას მხოლოდ „ჩითახოსაგან“ ვერ მოეწონებინა და ყოველთვის, როცა კი აჯაბოსთან მოხეტეებული „ჩითახო“ მას ამ სახელით მიმართავდა, რაღაც შეურაცყოფის მწვავე ტყვილით ედაღებოდა მას უიმისოდაც დატანჯული გული.

ამიტომ არასოდეს ასეთ მალამოდ არ მოვლენია სარდაფიდან ამოშვალს იოსებას საღამოს სუფთა ჰაერი, როგორც ამ ეამად, როცა იგრძნო, რომ იქ, უკან, სარდაფში დასტოვა მან, თავის აღასთან ერთად, ეს ნეტჩიარა „ჩითახოს“-დაღლილა და დამაშვრალს იოსებას სრულიადაც არ აინტერესებდა ის, თუ რაზედ ისაუბრებდენ ალა და იმაზედ უფრო საძაგელი იმისი სტუმარი-ანელამდელი სასახურიდან წამოსვლა მართო თავისუფლება კი არ იყო იოსებასთვის, იგი იყო სრული შებება, გამოუთქმელი ბედნიერება, უსახლერო ნეტარება.

დავალ-შობილი ოჯახის მეთაური ფრთებ-აწყობილი ფრინველივით მიფრინავდა თავისი ბუდისაკენ.

სარდაფში კი მუსაიფი ისევ კაციზე ვაგრძელდა. აჯაბომ გააცნო „ჩითახოს“ კაცია, როგორც ოდესმე დიდი სიმდიდრის პატრონი. მას ახლაც მოელის დიდძალი სიმდიდრის შეძენა.

და პირიდან სირცხვილ-ნამუსის საცომოხსნილმა აჯაბომ გადმოუღავა „ჩითახოს“ კაციას შესახებ უველა ფარული თუ აშკარა ცნობები. წუწუნით შესჩივლა ამ ვეშაპის ხელში ჩაეარდნილი თავისი მტრედევით სუფთა და მამა აბრაამის ბატკანით აღალი თავის შესახებ, წუწუნითვე გამოსთქვა ნატერა იმისი თავიდან მოშორებისა, როგორც ამ დუქნის მონაწილისა. თითქოს თანაგრძნობას ითხოვს თავისი თანამოსაუბრისაგანო.

თანაგრძნობა მართლაც აღიძრა „ჩითახოს“ ბილწ გულში. მას დაებადა მთელი გეგმა შემთხვევით ბედს წყულ კაციას ხარჯზე ხელის მოთბობისა. კანტიკუნტად ამის შესახებ ცოტა რამ კიდევ წამოროშა დათაფლულ აჯაბოს გასაგონად.

მაგიდაზე ისევ გაჩნდა ჩენი ნაცნობი ბოთლი ღვინო და ქიჭები. თითო-თითოს ორ-ორი ნიყვა, ორ-ორს სას-სამი და სარდაფიდან ნაგვიანედად ამომავალი მეგობრები უკვე ერთმანეთს დანუჭრებულ ორ გემს ჰგაედენ, ზღვის ამობოჭრებულ მკერდზე ერთი მეორის გვერდით რყევითა და ჭანაობით რომ ძლივს მიიკლევდენ გზას წინ, მაგრამ ამ რყევაში ერთმანეთს მოსალოდნელ დაჯახების შუღმძე მარცხსაც რომ გულისხმობენ იმავე დროს.

## XIX

რა ამბავია, შე კაი კაცო, როცა ძალიან საჭირო ხარ, სწორედ მაშინ აღარ გამოჩნდები!..

უსაყვედურა სახლში გვიან დაბრუნებულ კაციას სალომემ, რომელიც რაღაც სადღესასწაულოთ გამოწვობილი შეეფვთა კარებში მოსულ ემარს.

მაგიდასთან იჯდა კონტად გამოწვობილი კინტირია, რომელიც კაციას შემოსვლაზე სწრაფად წამოდგა და მოსულს თავაზიანათ მიესალმა.

კაციას გაუყვირდა და თან კიდევ არ ესიამოვნა კინტირიას ასეთ დროს აქ ყოფნა და მით უფრო მისი ასეთი ქცევა.

მეორე ოთახში სარკესთან შენიშნა პეპელასავით მოკაზმული ნოთია, რომელიც თმებს ისწორებდა.

სალომე გავიდა ოთახში და ნოთიას რაღაც ჩუმად გაანთქკნა და დედა და შვილი გამოწყობილნი იყვნენ ახალ ძვირფას ტანისამოსში, რომელიც მათ ამ დღეებში თვითონ კაციამ უყიდა თავისი ხელით.

არ იანა კაციას ქალების ასეთი მისთვის ჯერ სრულიად უცნობი მიზნით შხალება.

რაღაც ორიოდე მშრალი და კანტი-კუნტი სიტყვით კინტირიასთან გამუსაიფება უდღეური და ხანმოკლე გამოდგა, რადგან ოთახიდან სასწრაფოთ გამოსულმა საშუალო საუკუნოების დედოფელასავით გამოპრანჭულმა სალომემ აღუწა ჭმარს, რომ დედაც და შვილიც, აგერ ბ. კინტირიამ მიიწვია ამელამ ქალაქის ბაღში გამართულ სააფხულო თეატრში, სადაც, თუ უნდა, მასაც, კაციასაც შეუძლია წამოსვლა.

კაციამ თავის დამამცირებლათ მიიჩნია კინტირიას ხარჯზე ასეთი წინადადება და, სახლში მოკდის მომიზეზებით, იუარა სასეირნოთ წასვლა.

კინტირია დაბარებულივით გამოეგვიმა წინ კაციას და დაუწყო ერთი დაუსრულებელი ღრეკა-მუდარა, რათა „ბ. კაციასაც მიეღო მონაწილეობა მათ სამღამიო გასართობში“, ვინაიდან, კინტირიას რწმუნებით, საღამო მეტად საინტერესო იყო მოსალოდნელი, როგორც მოსკოვის საოპერეტო საუკეთესო ტრუპის პირველი ვასტროლი.

კაციამ ცივი უარი უთხრა ამ შემთხვევაში რაღაც განსაკუთრებით მომბეზრებელს კინტირიას და თავი ასე გაიმართლა:

— მაგისტანაები მინახავს?!

კაცია არა სტყუოდა. მაგრამ არც კინტირიას თხოვნა იყო ასე ვასაკუდებელი, როგორც ეს კაციას ეგონა.

მართალია, დიდი შეძლების პატრონს კაციას წარსულში ბევრი რამ იშვიათი და ძვირფასი სასცენო თუ სხვა რამ სახელოვნო გასართობ-სანახაობანი უნახავს, მოპბეზრებია კიდევ ასეთ ადგილებში სიარული და, თუ მაინც დადიოდა, არა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იმდენად, რამდენადაც სახელისა და მოდისათვის.

ხშირად მომხდარა, რომ თეატრში მოსული კაცია, ფოიეში ატარებდა მთელ ამ დროს და სახლში ბრუნდებოდა საკმაოდ ძარღვებ-შებუებული სხედასხვა მაგარი და ძვირფასი სასმელებით.

მაგრამ ახლამდელი საღამო მართლაც იშვიათი იყო. ახალი წესწყობილების ხანაში ჯერ მსგავსი რამ არ უნახავს აქ არავის. ეს იყო საბჭოთა ხელოვნების უმაგალითო მიღწევა და თავისი, უმათერესად ხანში შესულობისა გამო, გულში დაბუდებულ რაღაც ღვარძლოვნობითა და წაყოლის ჯიუტი დაზარებით კაციამ თავს ბევრი აზარალა.

ამისი უტყუარი საკმაო დამაჯერებელი საბუთი იქნებოდა ის, რომ კაციას შესძლებოდა და თავისი თვლით ეხილა ის საერთო სიამოვნება, თითქმის ნეტარებამდის მიღწეული ალტაცება, რომელსაც განიცდიდენ ბაღში მისულები, როცა სახლში დარჩენილი კაცია გულის შემზარავი ხმამალაი ხერხებით

იკლებდა და აყრუებდა ცივით და მუნჯათ მასზედ გადმოიჭრებოდა კედ-  
 ლეს.

ახალგაზრდების მოჯადობა აუწერელი იყო, მაგრამ ამ საერთო სიამეს  
 არც სალომე ჩამორჩენია. მას, ასე ვსთქვათ, გაახსენდა ძველი დრო, თავისი  
 სიამ-ტკილობით სავეს წარსული. რაღაც ანარეკლივით თითქოს კიდევ აღ-  
 სდგა მის მეხსიერებაში ეს წარსული ფართე ცხოვრება, თუმცა ნაძალადეობაც  
 ზედვე ემჩნეოდა მის საბეზე ფართოდ გაბადრულს საზეიმო შარავანდელს.

ნოთია ზეიმით სულ ბრწყინავდა და სილალით თითქმის შეუსვენებლივ  
 ფრინავდა. მას ნიადავ გვერდს უშვენიებდა ერბოში შეტოპილ ყველსავით სა-  
 ზაფხულო ტანსაცმელში აბრიალებული კინტრია, რომელიც ფარვანასავით ეე-  
 ლებოდა თავს თანამზღებ ქალებს, უფრო კი, რა თქმა უნდა, ნოთიას, რომელ-  
 საც იგი სულ თან დასდევდა, როგორც სიმშვენიერის დედოფალს—თაყვანის  
 მცემლობასა და მცველობის ერთგულებაზე შეფიცული პატი.

გარეშე ხალხს თვალში ეკლად ესობოდა წორეს გადასული კინტირია  
 ქცევა. რამდენიმედ იგი არც სალომეს მოსწონდა, მაგრამ კადრებით კი ვერა-  
 ფერი ეკადრებინა ამჟამად თავისი და, რაც მთავარია, თავისი ქალის უზომოთ  
 დამეალელებისა და პატივის მცემლისათვის.

წარსულში სიმდიდრესა და ფუფუნებას მიჩვეულ ხალხის წრიდან გამო-  
 სულს ნოთიას, ამ უკანასკნელს წლებში ბევრი რამ აკლდა. ამიტომ ამ გარე-  
 მოებით გულნატკენ დედას საშვალემა წართმეული ჰქონდა, რათა ახალგაზრდა  
 ქალი მოეწოდებინა სიღინჯისა და თავჭერილობისაკენ.

— შეილო, მოგიკვდეს დედა, მოწყურებული ხარ ფრთების გამოსასა და  
 განავარდებას!..

ამბობდა თავის გულში ცხოვრებას გადანახედი სალომე და სიამით ადევ-  
 ნებდა თვალს ახალგაზრდებს.

უკვე შეუღამეს გადასული იყო, როცა წარმოდგენით განართობი და ვახ-  
 შით დანატკობი სამეული შოადგა კაცის ბინას.

დიდი შრომა და კარებზე ბრახუნი დასჭირდა სალომესაგან კაცის გამო-  
 ლეიტებას.

ბოლოს, როგორც იყო, იჭრიალა კარმა და ნამძინარევა კაციამ, თვალე-  
 ბის ფშენეტიითა და გაბაროტებული ყვედრებით, ძლივს მიიღო შეუფერებელ  
 დროს სახლში დაბრუნებულები.

ამ მიღებამ კინტირია ცოტა უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩააყენა. ყვე-  
 ლაფრიდან სჩანდა, რომ ყმაწვილ კაცს გული უკან რჩებოდა და სახლში წასვლი-  
 ეძნელებოდა, მაგრამ კაცის ამღვრეთლმა სახემ და გულცივმა ბურტყუნმა თა-  
 ვისი გაველნა მოახდინეს ვინტირიაზე, რომელსაც უსიამოვნებისაგან გულის ტო-  
 კვა მალე დაუტბრა და შეუნელდა.

კარებში ქუდის ხდითა და ქალების გულწრფელ მადლობაზე თავისი ნა-  
 ძალადევი ღიმილიანი გამომშვიდობებით და წელში გრეხით ძლივს მიატოვა  
 კაცის ბინა და გულდაწყვეტილმა, თითქმის განადგურებულმა დონკუანმა აუ-  
 კიდა სახლისკენ ჩვეულებრივ ტენტერს.

— აა, ბერძნული რაღას უყვდის? რათ არ ჩაიღრძობა... მილაბარაკობდა სახლისკენ მიმავალი კინტირია და ვაზრობით ჯავრობდა კაციაზე, თუმცა, რომ გვეითხათ, ვერც კი გეტყუდათ, თუ რითი ამართლებდა ის თავის ამ გულმოსულობას ამ შემთხვევაში სრულიად უდანაშაულო ადამიანზე.

— მოგიკვდეს ბიჭი—კინტირია, თუ დედა არ გტყუროს და თავისი ვერ შეასრულოს!...

ატანდა ის თავის გულმოსულობას აღნიშნულ მუქარასაც, თუმცა, რომ გვეითხათ, თუ ვის ემუქრებოდა იგი ამ სიტყვებით, დარწმუნებული ბრძანდებოდათ ვერაფერსაც ვერ მოგიგებდათ, რადგან არსად არ ჩანდა აშკარა მტერი, რომელზეც მას მართლაც უნდა ეყარა ჯაერი...

## XX

რუსეთიდან საბასუბო ცნობების დაგვიანებით დიდ საგონებელში ჩავარდნილმა კაციამ, რაკ თავისი ანგარიშით დარწმუნდა, რომ ახლა პოდვობოვი თავისი საჭონლით უკვე ადგილზე იქნება მისული, სასწრაფოდ იწყო რუსეთში გასამგზავრებლად მზადება.

სალომე გულმოდგინეთ ჩაულაგა ყველაფერი, რაც კი კაციათვის გზაში აუცილებელი იყო. მოსიყვარულე დედას არც კოტესათვის დავიწყნია ორი ხელი სრულიად ახალი თეთრეულისა და სხედასხვა „ჩეტეტების“ გაგზავნა. ასეთი მზრუნველობა ერთად ერთი ვაჟისადმი ამჟამად იმით იყო კიდევ გაძლიერებული, რომ აქამდე „უხეირო შეილი“, როგორც მას მზრუნველი დედა ხშირად ეძახდა ხოლმე, ახლა საშოვარზე წასვლით გრძობიერი დედის თვალში უცბათ ამაღლდა, ვაიჟსო და დავაგაკადა.

კაციაზე არა ნაკლებ ტკბილი მოლოდინებით იყო აღფრთოვანებული ოჯახის გულმეშვირე დიასახლისის ზრუნვა. თეთონ იმისთვის იყო ასეთ ფაცაფეცში და ქმარსაც იმიტომ აჩქარებდა წასასვლელად, რათა ეს მოლოდინები კიდევ უფრო მოეახლოებია.

— როგორც კი საქმეებს მოჩრეთ, ერთი დღეც აღარ შეისვენოთ, მაშინვე სახლისკენ გამოეშურეთ-ო...

ასეთი დარიგებით ისტუმრებდა სალომე ქმარს.

კაცია უსშენდა ცოლს. იგი მიზხედარი იყო ქალის სულსკვეთებას. სალომეზე ნაკლებათ არც კაციას უნდოდა, რაც შეიძლება ადრე მოგვარება ყველა საქმეებისა და ისე მშვიდობიანად, „უმარცხოთ და უზიანოდ“, როგორც თვითონ იცოდა თქმა, უკანვე დაბრუნება, თავის ოჯახში.

მაგრამ ამავე დროს კაცია მშვენიერად იცოდა ისიც, რომ სურვილსა და სინამდვილეს შორის ასეთ შემთხვევებში მუდამ დიდი მანძილია. სწორედ ეს აზრი და მისთან შექაქმირებული იქვები იყო, ლოდივით რომ აწვა ახლა კაციას გულსა და გონებას, და ასაჩქარებლად ამოძრავებულს ხელსა თუ დეხებს რაღაც მძიმე ბორკილებსავით ეხლართოდა, უკრავდა მათ და წარა-მარა უფერ-ხებდა.

რალაც განსაკუთრებულ ნერვიულობას განიცდიდა კაცია ამ მხარეში მოსახლეების წინ. ეს მისი მოუსვენრობა თითქოს სალომესაც კი გადაედო. მარჯში მოსაქცევი რომელიმე ნივთი არა ერთხელ მოუტანია შეხვეული, მაგრამ დაეიწყინა მისი სასურველს ადგილას მოათავსება, შეუკრავს დანარჩენი ბარგი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუსწრია თვალი გამოტოვებული ნივთისათვის.

— უი, თვალეზი დაუდგა ჩემს მტერს!

წამოიძახებოდა ხოლმე ამ შემთხვევით კიდევ უფრო დარეტიანებული სალომე და სასოწარკვეთილივით შეუდგებოდა ერთხელ შეკრული ბარგის ვახსნას და, დაეიწყებულ ნივთის შიგ მოათავსების შემდეგ, ხელმეორედ ისევ მის შეკვრას.

ასეთი უმადური და უდიერი შრომით დატვირთული სალომე საყვედურებითა და წყევლებით ავსებდა ქმარს, რითაც თავბრუს ახვევდა უმისოდაც ციებთან ქათამივით დარეტიანებულ კაციას.

ფიქრებში წასული კაცია კი ისმენდა ცოლის ასეთ ბუზღუნს და გამანადგურებელი სიგულგრილით ითმენდა მას.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა კაცია ეტლით მიადგა რკინის გზის სადგურს. მატარებელი 11 საათზე გადიოდა, მაგრამ კაციას აქ უნდა ენახა იოსება, რომელიც, კაციას დავალებით, აჯობოს წინ-წინ უნდა გაეგზავნა სადგურში კაციასათვის ბილეთის შესაძენად.

ერთგული და გამოცდილი მოსამსახურის ძებნა კაციას დიდხანს არ დასჭირვებია. უკვე შენაძენი ბილეთით ხელში იოსება კარებშივე შეეფეთა კიბეზე სწრაფად ამავალს კაციას და ბილეთი და მონარჩენი ხურდა მოკრძალებით წინ შეაგება.

კაციამ ბილეთი გამოართვა; ხოლო ხურდა აღარ აიღო, მსახურს მადლობა გადაუხადა და ბარგით პირდაპირ ბაქანზე გასასულელ კარებისაკენ გასწია.

მადლიერმა მსახურმა აღისთვის ხელიდან ტვირთის ჩამორთმევაც კი სცადა, მაგრამ კაციამ მას ამისი ნება არ მისცა და — „ღუქანს წმიხედუ“-ო — ამ სიტყვებით თავიდან მოიშორა.

იოსება უკან გამოტრიალდა, ხოლო კაციამ სადგურის დარბაზში დაიჭირა ადგილი.

პირველი ზარის ხმა გაისმა და რიგში დამდგარი ხალხიც ბაქანზე გასასულელად დაიძრა.

ხალხის ამოძრავებულმა მდინარემ ნაფოტივით შეისვა ფრთებზე კაცია ლიქენიაშვილი და სადგურის პირლია ბაქანისაკენ ანახლათ გაიტაცა.

გაგრძელება იქნება.



## დასავლეთის ფრონტი უკვლავი

(დასასრული<sup>1)</sup>)

ჩინებული თანამდებობა მოვიხელოთ. ჩვენ რვა კაცი ერთ სოფელს ვუღა-  
რაჯებთ. ამ სოფელს აუტანელი ცეცხლი ზედებოდა, ამიტომაც დაუკლიათ.  
უბირატესად სასურსათო საწყობს ვიკავთ, რადგანაც იგი ჯერ კიდევ არაა და-  
კლილი. საზრდო თავად უნდა ვიშოვნოთ. ჩვენ ხომ დახელოვნებული ვართ  
ასეთ საქმეებში; მთელი ჩვენი ჯგუფი აქაა: კატი, ალბერტი, მაულერი, ლერი,  
დეტერიინგი და მე. ესაა ოლონდ, ჰამე ვესტუსი აღარა გვყავს. უნდა ითქვას,  
ესეც დიდი ბედნიერებაა. სხვა ჯგუფებს უფრო მეტი დანაკლისი აქვთ.

ერთ ქვითკირის სარდაფში დავბინავდით, შესავალიც ქვითკირის კედლი-  
თაა დაცული. კიდევ ერთხელ მოგვეცა შემთხვევა რომ ოდნავ მიინც სული მო-  
ვითქვათ. ასეთ შემთხვევებს ჩვენ არც ისე იოლად გავუშვებთ ხელიდან. კაცმა  
რომ სთქვას, ჩვენი მდგომარეობა ისე უნდგეშოა, რომ ხანდაზმულ სანტიმენტა-  
ლობის თავიც აღარა გვაქვს.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია: რაც შეიძლება ნაკლებად სანტიმენტალი ვიქნეთ და  
მეტად საქმიანი; იმ ზომამდის საქმიანი, რომ ხანდახან ძველი დროიდან გა-  
მონაჯონი ფიჭვი ისე ამაფორიაქებს, თავათ შემეშინდება.

ეს ფიჭვიც დიდხანს არ იცდის თავში.

ჩვენ იბულებული ვართ, რაც შეიძლება იოლად ვუცქიროთ ჩვენს მდგომა-  
რეობას. ამიტომაც ყოველ შემთხვევას ვებლაუქებით ამ მდგომარეობის შესამ-  
სუბუქებლად. ამიტომაც ჩვენს ყოფაში ერთმანეთზე გადახლართულია საშინე-  
ლება და ჩვენი შლეგური ოხუნჯობა. ჩვენ სხვარივად ვერ მოვიქცევით. ახლაც  
დიდი ფაცა-ფუცია ატეხილი. ძლიერ მოწადინებული ვართ ლორმუცელობისა  
და ძილისგულობის იდილია შევქნათ რამენაირად.

უწინარეს ყოვლისა, მახლობელ სახლებიდან ლეიბები გამოვათრიეთ და  
იატაკზე დავფინეთ. ხანდახან ჯარისკაცის უკანალსაც უბდება ხოლმე რბილად  
დაჯდომა. მხოლოდ სარდაფის შუაგულში დაეტოვეთ ცარიელი ოლე. მალე სა-  
ბნები და ბუმბულებიც ვიშოვნეთ. ასეთი რამეები თავსაყრელზე მეტიც მოიპო-  
ვება ამ სოფელში.

მე და ალბერტმა ერთხელის საცეცი საწოლი ვიპოვნეთ, საწოლს ჩინებუ-  
ლი აბრეშუმის ბალდახინი აქვს, ბალდახინი საუცხოვო ნაქსოვებითაა მოჩითუ-  
ლი. ვადმოტანის დროს ოფლის ხეითქი გადაგვდიოდა, მაგრამ ასეთი რამ არ  
უნდა გაუშვა კაცმა ხელიდან, მით უმეტეს, ორიოდ წუთის შემდეგ იგი ყუმბა-  
რების მსხვერპლი გახდება.

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“ № 2-3.



მე და კატ დასაზღვრავად დავდივართ კარ და კარ. სულ მცურავს კვირადე კერცხი და ორი გირვანჭა ახალი კარაქი ვიწოვნეთ. უცებ მებობელ ოთახში ტურციული ვაისმა და იმ ოთახში სადაც ჩვენ ვიყავით უშველებელი თუჯის ღუმელი შემოაფრინდა, სულ ერთი მეტრის ნანძილზე ჩაგვიქროლა, კედელი ვაიმტერია და გარედ გავარდა. ორი უშველებელი ხერელი გააკეთა ერთ წუთში. ის ღუმელი მეორე სახლიდან გადმოუტოროცნია იქ დაცენულ გრანიტას.

„ბედი გვეწვია“ იკრიბება კატ და ძებნას განვაგრძობთ. ერთბაშად სური ვცქირეთ და ნოკურცხლეთ. ისევ შევდექით და მონუსხლსავით ვიციკრებით: ერთ სალორეში ორი გოჭი დალოდაეს. თვალებს ვიფშენეტთ და ვუთვალთვალელებთ: ისინი მართლაც ცოცხლებია. ხელით ვეხებით. უმჯველია, ორი ნამდვილი გოჭი!

საუცხოვო სადილი გვექნება. ჩენი ბინიდან ორნოცდაათ ნაბიჯის მანძილზე ერთი პატარა სახლი სდგას, ნანდ ოდესღაც ოფიცრები ყოფილან დაბინავებული. საშხარელოში უშველებელი კერაა გამართული. აქვე მოიპოვება შამფურები, ტაფები და ქვაბები. აქ ყველაფერი ბლომდაა, პატარა ხულაში ნაფორტი და ფურფუშელაც კი მოიპოვება!

პირდაპირ საოცნებო სახლია:

ჩენთავანი ორი დილიდანვე მინდორ-მინდორ დადიან და ქართოფილს, სტაფილოს და ცერცეს დაეძებენ. ჩვენ გავზულუქდით და კონსერვებს არაფრად ვავდებთ, ახალ-ახალი საზოგადე გეინდა. საეუწნაოში ორი თავი კომბოსტო გვეგულება.

გოჭები დავკალით. საქმე კატმა დაივალა. შეწვევარს ქართოფილს ქადები უნდა ახლდეს. ქართოფილის სახეხი აღარსადაა, ეს საქმეც მოგვარდა. ლურსმნით, დაწხვლიტეთ თურუქის ნაგერი. სამა კაკმა სქელი თაიმანი ჩაიცვა ხელზე რათა ამ საქმიანობის დროს თითები არ გავფუჭებინათ. ორიც ქართოფილს ფცქნის და ეს ყოველივე სწრაფად კეთდება.

გოჭების, სტაფილოს და ცერცვის ნომხადება კატმა იკისრა. წარმოიდგინეთ კომბოსტოს ყვეილს მოთეთრო წვენიც კი გაუცეთა. მე ქართოფილის ქადებს ვაკეთებ, ერთბაშად ოთხ-ოთხს. ათი წუთის შემდეგ ისე დავებლოვინდი, რომ ტაფიდან ავდებული ქადა ბერში შეტრილდება და შეუბრაწავი მხარე ლანდის უსწრაფესად ტაფაზე მოექცევა. გოჭები ერთიანად შეეწვით. ყველანი ისე შევცქირით გაჩაღებულ კერას, როგორც სათნოების მომგვრელ საკურთხეველს.

ამასობაში სტუმრად გვეწვია მონაპერწყლე ასეულის ორი ჯარისკაცი, რა თქმა უნდა. წამსვე გულუბვობა გამოვიჩინეთ და მოვიატაკეთ. ისინი იმ ოთახში დავსვით, სადაც როიალი სდგას. ერთი მათგანი უკრავს, მეორე ნღურის ლექსს: „ვეზერის პირად“. იგი საესე გრძობით მღერის, მგერამ ოდნავ საქსანურ აცცენტზე. ნიუხედავთ ამისა იგი ჩვენ გულუმს ათროთლებს. მასპინძლები კერის გარშემო ვტრიალებთ.

ნელ-ნელა ვატყობთ რომ საცაა რია-რია დაიწყება. სათვალთვალო ბაერო-

## ერეკნულე

პლანებს ჩენი საკომპოზისთვის თვალი მოუკრავთ და ცდილობენ გვესვრიან წვრილ საფანტეიან ნაწარმსროლებიდან. ამგვარ ქვეყნებშიდან ნასროლი წვრილ-წვრილ ხერხელებს სტოვებენ.

ტყეების ზუზუნი და წივილი უფრო და უფრო ძლიერდება, მაგრამ სადილას მიტოვება არ შეგვეძლო. გრანატის ნაწახურევა სამხარეულოს თანჯარები შემოღწვა. შემწვარის ჭამას მოვრჩით. ქართოფილის ქაღების გამოცხობა გავვიძინელდა. ტყეა მარცვლობით სცეცია სამხარეულოში და კედლებს ეხეთქება როგორც კი ზუზუნი შემომესმება, წამსვე ტაფას ხელს წამოვავლებ და ზუზულებზე ვეცემი. ისევ წამოვბტები და ჩემს საქნეს განვაგრძობ.

ერთი ნაწახურევი როიალს მოხედა, საქონელებმა დავერა და სიმღერე შიატოვებს. უკვე სანახევროდ მოვთაფეთ ყოველივე და უკუქცევისათვის ვმზადები. ერთხელ კიდევ დაიგრიალა და ორმა კაცმა კომპოსტოს ქოთნებს ხელი წამოვღეს და ჩვენ სარდაფისაკენ მოკურცბლეს.

აქედან ეხედავ თუ როგორ მიღწიეს თავწესაფარს.

ახლა კატი და კროში ჩვენს შედეგებს შევქცევიან. სახელდობრ: შემწვარი გოჭის ხორციით საესე დიდ ტაფას.

ამ ოთახში კი, სადაც ჩვენ დავრჩით, ისევ გრიალ-გრიალი გაისმის, ისევ ვიწოქებ.

უკვე უკანასკნელი ოთხი ქადაც გამოვაცხეე. ორჯერ კიდევ მომიხდა წამოწოქება. რა შექნა? ეს ჩემი საყვარელი საქმელია.

ხელი დავავლე ქაღებით სავსე მათლაფას და ეუტივ აქაფრობას. ზუზუნი, ტურციალი მოისმის და რაც ძალი და ღონე მქონდა მოვცოცხე. ამა სავსა თავწესაფარს უნდა მივალწიო და ერთბაშად გაასკეცბული ზუზუნი შემომესმა ირემსავით შევბტი. ნაწახურევები კედელს მიეხალა და სარდაფის კიბეში ჩავეშვი, კედელზე იდაყვი მივახალე, მაგრამ საინი ისე მაგრად მქონდა შეკრდზე მიხუტებული, რომ არც ერთი ქადა არ დამიკარგავს, არც საინი გამვარდნია ხელიდან.

ორ საათზე ჭამას შევუდღქით. ნადიმმა 6 საათამდის გასტანა. შეიღის ნახევრამდის ყავას შევქცევივით (ყავა ოფიცერთა კაზინოს სათადარიგო სურსათიდან მოვიტანეთ). თანაც ამავე კაზინოდან გამოტანილ სიგარებს ვაბოლებთ. ზუსტად შეიღის ნახევარზე ვახშამს შევუდღქით. ამ საათზე გოჭის ძვლები კარის ალაგთან გადავყარეთ. ახლა კონიაკისა და რომის სმას შევუდღქით; კვლავ სქელ-სქელ სიგარებს მივყავით ხელი. ტიადენი ამტკიცებს: ამ ნადიმს მხოლოდ ოფიცერთათვის გამართულ საროსკიპოს ბოზუბი აკლიაო.

გვიან ღამით კნავილი შემოგვესმა. პატარა ნაცრისფერი კატა კარისალაგთან დაცუქულა. შემოვიტყუეთ და დავაბურეთ. ამ ამბავმა ისევ ჭამის მადანზე მოგვიყვანა. ვწევართ, ვიღებებით და ისევ ვიძინებთ.

სამაგიეროდ ძილი გავეკერთა, ახალი, ძუძუთა გოჭის ხორცი ცუდად მოქმედობს ნაწლევებზე. ვახშირდა ფეხსადგლისკენ რბენა. ორ-ორი კაცი განუწყვეტლივ ნიფხავ-ჩახდილი დაუწყულა ჩემმაში, კენესა და წყველა მოისმის. მე თავად ცხრაჯერ გამოვიყანა. ოთხ საათზე რეკორდს მივალწიეთ. თერთმეტევე, ჩენი სტუმრებიანად ჩემმაში ვზივართ.

## ეკონომიკური

ცეცხლ წაქიფებული სახლები ფაქტობრივად ქატიკების მიერ დატყვევების გრუხუნ-გრუხუნი მოგვესმის. საარტილერიო საქურველით დატვირთული ეკიპაჟების რაზმ-რუხი შემოგვესმის, სათადარიგო სანოვაგის საწყობის ერთ-ერთი შრამელი ჩამოაგლიჯა ცეცხლში. ამისდამიუხედავად ნაყარ ფუტკარსავეთ მისევია ჯარისკაცები და პურს იპარავენ. დღე წაიღონ. წინააღმდეგობა რომ გაუწიოთ ბევრს გვირტყანენ. მატომაც არაფერს ვამბობთ.

ჩვენ ვუბნებით გუშაგები ვართ-თქო, აქაურობის ავანჩავენი კარგად გვესმის და ამიტომაც ყველაზე უწინ დავითრიეთ კონსერვები. ამ კონსერვებს ზოგჯერ სხვა საჭირო საგნებზე ფუტკლით ჯარისკაცებს. სულ მოკლე ხანში ყოველივე დაიღწა. საწყობიდან შოკოლადები გამოვიტანეთ და შევეჭკვეით. კატი ამტკიცებს: სულწაბულ სტომას შოკოლადი ძლიერ რგებსო.

თითქმის 12 დღე ტავა-სმაში და სეირნობაში გავატარეთ. არავინ ხელს არ გვიშლის. სოფელი ნელ-ნელა გრანატებს ქვეშ ექცევა, ჩვენ კი ბედნიერ ცხოვრებას ვეწევი. სანამ სურსათის საწყობის ნაწილი მიანიც დარჩენილა, ყველაფერი ფეხებზე გვკიდია და ჩვენი სურვილი ეს არის: ომის გათავებამ ამ მდგომარეობაში მოგვისწროს.

ტიაღენი იმდენად გააკვირვდა, რომ სივარებს ბოლომდის დაწვას არ აცლის, ისე ვადავადებს. იგი ცხვირბაზუბებული აცხადებს: მე ასე შეგვევიაო.

კატიც ძლიერ გამოკაცბლდა. დილა ადრეიან ბალიშიდან თავს წამოპყოფს და ყვირის: „ემილ ხიზილალა და ყავა მომართვი. საერთოდ ჩვენ აქ არისტოკრატიული მანერები დავკვამდა. ყოველი ჩვენგანი ამხანაგს მზღებელად იყენებს, დაუძახებს და განკარგულებებს აძლევს.“

— კროპს ფეხის გულზე მეფხანება, მოდი ერთი ტილი შეიპყარი და მომაცილე.

ასე მიმართავს ლერი კროპს და მოცუკვეთ ქალსავეთ ფეხს უშვერს. სამაგიეროდ ალბერტი ხელს წაავლებს ფეხზე და სარდაფის კიბეზე ჩაათრევს.

— ტიაღენ.

—რა იყო?

— შეგიძლია გაინძრე. სხვათაშორის „რა იყო“ კი არ უნდა, არამედ: „რა გნებაეთ“? და ასე ტიაღენ!

ტიაღენი მაღიანი გინებით უმასპინძლდება.

რვა დღის შემდეგ ბრძანება მოგვდის: პოზიციისაკენ წამოდიოთ. „დიდების დღენი“ განქარდენ. ორ სამარგო ავტოს მიეყვართ. მათზე ფიცრებიც დახორავილია. ამ ფიცრებზე შეედგით მე და ალბერტმა ბალდაზინიანი საწოლი. ყოველ სასთუმალს ქვეშ სანოვაგის მარაგია შენახული. ჩვენ წამ და უწამ ცინჯავთ მაგარ ძებვებს, ლივერის კუბატების კოლოფებს, კონსერვებს და ეს ჩვენს გულს სიხარულით აესებს. ყოველ ჩვენგანს თითო ტომარა საგზალი თან მიატქს.

მე და კროპმა, გარდა ამისა, ორი უშველებელი ხავერდის სავარძელი წამოვითრიეთ. ისინი საწოლზეა მოთავსებული და ჩვენც არხეინად ეზივართ ზედ, თანაც თავს ისე ვგრძობთ, თითქოს თეატრის ლოჯაში ვისხდეთ. გრძელ-გრძელ სივარებს არხეინად ვაბოლებთ. ამ სიმალიდან გადავსცქერიოთ გარემოს.

ჩვენს მახლობლად თუთიყუშის გალია სდგას. ეს გალია <sup>მეტივე მშობისავე-</sup>ნად გამოიჭრა კეთილად. ზის ფისუნია ამ გალიაში, წინ <sup>წინა</sup> ნორკით <sup>წინა</sup> სავსე ჯამი უდგას, ნებიერად კრუტუნებს.

აგტოები ნელის ტემპით მოძრაობენ.

ჩვენ ვმღერით.

ჩვენს უკან, მიტოვებულ სოფლიდან გრანატების ტყეა-ტყუი მოისმის.

რამოდენიმე დღის შემდეგ სანგრებიდან გამოვდივართ, ერთი ადგილი მტრის რაზმეულებიდან უნდა გავიქცეთ. გზა და გზა გამოქცეულ მცხოვრებლებს ეხედებით, ხალხს თავის ბარგი-ბარხანი თან მოაქვს, ზოგს ურმით, ზოგს ზურგით, ზოგს ხელურებით, ზოგსაც საბავშვო გოგორებით.

მოდინა წელში მოდრეკილი, დარდისაგან სახე დაღარულნი, სასოწარკვეთილნი და ბედს დამორჩილებულნი. ბავშვები დედებს ებლატებთან, ხან-და-ხან ოდნავ მოჩიტულ გოგონას ბაწია ბაღლი მოჰყავს. ზოგიერთს საცოდავად გაუცქვნილი დედოფალები თან მოჰყავს. ყველანი ხმა ჩაქნენდილნი გვერდს ვეივლიან.

ჩვენ სალაშქროს ნაბიჯით წინ მივიწვევთ, ვიცით: ფრანგები ისეთ სოფლებს არ ესტრიან, საიდანაც ვლუხობა ჯერ არ წასულა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ყვირილი მოგვესმის, მიწა შეირყა, ერთი ყუბბარა ჩვენი რაზმეულის უკანა რიგებს მოხვდა. წამსვე დავიფანტენით და წაეწვეით, მაგრამ იმ წუთშივე ვიგრძენი რომ ის განწყობილება დავკარგე, რომელიც ასეთ შემთხვევაში ქვეშეცნულად მაკეთებინებს იმას, რაც საჭიროა; „ვინ დავიღუბე“ მეოქი—ამ ახრმა თავ-ზარდამცემ შიშთან ერთად გაიფლავა ჩემს თავში და სულ მცირე ხნის შემდეგ შოლტივით მოხვდა რაღაც მარცხენა ბარკალზე. ამასობაში ალბერტის ყვირილიც შემომესმა. ისინი ჩემს მახლობლად წვანან.

— ადუ ახლავ ალბერტ, ეუყვირი, ჩვენ ღია მიწაზე ვწევართ.

იგი წამოხტა და გარბის. მეც გვერდით მიესდევ, ერთი ჯაგინი ლომე უნდა გადავვლო. იგი ჩვენზე მაღალია. კროპი ერთ ტოტს წაეპოტინა, მეფეხში ხელი ვტაცე, მან წამოიყვირა, ეუბიძგე და იგიც გადაღმა გადაეშვა. მეც ვისკუბე, გადავიწვი და მყარზე დავეცი. პატარა გუბეში ჩავყვივდი.

სახე შლამითა და წყლის ლუყებით მოვეცვარა. მაგრამ საფარს არა უშავს რა. ამიტომაც ყულამდის წყალში შევიდით.

როცა კვლავ გრიალ-გრიალი ატყდება, წყალში ჩავეყვინთავით.

ათიოდევჯერ მოვიხებდა ჩაფურყულდება. მე მეტიც აღარ შემიძლია. ალბერტი კენესის: გავიდეთ აქედან, თორემ საცაა წივიქცევი და დავიხრჩობო.

— სად მოგბედა თუ იცი?

— ვგონებ კვირისთავზე.

— რბენა თუ შეგიძლია კიდევ?

— ვგონებ.

— მაშ მოკვარცხლოთ.

თემწარის თბრილებს მივალწიეთ და რბენით მივყვები. ეს საწყობი რომ  
თან მოგვდევს. ეს თემწარა საქურველის საწყობისაკენ მიდის. ეს საწყობი რომ  
აფეთქდეს ჩვენ ბუნტყულს ველარაფინ ნახავს. ამიტომაც სვლის გეზი შევცვალეთ  
და მინდერებისაკენ ვადავუხვიეთ.

ალბერტი ჩამოგვრჩა.

— ირბინეთ, შე მოგვებით.

მოგვადება და წაიქცა.

შკლავში ხელი ვტაცე, შევჯავახვალე.

— ადრე როგორმე ალბერტ, ახლა რომ წაწვე, მეტე ველარ ადგები. წამო,  
შე შემოგვშველები.

როგორც იქნა პატარა საფარამდის მივალწიეთ.

კროპში წაიქცა. კრილობა შევუხვიე, ტყვია ზედ კვირისთავზე მოხვედრია.  
მერმე ჩემივე სხეულის თვალაფრებას შევუდგე. შარვალზე სისხლი მაცხია,  
შკლავზედაც ალბერტმა სახევეი წარლა აწოილო და შემიხვია. იგი ფეხს ველარ  
ანძრევს.

ორივეს გვიკვირს: ან აქამდის როგორ მოვალწიეთ.

— აი რა შეუძლია შიშს.

ჩვენ ამ ტაობებშიაც კიდევ ვირბენდით, თუნდაც ფეხები რომ მოეჭრა  
მტერს.

შე კიდევ შემიძლია ცოტა ხანს ვიჩოჩო, გზად გამვლელ ფურგუნს დაეუძა-  
ხეთ, ჩავსხედით. ფურგუნი დაჭრილებით სავსეა.

როგორც იქნა ისე მოვახერხეთ, რომ საველე ლაზარეთში ერთად დავე-  
წვინეთ. რალაც უხვირო წვენი მოგვითანეს, ზიზლით შევსცქერიით, მაინც შევ-  
ხვრიბეთ. ჩვენ უკეთეს რამებებსა ვართ ჩვეული, მაგრამ შიმშილს სადღა წაუბვალ.

— ახლა კი სამშობლოში გავვაგზავნიან ალბერტ.

ვეუბნები კროპსს.

— ალბად.— მიპასუხებს იგი.— ოღონდ ეს ვიცოდე რა მომივიდა.

ტკივილები გამიძლიერდა. სახევეი ცეცხლივით მწვავს. წამდაუწუმ წყალს  
ვეწაფები.

— ერთი ნითხარი, ჩემი კრილობა რამდენ მანძილზეა მუხლზე დაცი-  
ლებული?

— სულ მცირე ათი სანტიმეტრით, ალბერტ.

ვუბასუხებ. არსებითად ეს მანძილი სამს არ აღემატება.

— შე გადაწყვეტილი მაქვს, ვეუბნება ალბერტი მცირე ხნის დუმილის  
შემდეგ. ფეხი რომ მომიჭრან, უთუოდ თავს მოვიკლავ. დასაპყარებულს ან რა-  
ღათ ნინდა სიცოცხლე.

ესე ვფიქრობთ, ვწევართ და ვიცდით.

\* \* \*

სალამოს საოპერაციო ნავიდისკენ მივყვართ. შევერთი და წამსვე მოვისახ-  
რე თუ როგორ მოვიტყე. ცნობილია: საველე ლაზარეთების ექიმები იოლად

გადაწყვეტენ ზოლზე ამპუტაციას. როცა ესოდენი ხალხი აწყდებოდა სოფლებს, ეს ხველათურზე იოლი საქმეა. კენჭების მომაგონდა. არაქინაო შენიშვნაში ხლოროფორმს არ მივიღებ, თუნდაც ზოვიერთისათვის თავის ქალის ჩამტვრევაც. რომ იქნეს საჭირო.

საქმე კარგად მიმდინარეობს. ექიმი კრილობებში იქვეა, თვალი მომებინდა.

— სიმულიაციას ნუ ეწვეით, ბუზღუნებს იგი. განაგრძობს ჩხრეკას. სინათლეში უბოროტეს მაცეცხსავით ვარვარებენ ინსტრუმენტები. აუტანელ ტკივილებსა ვგრძნობ. ორი მომწველი მაკაეებს, მაგრამ ცალი მკლავი გავინთავისუფლე და მინდა ექიმს სათვალე ჩაეულეწო. მან ეს შენიშნა, გამეცალა და დაიღრინა: ხლოროფორმი გაუკეთეთ ამ ყაზილას.

მე დაეშვიდდი.

— მპატიეთ ბატონო ექიმო, აწი არ გავინძრევი, მაგრამ ხლოროფორმს ნუ მიმართავთ.

— აჰა,—ბუზღუნებს იგი და ისევ ხელსაწყოს აიღებს. ეს იყო ქერა, ოცდაათიოდე წლის კორფლიანი, ოქროს სათვალისანი კაცი. ვამჩნევ: როგორ დამკინის. დიდხანს ირიჩქნება კრილობაში და სათვალისანი მათვალისერებს. ძირღვებდაძიებული მოვეკიდე საკაცის ხელსაკიდებს: უმაღ ჩაქაღლდები, ვიდრე ხმას გავიღებდე.

მან გრანატის ნამსხვრევი ამოათრია, წინ დამიგდო. სჩანს ჩემი საქციელი მოეწონა, რადგან ახლა შზრუნველობით გულსაესე შემომცქერის და მეუბნება: ხვალ შინ გაგაგზავნი.

ამის შემდეგ ჩემი ფეხი ვიპსით შეკრეს. როცა კვლავ კროპის გვერდით დამაწვინეს, მე მას ვუამბე, რომ ხვალ სანიტარულ მატარებელს ელიან.

— ალბერტ, ერთი ლაზარეთის ზემდეგს მოველაპარაკოთ, როგორზე ჩვენ არ გავვითომონ.

რამოდენიმე ტკბილი სიტყვის წყალობით ორი სიგარა მივალბინე ზემდეგს. მან გამომართვა სიგარები და მეუბნება:

— ეგებ კიდევ გქონდეს?

— კიდევ რამოდენიმე,—ვეუბნები—და ჩენს ამხანაგსაც შერჩა რამოდენიმე. დაესძინე და კროპზე მიუღოთ. ამ სიგარებს ხვალ ლაზარეთის მატარებლის ფანჯრიდან მოგაწვდით.

ზემდეგმა, ცხადია, გაკვივო. გვეუბნება:

მოვახერხებთ.

მთელი ღამე არ გეძინებია. ჩენს მახლობლად შეიდი კაცი მოკვდა. ერთი მათგანი სიკვდილის წინ მთელი საათის განმავლობაში ფსალმუნის ტენორით მღეროდა. მეორე ლოგინიდან გამოძვრა და ფანჯარასთან წინაჩდა. იქვე დაეცუქლა და სწადია უკანასკნელად გახედოს ქვეყანას.

\* \* \*

ჩენი საკაცები სადგურზე დააწყვეს. მატარებელს ვუცდით. წვიმს, სადგური გადახურული არაა, ჩენი სიბნები ძლიერ თხელია. ორი საათის განმავლობაში ვუცდით.

ზემდეგი მშობელ დედასავით გეანუგეშებს. თუმცა თავს მტკბარად ვგრძობ, მაინც ჩვენი გეგმა არ მავიწყდება. სიგარეტით სავსე კროპის უბნებზე ზემდეგს და ერთსაც ავანსად ვაძლევ.

სამაგიეროდ საკარვე ტილო გადაგვაფარა.

— გესმის ალბერტ, ჩვენი ბალდახინი და კატა სადღაა?

— საკლუბზე სავარძლებიც... დასძინს კროპზე.

— ჰო, საკლუბზე სავარძლებიც, წითელ ხავერდით გადაკრული სავარძლებიც... საღამოებით მთავრებად ვისხედით ამ სავარძლებში და გადაწვეტილი გვექონდა საათობით გაგვექირავენა. თითო საათში, თითო პაპიროსს მივიღებდით. ეჰ, რა უდარდელი ცხოვრება გვექნებოდა, თანაც ხელსაყრელ საქმიანობასაც არ მოვიშლიდით.

— ალბერტ, ვახსოვს სანოვაგით სავსე ტომრები.

ვეუბნები.

ჩავეფიქრდით. ეს საგნები უთუოდ გამოგვადგებოდა. ნატარბელი ერთი დღით გვიან რომ წამოსულიყო, კატ უნათუოდ მოგვტყუნიდა და ჩვენს ხაბაკს მოათრევდა.

წყველი ბედი!

ებლა ჩვენ სტომაქშა ფქვილისაგან მოთითონილი წვენია, ხოლო ჩვენს ტომპრაკებში შემწვარი ღორის ხორცი, მაგრამ ჩვენ ისე დასუსტებული ვართ, რომ ხანგრძლივად აღელვება არც კი შეგვიძლია.

მატარბელიც ჩამოგდა და ჩვენ უკვე მთლად გაზუსტული ვართ. ზემდეგი თვალს არ გეამორებს. ცდილობს ერთსა და იმავე ვიგონში მოგვათავსონ. გარშემო მოწყალე დები გვახვევია.

კროპზე ქვედა საწოლზე მოაწვეეს. მე ზევით აწვიეს და კროპის ზემოდ უნდა მომათავსონ.

— ღვთისგულისათვის!— ვლულულუღებ.

— რა მოხდა?— კითხულობს მოწყალე და.

კიდევ ერთხელ გადავხედე ლოგინს, მასზე თოვლსავით თეთრი ტილო გადაფეხილი, წარმოუდგენლად სპეტაკი ტილო, რომელსაც ჯერ კიდევ უთოს ნაკვალავიც კი აჩნევია. ჩემი პერანგი კი ექვსი კვირის განმავლობაში არავის გაურეცხია და ძლიერ ბინძურია.

— თქვენ თითონ ვერ ახერხებთ ასვლას?

რულუნებით სავსება ნეკითხება მოწყალე და.

— ეს კი.— ვეუბნები, თანაც ოფლი მისკდება— მაგრამ ჯერ თეთრეული მოაცილეთ მაგ ლოგინს.

— რისთვის მერე?

— მე ღორივით გაწვირიანებული ვარ. იქ დავეწვე მე? იგი ხომ... სიტყვის დათავებისას ვეყოფანობ.

— ცოტა დასვრილი ხართ, არა უშავს, ისევ ვაგრეცხავთ.

— არა, არა ღირს,— ვეუბნები აღელვებული— კულტურის ამგვარ შემოტევას ჩვეული არა ვარ.

— თქვენ იქ სანგრებში იწეით და ნუ თუ ჩვენ სათქვენივეს ვა-  
რუცხვასაც ველარ შევღებთ?

განაგრძობს მოწყალე დაჰ.

ვაკვირდები. იგი საამო საჭურჭტია და ნორბი. ისევე სპეტაკი, როგორც  
ყოველივე საგანი ჩემს ირგვლივ მდებარე.

აღარ იცი კაცმა რატომ იგი ოფიცრებს არ მიუჩინეს. ეს ოდნავ გეჩოთი-  
რება აღამიანს.

ეს ქალი არ მესმება, ყოველივე უნდა გამოიყიბოს.

— ესაა მხოლოდ... (მე შეეჩერდი, საოცარია, უნდა გაივოს თუ რას ვგუ-  
ლისხმობ).

— რა?..

— ტიღების გამო, — წამოეყარა ინტალე მე.

ქალი იყინის. ერთი მათაც უნდა გაიხარონ.

ეჰ, ფეხებზედაც არა მკიდია. შეეხიხი ლოგინში და საბანი დაეიხურე.  
ვილიას ხელი მეფათურება. შემდეგი აღმოჩნდა. წაიღო თავისი სიგარები  
და წავიშორდა.

ერთი საათის შემდეგ დაეიძარით.

ღამით გამოვედი.

კროპიკ უხაკურობს. მატარებელი ნელის ტემპით მისრიალებს რონებზე.  
ჯერაც ყოველივე საოცრებად მეჩვენება. ლოგინი, მატარებელი, შინ წასვლა.  
გურჩულა: აღბერტ...

— ამა.

ხომ არ იცი ვოტერ, კლოხეტი სად არის?

— ვკონებ პირდაპირ, ნარჯვენა კარი.

— მოდი ერთი ვნაო... ბნელა. საწოლის ლინზე ხელებს ვაუთურებ. ძირს  
ჩასვლას ვლამობ. მაგრამ ფეხმა ველარ შემოკავა, დაესრიალდი, გიპნი ჩადებული  
ფესი უსმარი აღმოჩნდა და ძირს ბრავგანი მოვადინე.

დასწყველოს ღმერთმა, წამოვიძახე.

— რამეს ხომ არ დაეტაკე, მეკითხება კროპკ.

— ნუ თუ ვერ გაიგონე? — ებუხლუნებ მე. — ოჲ ოჲ, თავი.

უკანა ვაგონში კარი გააღეს. მოწყალე დაჰ გამოვიდა, სანთელი მოაქვს  
და მიყურებს.

— ლოგინიდან ვადმოვარდნილა!

იგი მაჯისცემის მისინჯავს, შუბლზე ხელს წადებს.

— ციება რომ გეტყობათ?

— ვვანებ, ახლა ისევე გამოიყიბვა დაიწყება. ვეუბნები. თავისი ნათელი  
თვალებით შემომცქერის. იგი ასე სპეტაკია და საოცარი და მე ველარც ვუბნებდავ  
გაუფხილო თუ რა მიჭირს.

ისევ ზევით დამაწვინეს. უნდა ვიცადო ვიდრე გამეცოდნებოდა და მერე კვლავ ვეცდები როგორმე ძირს ჩამოეფოროთხდე.

იგი რომ ხნიერი ქალი იყოს, უფრო ადვილად ვეტყვოდი, მაგრამ ძლიერ ახალგაზრდაა, ოცდახუთისაჲ არ იქნება და ველარც კი მოვახერხებ რაიმე ვუთხრა.

აქ ალბერტი მომეშველა. იგი არც ისე მორცხვია. ბოლოს მას ხომ არ ეხება ეს საქმე, იგი ეძახის მოწყალე დას. ქალი მობრუნდა.

— იცი, მას უნდა... ალბერტიც ვერ ახერხებს უფრო თავიზიანად გინოთქმას. იმ, ფრონტზე ვეღლაფერს ურცხვად წამოროშავენ ხოლმე, მაგრამ აქ, ასეთი ქალის პირისპირ... მაგრამ ერთბაშად ალბერტმა სკოლის დრო მოიგონა და სწრაფად მოისაზრა:

— მას გარედ ვასვლა უნდა, ქალბატონო.

— აჰ, — ამბობს მოწყალე დაჰ. — საამისოდ რა საჭიროა ლოგინიდან გაშოსვლა. მაინც რა გინდათ თქვენ. — შევითხება იგი.

საწინადად გამოაცა ასეთმა მოულოდნელმა მონაროვამ. არც ის ვიცი თუ ამ საგნებს როგორ გამოხატავენ მედიცინის ენაზე, მაგრამ იჩქითად თავად მოწყალე დაჰ წამოშველა.

— დიდი გინდათ თუ პატარა?

ვაჰ სირცხვილო!

სიმწრის ოფლმა ჭამცვირა. დარცხენილად ვამბობ:

— პატარა, პატარა.

კიდევ ბედი, რომ ასე იოლად გადაერბი.

ზოთლი მომიტანეს. ერთი საათის შემდეგ სხვასაც მოუნდა ზოთლი. დილიდანვე მივჩვიეთ ასეთ რამეებს და დაურცხვენლად ვთხოულობთ რაც დაგეჰქორდება.

ჰ: ოჰ მატარებელი წელი წიდის.

ხანდახან შესდგება და მკედრებს ჩამოიდებენ. იგი ხშირ-ხშირად სდგება. ალბერტს აციებს.

მეც ძლიერ ცუდად ვარ. ტკივილები მოხშირდა. რაც ყველაფერზე უარესია: გიჟსიან ფეხზე ტილები დაიღოდავენ. საწინადად მეფხანება და მოფხანასაც ვერ ვახერხებ.

დღისით ვთვლეთ. ფანჯრებში ლანდშაფტი რიილებს. წესამე დამეს ბერბესტალში მოვედი. მოწყალე დისიგან ვგებულობ: რაკი ალბერტს აციებს ზახლოესს სადგურზე მატარებლიდან უნდა ჩამოიყვანონ.

— სანამდის წიდის ეს მატარებელი?

ვიკითხე.

— კელნამდის.

— ალბერტ ჩვენ ერთად დაერჩეთ.

როცა მოწყალე დამ ჩამოიარა, განზარაბ შევიკავე სუნთქვა. სახე გამებერა და გამიწითლდა. მოწყალე და შესდგა.

— ხომ არ გტკივათ რამე?

— დიახ, დაეცენესე მე.

ქალმა სიქსაზომი მომეცა და წაიღია.

განა კატის მოწაფე არა ვარ, ასეთი რამეებში რომ არ ვერკვეოდე?

ეს სალაშქრო სიქსაზომი გამოცდილ ჯარისკაცებისთვის მოგონილი არ არის.

საქმე ის არის, ვერცბლისწყალი როგორმე მალლა ასწიო, მერმე იგი ვიწრო მილში გაეხილება და ძირს არ დაიწვეს.

სიქსაზომი ილლიაში პირქვე გაეირქვე და წამ და უწუნ საჩვენებელ თითს ვუკაენებ. ამგვარად 37,9 ხაზამდის მივდენე. არც ეს ქმარა. ფრთხილად მივადევი ანთებელი ასანთის ლერი. 38,7 ხაზს მივალწიე.

როცა მოწყალე და მობრუნდა, ისეე გავიბერე, მსუბუქად და კანტი კუნტად ვსუნთქავ, მოხვედრისებურ თვალებით ვაშტერდები მოწყალე დას, ებორგავ და ვსტრჩულებ: მეტი იღარ შემიძლია შეთქი.

მან ქალაღზე დანიშნა ჩემი სახელი და გვარი. კარგად ვიცი, თუ დიდმა საჭიროებამ არ მოითხოვა ფეხზე დადებულ გიპსს არ შემომსნიან.

მე და ალბერტი ერთად ჩამოგვიყვანეს მატარებლიდან.

\* \* \*

ჩვენ ერთ კათოლიკურ ჰოსპიტალის ერთსა და იმავე დარბაზში ვწევართ. ეს დიდი ბედნიერებაა, ვინაიდან ცნობილია: კათოლიკურ საავადმყოფოებში კარგი ჭამაკაა და ასეთივე მოვლა. ჩვენი მატარებლიდან ჩამოყვანილ ხალხით აუცხიათ ეს ლაზარეთი. მათ შორის მრავალი მძინედ ავადმყოფიც ურევია. ექიმები არ ყოფნით და ამიტომ დღესვე ვეღარ გავგისინჯავენ. ტალანებსა და დერეფნებში დაუცხრომად დაავორებენ რეზინის ბორბლებიან ბელურებს. ამ ხელურმეზე ავადმყოფები გაუშვარაფეთ.

ძლიერ მოსვენარი ღამე ვავითენდა. არავის ეძინება. დილით ადრე ოდნავ ჩავთვლემთ. იალონზე გამოამეღვიძა. კარი ღიაა, ტალანიდან ხმები მოისმის. სხეებსაც გამოეღვიძა. ერთ ერთი, რამოდენიმე დღით ადრე მოსული ავადმყოფი გვეუბნება:

— აქ ყოველ დილას დერეფნებში ლოცულობენ მოწყალე დები, მათ უნდათ თქვენც ვიზიარონ თავიანთი ლუთისმოსაობა და კარებს მიტოვიც ალებენ.

— ეს კარგი განხრახებაა, მაგრამ ჩვენ ძელები და თავის ქალა გეტკევა.

— რა სისულელეა, სწორედ მაშინ როცა ცოტას ჩასთვლემ...

ვბუტბუტებ.

— აქ ზევით მსუბუქად დაქრილებია. ამიტომაც არ ვრიდებათ, მიპასუხებს იგი.

ალბერტ კენესის.

ძლიერ გავბრაზდი და ვიძახი: ჭე, დაწყნარდით მანდ.

ერთი წუთის შემდეგ მოწყალე დაა შემოდის. იგი თავის შავთეთრა ტანისამოსში ყავადანის გასათბობ დედოფალსა ჭვავს.

— დაბურეთ კარი, — ამბობს ვილაცა.

— ლოცულობენ და კარიც მიტოვია ღია.

უბასუბებს მოწყალე დაჲ.

— ჩვენ კი, ძილი გვინდა.

— ლოცვა სჯობია ძილს.

სდგას იგი და ალაღმართალი ღიმი ერყვია.

— უკვე შეადი საათია.

ალბერტი ისევ კენესის:

— დაბურეთ კარი.

დავიღრიალე მე.

იგი ძლიერ შესჩქვიფოდა. ასეთი რამ სავსებით გაუგებარია მისთვის.

— მანდ ხომ თქვენთვისაც ლოცულობენ.

— სულ ერთია, კარი დაბურეთ.

იგი გაჰქრა და კარი ღია დასტოვა. ლოცვის ბუტბუტი ისევ მოისმის.

გაკოფებული ეამბობ: სამჯერ ვითვლი. და თუ ნაწამდის არ გაჩემდენ რამეს ვსევრი უთუოდ.

— შეე.

განაცხადა ერთმაც.

ხუთამდის ვითვლი.

ახლა ბოთლს წამოვავლე ხელი, დაეუმიზნე და დერეფნისაკენ გავსტკოვრცნე, ათას წამსხერევად იქცა.

ლოცვა შესწყვეტეს. მოწყალე დების ბრძოვა შემოაცივდა.

გაკაბასებულნი გვლანძღავენ.

— კარები—ვღრიალებთ.

ისინი გავიდნენ. ის წეღანდელი პატარა ქალი ყველაზე გვიან გადის.

— წარმართებო, — წაიბუტბუტა და კარიც გაიხურა.

გავიშარჯვეთ.



სადილობის დროს ლაზარეთის ინსპექტორი შემოვიდა და გვიყვირა. იგი გვემუქრებდა: ციხეს არ გაკმარებთო. ლაზარეთის ინსპექტორი და საინტენდანტოს ინსპექტორი ორივე ერთია. თუმც ორივეს გრძელი ხმალი და ეპოლეტები აწმვენებს, მაგრამ ისინი მხოლოდ მოხელეები, ამიტომაც ლაზარეთის ინსპექტორის თვით ახალწვეულსაც არ ეკრძალება. კაცმა რომ სთქვას რა უნდა გვიქნან?

— ვინ ისროლა ბოთლი?

იკითხა მან.

ვიდრე მე გადავწყვეტილი გამოვტყდე თუ არა შეთქი, ვილაცამ დამასწო: „შეო“.

ერთმა წვერგაბურძენილმა საწოლიდან წამოიწია, ყველას უკვირს: რად უნდა ეკისრნა მას.

— თქვენ?

— დიას. მე ისე ამაღლეა იმ გარემოებამ რომ უსაზნოდ გვალაგებდნენ უკანება და ვარ ვიცოდი რა მომემოქმედნა.

— თქვენი სახელი და ვვარი?

— სათადარიგო ჯარისკაცის ნაცვალი იოსებ ჰამახერი.

ინსპექტორი წაიდა.

ყველას ცნობისმოყვარეობა აღეძრა.

— რად იქისრე, შენ ხომ არ იყავი ეს.

იგი იკრიბება.

— არა უშავს, მე ნადირობის ნებართვა მაქვს. ეს ამბავი უკვე ყველასთვის გასაკებია.

მე თავში მომხედა ტყვია, გვიამბობს იგი, ამის შემდეგ მოწმობა მომცეს, მანდ სწერია: ხანდახან მოუვლის და უპასუხისმგებლო ხდებაო. ამის შემდეგ ყოველ მდგომარეობიდან იოლად გამოვდივარ. ვერაინ გაბედავს ჩემს გაღუბიანებას. ვერაინ გამცენს უბატონოდ ხმას. ის ვაჟბატონი გულზე გასქდება. მე მომეწონა ბოთლის გატყორცნა და მიტომაე ვიკისრე.

ხვალ დილას რომ კიდევ ღია დასტოვონ კარი, კიდევ ვესროლოთ.

ამ ანბავმა ძლიერ გაგვახარა. თუ იოსებ ჰამახერი ჩვენთან იქნა, ყოველივე რისკს ვიკისრებთ.

უბნო და ბრტყელი ხელურმები მოაჩოჩეს. უნდა წაგვიყვანონ.

სახვევები მოგწმებნია. ხარივით ვბღავით.

\* \* \*

რვა კაცი, ერთ ოთახში ვწევართ. ყველაზე მძიმედ პეტრეა დაკრილი. შეგვგრემანი, თმა ბუჭუჭა კაცი. პეტრეს ფილტვებში ჰქონია ტყვია. მის გვერდით მწოლარე ფრანკ ვებტერს ნკლავი აქვს დამსხვრეული, პარუელად იმდენად არ სწუხდა. მაგრამ მესამე ღამეს დაგვიძახა: დარგეთ სისხლისგან ვიკლებიო.

დავრეკე. მორიგი მოწყალე დაა აღარსად სჩანს. იმ ღამეს ძლიერ გაგაწვალეთ ეს პალი, რადგან ახლად შეხვეული იარები გვაწუხებდა. ერთს ასე უნდოდა ფეხი გავმართა, მეორეს ისე, მესამეს სწყუროდა, მეოთხეს სასათუქლის გასწორება ენატრებოდა, ჰაქვირითებული, სქელ სქელი მოწყალე დაა ბოლოს გაბრაზდა და კარები მიარაჯგუნა, წაიდა. ახლაც ასეთ რამეების მოლოდინში, როგორც სჩანს არც კი გვეკარება.

ვიცდით. მერმე ფრანკმა სთქვა: დარეკეთო.

ვრეკ. არავინ გამოაჩნდა. ჩვენს შრამელში ღამლაშობით ერთად ერთი მორიგი მოწყალე დაა. ალბად იგი სხვა ოთახშია.

— ფრანკ, დარწმუნებული ხარ რომ სისხლი გდის?—ვკითხები.—თორემ ხომ იცი—მოგვბეღება.

— აქ ყოველივე სოველია. ვერ გაანათებთ ერთი?

არც ეს განოდის. გამომრიცხველი კართანაა, ვერაინ აღგება. თითი გამოხედა ხარის ფოლაქზე დაქერისაგან.

ეგებ მოწყალე დას სძინავს. მათ ბევრს ამუშავებენ და დღისითვე იქანცებიან. მერმე ეს გაუთავებელი ლოცვა.

— ზოთლები ზომ არ ავითამაშოთ?

ვეკითხები იოსებ ჰამაზერს.

— ველარც ეს გამოაფხინალებს მას.

როგორც იქნა კარი გაიღო და თვალის ფშვნეტით შემოდის ხნიერი ქალი. ფრანცის მდგომარეობამ იგო ააჩქარა და ყვირის: რატომ არ შემატყობინეთ რომელიმემ?

— ხომ გირჯადით. რბენა არც ერთს არ წეგვიძლია.

ფრანცს დიდძალი სისხლი სდენოდა, შეუხვავს. დილით ებედავთ: სახე მთლად დაღვეია. წინა საღამოს კი ჯანსაღი კაცის სახე ჰქონდა. ახლა ხშირ-ხშირად მოდის მოწყალე და.

\* \*

ხან და ხან წითელი ჯვრის მოწყალე დები მოდიან. ისინი გულკეთილებია, ხანაც ძლიერ მოუხეშავი. ლოგინის გამოცულის დროს ავადმყოფს ატყენენ რამეს და მერმე თავად ისე შეეშინდებიან, რომ ადამიანს თავს შეაკოდებენ.

მონოხნები უფრო სანდონი არიან. მათ იციან თუ როგორ მოაელონ ავადმყოფს ხელი. ესაა ჩვენ გვირჩევნია: ისინი რომ უფრო მოძლიერ სახეს გვიჩვენებდნენ. ზოგჯერათი მათგანი ოხუნჯობის უნარს მოკლებული არაა. რომელი ჩვენგანი არ არის მოწყალე დის ლიბერტინას მიერ უზომოდ დაეაღებულნი? როცა იგი კარის აღავზე გამოწნდება, ყველას სიხარული შეეუვა გულში. ასეთები კიდევ მოიპოვებიან. ჩვენ ამ დების გულისთვის ცეცხლს არ დავფრიდებოდით. ჩვენ აქ საყვედური არ გვეთქმის ეს მონოხნები ისე ვეფქევიან, თითქოს მოქალაქენი ვიყვნეთ. როცა კი შეციხოვნენ ჯარის ლაზარეთის ამბები მოგვაგონდება, შინი დაგვივლის სხულში.

ფრანც ვებტერი ჯერაც ვერ ნოლონიერდა. ერთ დღეს იგი წაიყვანეს და მერმე აღარ გვინახავს.

იოსებ ჰამაზერს ესმის საქმის ვითარება.

— იმას აწი ველარც კი ენახავთ, ალბად საცხედროში დაასვენეს.

— რაო, საცხედროო?

— შრამელის კუთხესთან ერთი პატარა ოთახია, ვინც საიქიოს ბარათის წაღების აპირებს, მას იქ უკრავენ თავს. ორიოდ საწოლი სდვას იქ. ეს ძლიერ მარჯვედაა მოფიქრებული. ალბად იქ იმიტომ გაჰყავთ რომ საერთო დარბაზში არ მოკედეს ავადმყოფი და სხვასაც გული არ წაუზღინოს.

— მაგრამ თავად ის?

იოსები მხრებს იჩქს:

— ჩვეულებრივად ასეთი ავადმყოფი მეერს ველარას გებულობს.

— მერმე ყველამ იცის ეს ამბავი?

— ვინც აქ დიდ ხანს დარჩენილა, ყველამ.

\* \*

ნასადილეს ფრანც ვებტერის საწოლზე ახალი დაჭრილი დააწვინეს. რამოდენიმე დღის შემდეგ იგიც გაიყვანეს. იოსები მნიშვნელოვანად ხელს აქნენ.

კიდევ წარავლის მოსვლასა და წასვლას ეხედავთ. ხანდახან ჯანსუღისა კი-  
რისუფალნი ჩამოსხდებიან ხოლნე მათ საწოლებთან; ხმა დაბლა ჩურჩულებენ და  
ჩუმ-ჩუმად ჭეითინებენ. ერთ მოხუც დედაკაცს სულ არ უნდოდა შინ წასვლა,  
მაგრამ აქ ლამის გათევის უფლება არა ჰქონდა. მეორე დილით ძლიერ აღრე  
მოაკითხა თავის ავადმყოფს, მაგრამ შინც დააგვიანდა, რადგან თავის ავადმო-  
ყვის საწოლთან რომ მიყიდა, მასზე სხვა დაუხუდა. იგი საცხედროსაყენ გაისტუმ-  
რეს. თან მოტანილი ეაშლები ზენ დაგვირავა.

პეტრეც უარესად გრანობს თავს. მისი ტემპერატურის აღმრიცხველი ძლი-  
ერ ცუდ სურათს იძლევა და ერთ მშვენიერ დღეს თავის საწოლის წინ  
საკაცე ნახა.

— სად მიგყავართ?

— საოპერაციოში.

ეუბნებიან.

მოწყალე დამ შეცდომა დაუშვა. მისი სალაშქრო ჯუბა კახიდან ჩამოსხნა  
და საკაცეზე დასდო, რათა ხელმოკრედ მოსვლა არ დასჭირებოდა. პეტრემ  
წამსვე ალღო აიღო და საკაციდან ჩამოვარდნა დააპირა.

— მე აქ დავრჩები.

ისინი კვლავ საკაცეზე ამაგრებენ. პეტრემ თავის დაცხრილული ფილტვებიდან  
ხრინწიანი ყვირილი ამოუშვა:

— არ მინდა საცხედრე.

— არა, საოპერაციოში მიგყავართ.

— ნამ ჩემი სალაშქრო ჯუბა რაღათ გინდათ?

იგი ხმას ველარ იღებს. აღელვებული ბუტბუტებს: მინდა აქ დავრჩე.

ისინი პასუხსაც არ აძლევენ და გარედ გააქვთ საკაცე. კარუბანდის რომ  
შიაღწიეს, პეტრე წაიოწია. მისი წავი, ზემუკა თავი ტოკავს, თვალები ცრემ-  
ლებით ეცსება.

— ისევ მოვალ, ისევ მოვალ.

იძახის პეტრე.

კარი გაიხურეს. ყველანი აველდლით, მაგრამ ესდუმვართ. დასასრულ იო-  
სები ამბობს: ეს ბევრს დაუდასტურებია, როცა საკაცეზე მოხვდები უკვე თავს  
ველარ დაახწევ.

•••

ოპერაცია განიკეთეს. ორი დღის განმავლობაში პირიდან მისაქმებიანებდა.  
ლაზარეთის მწერლის თქმას არ იცოს, ჩემი ძეგლები არც კი აპირებენ შეზრდას.  
ზოგიერთს უადგილო ალაგას შეეხარდა ძეგლები. ასეთ შემთხვევაში ყალბად  
შეზრდილს კვლავ ამსხვრევენ. პირდაპირ საცოდავების მოწმენი ცხდებით.

ახალმოსულთა შორის ორი პრეტყელ ტერფიანი პრუსიელი ჯარისკაცი  
ურევია. ჩამოვლის დროს ეს შენიშნა უფროსმა ექიმმა და მომღიპარი დასცქე-  
რის მათ.

— ჩვენ ამას გამოვასწორებთ, პატარა ოპერაციას ვაკეთებთ, რომელიც ზომიერი ტერფები გექნებათ. მოწყალე დაო, ჩაიწერეთ.

როცა იგი გავიდა, იოსები აღრთილგებს, იგი ხომ გულთმისანია:

— იცოდეთ არ დანებდეთ საოპერაციოდ. ეს ამ მოხუცის მეცნიერული აზრებაა, იგი გაშვებული დაეძებს ასეთ საცდელ ნაჯალითებს. იგი ტერფმრუდე ხალხს ოპერაციას გაუკეთებს და მალე მართლაც ტერფმრუდენი არ იქნებით, სამაგიეროდ მთელი ფეხი მოგვლრანცებათ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ყავარჯანებზე დაბჯენილნი იყოთ.

— ნაშ რა უნდა ვქნათ? კითხულობს ერთი მათგანი.

— უარი სთქვიო. უთხარიო: ჩვენ აქ ნატყვიარების მოპოვნა გვინდა და სხვა არაფერი თქო. ომში ხომ გქონდათ ბრტყელი ტერფები. ხომ ხედაეთ. მაგრამ იმ მოხუცის დანა თუ მოგხვდათ მთლად დასაბინრდებით.

მას საცდელი ბაქები ესაქიროება. ამიტომაც მისთვის როგორც ყოველ ექიმისათვის, ომი სწორედ მისწრებაა.

გაიხედეთ ლაზარეთის ქვემო სართულში. იქ ბარე ათიოდე კაცი დაჩოჩავს მისი ოპერაციის წყალობით. ზოგიერთი ცხრაას თოთხმეტ, ზუთმეტ წლიდან აქ არის. ვერც ერთი უწინდელზე უკეთ ვერ დადის. თითქმის ყველა უარესს მდგომარეობაში ჩავარდა, მეტ წილად გიპსში აქეთ ფეხები. ყოველ ექვს თვეში ისევ დააცხრება თავზე ამ საცოდავებს, ისევ ხელახლა დაუმსხვრევს ძვლებს და მერმე მათ ახალ შედეგებს უნდა უცადონ. გაფრთხილდით, იცოდეთ, მას ნება არ აქვს ამ შემთხვევაში ძალა დაგატანოთ.

— ეჰ, რას ამბობ კაცო, ამბობს ერთ ერთი მათგანი ქანცმილეულად—უთავობას კიდევ უფეხობა სჯობია. ისევ ბრძოლის ველზე რომ იქნები ვინ იცის რა მოგივა? რაც უნდათ ის მიქნან ოლონდ შინამდის სული მივიტანო. საკედლის კიდევ მრუდე ფეხები სჯობია.

მეორე, ჩვენი კბილა ჭაბუკი უარზეა. მეორე დილას მოხუცმა ექიმმა ორივენი ძარს ჩააყვანინა. იმდენი უქადაგა, იმდენი უყვირა, როგორც იქნა დაიყოლია. რა უნდა ქნან! ისინი ხომ უბრალო ჯარისკაცები არიან და ექიმი კი დიდი ბოძოლა ვინმეა, ისინი მოაბრუნეს. მათ ხლოროფორმის სუნი უდით და ფეხებზე გიპსი აქეთ შემოჭდობილი.

\* \*

ალბერტ ძლიერ ცუდად არის. იგი საამპუტაციოდ გაიყვანეს, მარგალი მთლად მოსქრეს. მან ლაპარაკი მიატოვა. ერთხელ კი სთქვა: თუ ჩემი რევოლვერი მოვიხელთებ, უთუოდ თავს მოვიკლავო.

ახალი ტრანსპორტი მოვიდა. ჩვენს ოთახში ორი ბრმა მოიყვანეს. ერთი მათგანი მთლად ახალგაზრდა მუსიკოსია, როცა მას საქმელს მოუტანენ, მოწყალეების დას არასოდეს დანა არ აღმოაჩნდება. მან ერთ ერთს დანა წაართვა ერთხელ: ამ სიფრთხილის მიუხედავად ასეთი რამ მოხდა: ერთ საღამოს, როცა მოწყალეების და მუსიკოსს აპურებდა, ქალი საღადაც საქმეზე გაიხმეს. მან დროებით იქვე მაგიდაზე დასდო თუფნი და დანა-ჩანგალი. მან ხელის ფათურით

ჩანგალს მიავნო, რაც ძალი ჰქონდა იზხელიტა ვლზე, მერმე უფროსი ვიწრო ხელი წამოაუღო და დანის ტარს მიგრად შემოჰკრა.

ჩვენ ყვირილი ავტეხეთ. სანმა კაცმა ძლივს წავლიჯა ნუსიკოსს ხელიდან ჩანგალი. იგი მთელი ღამე გვაგინებდა, არავის დაგვიძინებია. დილით ისტერიული ყვირილი მორთო.

კვლავ განთავისუფლდა რამოდენიმე საწოლი.

დღე-დღეს მისდევს. ტკივილები. წიში. თრწოლა. კენესა და ხროტინი. საცხედრო ვეღარ ღებულობს ამდენ მიცვალებულს. ადამიანები ჩვენს გვერდით იხოცებიან. სიკვდილი მოწყალების დებს მოსაზრებასაც არ აცლის.

შავრამ ერთ დღეს კარი გაიღო, ბრტყელი, ავტომატიური საკაცე შემოგორდა. ფერმკრთალი, სახედალეული, თმავაბურძენილი, გამარჯვებული გამომეტყველებით აღესილი პეტრე შემოჰყავთ. მონღიმარე ლიბერტინამ, მოწყალების დამ, თავის ძველ საწოლთან ნიაგორა. იგი საცხედრედან მობრუნდა. ჩვენ კი დიდი ხანია რაც იგი განოგლოვილი გვეუჯდა.

მან ნიშოიხედა.

— რას იტყვით აა?

და თვით იოსებიც განოგვიტყდა, რომ იგი ასეთ რამეს პირველად ხედავს.

ზოგიერთ ჩვენგანს წამოდგომის უფლება ეძლევათ. შეც ყავარჯენი მომიტანეს, შავრამ იშვიითად ვიყენებ ყავარჯენს. როცა ოთახში დავდივარ, ალბერტის მზერას ვეღარ ვუძლებ. იგი საოცარი განომეტყველებით შემონტყერის. ამიტომაც ხანდახან დერფენისაკენ გაეიბარები ხოლმე. იქ უფრო თავისუფლად ესუნთქავ.

ქვედა სართულში მეცელში დაჭრილები, ხერხემალ დამსხვრეულნი, თავგაჩეხილნი და ფეხებმოკეეთილნი წვიანან. შარჯენა შრამელში<sup>1)</sup> უბადამსხვრეულნი, გახით მოშხაბულნი და ისეთი დაჭრილებია, რომელთაც ან ცხვირში, ან ყურებში, ან კისერში მოხვედრიათ ტყვია.

მარცხენა შრამელში: ბრმები, ან ისეთნი, რომელსაც ტყვია ან ფილტვებში, ან თეძოში, ან კუბუბში, ან სახსრებში, ან კუჭში აქვთ მოხვედრილი.

აქ ხედავ კაცა, თუ რა და რა ადგილას მოხედება ხოლმე ტყვია ადამიანს.

ორი კაცი გახევებისაგან მოკვდა. ეს ასე ხდება: კანისფერი ფითრდება, სახსრები გაეფშვიება, მხოლოდ თვლები დიდხანს უშტერდება; მხოლოდ მათ შერჩებათ სიცოცხლის ნიშატი.

ზოგიერთ დაჭრილს ტყვიით განგმირული ნაწილი სხეულისა ზედ დაკიდებული აქვს, იგი ჩვეულებრივად ქვესნადგომზეა დაყრდნობილი. კრილობის ქვეშ ჯანს რასნეს დაუდგამენ, ამ ჯამში თელგამი წვეთავს. ორ-ორი, სამ-სამი საათის შემდეგ ჯამს უცვლიან.

<sup>1)</sup> შრამელი—გერმანულ სიტყვის „ფლაჟელის“ ქართული ბადალია.

ზოგიერთები საჭინთაე სარეცელეზე არიან გაქაშული, მამარსხეულნი სხვა-დასხვა ნაწილებზე მიიმე გირებს დაჰკიდებენ ხოლმე.

აქ ენახე მუდამ თელგამით აღესილი ნაწლავების იარები.

ლაზარეთის შწერალმა დამსხერეული ფერდების, მუხლების და მხრების როენდგინის სხივით გადაღებული სურათებიც მიჩვენა.

გაუგებარი ამბავია: ეგზომ დაფლეთილ სხეულებზე რომ ადამიანური სახე შერჩენილა, ასეთი ადამიანის ცხოვრება თავის ყოველ-დღიურ ფუნქციებს მიჰყვება. ეს ერთი ლაზარეთია, ერთ ერთი საღვურია და სხვა ამგვარი ასი ათასობითაა სხვაგან გერმანიაში, ამდენივე საფრანგეთში, ამდენივე ინგლისსა და რუსეთში. რა უაზროა ყოველივე, რაც დაწერილა, თქმულა, გაკეთებულა და მოუფიქრნიათ, როცა ხედავ რომ ასეთი რამ დასაშვებია. თურმე ყოველივე სიცრუე ყოფილა და უსაზნო ჩმახეა, რაკი ათასეული წლების კულტურამ ყოველივე ვერ აგვაცდინა თავიდან ის, რასაც ამდენი სისხლის წვიმები მოჰყვა და ამგვარ საწამებელ კარცერების ასიათასობით აგება.

ლაზარეთია ომის ნამდვილი ვითარების სარკე.

ჯერ კიდევ ოც წლის ჰაბუკი ვარ. მაგრამ მე ამ ცხოვრებიდან მიგემნია მხოლოდ უსასობა, სიკვდილი, შიში, და უსაზნო თავქარიანობა წამების უფსკრულზე გადაქდობილი.

ვხედავ: თუ როგორ აქეზებენ ერებს ერთი მეორის წინააღმდეგ, და მდუმარედ, განუკითხავად, მორჩილებით სავსენი ჰკლავენ ურთიერთს ადამიანები და არ კი უწყვიან რას იქმნან.

მე ვხედავ: უწყვიანესნი ამა ქვეყნისანი დღითი დღე იგონებენ ახალ ახალ იარალსა და სიტყვას, რათა ეს ყოველივე უფრო და უფრო წარმატებით წარმართონ და როგორმე გააქიანურონ. და ჩემთან ერთად ყოველივე ამას კარგად ხედავენ ჩემი კბილა ადამიანები, როგორც აქ, ისე იქ და ჩემთან ერთად განიცდის ყოველივეს ჩემი თაობა.

ნეტავ რას მოიმოქმედებენ ჩენი მამები, ჩვენ რომ ერთ დღეს აედგეთ, წინ დავუდგეთ და ანგარიში მოვსახოვოთ? რას უნდა მოელოდნენ ჩვენგან ისინი ისეთი დრო ხომ დადგება, როცა ომი გათავდება?

მრავალი წლის განმავლობაში ჩენი ერთად ერთი საქმე — ეს იყო კაცისკვლა, ეს იყო პირველი ჩენი პროფესია. ჩვენს ცხოვრებაში.

კიდევ რა უნდა მოხდეს?

ან რა უნდა გამოვიდეს ჩვენგან?

\* \* \*

ყველაზე უფროსია ჩვენ შორის ლევანდოესკი. იგი ორმოცი წლისაა და უკვე ათი თვეა რაც ამ ლაზარეთში წევს. მას მუცელში აქვს მიიმე ჰრილობა. ეს რამოდენიმე კვირაა რაც წელში მოკრუნჩხული დადის.

რამოდენიმე დღეა რაც იგი ძლიერ ღელავს. ცოლმა მოსწონა მისი მომენტის ერთ ერთ მივარდნილ დაბიდან: მაჯაგანით ცოტაოდენ ფულს მისი ბრძანება და ეგებ შენი ნახვა მოვახერხო.

იგი გზაშია და ყოველ დღე მოელის ქარი. ლევანდოვსკის ქანის ნაღა დაეკარგა, წარმოიდგინეთ, წითელ კომბოსტოსა და ძეხვებსაც ოდნავ მოსციკქნის და სავსე შესთავაზებს. დააქვს წერილი და დარბის ოთახში, ყველას უჩვენებს ცოლის წერილს, ყველას მიერ ათვზის ნახულს. რანდენჯერ გაესინჯეთ ფოსტის დაწლა, გაქონილ ხელების შენაველები წერილი ნთლად გაზინთულია.

ლევანდოვსკის ციებამ მოუარა და ლოგინად ჩავარდა.

ორი წლის განმავლობაში არ უნახავს ცოლი. ამასობაში ქალს შვილი ჰყოლია, ეს ბავშვიც თან უნდა მოიყვანოს. ლევანდოვსკის სულ სხვა რამ აწუხებს. მას იმედი ჰქონდა როცა ცოლი მოაკითხავდა, ლაზარეთიდან დროებით წასვლის ნებას დართავდნენ.

ცხადზე უცხადესია: ნახეა ნახეა, მაგრამ დადი ბნის უნახავ ცოლს რომ ნახავ, თუ შესაძლებელი იქნა, ყოველ კაცს მოუწდება ცოტა რამ, რაც ნახვაზე მეტია.

ყოველივე ამის შესახებ საათობით გვეთათბირებოდა, ვინაიდან ჯარისკაცებს შორის ასეთი ამბები საიდუმლოს არ შეადგენს. არც არავის უკვირს ეგ. ზოგიერთ ჩვენთაგანს გამოსვლის უფლება ჰქონდა და სწორედ მათ დასახელეს ლევანდოვსკის რამოდენიმე ადგილი ქალაქის პარკებსა და სკვერებში, სადაც მასა და მის ცოლს ხელს არავინ შეუშლიდა, ერთმა პატარა ოთახიც ახსენა.

მაგრამ რას უშველის ეს ყოველივე ლევანდოვსკის გაჭირვებას. იგი ახლა ლოგინში წევს დადარდინებული. თუ მას ამ შემთხვევაში ხელი მოეცარა, ცხოვრებას უკვე აღარავითარი ინტერესი აღარ ექნება მისთვის.

ლევანდოვსკის ვანუგეშებით, ვპირდებით: ამ საქმეს როგორმე მოვაგვარებთო.

მეორე დღეს, ნასადილევს მისი ცოლიც გამოჩნდა. პატარა, დაძაბუნებული დედაკაცი, დაფეთებული, ფრინველისებურ თვალებს აქეთ-იქით აცუცებს. მას რალაც საოცარი შავი მანტო აცვია ძველ ნოდაზე დანაოჭებული. ღმერთმა უწყის ვის უანდერძნია ეს მანტო მისთვის.

იგი რალაცას ბუტუბუტებს და დაფეთებული კარებთან სდგას. იგი შეკრთია, ამ ოთახში ექვსი მამაკაცი რომ გვნახა.

— მოდი, მარია, ეუბნება ლევანდოვსკი, თინაც აღელვებული ქმინავს და ადამის ეაშლი<sup>1)</sup> უტოკავს.—შემოდი, აქ არავინ გაწყენინებს.

იგი შემოდის და ყოველ ჩვენგანს ხელს ართმევს. შემდეგ ვაჭიენებს ბავშვს, რომელსაც ამასობაში უკვე მოუსწრია საცვლების დასერა. დედაკაცმა თავისი უშველებელი, მძივებით მოოჭვილ საცვოთიდან სუფთა ტილო ამოიღო და ხელმეორედ გახვია შიგ ბავშვი. ამ გზით პირველადი მორცხვობა დათრგუნა და ორივემ საუბარი გააბა.

<sup>1)</sup> ადამია ეაშლი—შომერთო ძვალი მამაკაცის კისრისა.



ლევანდოსკი ოდნავ ლელავს, მრგვალსა და გამოქაჩულ კვადრატულად გავსტერებს.

დროც ხელსაყრელია. ექიმების ჩამოვლის საათი გასულია. შესაძლოა, რომელიმე მოწყალე დამ შემოიხედოს. ერთ-ერთი ჩვენგანი ამ მიზნით გარედ იცქირება. იგი გამობრუნდა და თავს უჭნევს.

— არავითარი ქაჭანება არ არის. მაშ უთხარი ცოლს იოჰან, ოღონდ მარდაღ.

ორივენი თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ. ქალი წითლდება და მორცხვობს. ჩვენ უღვარძლოდ ვიციანთ ჩუმ-ჩუმად და ხელებს ვაჭნევთ. ეშმაკსაც წაულია კრუმორწინონობა, ეს სხვა დროისთვისაა მოგონილი.

ჩვენს წინაშე წევს დასახიჩრებული ჯარისკაცი, დურგალი იოჰან ლევანდოსკი და იქვეა მისი ცოლი. ვინ იცის როდის შეხედება კიდევ თავის ცოლს ეს კაცი. მის თავის ცოლთან წოლა უნდა. დეე, ქნას რაც საქნელია.

მორჩა და გათავდა.

ორი კაცი კარებთან დადგა. მათ დაკისრებული აქვთ: ვინძლო რომელიმე მოწყალეების დაა შემოსვლას დააპირებს, ლაპარაკით შეიკვიოს და ოთახში არ შემოიშვას. უნდა მოახებრონ როგორმე: ერთი მეოთხედით საათი მაინც აცალონ ლევანდოსკის.

ლევანდოსკის მხოლოდ გვერდზე შეუძლია წოლა. ერთმა ჩვენთაგანმა გადააბრუნა იგი და ზურგზე ბალიშები მიადო. ალბერტს ბავშვი დააკვირბინეს. დანარჩენებმა ზურგი შეეკტიეთ. შავი მანტო ერთბაშად დაიშალა საბნის ქვეშ. ჩვენ განზრახ ვხმაურობთ და სკატს ვთამაშობთ.

ყოველივე კეთილად წარიმართა.

მე მხოლოდ ჯერები შემხედა. თამაშმა თითქმის გადაგვაღიწა ლევანდოსკი.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი ატყუელდა, მიუხედავად იმისა, რომ ალბერტი ძლიერ მონდომებული არწევს და არჩქალებს მას. შემდეგ კრაქუნთი და შუშუნთი მოგვესმა. მოვიხედეთ და ვხედავთ: ბავშვი დეღის გვერდით წევს. ყოველივე კარგად წარიმართა.

ახლა ჩვენ ყველანი ერთ დიდ ოჯახს შევიდგენთ. ქალი გამოცოცხლდა. ვაოფლიანებულ ლევანდოსკის სახე უბრწყინავს.

ლევანდოსკიმ ცოლის საცვიოთიე გახსნა, აწოილო: ძებვები და დანა.

ძებვები დაქრა. ახლა პათეთიურად ხელს იშვერს ჩვენსკენ. დაძებუნებულმა პატარა ქალმა ყველას სათითოოდ ჩამოგვიარა, ღიმილით გვირიგებს ძებვის ნაჭრებს. ამ საქმიანობის დროს მის საკმაოდ კოხტა გამოიმუტყველება აქვს. ჩვენ მის „დღდას“ ვეძახით. იგი გახარებულია და ბალიშებს გვიბერტყავს.

რამოდენიმე კვირის შემდეგ მე იძულებული ვარ ყოველ დილას ვიარო კანდერის ინსტიტუტში. იქ ღვედებს მახვევენ ბარკალზე და აქეთ იქით მაქანებინებენ თუხს. მკლავი უკვე მომიარა.

ფრონტიდან ახალ ახალი ტრანსპორტები მოდიან. სახვევ მასალად ახლა მატერიას ვეღარ შოულობენ და ქაღალდის კრეპს ხმარობენ.

ალბერტის კრილობაც შორჩენის გზაზეა. იარამ პირი შევსწავნივთ კამოდენიმე კვირის შემდეგ საპროტეზო სადგურში უნდა გააგზავნონ. ალბერტი ჯერაც იშვიათად ლაპარაკობს და უფრო დადინჯდა კიდევაც. ხანდახან მიგ შეუასაუბარში ლაპარაკს შესწყვეტს და განზე მზერას დაიწყებს, იგი რომ ჩვენს შორის არ ყოფილიყო, უთუოდ თავს მოიკლადა. ახლა მას უდიდესი განსაცდელი უკვე განვლილი აქვს.

ხანდახან სკატის თამაშსაც კი არ ადევნებს თვალს.

მე სამკურნალო შევებულება მივიღე.

დედა არ მიშვებს. იგი ძლიერ დასუსტებულია. ახლა გაცილებით უარესად გრძნობს თავს, ვიდრე წინად.

ჩვენმა ათასეულმა მიხმო და ფრონტზე მივიღივარ. ჩემ მეგობართან, ალბერტ კროპთან გამოთხოვება ძლიერ მიმიძიხს.

მაგრამ ჯერში ამასაც იოლად მიეჩვევა აღამიანი.

## XI

უკვე კვირებს აღარ ვითვლით. უკვე დახამთრებული იყო როცა ფრონტზე მოვედი. გრანატების გასკდომისას ამდგარი გაყინული მიწის ბელტები ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენდნენ, როგორც თავად გრანატის ნამსხვრევები. ახლა ხეები ისევ ამწვანდნენ. ცხოვრება სანგრებსა და ბარაკებს შორის მიმდინარეობს. ჩვენ უკვე მიეჩვიეთ ამას ნაწილობრივად.

ომი ისეთივე მიზეზია სიკვდილისა, როგორც კიბო, ან ქლეტი, როგორც პარტახტიანი ტიფი, ან დეზინტერია. ესაა ოღონდ ამ შემთხვევაში უფრო ხშირია სიკვდილის შემთხვევა. ამგვარად მოკვდინების ფორმებიც უფრო მეტად სასტიკია და მრავალგვარი.

ჩვენი აზრები თიხასა ჰგავს: ისინი დღეთა ცვალებადობაში იზილებიან კარგნი არიან როცა მშვილობიანად ვართ და მკვდრებიც, როცა ცეცხლის გრიგალის პირისპირ ვდგევართ.

ალზრდისა და განათლების მიერ შექმნილი სხვაობანი გადაილახა და უკვე შეუქმნეველნი ხდებიან. ისინი ამა თუ იმ მდგომარეობის გამოყენებისას თუ ანიჭებენ უპირატესობას ზოგიერთს. მაგრამ მათ თავიანთი უკუთქმითი მხარეებიც მოეპოვებათ, ისეთ შემთხვევაში, როცა ისინი დასათრგუნველ დაბრკოლებებს გამოიწყევენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება—თითქოს ჩვენ ოდესღაც სხვადასხვა სახელმწიფოს ფულის ნიშნები ვყოფილიყავით. ეს ფულის ნიშნები გადაადნეს და ამაჟამად ყველას ერთი და იგივე დამლა ატყვია.

როგორც სხვაობათა შეცნობა გახდება საპირო, დიდის დაკვირვებით უნდა გამოარჩიოთ მასალა.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა ჯარისკაცები ვართ და მხოლოდ ამის შემდეგ ფრიად საოცრად და დარცხვენილად გამოჩნდება ხოლმე ჩვენი აღამიანთრა პიროვნება.

ჩვენ ყველანი ერთი დიდი ძმური ჯალაბის წევრები ვართ. დასავლეთში, ხალხურ სიმღერებში შექცეული აზნაგობის გრძობის, დამნაშავეთა კრებულის, ერთობის, სიკვდილ მისჯილთა სასოწარკვეთილი კავშირის ანარეკლი ცხოვრების ისეთ საფეხურში გვაერთიანებს, როცა ცხოვრება საღრთხისა და დაღუპვის მოლოდინის წიაღში მიმდინარეობს და ამ გვარიცხოვრებისაგან თავსებით უპაათო სოდ ვლებულობთ სიკვდილის კლანკებისაგან გამოგლეჯილ მშვიდობიან წუთებს. ვინ იცის როგორ უნდა განიმარტოს ეს? როგორც გმირული თუ ბანალური ყოფა? მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ვის აინტერესებს ეს ყოველივე?

ტიადენმა მტრის მოახლოებული შემოტევის წუთში ჭონიანი წვნიანის ჭამა დაიწყო, სიჩქარისგან ათრთოლებულმა.

რატომ?

ვინაიდან მან არ იცოდა ერთი საათის შემდეგ ცოცხალი იქნებოდა თუ არა. ჩვენ დიდხანს ვმსჯელობდით ამის შესახებ: სწორია ეს თუ არა. კატი წინააღმდეგია, იგი ამბობს: ანგარიში უნდა გაუწიო ასეთ მდგომარეობას: თუ ტყვია მუცელში მოგხვდა, როცა კუჭი სავსე გაქვს ეს მეტად სახიფათოა, ეიდრე როცა მშვიერი ხარ.

ასეთი აზრები შეიცავენ ჩვენთვის პრობლემებს. ეს ფრიად სერიოზული პრობლემებია, და სხვა რიგადაც არ იქნება.

ამ სიკვდილის მიჯნაზე მდებარე ცხოვრებას უადრესად მარტივი ხაზი აქვს, იგი მარტოაღენ აუცილებელით განისაზღვრება, სხვა ყოველივე ბუნდოვანია. ეს არის ჩვენი პრიმიტიულობა და ჩვენი ერთად ერთი ხსნა. ჩვენ რომ უფრო რთულნი ვიყვნეთ, უთუოდ ვაგვიყლებოდი, აქედან ვაკიკცოდით, ან დაეიხოცებოდი.

ეს პოლარულ მხარეებში გასულ ექსპედიციას მოგაგონებთ: უღმკირესი სიციცხლის გამოხატულება უთუოდ არსებობისთვის ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს და იგი ნებისთ თუ უნებლიედ ამით ამოიწურება.

სხვა ყოველივე დანარჩენი გაძევებულია, რადგან ეს ენერჯის ამოდ ფლანგვა იქნებოდა. ეს არის ერთად ერთი საშუალება თავის გადასარჩენი და ხშირად, სედიან წუთებში როცა წარსულის უცნაური არილი ჩემს შგნებაში ფერგამკრთალ სარკესავით ამოტივტივდება, დაუფადები ჩემსავე თავს, როგორც ვინმე უცხო არსებას და ასეთ დროს მე თავად მაოკებს რომ ის ვნით გამოუთქმელი აქტივობა, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, თვით ამ ფორმას ჩემის ყოფისას რომ შეეგუა და შეეთვისა. სხვა ყოველივე საცნაურყოფა დახამორების ძილშია ჩაფლული.

სიციცხლე დღე ნიადაგ სდარაჯობს სიკვდილს.

მან ჩვენ მოაზროვნე ცხოველებად გვაქცია, რათა ინსტინქტის იარაღი მოეცა ჩვენთვის, მან დაგვაჩლუნგა და გავვაბრუა რათა საშინელების პირისპირ თავზარი არ დაგვეცემოდა; ცხადია, ჩვენ რომ ნათელი და საზრიანი აზროვნება შეგვძლებოდა, ჩვენ იგი უთუოდ დაგვძლევდა და დაგვაძახუნებდა.

ამ მდგომარეობამ გაამძაფრა ჩვენში აზნაგური სული, რათა ხელალებით სასოწარკვეთილების უფსკრულში არ გადაეცვნილიყავით.

ასე მივითრევთ ჩვენს კარნაქტილსა და სასტიკ ყოფას, დაწმინდულ ხან-  
დახან რომელიმე შემთხვევა სინათლის რიალს თუ გამოიწვევს, და სმ<sup>ს</sup> წყობივე  
ამოლიკლიცდება მძიმე და აუტანელი დარდისა ალი.

ეს გახლავთ სწორედ ყველაზე საშიში წუთები, რომელნიც გვაგრძნობინებენ,  
რომ ყოველივე შეგუება ხელოვნური რამ არის და ეს დამშვიდება როდი არის,  
არამედ უმძაფრესი წადილი დამშვიდებისა.

ჩვენი ცხოვრების გარეგნულ განსახიერებაში ბუშმენებისაგან ოდნავაც არ  
განესხვადებით, მაგრამ მაშინ როცა ბუშმენები არასოდეს თავის „მეს“ არ ლა-  
ლატობენ, ვინაიდან ისინი ბუნებით ასეთნი არიან, და ფიზიკური ძალთა დამა-  
ბვისას თავიანთ სულიერ ძალებსაც მაქსიმალურად დაქინთავენ ხოლმე, ჩვენ კი  
პირიქით: ჩვენი შინაგანი ძალები წინ სწრაფვისათვის კი არ იჭონებიათ, არა-  
მედ რეგრესისათვის.

ბუშმენები უბრალო და ბუნებრივი ადამიანებია. ჩვენ კი მუდმივ ხელოვ-  
ნურ დამაბვას განვიცდიით.

და ლამ-ლამობით რომ გამოგვეღვიძება ადამიანს, თავზე წამოგადგება მთელი  
გროვა უცნაურ აზრდილებისა, და ასეთ წუთში ნათლად გრძნობ, თუ რა უსუ-  
სურია რიდე და მიჯნა, რომელიც ჩვენსა და ლამეს შორის დადგენილია; ჩვენ  
ხომ აქ პაწია ნალევრდლები ვართ, რომელთაც მხოლოდ სიფრიფანა ზღუდე  
იცავს განადგურებისა და უსახმნოების ბედითი ვრიგალისაგან. ამ ვრიგალის  
წიაღში ჩვენ კანტი-კუნტად ვბეჭუტავთ და ვიფერფლებით, თამიდან ეამზე ვი-  
ხრობით თითქმის.

ასეთ წუთებში ბრძოლის გრძელნი სალტესავით შემოგვეტობა, ჩვენ სა-  
კუთარ „მე“-ში ჩავიკუეებით და დაფეთებულ თვალებს ლამეს მივაშტრებთ.

მხოლოდ ირგვლივ დამსხდარი ამხანაგების სუნთქვა მხნეობას გემატებს.  
და ასე ვუცდით შერმე იალონს.

\* \* \*

ყოველი წუთი, ყოველი საათი, ყოველი გრანატა, ყოველი მკვდარი დაუ-  
ცხრომლად ქლიბავენ ზემოდნახსენებ სიფრიფანა ზღუდეს და წლებიც ჩქარა  
კეთენ მას კიდევაც. მე ეხედავ თუ როგორ თანდათანობით ინგრევა ჩვენს გარ-  
შემო იგი.

თუნდაც დეტერინგის ამბავი ავილოთ.

იგი ძლიერ გამომდგარი კაცი იყო.

მან ერთ ბაღში ბლის ხე ნახა. ეს იყო მისი უბედობის სათავე. ჩვენ ის-ის  
იყო ფრონტიდან ვბრუნდებოდით ბინდისას და ეს ბლის ხე ჩვენი ახალი ბი-  
ნადრობის სიახლოეს, გზის პირად მოულოდნელად შევნიშნეთ. მას ჯერაც ფოთ-  
ლები არ ესხა, მაგრამ თავად მთელი ხე ერთად ერთ ყვავილის ბუჩქსა ჰგავდა-  
სალამოს დეტერინგი აღარ სჩანდა.

ბოლოს მოვიდა. ხელში ორიოდე ყვავილასხმული ტოტი ეჭირა.

ხუმრობა დაეუწყეთ: საკოლეს შესაგულელებლად ზომ არ მიდინარო.

მან პასუხი არ გაგვცა, თავის საწოლზე წამოწვა. ღამით მუცელში მუცელი: ხმაურობდა, სჩანდა, ნივთებს აღაგებდა. უბედურების მოახლოებას წინასწარ შევიგრძენი. მივუხლოვდი.

დეტერინგმა ისეთი სახე შეიღო, თითქოს აქ არაფერიც არაა და მე ვუთხარი.

— სისულელე რამ არ ჩაიძინო, დეტერინგ!

— რას ამბობ! ესაა მხოლოდ ძილი არ შეკიდება.

— რად მოიტანე მაშ ბლის შტოები?

— ხომ არავის აუკრძალავს ბლის შტოების მოტანა?

მიპასუხა გაჯიგებულმა, თან კოტა ხნის შემდეგ დასძინა:

— შინ დიდი ბალი მაქვს, ბლის ხეხილის ბალი, როცა ისინი ქვევანი, ისე მოსჩანან როგორც უშველებელი, თეთრი ზეწარი. ახლაც ის დროა.

— ეგებ შევებულება წილი ნალე. შესაძლოა, შენ როგორც სოფლის მეურნე სამუშაოდ შინ შეგაგლინონ?

თავს მიქნევს, მაგრამ სააქაოს აღარ არის. როცა ამ გლეხებს მღელვარება შეიპყრობს, მათ საოცარი გამოიმეტყველება აქვთ: ნაწილობრივ გამოღწეულის, ნაწილობრივადაც ოცნებით შეპყრობილსა. და რათა ფიქრებისგან გამოარკვეულ იყო, კოტაოდენი პური ფახოვფე.

მან გულუხვად გაიღო პური.

ეს არ მებრიაა, რადგან იგი ჩვეულებრივად კრიკანგია.

ამიტომაც ვფხიზლობ.

ინ ღამეს არაფერი მომხდარა. მეორე დღით ჩვეულებრივად იქცეოდა.

ალბად შემატყო, რომ ვუთვალთვალედი.

მიუხედავად ამისა, შესამე დღეს იგი წასულიყო. მე ეს შეენიშნე, მაინც არას ვამბობ, რათა ბელი არ შევეშალო. ბევრმა შესძლო აქედან პოლიანდიაში გადასვლა.

გადათვლისას იგი მოიკითხეს, ერთი კვირის შემდეგ გავიგეთ: იგი საველე ქენდარმერიას შეუპყრია, ამ საბაგელ სამხედრო პოლიტიკელებს. იგი გერმანიისაკენ გამგზავრებულია. ცხადია, აქედან არაფერი გამოუვიდოდა. ბუნებრივია, რომ ეს ყოველივე ძლიერ მოუსახრებლად უქნია იმ ბედშავს. ცხადია: წამიერ-ნა გრძნობათა აღრევამ და სამშობლოსადმი დარღმა მოაფიქრებინა დეტერინგს გაქცევა. მაგრამ რა ესმით ამ ამბების ფრონტის ხაზიდან ასეულ კილომეტრით დაშორებულ საველე მოსაწართლებს?

ჩვენ ამის მეტი არაფერი ვაგვიგონია დეტერინგის შესახებ.

მაგრამ ეს სახითათოთ და შეგებებული დამაბევა სხვა გზითაც ისე ამოხეთქავს ხოლმე, როგორც ზომიხე მეტად გაცხელებულ ორთქლის ქვაბიდან ორთქლი.

აქ ბერგების აღსასრულის ამბავიც უნდა მოგიხსროთ.

ჩვენი სანგრები უკვე დიდი ხნიდან განადგურებული იყო არტილერიის ცეცხლისაგან. ფრონტი ძლიერ ელასტიური გახდა და ახლა არსებითად პოზიციური ომის აღარ ვაწარმოებთ.

როცა შეტევა და შენობტევა ურთიერთს სცვლიან, ფრონტის ზედა ნაწილი და გაღმა-გამოღმა მდებარე ღრუებში ჩასატრული ჯარები ებრძვიან ერთმანეთს. ჩვენ ერთ დიდ ღრუში გაემაგრდით.

გვერდით ინგლისელები არიან. მათ ფლანგი გალუნეს და ზურგში მოგვექცნენ. ამგვარად, მტერი გარს შემოგვეტყა. ტყვედ ჩაეარდნაც ძნელია, ჩვენ ზევით ნისლია, ვერაფერს გაიგებდა რომ ჩვენ ვნებდებით, ან ვინ იცის ჩვენ არც კი გვენდობდნენ ტყვედ ჩაეარდნა, ვინაიდან ასეთ წუთებში ადამიანი შენს თავსაც არ აძლევს ანგარიშს.

გვესმის: თუ როგორ ახლოვდება ხელობების აფეთქების გრილი.

ჩვენი ტყვიამფრქვევი მეწინავე ნახევარ რკალს ცვლავს. ტყვიამფრქვევის გასაგრძელებელი წყალი ორთქლად იქცა. ირგვლივ კარდალებს აწვდიან შემზნეს. ყოველი ჩვენგანი ამ კარდალებში წარდს ასხამს. ამგვარად წყალი არ მოგვეკლებია, და სროლას განვაგრძობთ, მაგრამ ჩვენს უკან გრილი უფრო და უფრო ხშირდება და ახლოვდება.

კიდევ რამოდენიმე წუთი და ჩვენ დავიღუპებით.

უკვე ჩვენს მახლობლად მეორე ტყვიამფრქვევი ამუშავებს. იგი მახლობელ დაბრში იმყოფება. იგი ბერგერმა მოათრია და იმავე წუთში კონტრიერიში დაიწყო.

რკალი გავარდევით და ჩვენებთან კავშირი აღუადგინეთ.

როცა ჩვენ უკვე რიგთან საფარში ვისხედით, ერთ-ერთმა საზარდოს მომტანმა ჯარისკაცმა გვიამბო: აქედან რამოდენიმე ასეული ნაბიჯის მანძილზე ერთი შიკრიკი ძალი დაჭრილი გდიაო.

— სად ეს?

იკითხა ბერგერმა.

მომთხრობმა აუწერა სად. ბერგერი წავიდა, რათა ის ძალი ან აქ მოეყვანა, ამ მანდ მოეკლა.

ცხადია, ნახევარი წლის წინად იგი ამ ამბავს არაფრად ჩაავდებდა და კვიანად იქნებოდა.

მეცადეთ როგორმე არ გაგვეშვა, მაგრამ როცა არ დაიშალა და წასასვლელად გაემზადა, გიჟი ხარო ვუთხარი და თავი დავანებეთ.

ვინაიდან ასეთ მომენტში, როცა ადამიანის ფრონტის ზედა ნაწილი, თუ იგი არ შეიპყარი და არ შეეკოვე, ძლიერ საფრთხილია სხვაგვარი ზომის მიღება. და ბერგერი უშველებელი, ბრგე ვაჟაკიცა.

იგი მართლაც შეშლილი უნდა იყოს, მან ხომ ცეცხლის ხახი უნდა გაირბინოს, მაგრამ როგორც სინანს, მას უკვე მოხვედრია ელვისა ელდა, რომელიც ყოველ ჩვენგანსაც მოელის ალბად და ამ ელდას შეუპყრია იგი.

სხვანი ასეთ შემთხვევაში სათოვე ხლებიან და გარბიან. ისეთი შემთხვევაც იყო როცა ერთი ჯარისკაცი ხელით, ფეხით და პირით ფოცხავდა მიწას და შიგ ჩაძვრომას ლამობდა.

ბევრი, რა თქმა უნდა, სიმულაციას ეწევა, მაგრამ სიგიჟის სიმულაციაც ხომ ცუდი ნიშანია. ძალის საძებნად გასულ ბერგერს მტრის ტყვიამ თეძოები

დაუმსხვრია, ხოლო ერთ-ერთ ჯარისკაცს, რომელსაც მისი ქველმოქმედება და ფეხის კუნთში მოხედა შაშხანის ტყვია.

მაულღერი მოჰკლეს. მუცელში საშუქი რაკეტა მოხედა. კადეე ნახევარი საათის განმავლობაში გრძობა არ დაუტარგავს და საშინელი წანებაში ამოხდა სული. სიკვდილის წინ მან თვისი საფულე გადმოშვა და თვისი ჩექმები მიანდერდა, სწორედ ის ჩექმები, რომელნიც კემერიხმა დაუტოვა მას.

ახლა მე ვატარებ ამ ჩექმებს. ტიადენს დაეპირდი: როცა მე მომკლავენ, ეს ჩექმები შენი იყოს მეთქი.

ესაა მაულღერის დამარხვა კი შევსძელით, მაგრამ დიდხანს არ დააყენეს სამარეშიაც.

ჩვენ ჩვენი პოზიციები დავტოვეთ. მტერს აუარებელი ინგლისური და ამერიკული ათასეულები შეემატა. ამ უკანასკნელთ დიდძალი ხვადგის ხორცის კონსერვი და თეთრი ფქვილი აქვთ. ძლიერ ბევრი საარტ, საქურველი და ჰაერობლანი.

ჩვენ კი არაქათი გამოგველია და შიმშილმა დაგვექანცა. საზრდო ძლიერ კუდია და იმდენი სუროგატი ურევია მასში რომ წამდაუწამ ავად ვხდებით. გერმანელი მეჭარხნეები გამდიდრდენ და ჩვენ კი ფალარათისაგან ნაწლავები გვიფშტვება.

ფეხსადგილებში ტევა აღარ არის. შინ დარჩენილებს უნდა აჩვენოს ვინმემ ეს გაფითრებული, ჩამოყვითლებული, საცოდავად მოკრუნჩხული ფიგურები რომელთაც სისხლი სდის გვამიდან, და დამანქულ, მთროლვარე ტუჩებით კიდევ ახერხებენ ხუმრობას:

— ეჰ, შარვალის შეხსნა აღარ ღირს.

ჩვენი არტილერია დადგმდა, ყუმბარები შემოაკლდათ, ქვემეხების ლაღები ისე გაცივდა, რომ მიხანში ვერ ურტყამენ, ხანაც თავისიანებს უბრაგუნებენ.

აღარც ცხენები გვეყავს საქმარისი. ჩვენი ახლად შენამატი ჯარები სანატორიუმში გასაგზავნ სისხლნაკლებ ბიჭუნებისაგანაა შედგენილი. ისინი საეულე ჩანთის ტარებასაც ვეღარ უძლებენ, მაგრამ რა ქნან სასიკვდილოდ განწირულებმა? და კიდევაც ათასობით იხოცებიან. მათ ომის არაფერი ესმით. გადიან ბრძოლის ველზე და მტერი უმოწყალოთ მოსრავს მათ.

ერთმა მფრინავმა ხუმრობით დახოცა ორი ასეული ასეთი ახლად მოსული ჭაბუკებისა, რადგან მათ არც ხანდაკობა იცოდნენ და არც ჩასაფრება.

— გერმანია აღბად განახევრებული იქნება.

ამბობს კატ.

ჩვენ იმედი აღარა გვაქვს, რომ ოდესმე ომი გათავდება. კაცმა რომ თქვას, არც ასე შორს სწვდება ჩვენი მოსაზრება. მოგხედება კაცს ტყვია და მოკვდები. თუ დაგჭრეს, უახლოესი სადგური ლაზარეთია.

თუ აქ ფეხი არ მოგაცილეს, ადრე თუ გვიან რომელიმე ლაზარეთის ორდენიანი შტაბის ექიმი ჩავიგდებს ხელში და გეტყვის:

— რაო, ცალი ფეხი ოდნავ დამიმოკლდათ? თუ მშიშარა არა ხართ, სირბილი არც კი დაგჭირდებათ ფრონტზე. ეს კაცი ომში გამოსადგვია. წა!

ერეკონული  
პროცესები

კატ ერთ ანეგდოტს გვიამბობს.  
ეს ერთი იმ ანეგდოტთაგანია, რომელნიც ვოკეზებიდან ფლანდრეზების  
გავრცელებულია.

თორმე ერთი შტაბის ექიმის ჯარისკაცების სიებს კითხულობს. გამოდის  
ჯარისკაცი. ექიმის არც კი შეხედავს მის, ისე ამბობს: „ო. გ.“<sup>1)</sup>

ფრონტზე ჯარისკაცები გვეირდება“.

ხის ფეხიანი კაცის რიგი მოვიდა. შტაბის ექიმის ანასაც ეუბნება: „ო. გ.“.

— და ნაშინ (აქ კატ ხმას უწევს) ჯარისკაცი ეუბნება შტაბის ექიმს: „ახ-  
ლა ხის ფეხი უკვე მაქვს, მაგრამ თუ ფრონტზე წავედი და თავი მომწყვეტეს,  
ნაშინ ხის თავს გავაკეთებინებ და შტაბის ექიმის გავხდები“—ო. ჩვენ ძლიერ გვაქ-  
მაყოფილებს ამგვარი პასუხი.

კარგი ექიმებიც ბევრია, მაგრამ როცა ყოველ ჯარისკაცს ასჯერ გასინჯა-  
ვენ, ცხადია, ყოველი ჯარისკაცი ერთხელ მაინც ვადაეყრება ისეთ ვმირებსაც,  
რომელნიც ძლიერ მოწადინებულნი არიან თავიანთ სიებსზე რაც შეიძლება ნეტო  
ო. გ. დასვან.

ასეთი ანეგდოტი ძლიერ ბევრია, უმეტესნი მათ შორის უფრო მეტ სიმ-  
წარეს შეიცავს. ეს ისტორიები სიყალბეს არ შეიცავენ, ისინი მათში ბევრი  
გულწრფელობა და აქ ყველაფერს თავისი სახელი აქვს შერქმეული. სამხედრო  
სამსახურში ხშირია: მოტყუება, უსაზარალოება, და სისადაგლე.

განა ეს ტრაგიული ამბავი არ არის, რომ ყოველივე ამის მიუხედავად  
ათასეულები მწყობრად მისდევენ ერთმანეთს ომში და ეს ომი დღითი დღე უფ-  
რო და უფრო უიმედო საქმე ხდება, მაგრამ უკაცურული, მკირერიცხოვანი ათა-  
სეული იერიშს იერიშზე რომ გადადის?

ტანკებს თავდაპირველად მასხრად იგდებდნენ. მაგრამ ახლა ისინი საშიშ  
იარაღად იქცნენ.

ჯავშანით შეჭედილი ტანკები რომ ფლანგით წამოყლენ, მოდიან, მობაჯ-  
ბაჯებენ და ისინი ამ ომის საშინელებას ყველაზე მკაფიოდ გამოხატავენ.

იმ ქვემეხებს, რომელნიც გრიგალისებურ ცეცხლს გვიწვენენ, ჩვენ არც კი  
ეხედეთ; ჩვენზე მოიერიშე მტრის რაზმები ჩვენისთანავე ადამიანებისაგან შესდ-  
გებიან, ეს ტანკები მანქანებია.

მათი ჯაბვიანი ლენტები ისე განუსაზღვრელად ბრუნავენ, როგორც ამ სა-  
შინელი ომის ბორბალი. ამ ტანკებს თან მოაქვთ განადგურება, და როცა ისინი  
ფერძნობლად ჩაეშვებიან უმელებელ ძაბრებში და ისევ ამობორდლებიან,  
მოდიან ჩვენსკენ როგორც დაუცხრობლად მოძრავი, აღრიცხვებული, მბრდღეი-  
ნავი ფლოტილია, რომელიც ჯავშნოსან მატარებლის კვამლს ამოიღებს. მოექა-  
ნება ჩვენსკენ ამ ფოლადის ცხოველების ჯოგი, განუკითხავად ჯეგაქს მკედრებ-  
სა და დაჭრილებს, ჩვენ კი საცოდავად ვიკრუნჩხებით ჩვენს დათხლებულ ქერ-  
კში და მათი ბუმბერაზობის შემდეგარეთ ნკლავები ჩალისდერად გვიქცევა და  
ჩვენი ხელბომბები ასანთის ღერებს ემსგავსებიან.

გრანატები.

1) ომისთვის გამოსადეგია, მარჯმ. შენიშვნა.

მარჩობელი ვაზები.  
ტანკების ფლოტილია.  
გადაჯეგვა.

ვანადვურება და სიკედილი.  
სისხლიანი ფაღარათი. პარტახტიანი ტიფი. ტიფი. დახრობა. დაწვა და მოკვდინება.

სანგრები. ლაზარეთი. ძმური სამარხი—სხვა გამოსავალი არ არის.

\* \* \*

შეტყვის დროს მოკლეს ჩვენი ასეულის უფროსი ბერტინკი. იგი ერთი იმ მამაც მეთომარ მეთაურთაგანი იყო, გაჭირვებისას რომ თავად წინ მიუძღვებთან ჯარს. ორი წლის განმავლობაში იგი ერთხელაც არ დაჭრილა, ბოლოს რამე უნდა მომხდარიყო.

ერთ ერთ ხერგლში ეზივართ. მტერი გარს შემოგვერტყა. ირგვლივ ნავთისა და დენთის სუნი სდის.

ერთბაშად შევნიშნეთ: მოწინააღმდეგის ორი ჯარისკაცი ჩვენსკენ მოდის. მათ ცეცხლმტყორცნელი იარაღი მოაქვთ. ერთს ზურგიით მოაქვს გეგა, მეორეს ცეცხლის სატყორცნი შლანგი. თუ ისინი ძლიერ მოგვიახლოვდნენ, უთუოდ დავიღუპებით. არც უკატყევა შეგვიძლია.

ცეცხლი დაფუზინეთ მათ, მაგრამ ისინი წინც გვიახლოვდებიან და საშუა ვერ არის კარგად. ბერტინკი ჩვენიან წევს. ხედავს: ჩვენ ვერ ვახვედრებთ, მშაფრი ცეცხლის გაჩენას ვერიღებით, რადგან საფარს ვუფროთხილდებით.

მან შაშხანას ხელი წამოაფლო, თხრილიდან გამოძქრა, იდაყუზე დაეყრდნო და უმიზნებს.

ბერტინკმა ესროლა და იმავე წუთში მას ტყვია მოხვდა. დაიჭრა. ისევ წევს და უმიზნებს. ცოტა ხანს ხელი შეუწეა შაშხანას და ისევ ნიშანში იღებს. ვაეარდა. ბერტინკმა შაშხანა ძირს დაუშვა. ამბობს: კარგია! თხრილში შემოძქრა.

ერთ ერთი მოწინააღმდეგე დაიჭრა. ძირს დაეცა. მეორეს შლანგი გაუვარდა ხელიდან. ცეცხლმა იფეთქა და კაცი დაიწეა.

ბერტინკს მკერდში მოხვდა ტყვია. ცოტა ხნის შემდეგ ნიკაპი მოამტვრია გრანატის ნამსხვრევმა. იმავე ნამსხვრევმა იმდენი იძალა, რომ ლეერს თეძო გაუხლიჩა.

ლეერი კენესით დაეყრდნო მკლავებს.

იჩქითად დაიცალა სისხლისაგან და ვერც ვერაფერ შევლის. საპირე შეშვებულ გუდასავით დაიფშუტა და წაიქცა.

ახლა რას შევლის მას ის გარემოება, სკოლაში საუკეთესო მათემატიკოსად რომ ითვლებოდა?

\* \* \*

თეგები გარბიან. ეს 1918 წლის ზაფხული ყველაზე მძიმეა და სისხლიანი. დგანან დღეები როგორც ოქროთი და ფირფიტით მოსილი ანგელოსები, და ჰოა სავეირველბავ, რომ ისინი ყოვლის მშუსრველის რკალზე შემდგარან.

აქ ყველამ უწყის, რომ ომა წაეაგებთ.

ამ ამბებზე არც ისე ბევრს ვმჯელობთ, უკან ვიხვეთ, ალბად ჩვენ აწი მტერს ველარ შეფუტეეთ, ამ დიდი შეტევის შემდეგ ჩვენ აღარც ჯარი გყავს საკმაო და არც საქურველი.

მაგრამ ომი მაინც გრძელდება—სიკვდილი თავის ეტლს აგრძელებს.

1918 წლის ზაფხული. არასოდეს ცხოვრება თავის ლატაკულ აღნაგობაში ასე სანუკველი არ ყოფილა როგორც ამჟამად!

ჩვენი ბარაკების წინ გადაშლილი ყაყაოების ველი. ეს ბრტყვილა მწერები ბალახების ღეროებზე ნახევრად ბნელსა და გრილ ოთახებში შემონაჯონი ტფილი საღამოები, იდუმალების რულში გართული, საღამოს ბინდით დათალ-ხული ხეები, ეს ვარსკვლავები და რუების ელურტელი, ოცნების აყოლა და ხან-გრძლივი სიზმრები!

ჰოა სიკოცხლევ!

სიკოცხლევ!

სიკოცხლევ!

1918 წლის ზაფხული! არასოდეს არაეის იმდენი უხმოდ არ აუტანია, როგორც ჩვენ პოზიტიაზე გასვლის წუთებში. საშინელი, გამაღიზიანებელი ხმები გაერკვლდა დროებითი ზავისა და ზავის შესახებ, ამ ხმებმა ჩვენი გული ააფორიაქა და ამიტომაც ველად ვასვლა უფრო გვიძიძს, ვიდრე ოდესმე.

1918 წლის ზაფხული!

არასოდეს სანგრებში ცხოვრება ისე არ გავგმწარებია და ისე საშინელი არა ყოფილა, როგორც გრიგალისებური ცეცხლის დროს, როცა ფერგამკრთალი სახეები ტალახში იფლებიან და ხელები ვედრებისგან იკრუნჩხებიან:

— ოღონდ ახლა არ... ოღონდ ახლა არ მოგვადე, ამ უკანასკნელ წუთებში.

1918 წლის ზაფხული—გადაბუფულ ველებზე გადმოშროლი იმედის სიო, გამაფრებული მოუთმენლობის, გულაცრუების, სიკვდილის წინაშე უწყეო თრთოლვა და აფხნელი საკითხი: რისთვის იგვიანებს აწ აღსასრული ან რად მოეფინა ყველას ხმები ზავის შესახებ?

\* \* \*

აქ ჰაერობლანი ბევრია.

ისინი ისე არხეინად გრძნობენ თავს, რომ აღამიანებზე ისე ნადირობენ, თითქოს კურდღლაობენო. თითო გერმანულ თვითმფრინავზე თითქმის ხუთი ინგლისური და ამერიკული მოდის, ხოლო ერთ დაშვებულ, დაქანცულ გერმანულ ჯარისკაცზე—ხუთი ლონიერი, დასვენებული მტრის მეომარი.—ერთ გერმანულ პურის გოგორაზე, გადაღმა ორმოცდაათი ხორცის კონსერვი მოდის.

ჩვენ არ დაუწარცხებთ, რადგან ჩვენ როგორც ჯანსიყვეფეს-ნიცა ვართ და უფრო მეტად გამოცდილნიც. ესაა, ასევეა უფრო მრავალ რიტოვანმა მტრმა გაგესრისა და უკუგაქცია.

რამოდენიმე წვიმიანმა კვირამ გაიარა, ნაცრისფერი ცა, ნაცრისფერი, ტალახიანი მიწა, ნაცრისფერი სიკვდილი.

როცა ბრძოლის ველზე გავდივართ, ჩვენი ფარაჯები ნესტისაგან იღონ-თება და ეს ნესტი მუდამ თან რჩება ჩვენ სხეულში, ვიდრე პოზიციაზე ვართ. შაშხანები ენადგებიან. ტანისამოსი შემოგაეცვლა.

ყველაფერი გაოხრდა. ყველაფერი გაიცივთა. თომფე, დონდლო, ნესტიანი ნიადაგი ყვითელი წყლით სავსე ორმოებით მოფენილია, ამ წყლების ზედაპირზე სპირალურ ზოლებად გავლებულია სისხლიანი ლაქები და ამ გუბებში ნელ-ნელა იფლობიან მკვდრები, დაქრილები და ცოცხლები.

გრიგალი გრიალით გადადის ჩვენს თავზე. გრანატების ნაშხვრევთა კობს ამ რუხ-ყვითელ ქაოსში ატეხილი დაქრილების ბავშვური კივილი მოძახილს ეუბნება, და ღამლაშობით კი, დაფლეთილი სიცოცხლე კენესის და შესტირის დღმილს.

ჩვენი ხელები მიწაა, სხეული თიხა და ჩვენი თვალები—ნაწვიმარი წყლის გუბები. აღარც კი ვიციტ კიდევ თუ ვცოცხლობთ.

მერმე ჩვენს ხერხელებში შემოანათებს მძიმე და მოქითქათე ხეატი და ერთ ერთ გვიანი ზაფხულის დღეს დაიჭრა კატ.

ჩვენ ორნი ვიყავით მარტოკა. ქრილობა შეეჯხვით. ეტყობოდა ბარკალი დამსხვრეული ჰჭინდა. ძვალში აქვს ტყვია და კატ საშინლად კენესის: აი რა დროს, რა დროს!

ვანუგუშებ:—ეინ იცის ეს რია-რია როდის გათავდება. კიდევ კარგი რომ შენ მაინც გადარჩები.

იარას ფიცხლად სდის სისხლი. კატს მარტო დარჩენა აღარ ძალუძს, მე კი საკაცის მოტანაზე ვფიქრობ. არც რომელიმე სანიტსადგური შეგულდება მახლობლად.

კატ არც ისე მძიმეა, ამიტომაც ზურგზე მოვიკოტრე და შესახვევ ბუნქტისაკენ გავსწიე.

ორჯერ შევისვენეთ. ტარებამ საშინელი ტკივილები აღუძრა. ბევრ ლაპარაკს ვერიდებით. საკინზე შევიხსენი და ღრმად ვსუნთქავ. ხეივანი გადამდის. ტვირთის ზიდვისაგან. სახე განიწითლდა. მიუხედავად ამისა, ვიჩქარო, რადგან ეს მიღამო საშიშარია.

- წავიდეთ კატ?
- აბა რა ექნათ პაულ.
- მაშ, თავს ვლშველოთ!

წამოვაყუნე, იგი მართლ ფეხზე დაეყრდნო და ხეს მოეჭიდა. მერმე ფრთხილად მოვიკიდე დაქრილ ფეხზე ხელი, იგი შეხტა, ახლა მართელი ფეხიც გადა-ვიგდე მხარზე და გავსწიეთ.

გზა გაგვიძნელდა. ხანდახან ზუზუნით ჩაგვივლის ტყვია. მანქანებში უჩვეულო რაღაც ღონე ნაქვს, რადგან კატის დაკრძილი ფეხიდან სისხლი მოთქვიაღვს. სწოლაა. ვიდრე საფარს მოვსძებნიდეთ, ხასროლი ზუზუნით ჩაგვივლის.

ერთ პატარა ძაბრში ჩავეძვროთ. ჩემს მათარიდან ჩაის ვასმევ კატს. პაპიროსს ვწევთ.

— ეპ, კატ, — ვეუბნები დაღონებული, — ახლა კი გავიყრებით.

იგი სდუმს, თანაც შემომცქერის.

— გახსოვს კატ ბატი რომ მოვიპარეთ? ან შენ როგორ გამომიყვანე ცეცხლიდან, ჯერაც გამოუცდელი ჯარისკაცი, როცა პირველად დამკრეს? მაშინ ვტიროდი კადვაც კატ. მას შემდეგ უკვე საშმა წელმა განვლო.

კატ თავს აქნევს.

მარტოობის შიში ჩანერგდა ჩემში. კატს რომ აქედან გააგზავნიან, მე აქ წევობარი აღარავინ მეყოლება.

— იცოდე კატ, თუ მართლაც შენს მობრუნებამდის ზავი დამყარდა, მე და შენ უაუოდ ენახოთ ერთმანეთი.

— შენ გგონია ჩემი ძვლები ისე გაჯანსაღდება რომ კიდევ „ო. გ.“ ვიქნები? მწარე ღიმილით მეუბნება კატ.

— შენ არხეიანად მოიჩვენებ ფეხს. სახსარი დაშავებული არ არის. ვინ იცის ეგებ ყოველივე კარგად წარიმართა.

— მოიტა პაპიროსი.

მეუბნება კატ.

— ეგებ ერთად გავაყეთოთ რამე, კატ. ძლიერ ვწუხვარ, ეს არ შეიძლება რომ კატ, ჩემი შეგობარი კატ, მხრებ დაშვებული კატ, მარჩხა და რბილ ღლვავშიანი კატ, ჩემი კატ, რომელსაც ყველა ადამიანზე უკეთ ვიცნობ, კატ, რომელთანაც ექვსა წელი გავატარე, ეს შეუძლებელია რომ კატ აწი ველარ ვნახო.

ყოველ შემთხვევისთვის შენი მისამართი მომეცი კატ. ამა ჩემიც. ვეუბნები.

ქალღი უბეში ჩავიდევ. როგორ დაემარტოვდი მიუხედავად იმისა, რომ კატ ჯერ კიდევ ჩემთანაა. ტყვია ხომ არ ვიკრა საკუთარ ფეხში და ამ გვარად უსთან გავაგზავნიყო თავი.

კატს უეცრად სახე გაულურჯდა და გაუყვითლდა.

— გაესწიოთ.

ამბობს.

წამოვებტი, მინდა ვუშველო შეგობარს. აესწიე და გაესწიე. სიარბილით მივალ. დინჯად მივრბივარ, რათა ფეხი ძალზე არ აუტოყდეს კატს.

ყელი გამიშრა, წითელი და შავი ბურთულეები ჩემს თვალწინ ცვეავენ. როგორც იქნა სანიტსადგურს მივალწიე. აქ კი ჩავიბოქე და იმდენი ძალა კიდევ აღმომაჩნდა, რომ იმ მხარეზე წაგქცეულიყავი, საითყვანაც კატის მრთელი ფეხი მეგულებოდა.

რამოდენიმე წუთში წამოდგები. ხელ-ფეხი მიკანკალავს. კლავს წვეტილი მათარის მოძებნა და წყლის დაღვება. ტუჩები ნითრთის.

მაგრამ ვიღიმები: კატ გადავარჩინე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ბუნდოვან ხმების რიალს ვარჩევ.

— ეჰ, ამდენ ჯაფად არც კი ღირდა. ამბობს სანიტარი.

ოკი კატზე მიმითითებს.

შეესცქერი ამ კაცს: ნათქვამს ვეღარ ვგებულობ.

— ხომ ხედავ, მკვდარია.

არც ეს გაუგებია.

— მას წვივი აქვს დამსხვრეული.

ვეუბნები.

სანიტარი შესდგა:—ესეცაა...

მოვბრუნდი. თვალები ამეშლვრა. კვლავ ოფლი გადამაქდა. წამწამებზე ოფლის წვეთები მედებო. თვალს ეიფშენეტ, შეესცქერი კატს.

ოკი გაუნძრევლად წევს.

— გული შეუღონდა.

ვაშობ.

სანიტარი ხმადაბლა მეუბნება:

— თუ გინდ დაგენძელაეები, მკვდარია.

თავს ვაჭნევ.

— შეუძლებელია. ჯერ კიდევ ათი წუთის წინ ველაპარაკებოდი.

მას გული შეუღონდა ალბად.

კატს ჯერ არ გაცოფებია ხელები. მხრებზე ხელს ვადებ, რათა ჩაით დავუ-ზილო სახე.

აქ კი ვგრძნობ, თითები მისველდება.

როცა კეფაზე მოუსვი ხელი, ეხედავ სისხლი სდის.

სანიტარი ამბობს:

ხომ ხედავ.

თურმე მე არ შემიმჩნევია და კატ გზაში ხელმოკრედ დაჭრილა. სულ პა-წია ნაჩხვლეტი ატყვია. როგორც სჩანს ბრმად წამოხსული ნამსხვრევი მოხვედ-რია, მაგრამ ესეც კმაროდა. კატ მომკვდარა.

ავდექი.

— გინდა მისი პირადი წიგნაკი და ნივთები თან წაიღო?

მეკითხება ეფრაიტორი.

თავი დავუქნიე და ეს ყოველივე ჩავიბარე.

სანიტარი გაოცდა:

— თქვენ ხომ მისი ნათესავი არა ხართ?

— არა, ნათესავი არა, ნათესავი... არა.

ნუ თუ მივდივარ? ნუ თუ ფეხები მასხია? ავიხედე, თვალები მიმოვაველე გარემოს. თავადაც მოვტრიალდი. ერთი წრე გავაკეთე. კიდევ მეორე. შეესდგები.

ყველაფერი ძველებურადაა. ესაა მხოლოდ, რომ სათადარიგად ჩაქონდა სტა  
ნისლავ კატჩინსკი აღარაა.

მერმე ცნობიერება წამერთო სრულად.

## XII

შემოდგომაა. ძველ ჯარისკაცებიდან ბეჭი აღარ დარჩენილა.

მე უკანასკნელი და ვარ ჩენი კლასიდან გამოსულ შეიდეულში. ყოველ  
კაცს ზავი და დროებითი ზავი აყრია პირზე.

თუ ეს ყოველივე არ გამართლდა და სასოწარგვეყვითა, ჩვენ მეტს ველარ  
ავიტანთ. იმედს ისე ძლიერადა აქვს ჩვენს გულში ფესვი გადგზული, რომ იგი  
თუ დაგვეწურა, უთუოდ აფეთქება იქნება. თუ ზავი არ იქნა, რევოლუცია  
მოხდება.

თოთხმეტი დღის დასვენება მივიღე, რადგან ცოტაოდენი ვაზი გადავ-  
ყლაპე. მთელი დღე ერთ პატარა ბაღში, ნახარეში ვხივარ. მეც მჯერა: მალე  
დროებითი ზავი იქნება. მერმე შინ წავალთ.

აქ ჩემი აზრის დენა სწევდება და მერმინდელ გზას ველარ პოულობს. ის  
რაც შინისკენ მეწევა ეს გახლავთ: ცხოვრების ტინი, სამშობლოს გრძობა, ეს  
არის სისხლი, ეს არის გადარჩენის წადილი.

მაგრამ ყოველივე ამას მიზნები არ ეთქმის.

1916 წელს რომ შინ წაესულიყავი, ჩენი განცდებისა და ტკივილების  
სიძლიერე გრიგალს წარმოშობდა.

ახლა რომ შინ მივალთ, ჩვენ დაქანცული, დანჯღრეული, უიმედო და  
უფრესო ვიქნებით.

და ამიერიდან ჩვენს გზას ველარ ვიპოვნით.

ჩვენ ვერავინ გავიგებებს, ვინაიდან ჩვენზე წინაა ის თაობა, რომელმაც  
ჩვენთან გაატარა ეს წლები, მაგრამ მას ბუდე ჰქონდა და მიწოდება და ახლა  
იგი კვლავ უბრუნდება ადრინდელ ასპარეზს, ეს სარბიელი მას ომის საშინელებ-  
ას გადაავიწყებს ისევე, ხოლო ჩვენს უკან ჩენი მსგავსი თაობა მოდის, იგი  
ოდნავ წაგვაგავს, მაგრამ ეს თაობა ჩვენ ხელსა გვეკრავს და განზე გადაგვაგდებს.

ჩვენ ზედმეტნი ვართ არა მარტო სხვისთვის, ჩვენივე თავისთვისაც. ჩვენც  
გავიზრდებით, ზოგიერთი ჩვენთაგანი შეეგუება ცხოვრებას, სხვანი ქედს მოი-  
დრეკენ. მაგრამ მრავალნი უმწეონი გახდებიან. გაივლიან წლები და ჩვენ ბო-  
ლოს და ბოლოს დავიღუპებით.

თუმცა ვინ იცის, ეგებ ეს, რასაც მე ვფიქრობ შეწინააღმდეგობისა და დაბ-  
ნეულობის შედეგია და ყოველივე წამსვე განქარდება, როცა იღვების ქვეშ  
ვიდგომები და მათი ფოთლების შრიალს ყურს მივუვადებ.

შუთქლებელია რომ ყველაფერი ის წაეიდეს, განქარდეს ყველაფერი, რაც  
ჩვენ სისხლს ავრე აჭკოლებდა, ის მშვენიერი, ბუნდოვანი, საოცარი, სასტ-  
კველი, მერმისის მრავალსახიერი გამოცხადება, წიგნებისა და ზმანების წიაღი-  
დან მონაქროლი ნელოდიები, ქალის ტრფიალი. შეუძლებელია ეს ყოველივე  
რომ გრიგალისებურ ცეცხლში დაინთქას, სასოწარკვეთაში და ჯარისკაცებისა-  
თვის მოწყობილ საროსკიპობებში დაიხშოს.

აქაური ხეები ქრელია და ოქროვანი, ფოთლებს შორის, გზატკეცილები ცისკიდურამდის გაბმულან, და ჯარისკაცთა ღუქნებში მოზუზუნენი ზავის შესახებ ლაპარაკობენ.

ვდგები.

დამშვიდებული ვარ.

დღე, თვეებმა და წლებმა გვერდს ჩამიარონ, ისინი ველარაფერს წარმტაცებენ. მე ისე მარტო ვარ და არაფერს ველი, ასე რომ უშიშრად შევსკეტრი მათ. ამ წლებში განელილი ცხოვრება ჯერაც ხელის გულზე მაქვს. დავსთრგუნე თუ არა იგი? მე ეს არ ვიცი. მაგრამ ვიდრემდის იგი ჩემში კვლავ მოვიწებს, და სულ ერთია ენდომება თუ არა ეს ჩემს „მე“-ს, იგი თავად მიაგნებს თავის ეტლს.

\* \* \*

იგი მოკლულ იქნა 1918 წელს. ამ დღეს ფრონტზე სიწყნარე სუფევდა, ასე რომ არმიის ცნობა მხოლოდ ერთი წინადადებით განისაზღვრა: დასავლეთის ფრონტი უცვლელიაო.

იგი პირქვე დაემხო და ასე მძინარესავეით იწვა მიწაზე, თითქოს უწყინარ ძილში ვართული ყოფილიყო. როცა იგი გაღმობრუნეს, წამსვე შეატკვეს: სიკვდილის წინ დიდბანს არ უტანჯნია და მისი სახეც ისე აუმღვრეველი იყო და მშვიდი, თითქოს თავადაც კმაყოფილი დარჩენილიყო, რომ ეს ყოველივე ასე წარემართა.

გერმანულიდან სთარგუნა უ. ურდოელმა.

ପ୍ରଗତିଶୀଳତା ଉପସନ୍ଦେଶ

ଓଡ଼ିଆ ଗ୍ରନ୍ଥମାଳା



National Book Trust, India  
1972

## რავოლიუციის პოეტი

თითქმის ყველა, ვინც კი სწერს და ლაბარაკობს ვლადიმერ მაიაკოვსკის სიკვდილის შესახებ, ასეთი სიტყვებით აღნიშნავენ ამ მოვლენას: „მოულოდნელია“, „გაუგებარია“, „უცნაურია“, „დაუჯერებელია“ და ა. შ. და, მართლაც, ვ. მაიაკოვსკის თვითმკვლელობა სრულიად მოულოდნელი იყო იმ მუშაობის ფონზე, რომელსაც ის აწარმოებდა. თვითმკვლელობა სრულიად არ გამოძინებულა მისი შენოქმედებიდან, თვითმკვლელობა სრულიად არ იყო დაკავშირებული იმ მხატვრულ მუშაობასთან, რომელსაც ის აწარმოებდა მრავალი წლების განმავლობაში.

არ შეგვიძლია ჩვენ არ გავეილაშქროთ ისეთი მოქმედების წინააღმდეგ, როგორცაა თვითმკვლელობა.

ვგმობთ რა მაიაკოვსკის თვითმკვლელობას, ამავე დროს არ შეგვიძლია დავგმოთ მაიაკოვსკი როგორც პოეტი, ვინაიდან თავისი შემოქმედებით ის თავგანწირულად ემსახურებოდა პროლეტარული რევოლუციის საქმეს, მუშათა და გლეხთა კლასიურ საქმეს. მაიაკოვსკის შემოქმედებაში არ არის ისეთი რამ, რაც ამართლებდეს მის უკანასკნელ მოქმედებას—თვითმკვლელობას. მაიაკოვსკის „პარტიული წიგნების ასი ტომი“ არავითარ კავშირში არ არის მის უაზრო სიკვდილთან.

როდესაც ს. ესენინმა მოიკლა თავი, მაშინ სხვადასხვა ჯურის ობივატელები მის ნაწერებს დაეწაფენ, რათა იქ მოენახათ განართლება მისი უკანასკნელი მოქმედებისათვის. ასეთს კი ეს ობივატელები მის შემოქმედებაში მართლაც პოულობდენ (იხ. „Чёрный человек“, „Не жалю, не вою, не плачу“ და სხვ.). მაიაკოვსკი კი სულ სხვა იყო. მთელი მისი შემოქმედება ეს იყო ჰიმნი ცხოვრებისადმი, ბრძოლისადმი და შემოქმედებისადმი. ესენინის უკანასკნელ მოქმედებას—თვითმკვლელობას მაიაკოვსკი შემდეგნაირათ უბასუბებდა:

„სიკვდილი ხომ  
არ არის ძნელი.  
ცხოვრების შექმნა  
უფრო ძნელია.“

ეს უარყოფა თვითმკვლელობის, როგორც მდგომარეობიდან გამოსასვლელი საშუალების დამახასიათებელია მაიაკოვსკის მთელი შემოქმედებისათვის.

ვ. მაიაკოვსკი რუსეთის ლიტერატურაში შევიდა ოცი წლის წინად, როდესაც იქ გაბატონებული იყვნენ სიმბოლისტები. ის შეუდრეკლათ შეებრძოლა მომავლადი კლასის ესტეტიურ შეზღუდულებებს. როგორც ვიცით, სიმბოლისტებს ახასიათებდა კარ-ჩაკეტილობა, განყენება ცხოვრებისაგან და ლტოლვა წარსულისაკენ. მაიაკოვსკი უბირისპირდება მათ, მას პოეზია გამოაქვს ქუჩაზე, რითაც ახალი ენარები შეაქვს პოეზიაში:

„Пока выжиливают, рифмами иллусая,  
 На любви и соломые какое-то вариво,  
 Улица корчится без языка,—  
 Ей печем кричать и разговаривать“.

მაიაკოვსკიმ მწერალს დიდი ამოცანები დაუსახა. მისი გაგებით, მწერალი უნდა იყოს ქუჩების, მასების ორგანიზატორი, მწერლობასა და ცხოვრებას შორის მტკიცე კავშირი უნდა არსებობდეს.

სხვა ლექსებში და პოემებში მაიაკოვსკი ამავე ხაზით მიემართებოდა. ის თავისი პოეზიის ამოცანათ სახადედა ბრძოლას, რომელიც მიმართული იყო ძველი ქვეყნის წინააღმდეგ:

„Если я говорю „А“  
 Это „А“ атакующему человечеству труба,  
 Если я говорю „Е“—  
 Это новая бомба в человеческой борьбе“.

ეს სიტყვები მაიაკოვსკის პოეზიაში სრულებით არ არის შემთხვევითი, ის მთლიანად გამომდინარეობს მისი პოეზიის საერთო ხასიათისაგან და შინაარსისაგან.

მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ურა-პატრიოტული ლიტერატურა გაძლიერებული იყო, როდესაც მრავალ მოღვაწეს და ზელოვანს თავბრუ ჰქონდა დახვეული ბურჟუაზიულ სამშობლოს დაცვის ძახილით, მაიაკოვსკი მცირერიცხოვან მწერლებთან ერთად რჩება ინტერნაციონალიზმის მტკიცე პოზიციებზე და შოვინისტური გატაცება ადვილს ვერ პოულობს მის შემოქმედებაში. ამ დროს ის სწერს თავის ცნობილ „ომსა და ზავს“, რომელიც წარმოადგენს საყურადღებო მხატვრულ პროტესტს მსოფლიო ომის წინააღმდეგ.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის ხანაში ის დროებითი მთავრობის, „კოალიციის და სამშობლოს დაცვის“ წინააღმდეგია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მაიაკოვსკის „ბუნტს“ ოქტომბრამდე ბურჟუაზიული ქვეყნის წინააღმდეგ უფრო ანარქო-ინდივიდუალისტური, განყენებული ხასიათი ჰქონდა, ის უფრო გამომდინარეობდა პოეტის საერთო გატაცებისაგან.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მაიაკოვსკის ლოზუნგია:

„მე ჩემ წილ  
 ძლიერ ძალას პოეტის  
 ვაძლევ  
 იერიშებზე ვადასულ კლასს“.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთებამდე მაიაკოვსკის არ უღალატია ამ ლოზუნგისათვის. როდესაც საბჭოთა ქვეყანას ყოველის მხრიდან უტყევედნ ვარეშე და შინაური მტრები, ამ დროს მაიაკოვსკი დაჭიმული ენერგიით, დაუზარებლათ მუშაობს რევოლუციის საქმეებზე: „როსტა“-ში ხატავს ასობით პლაკატებს—აწყობს „სატირის თანჯარას“, სწერს ლექსებს და ლოზუნგებს, რომლებიც მკვეთრათ მიმართულია პროლეტარიატის კლასიური მტრების წინააღმდეგ.

ამ პერიოდში ნახევრათ-ანარქისტ-„პუნტიარი“ მწერლის მიერ დაწერილი გადმოცემა პროლეტარული რევოლუციის დაუღალავ და დაუზარებელ მომღერალათ. ან დროს თითქმის ვერ ვნახავთ მის შემოქმედებაში ისეთ ლექსს, პოემას და ლოზუნგს, რომელიც ასე თუ ისე არ ეხმარებოდეს ჩვენს ახალ ეპოქას, ჩვენს ახალ ცხოვრებას.

პროლეტარულ რევოლუციის სამშობლოს ყოველი შრიდან მტრები ესევიან, ცდილობენ ჩაახშონ სისხლის მორევში პროლეტარიატის მონაპოვარი. შრომელი ხალხი თავგამოდებით იცავს საბჭოთა ქვეყანას: მიაიკოვსკიც მათთანაა —

„დაე, შემოგვერტას დაჭირავებული ბანდა,—

ფოლაფში გადადგება მარცხენა,—

რევოლუციას ვერ დაიმონებს ანტანტა!

მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!

რა დაჭირობს არწივის მჭერას?

წარსულზე რომ არ გკობრავს თვალში?

დაამაკრე

შაფლიოს ყელზე

პროლეტარიატის თითების რკალი...

წინ მკურღი მაგარი!

წითელი დროშებით ცის თალი გააყარო!

ვინ აბიჯებს იქ მარჯვენით?

მარცხენით. მარცხენით! მარცხენით!“

მიაიკოვსკი თავის დიდ ნაწარმოებებში: „მისტერია ზუფ“, „150,000,000“, „ლენინი“, „შშვენიერია“ და სხვ., რომლებიც რექტორის შემდეგ დასწერა. გარკვევით ლაპარაკობს თუ ვის საკეთილდღეოთ და ვის საწინააღმდეგოთ არის ისინი მიმართული. ამის გამო, ამ ნაწარმოებებს დიდ მხატვრულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პოლიტიკურ-სააგიტაციო მნიშვნელობაც აქვს.

რეკონსტრუქციის პერიოდმა მწერლობას ახალი და რთული ამოცანები დაუსახა. მრავალი მწერალი მოუძმადებელი შეხედა ამ ახალ ამოცანებს, ან და, ალღო ვერ აუღო მას. ასე არ იყო მიაიკოვსკი. ის ცხოვრების ტემპს და ახალ ამოცანებს არასდროს არ ჩამორჩენია. საერთოდ გარდატეხებს ის დროულათ და ღრმათ ითვისებდა. მისი უკანასკნელი წლებში ლექსები ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ყოველდღიურობას სათანადოთ ეხმარებოდა. სოციალისტური შეგობრი, დამკვრელი ბრიგადები, ბრძოლა კულაკობასთან, პურის დამზადება, მკენებლობის გამომწვეურება და სხვ. ღრმა მხატვრულ განსახებას პოულობდა მის შემოქმედებაში. ესენინის თვითმკვლელობის გამო დაწერილ ლექსში მიაიკოვსკისწორედ იმის შესახებ ლაპარაკობდა, რომ ცხოვრების ტემპს არ უნდა ჩამოვრტეთო.

„საკეთილელი მტად ბევრია

მხოლოდ მთასწარ,

ცხოვრება უნდა

გადაეკეთოს,

და მხოლოდ შემდეგ

გადიდოთ იგი.

ეს დრო მიიშვა

კალმოსნობისთვის:  
მაგრამ მითხარით  
თქვენ  
კულტურა და მანიერები  
საუ,  
და ან, როდის  
აურთივლია დიდ ადამიანს,  
გზა  
გატკბავს, ვადედასი..."

ნეტის-მეტად საინტერესო ფაქტებს გვიამბობს მაიაკოვსკის მუშაობის შესახებ რეკონსტრუქციის პერიოდში, კომკავშირელი გაზეთის—„კომსომოლსკაია პრავდა“-ს პასუხისმგებელი მომუშავე ამხ. ჩაროვი. თგი სწერს: „მე შემთხვევით გადავფურცლე „კომსომოლსკაია პრავდა“-ს გასულ წლის იანვრის ნომერი. ხუთი ლექსია: რის შესახებ? ყველანი საქმის შესახებ. სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით „საქმის შესახებ“. მაიაკოვსკი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჩვენს კამპანიებს. „კომსომოლსკაია პრავდა“ იძლევა ლოზუნგს: „შეიარაღებული მეცნიერებით და ტექნიკით-ინდუსტრიალიზაციის სანგრებში!“ „შეესცვალოთ რელიგიის დღესასწაული შრომის დღესასწაულით!“ გაზეთის თვალსაჩინო ადგილზე არის მაიაკოვსკის ლექსი: „Технике внимание, выдать ли?..“ ჩვენში საქონლის ცუდი ხარისხი გვაქვს. გაზეთი აყენებს ლოზუნგს: „ისწავლეთ საქონლის კრიტიკა!“ ვიწვევთ მომხმარებელთა და მწარმოებელთა კონფერენციას. მომხმარებლები აკრიტიკებენ საქონელს. 27 იანვარს ჩვენ ვიძლევეთ გაზეთში ფურცელს, რომელშიაც ვამბუღებთ „მასების უწყალოდობას“ ცუდი საქონლისა და ცუდი მწარმოებლების წინააღმდეგ. მე ვხლა ვათავალიერებ ამ ფურცელს. მისი სათაურია: „ისწავლეთ საქონლის კრიტიკა!“ ამ ლოზუნგის გვერდით მარჯვნიდან და მარცხნიდან არის ერთ-ერთ კალონიანი ლექსი—ლოზუნგები. მის ქვეშ არაფერს ხელმოწერა არაა. მაგრამ ის დასწერა მაიაკოვსკიმ... „კომსომოლსკაია პრავდა“-მ დაიწყო ახალი საქმე: კომკავშირის ორგანიზაციებში გამოცდილებათა გადაცემის შესახებ. ამ საკითხს მიძღვნილი ჰქონდა მთელი ნომერი. და პირველ გვერდზე (11 იანვარს) მაიაკოვსკი უკვე იძლევა „ლოზუნგებს კომკავშირულ გამოძახებაზე“... მრავალ ჩვენს დიდ კამპანიებში მაიაკოვსკი ყველაზე უახლოეს მონაწილეობას იღებდა. გამოდიოდა კომკავშირი მოსაელისათვის საბრძოლველათ და მაიაკოვსკი კომკავშირთან ერთად მოუწოდებდა აგრანომებს საერთო მუშაობისაკენ... ვიწვევდით სოციალისტურ შეჯიბრს, და, მაიაკოვსკიც იქ იყო თავისი ლექსებით. ჩვენს დიდ და პატარა საქმიანობაში მონაწილეობას ლებულობდა პოეტი-ტურნალისტი-მებრძოლი. ყველაფრის მოყოლა ძნელია. არაფერს არ თაკილობდ მაიაკოვსკი საგანგებო მუშაობაში. თვით ინფორმაციაზედაც კი მუშაობდა. მოჭმუნდა ლექსები და ამბობდა: „ეს არის გარიიმული რეპორტაჟი“.

მსგავსი ფაქტები უამრავია. ყველანი კი საბოლოოთ იმის შესახებ ლაპარაკობენ, რომ მაიაკოვსკი ჩვენი, საბჭოთა ცხოვრების სიღრმეში იყო და მშვენიერათ ესმოდა მისი მთავის ცემა. ის აღფრთოვანებული ტონით, რევოლუციონური ენტუზიაზმით მოუწოდებდა ახალი ქვეყნის მშენებლთ წინსვლისაკენ:

„წინ!  
ტრაქტორებით  
ვარდლითა ვაშრით!  
კომუნას ღუმელი  
ნივსკეთა უამარს!  
იბრძოდე, რევოლუციონერო,  
მახვილით ააააით;  
დაღე წარმოების  
ფლეს ბარიკადასე-  
დასძარი მშრომელთა  
მკრდი—საბერველი,  
მუშებს შეაგებე  
ღობუნგი პირველი,  
დამკვრელი პრივატება  
და აამქოლები,  
დამკრული კარხნები  
ახალი წარმოების“.

აი, ასეთი „დამკვრელი პრივატების მარში“-თ შეუძლოდა მაიკოვსკი თანამედროვე ცხოვრებას მხატვრული შემოქმედების სფეროში.

მაიკოვსკი შეუბრალებლათ ამითრახებდა იმით, ვინც პროლეტარულ რევოლუციას განზე უდგა, ვინც თავისი ხმა არ ზეუერთა რევოლუციას. აქ პოეტი ვერ ითმენდა ვერავითარ მერყობას და წუწუნს: „სიბღვრაც, ლექსიც—უფმბარა; დროში, ამაედრებს კლასს და ცეცხლით მღერიან, და, ის, ვინც ეხლა ჩვენთან არ არის—ჩვენი ნტერია“-ო ამბობს ის ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ლექსში...

მაიკოვსკის პოეზია არის შემოქმედება პროლეტარული რევოლუციის უდიდესი პოეტის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვვმობთ მის უკანასკნელ მოქმედებას, ამავე დროს ჩვენ ვისწავლით მისგან, როგორც რევოლუციონერი პოეტისაგან ძლიერ ბევრს.

ბურჟუაზიულ სამშობლოს ანარქიულ-ბუნტარულ უარყოფისაგან მაიკოვსკი მივიდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმამდე, კომუნისტური ინტერნაციონალის იდეების მიღებამდე, კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკის პროპაგანდამდე. მშრომელთა ინტერნაციონალურ კავშირის აუცილებელ ცნობამდე.

ჩვენს ბევრ მწერალს, რომლის მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ვერ გასცილებია საშვალო-საუკუნოების კარჩაკეტილობას, უნდა ისწავლოს მაიკოვსკისაგან ინტერნაციონალიზმი, საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატის იდეებით მზერა.

მაიკოვსკი მაქსიმალურათ იყო დაკავშირებული ჩვენს რევოლუციასთან. მისი სოციალური მიზან-ვისწრაფება ორგანიულად იყო შერწყმული საბჭოთა ქვეყანასთან. თავის ავტობიოგრაფიაში იგი სწერს: „ოქტომბერი. მივიღო თუ არ მივიღო. ასეთი კითხვა ჩემთვის არ არსებულა. ჩემი რევოლუცია. წავედი სმოლნში. ვმუშაობდი ყველაფერზე, რაც შემხედებოდა“. და, მართლაც, მაიკოვ-

სკის წინაშე არასოდეს არ მდგარა საკითხი: მიიღოს თუ არა რევოლუციონერული პოლიტიკა. ჩვენ ვიცით, რომ ის გულწრფელად ჩადგა რევოლუციონერებისათვის მებრძოლთა რიგებში.

ამხ. კერენსკევი „Литературная газета“-ში ივონებდა მიაკოვსკის საუბარს, რომელმაც განაცხადა: „მე ვსთელი თავის თავს პარტიის მომსახევით, მე ვღებულობ პარტიის ყველა წიგნს. თუ მე პარტია მტკიცის, რომ ჩემი რომელიმე ნაწარმოები არ ეთანხმება პარტიის ხაზს, მაშინ არც კი შეიძლება ლაპარაკი მის დაბეჭდვაზე. მე ვმუშაობ პარტიისათვის“.

დასასრულ ამავდროულად აღსანიშნავია მიაკოვსკის ის სიტყვები, რომელიც თავისი საწერლო მოღვაწეობის ოცი წლის თავის აღსანიშნავად უთხრა მოსკოვში კრასნოპრენის კომკავშირელებს: „... მწერალი-რევოლუციონერი არაა განდგომილი, რომლის ლექსები იწერება წიგნებში, შემდეგ დევს თაროზე და იმტყვება, — არამედ მწერალი-რევოლუციონერი არის ისეთი კაცი, რომელიც მონაწილეობს ყოველდღიურ ცხოვრებაში და სოციალიზმის მშენებლობაში... მე არასოდეს არ მითქვამს უარი არავითარ ლექსისგან, მე ვსწერდი თანამედროვეობის ყველა თემაზე, დაწყებული ლექსებიდან კულაკზე და დამთავრებული ლექსით კაბაზე და საბავაშრობის კატის ტყავებით... პოეტია ის, ვისაც ჩვენს გამწვანებულ კლასიურ ბრძოლას დროს მიაქვს თავისი კალამი პროლეტარიატის შესაძარაღებელ არსენალში, რომელიც არ ვაუბრის არავითარ შავ სამუშაოს, არავითარ თემას რევოლუციაზე, სახალხო მეურნეობის აღმშენებლობაზე და სწერს ავტომატურად ყოველგვარ სამეურნეო საკითხებზე... მე პარტიიდან არ ვყოფ ჩემს თავს, ესთელი სავალდებულოთ შევასრულო ყველა დადგენილებანი პოლ-შევიცტური პარტიისა“.

ეს მტკიცე კავშირი პარტიასთან, მტკიცე კავშირი თანამედროვე ცხოვრებასთან, სწრაფი პასუხი ყოველდღიურობაზე, — აი, კიდევ რა უნდა ვისწავლოთ მიაკოვსკისაგან.

მიაკოვსკი მასების სიღრმეში იყო ყოველთვის. მას მასებთან მტკიცე კავშირი ჰქონდა. ბევრმა არც კი იცის, რომ მიაკოვსკი ყოველდღიურად მუშაობდა მოსკოვის მრავალ ქარხანა-ფაბრიკაში. ის იქ დადიოდა არა როგორც უბრალო მაცურებელი, არამედ მონაწილეობდა ღებულობდა სოციალისტურ შეჯიბრში, ის სწერდა ლოზუნგებს და პლაკატებს ქარხნებში წარმოებულ კამპანიებისათვის. ამ კავშირით მისებთან, გარდა იმისა, რომ სარგებლობა მოჰქონდა ქარხანა-ფაბრიკებისათვის, აგრეთვე მარაგს, მასალას ღებულობდა ის, როგორც პოეტი თავისი შემოქმედებისათვის.

მიაკოვსკის შემოქმედება საუკეთესო ნაგალითს წარმოადგენს იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ ძლიერია ჩვენი რევოლუცია. ასეთი ანარქისტ-ბუნტარის და ინდივიდუალისტის გადაკეთება შეეძლო მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას. ამიტომ სრული უფლებით შეეძლო მიაკოვსკის თავის უკანასკნელ საუკეთესო პოემის შეთავაზება „მთელი ხმით“ ეთქვა:

„მათელი წლების ცე—სე—კაში  
 გამოეცადადებო,  
 პოეტურ ბანდის—  
 თაღლითების, წამგლეჯთა ზეით,  
 როგორც პარტიზონის ბოლნევიცებს  
 ისე აღუპართაე—  
 ბეში პარტიულ წიგნაფების  
 გეგლა ეს ტომსა“.

გერმანული  
 ზიზლირთისა

ზაიაკოვსკიმ თავისი სიცოცხლე ტრადიკულით დაასრულა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ზენია. მისი შემოქმედება დიდ საგანტურს წარმოადგენს რევოლუციონურ-პროლეტარული ლიტერატურის საღარიბოში.

## საკვი წერათელი

დასასრული \*)

ნარკვევი მისი მოქმედებიდან და აზროვნებიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის აკაკის შეხედულება. ამ საკითხში გაუმართა ჩვენმა პოეტმა ძველ თაობასა და ძველ წოდებას მნიშვნელოვანი ისტორიული ბრძოლა, ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანი იყო, რომელიც დიდ დავას იწვევდა ორთაობათა შორის. ერთი პიროვნებისა და შრომის თავისუფლების თვალსაზრისით იხილავდა საკითხს მეორე ვიწრო წოდებრივი საზოგადოებით წინ მისიწრაფადა ცხოვრების განახლებისაკენ; მეორე არსებულ წესებს და ცვას მოითხოვდა. ბატონყმურ წყობილებაზე და გლეხთა საკითხებზე.

აკაკის შემოქმედებასა და აზროვნებაში აუცილებლად გამოხატულია დემოკრატიული მისწრაფებანი. ჩვენში გაერკულებული არის ყალბი შეხედულება, თითქოს ჩვენი ბო-იანი წლების ინტელიგენცია არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ, რომ ისინი ბატონყმობის მოსპობას კი არ მოითხოვდნენ, არამედ მის შეკეთებას და სხვ. უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი მოსაზრებანი გაუგებრობაზედ არის აღმოცენებული: იგი საკითხის უცოდინარობის ნაკოფი არის, ვინემ ობიექტიური მსჯელობის, ვინც ამ საკითხს სისწოროთ და სავსებით შეისწავლის, იგი აუცილებლად დაგვეთანხმება იმაში, რომ სამოციანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია, რამდენადაც ამისათვის ობიექტიური გარემოება და ცენტრული პირობები იძლეოდა შესაძლებლობას, ნუვადე ბრძოლას აწარმოებდა გლეხთა განთავისუფლებისათვის და ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ. კერძოდ აკაკიმ ენერგიულად განაგრძო დ. ჭონჭაძის მიერ დაწყებული დიდი საქმე ბატონყმობის მოსაპობად, და მთელ რიგ ლექსებში განოხატა გლეხთა მდგომარეობა და მათი ინტერესები. ზევით ჩვენ წიერ მოყვანილ ციტატაში აკაკის მოგონებებიდან ნათლად არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ იგი უკმაყოფილო იყო საქართველოში გატარებულ რეფორმის (1864 წ.) შენაარსის, რადგან ბატონი და ყმა ჯაჭვით გადაბმული რჩებოდა ერთმანეთზე. ცხადია, აკაკის არ აკმაყოფილებდა მთავრობის მიერ გატარებული რეფორმა. იგი უფრო მეტს შესტრფოდა და მოითხოვდა რეფორმისაგან. მაგრამ ბატონყმობის მოსპობამდე გამოქვეყნებულ ლექსებშიაც აკაკი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს გლეხთა ინტერესების დასაცავად. 1861 წ. თავის პირველ ლექსში გლეხთა შესახებ, რომელსაც „მუშურა“ ეწოდება, აკაკი ხაზ გასმით აღნიშნავს გლეხთა უმწეო მდგომარეობას და ნათლად გა-

\*) იხ. „მნათობი“ № 2-3.

მოსატავს თავის დემოკრატიულ მოსწრაფებებს. იმ როგორც ჩვენს წინაშე აღმართა აკაკის გლეხები:

მართო ჩვენთვის არ უფშაობთ,  
სხვიავე გემართებს სამსახური:  
ბატონი გიყავს, ვართ საწყალო,  
უბატონოთ, უბედურა.

ვევლა თავში გვიჩაქუნებს,  
გარეშე და წინაურთი:  
ცხელსა მიწას უბედა აღობის  
ოფლი ჩვენგან მონაწერი.

ჩვენი ჯაფის მონაცვამი,  
სხვებთან მიდის საზრდია-ბერი,  
წინ ცოდნეილს შამშილი ვლავა,  
ნაგრამ ვინ შივედის უფრო.

მათსა საზრდის სხვა იტაცებს,  
სტორის ჭალა შეტყურის,  
შამშილიაყან რძე უშრეხა,  
წივის შვილი უსუსური.

მაშინ ვევლა ბატონია,  
გამყოხივი საფლა არი.  
შვიდან ბეის ბოქაულებს  
გავლებათ საბღის ვარი.

სულ მათ შიაკეს რაც რამა გვაქვს  
ჭათამი, თხა, ძროხა, ცხვარი  
ჩვენ გოველ დღე ტახტეას ველით...  
გლიბებს რა გვაქვს გასაბარი. <sup>1)</sup>

ეს პირველი ლექსი, დაწერილი გლეხთა დასაცავად აკაკის მიერ, მეტად საინტერესო არის. ეს ლექსი მძლავრი პროტესტი იყო ბატონყმურ მონობის წინააღმდეგ წიშართული. ავტორი აქ ნათლად აღნიშნავს გლეხთა ეკონომიურ გაკირვებასა და მათ სიბეჭავებს. ერთის მხრივ, შებატონე, მეორის მხრივ—მდივან ბევები და ბოქაულები, მესამე მხრივ—ვაკარ-ჩარჩები—იი ვინ ცარცვავეც გლეხობას, ვინ, იკვებებოდენ მათი შრომით. აკაკის მეორე ლექსში „სიმღერა მკიცის დროს“ გლეხები ამბობენ:

უბედა მოვიდა წელს პური,  
ნაგრამ ბედს ნიივე ვემდური,  
რომ მას სულ სხვა წამართმევს,  
და მე კი ოფლია ტყლილა ვლერი. <sup>2)</sup>

<sup>1)</sup> აკაკი წერეთელი: „მეწერი“—„ციცყარი“ № 1, გვ. 58—4, 1863 წ. რბელი ნაწერებო, ტ. 4, გვ. 101—2. რაღად მიხვებების გამო აქ სრულიად არ არის ლექსი მოყვანილი: იხილეთ „სიმღერა მკიცის დროს“.

<sup>2)</sup> აკაკი წერეთელი: „სიმღერა მკიცის დროს“—„ციცყარი“ № 7, გვ. 274, 1863 წ. ეს ტექსტი განიშვებულა „სრულ ნაწერებში“.



აქ მოყვანილ ტაყებთან დაკავშირებით აკაკი თავის თავგანთავსებაში შემდეგ გარემოებას იგონებს: „იმ ხანებში მე ერთი ლექსი დასწერე... (სიმღერა მკის დროს)... კირილემ (ლორთქიფანიძემ) და ნ. ნიკოლაძემ სთქვეს რომ კარგი რომ არის როგორც ხელოვნება, და მარჩიეს ერთი რომ მისთანა მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო... ნეც ავღუქი და ბოლოში ერთი ხანა ჩაეკურე... ეს რომ ნახეს მიწერილი, მომიწონეს და კიდევ ამ მიკვრებული, ნახალადევი ლექსით დაიბეჭდა“. <sup>1)</sup> როგორც ამ მოგონებიდან სჩანს, ეს ტაყები გამოხატავდა მაშინდელი მოწინავე სტუდენტობის შეხედულებას გლეხობის მდგომარეობაზე. ეს აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც ახალთაობის ინტელიგენცია ცდილობდა გამოეთქვა თავის გულის ნადები გლეხთა საკითხში, თუკინდ ლექსის სახით. „გლეხის ახსარებაში“ (1861 წ.) აკაკი ხალხური, გლეხური ენითვე გადმოგვცემს იმავე გლეხის ჩივილსა და მდგომარეობის ბატონყმურ ურთიერთობის პირობებში. თავდახრილი ინიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ—პირუტყვივით მიმონებ, მუღობ და არ გეცოდები, — ეუბნება ბატონს გლეხი. მაგრამ ეს „პირუტყვივით დამონებული“ გლეხი უკვე მოელის ახლ დროს, მის ყურამდე უკვე ნიაზწია ხმამ გლეხთა განთავისუფლების შესახებ და იგივე დაცინვით მიმართავს თავის ბატონს: „მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალ დროს რომ მოვლი?“ <sup>2)</sup> აკაკის ლექსი „მოგონება“ გვისტრათებს ერთი „კბაუკის“ ბრძოლის უსამართლობის წინააღმდეგ: შესაძლებელია, აკაკი ამ ლექსში დანიელ ქონქაძეს იგონებდა, მით უფრო, რომ იგი გამოყავს გლეხთა დამცველად და თავადახსნურობისაგან დევნილად.

„გამოაზილე, აზობდა, თეაღო,  
შეიტყუეთ გლეხი თქვენი ძმა არი  
და რას იმუნდა ნაცელად საწყალი.  
— „ჩუ, თარემ ექვირში წასედება იზარი“.

დაჩაგრულს გლეხებს ვფერებოდა,  
დიდაკებს გმობდა პირუმთხველად,  
მისთვის მას ყველა ვმტერებოდა...  
ყველას მაჩნდა საზიხარ გველად.

მაგრამ მაინც თავს არ იბრიადა  
უფროსების წინ, იმათი მტერი. <sup>3)</sup>

ბატონყმობის მოსპობას საქართველოში აკაკი აღფრთოვანებით შეეგება 1884 წ. იგი სწერდა: „ბატონყმობის გაყრაზე მოსწრებულმა ხმებმა სადღესასწაულოთ გამოიხმო ახალგაზრდობა და ყველა მოწინავე პირები“. <sup>4)</sup> და ამ დიდი ფაქტის აღსანიშნავად აკაკი „საბატონო გლეხის ახლად შობილ შეილებს“ იმერული ნაინა უძღვნა 1864 წ. <sup>5)</sup>

<sup>1)</sup> რჩეული ნაწერები ტ. 1, გვ. 74.

<sup>2)</sup> აკაკი წერეთელი: „გლეხის აღსარება“ „კოსიარი“ № 59, გვ. 5-60, 1863 წ.

<sup>3)</sup> იგივე: „მოგონება“ — „კოსიარი“ № 6, გვ. 298, 1863 წ.

<sup>4)</sup> იმ. გ. ერისთავის თხზულება, აკაკის წინასიტყვაობა, 1884 წ.

<sup>5)</sup> ა. ჯ. წერეთელი: „იმერული ნაინა“ — „კოსიარი“ № 5, 1864 წ.

უდავო ფაქტია რომ აკაკი მთელი თავისი ენერჯით იბრძოდა მას შემდეგ წესწყობილებისა და ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ, რაც საქართვებული სამოციანი წლების რუსეთის მოაზროვნეთა განმანათლებლებელი იდეებით, მთელი თავისი არსებით ვლენტა ინტერესებს იცავდა და მისი განათავისუფლების მოტრფივად იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აკაკიმ თითქმის პირველად მიპართა ამ შემთხვევაში ხალხურ კლასს და თვით გლეხები ამეტყველა უნათავრესად თავიანთი უმწყო მდგომარეობის შესახებ. აკაკის გლეხობა მძიმე მუშაობის დროს ნაღვლიანად დამღერის თავის უბედურ მდგომარეობას და გამოთქვამს უკმაყოფილებას არსებულ პირობების გამო; მათ საცნაოდ შეგნებულ იქვით, რომ მათი შრომით სხვა ძღვება უსამართლოდ, რომ მათი ოჯახის საზრდოს ბატონი იტაცებს: გლეხობამ უკვე იცის, რომ უკუღმართმა წყობილებამ მათ ტვირთად დააკისრა მხოლოდ შრომა. ხოლო მის ბატონს ამ შრომის ნაყოფის მითვისება, მექათა სმა-ქამა და ცხოვრება. <sup>1)</sup> გლეხში უკვე ილვიძებს კლასიურ-წოდებრივი შეგნება, ბატონყმურ წყობილების მოსპობის აუცილებლობა, წოდებათა გათანასწოების იდეა. „იმერული ნაინა“-ში გლეხი მღერის:

დიდაკის შეიღს აქალაში გვერდთ მოუფლებიო,  
 აბა, შენ იცი, ბიჭო ჯან, როგორ ედგებიო:  
 ძველ ბატონიშვილს სწავლაში ნუ ჩამოაჩებიო.  
 გლეხმა ნიღი არა აქვსო, არ ატიჭებოი. <sup>2)</sup>

აკაკის ხერხი ამ მხრივ აუცილებლად აღსანიშნავია, მან შესძლო მხატვრული ფორმების საშუალებით მთელი გლეხური მასის პროტესტი გამოეტანა საამჟამოზე ბატონყმობის წინააღმდეგ. ეს კოლექტიური პროტესტი იყო მთელი საქართველოს გლეხობისა; აკაკი, როგორც ავტორი თითქოს გვერდზე სდგას და თვით გლეხობა მეტყველობს თავისი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ არც ის უნდა დაევიწყოთ, რომ აკაკის გლეხები პასიურ პროტესტს აცხადებენ, სიტყვიერი უკმაყოფილებით კმაყოფილებიან და მათი სიტყვა აქტიურ მოქმედებაში ჯერ არ გადადის. ისინი შეენსარე ლიღინით იჭარვებენ გულის დარღებს, თითქოს თავს აბრალევენ თავიანთ მყველფელებს. „გლეხის აღსარებაში“ ავტორი თხოვნის კალოთი აღაპარაკებს გლეხს: „რათ არ მეტყვი ძმები ვართ, მოდი მომხეიე ხელი“—უბნება იგი მებატონეს. ასეთი განწყობილება გლეხობისა და მათი ბრძოლის მშვიდობიანი საშუალება არსებითად თვით აკაკის სოფლმხედველობიდან გადმომდინებრიობდა იმ პერიოდში: მისთვის ძალდატანება მიუღებელი საშუალება იყო ბრძოლისა. საინტერესოა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გლეხთა ტიპების შედარება; რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში მივიღებთ მათ დანასიათებას ბრძოლის საშუალებათა მიხედვით: აკაკიმ არ იცის კაკოს, ზაქროსა და გაბროსავით აქტიურად მებრძოლი გლეხები და არც სურდა მაშინ ასეთი გლეხები დაენახა. აკაკი პასიურ პროტესტანტებს ეძებდა გლეხობაში, მაშინ როდესაც ილია აქტიუ-

<sup>1)</sup> იხ. აკაკის ლექსი: „დიდებულს მებატონეს“—„ცისკარი“ № 10, 1862 წ.

<sup>2)</sup> „ცისკარი“ № 5, 1864 წ.



ლურად მებრძოლ ტიპებს კრებდა რეალურ სინამდვილიდან; მასში წინააღმდეგობა გაჭრილი კაკო, ტერორისტი გაბრო და ზაქრო ნამდვილი გლეხების უკმაყოფილებას გამოიწვია. ბატონყმურ წყობილების სიმწვავემ, არა მარტო პასიური პროტესტი გამოიწვია გლეხობაში, არამედ აჯანყებები და ყაჩაღად გაჭრა. აკაკის სიმპატიები პასიურ პროტესტანტებისაკენ იყო მიმართული. შემდეგში 1905 წ. პერიოდში მისი განწყობილება მეორეს სასარგებლოდაც შეიცვალა, მაგრამ ამაზე ჰქვეით.

ბატონყმობის მოსპობის შენდევ პერიოდში, როდესაც აკაკი შეიქნა ყველასათვის „რეფორმის“ მწვავე შედეგები და გლეხობა უფრო უარეს მატერიალურ შევიწროვებას განიცდიდა, აკაკის ქნარი უფრო მძლავრად ამეტყველდა „დაჩაგრული ძმების დასახსნელად“ და გლეხთა განსათავისუფლებლად ახალ მონობისაგან. ამ ხანებში აკაკის შეხედულება უფრო მარცხნივ იხრება, მისი სიმები ბრძოლის პანგებს აღუკრებენ და 1905 წლის ხალხურ მოძრაობას უკვე მოხუცი მგოსანი ალტაცებით ეგებება. 1880 წ. ლექსში—მუშე ბ ს—აკაკი ამბობდა:

მიმხედარი არის ეგ თქვენი  
შეუბღალავი გონება,  
რომ პირუტყვისაღივთ არ მყენის  
შპრობულ კაცს სიუისი მონება.

.....  
დიად... იმედი ვირჩევთ თქვენ:  
ჯერ გქონდეთ მითმინებათ  
და, როს საერთოდ, თანწორად  
სურული აღიგზნებათ.

.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....<sup>1)</sup>

ნუ გამოიღვით მაგ იმედს,  
ეგ იყოს თქვენი საგანი...  
მუშებო, თქვენი მარჯვენა  
იყურთხოს, თვლით ნაბანი...<sup>2)</sup>

ცეხსორის მიერ წაშლილი ხანა, უნდა ვიფიქროთ, მოწოდებას წარმოადგენდა მშრომელებისადმი საერთო უკმაყოფილებებისაკენ... აკაკის ამ ლექსის კილო აღარ ეთანხმება 60-იანი წლების დასაწყისის ლექსებს. მაგრამ ეს ახალი რევოლუციონური ბრძოლის განწყობილება განსაკუთრებული სიძლიერით ამეტყველდა აკაკის შემოქმედებაში 1905 წ. რევოლუციონურ მოძრაობის პერიოდში. მოხუცმა პოეტმა რაღაც თავისებური განსაკუთრებული სიძლიერით განიცადა ეს რევოლუცია: მან პირველად იხილა ქართული მშრომელი მასა რევოლუციონურად ამოძრავებული, სოლიდარული იდეებით ამეტყველებული და მისმა ჩანება სხვა სიძლიერით დაიწყო გღერა. მაგრამ მოუსმინათ თვით პოეტს:

1) აქ მოვლი ტაბი ამოღებულია ცეხსორის მიერ.  
2) აკაკი: „მუშებო...“ „დროება“ № 88, 1880 წ.

ასრულდა თითქმის, რასაც ენატრობდით  
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში  
და, როგორც სერინან მოხუცებულსა,  
მეც მომეფინა, მოხუცს ნდვეში.

გამოიღედა ხალხმა შინაარსმა,  
რომ მოიპოვოს თავისუფლება  
სიტყვით, მწერლობით, ჟრება-ჯრათობით  
და აპარელის საერთო ნება...

მადლობა უფალს, მოვიდა წარღვნა,  
რომ წაიღეკოს ესამართლობა  
და დაემკვიდროს ამიერიდან  
შეება, თანხმობა, ცნობა, ერთობა...

შრომა ხალხია შეერთებული  
ძალთა ძალია სტრუქტურით;  
ვერ შეაწერებს მათ ვერაფერი,  
გონდა ბრძანებაც იყო მუდგერი.

ესეც პირველი ნაბიჯი არია,  
ჩვენი ხალხისგან დღეს გადადგმული,—  
ჯერ იბარბაცოს, რომ გამეკრძება,  
მაშინ წინ წავა გამწმენებული.

ბეჭემა გვარგუნა ჩვენ ხემა და თესვა,  
რაც კი მოიპოვოს ხანდახან გასურას,  
თქვენ მომკლები ხარო; ხელს თუ გაიჭრო,  
ნუ ერიდებით ცოტა სიხელის ღვრას.

თქმეცა მოგზუცდი, არ შემიძლია,  
დიატრიხით თქვენებრ ნამგალი,—  
მაგრამ მაინც კი გადახმული ვართ  
და თქვენ შეგვფრებთ სიამით თვალი. \*)

იმდენად, რამდენადაც რევოლუცია წინ მიდიოდა, რამდენადაც მშრომელი მასები აკტიურად ერეოდნენ ბრძოლის პროცესში, აკაკის აღფრთოვანება უფრო ლაღად შლიდა ფრთებს. მისი რევოლუციონური ენტუზიაზმი დაუცხრომელი ხდებოდა. 1905 წლ. 4 დეკემბერს აკაკი სწერს ლექს: „ძირს“, რომელიც მთელი ხალხის გამოძახილს წარმოადგენდა.

ხალხი იბრძვის... ხალხი უფლავს  
ველარ ასდებ აწ აღვირსო...  
სოველის მარტე გენახიან:  
„ძირს მთავრობავ, ძირს და იარსო“ \*\*)

1906 წ. აკაკის შემოქმედების ისტორია შესანიშნავი „ინტერნაციონალით“ იხსნება.

\*) ლექსი: „ნატვრა“, „ივერია“ № 202, 1905 წ. „პირველი ნაწერები“, ტ. 4. გვ. 121.

\*\*) „ძირს“—„ივერია“ № 219, 1905 წ. „პირველი ნაწერები“, ტ. 4. გვ. 125.



შერტუღა

ეს ლექსი შესანიშნავია ირა თავისი გარტეგული ფორმით. აკაკის სხვა ჩვეულებრივ ლექსებისაგან, — არამედ თავისი შინაარსით, პოეტის დამოკიდებულებით მუშათა მოძრაობასთან და რევოლუციონურ ბრძოლებთან. აკაკი სწერს:

აღზდე ყოველი მარს მეშაქ  
გაიღვიე პროლეტარიო...  
ჩვენე უნდა მოვუყოლო  
ჩვენ თავს აწ დრო სანეტარი.

უნდა მტერი დავამარცხოთ,  
ძალმომრები უსამართლო:  
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო,  
სამირადო ან სამადლო.

სხვა სფუფველა ტუვილია:  
ღმერთი, ზედე, ვინმე გმირი,  
ძალა არის შეტრთება,  
ერთი ღვინი, ერთი ჭირი.

მოცილილ ხალხის მექთა ხორას,  
ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს,  
ნამუწევარს სტაციებს ღარაბს  
და ჯიღებს გულში აღებს.

უნდა დავსკეთ თავზე მუხი,  
გაურჯელად ვინც ნეტარებს...  
გაღმარჯის მხოლოდ შრომას,  
მუშებსა და პროლეტარებს.

ეს იქნება საბოლოო  
შრომელ ხალხის შწარე ღმი.  
ეს დავეხსნიის მხოლოდ და მიი  
გაიბარებს ყველა ტომი.<sup>1)</sup>

ეს ლექსი „მარსელიაზის ხმაზედ“ არის დაწერილი და იმ დიდი მოძრაობის ნაყოფი არის, რომელსაც გულით შეტრთოდა მოხუცი პოეტი. კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუში აკაკის დემოკრატიული მისწრაფებისა; 1911 წ. ამ სტრიქონების ავტორი, მაშინ ახალგაზრდა მოწაფე, მოწამე იყო იმ მჭეხარე ტანისა, რომლითაც ჭადარაღთ მოვერცხლილ პოეტს შეხედა ქუთაისის საზოგადოება, როდესაც მან ქუთაისის თეატრში სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა თავისი ახალი ლექსი: „ძ მო ბ ა, ე რ თ ო ბ ა და ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“.

<sup>1)</sup> „რწული ნაწერები“, ტ. 4. გვ. 126—7; დაბეჭდილი იყო „პატარა გაზეთში“ № 1, 1906 წ.

მოკლე ქვეყანაზე და კაცთა შორის იყოს წყველი... ის იყოს კრული, ენაეც არ სწამდეს და არ უნდოდეს „მშობა, ერთობა და სიღვარული.“<sup>1)</sup>

ნაქონისული  
ზნელოროთისა

ამბობდა დიდი პოეტი და რაღაც ნეტარი სიტყვებით ისმენდა საზოგადოება ამ ყველასთვის ცნობილ და შაბლონურ მოწოდებას, მაგრამ მოხუცი პოეტის მიერ რაღაც თავისებური ელფერიითა და მიწილდელოებით წარმოთქმულს. შეიძლება ითქვას, რომ „მშობა, ერთობა და სიყვარული“ თავიდანვე აკაკის ძირითადი დევიზი იყო და ამ დიდი და ფართო სამ სიტყვიანი ფორმულის ქვეშ ატარებდა იგი თავის დემოკრატიულ მისწრაფებებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანავარძობა 1905 წლ. ხალხური მოძრაობისადმი არც რევოლუციის დამარცხების შემდეგ აღმოფხვრილა აკაკიში. რეაქციამ სავსებით ვერ გატეხა მისი გული და იგიც რაღაც ნეტარებით იგონებდა განვლილ თავისუფლების დღეებს. 1910 წლ. პარიზში დაწერილ პიესაში, რომელსაც „რეაქცია“ ეწოდება, აკაკი ეხება რეაქციის ხანას, ჩვენი ისტორიული ცხოვრების იმ მწვავე პერიოდს, როდესაც თვითმპყრობელობის შავი ძალები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ხალხს, სახრობეულსა და ციმპირში აგზავნიდნენ გლეხთა მოძრაობის მეთაურებს. აი ეს შავი ხანა აიღო თავის პიესის მასალად აკაკიმ. მაგრამ მოუსმინოთ პიესის გმირებს:

იოსებო. (რეაქციის მიერ დარბევლი გლეხი) იმ ახალ თაობის დროს, პოლიცია, რომ აღარ იყო, სუღა და პოსტფენაეც გააქმნეს და ღრუბენატორიც გადაუგა. ჩვენ განუგვიჩადეს ახალი დრო დადგა და ახლა თქვენ უბატონხე თქვენ თავსათ ჩვენც, თქვენ: კირიმე რაღა გზა გეკონდა, ავფეკით და შეფეკით საქმეს. პილიციაე ჩვენ ხელში გადაშოვიდა და სანაზაალიც, სოფელში თავისი სუღეუბი აირჩია და მათ რეში შეე მოფევი... მაინც ჩვენი სუღეობით რა წაეახდინეთ, რაც არა გაეკეკეთ რა. იმ ცოტა ხანში სანამდე ჩვენ ვიყავით, ჩვენ სოფელში ციფი არა გაეკონილა-რა.

ალექსან. (ინტელიგენტა—თავადი, მოძრაობის თანავარძობელი) ეი, მაგანამ სანაზაალს როგორ სტრიფით, რომ ეხოსებებს არა გაეგნებათ-რა.

იოსებო. კიდევ იმითმე. ადაბიანა დაიბადება თუ არა, აეკარეს გაჩივეა თანეც დაეკება, დეოით. კანონები გელწია, თუ ეი სინდისზე გაიფლის ვაეი, და ჩვენეც არ დაგვიკლლა რა დეოით.

ალექსან. ხალხზე გემორჩილებოდათ!

იოსებო. ერთობა იყო და მას რა იქნებოდა, იმ ორ-სამ თვეში ამ ჩვენ სოფელში ციფი არა გაეკონილა-რა. ვოუღიფეოთ ცეკუმარათობა მოისპოეთ. იტეოუა კაცო... ეს დემერთი იტეებდეს, კიდევ დაეკობრებდნენ იმ დროს და მეც სუღათ ამამარჩევედნ. ახლა ხომ ვაეი, რომ არ შემაჩვენენ, მომკითხავენ, მაინც იმ გზაზე ვაეიკული... აგერ ორ-მოცეღაით წლის გაეხდი და მაინცდელის მეტად ფრთხელაეც არ მიგჩინია, რომ მეც კაცი ვიღაუ. წამათრევენ იმ დასაკეცე სუღში: იქ წენი არავის ეცერება და წენ სუღისა... უნდა წამოფეგო შენ მავიერი და, რა რას ამბობს, ლერთან იყოს. კაცად ეი არა, ხალხდაეც არაფინ მავდებს და ამის შემდეგ... თვითონეც შენ ხედეხი სუღათ შენ ასამართლებ სუღეს. მოფით და შე იტეე: ახალ თაობის კირიმეო.

გახეხეტი. (სოფელი თავადი) კირიმე და... მაგრე იყოს იმ „კირიმე“ სახლი რომ დავიწყეს მაგერ.

<sup>1)</sup> იხ. ვახ. „თემი“ № 42, 1911 წ. „რბელი ნაწერები“ ტ. 4, გვ. 125.

იოსებ ბ. აქვეა გინა წაიღოს ამის ხომ წინა ვეღარ ვიტყვი რომ შედეგად შენს კაცობას-  
 ლე პარუტყვად გაეატარე და ადამიანური არა მიგრძენია ღირსება  
 ალექსან. აი, ხალხის ფსიქოლოგია. 1)

ასეთი ენით ამტყველებდა აკაკი თავის გმირ-გლეხს. აკაკის მთელი სიმბატიები და გულწრფელი ამ გლეხისაკენ არის მიპყრობილი. რეაქციის პერიოდში, მოძრაობის დანარჩენების შემდეგ ასეთი ენით არ სწერდენ განვლილ მოძრაობის შესახებ ბურჟუაზიის და ნაციონალისტების ბანაკიდან. აკაკი არ აცხადებდა ცნობილ ხეობებში თავდასხმებს და ბოლომდე შეინარჩუნა თავისი სიმბატიები ხალხურ მოძრაობისადმი. ცოტა ქვევით ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ უყურებდა აკაკი მოძრაობის მეთაურ ახალგაზრდობასა და ს. დემოკრატიულ პარტიას. ახლა დრო არის ერთგვარი დასკვნა გაუკეთოთ ამ თავს.

ჩვენ განვიხილოთ, — რასაკვირველია კონსპექტიურად და ზოგადად აკაკის შემოქმედებაში დემოკრატიული მოტივებისა და მისწრაფებების განვითარება მთელი ორმოცდახუთმეტი წლის მანძილზე და შეტად საინტერესო ლიტერატურული მოვლენა დავინახოთ: აკაკიმ უკვე თავიდანვე ყოველ შემთხვევაში გადაჭრითა და გარკვევით 1861 წ. — მედგრად აიღო ხელში პროტესტანტის მახვილი და ენერგიული ენით შეუდგა დაჩაგრული წოდების — გლეხობის და საერთო მშრომელი დემოკრატიის დაცვას. პირველად — ბატონ-ყმურ წყობილების ხანაში — აკაკი ენერგიულად ებრძოდა ბატონყმურ წყობილებას და მოითხოვდა გლეხთა განთავისუფლებას ბატონის უფლიდან; შემდეგ პერიოდში აკაკის ბრძოლა უფრო მძაფრი და შეუპოვარი ხდება: კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების მძიმე პერიოდში, როდესაც „რეფორმის“ მიერ გადატყვევებული გლეხობა უფრო გაღატაკდა და გაიყვლითა, ყოველის შრივ საექსპლოატაციო ობიექტად გარდა ჩარჩ-კაპიტალისტებისა, ნემაქმელებებისა სოფლის წურბელების და ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის — აკაკიმ მარცხნით გადაბარა თავისი სოფლმხედველობა და უფრო ენერგიულად შეუდგა გლეხთა ინტერესების დაცვას; ხოლო 1905 წლის პერიოდში მისი რადიკალიზმი და დემოკრატიზმი უდავოა და ყოველზე უფრო ცხადი; აკაკიმ, როგორც თვითონ ამბობს, ერთლექსში, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში პირველად იხილა ამოძრავებული ქართული მშრომელი გლეხობა და პროლეტარი, პირველად დაინახა მასიური რევოლუციონერი მოძრაობა და კვლავ რაღაც ჭაბუკური აღფრთოვანებით ამტკიცებდა 65 წლის მობუკი. ეს აუცილებლად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს მისი ლიტერატურული მოღვაწეობიდან. სამწუხარო მოლოდინს არის, რომ ჩვენი ოფიციალურ კრიტიკასა და ლიტერატურის ისტორიკოსებს ბურჟუაზიული ბანაკიდან არამც თუ ყურადღება არ მიუტყვევიათ აკაკის ამ გლეხურ-დემოკრატიული მისწრაფების ევოლუციონისათვის მარცხნით რადიკალიზმისაკენ, არამედ საერთოდ ისინი გაურბოდენ აკაკის პოეზიის ამ მნიშვნელოვანი მოტივის აღნიშვნას: ზოგიერთებს აკაკის პატრიოტიკა მიჰჩნდა მისი პოეზიის მთავარ და ძირეულ მოტივად; დანარჩენები ამჩნევენ აკაკის ხალხურ მისწრაფებას, მაგრამ მათთვის უცნობი დარჩა აკაკის ევოლუცია ამ საკითხში და

1) „რეული ნაწერები“ ტ. III, გვ. 352—4.

მისი საკვლისხნიერო რევოლუციონური აფეთქება 1905 წლის რევოლუციონური პერიოდში. ვიმეორებთ, ეს საკითხი ერთობ სერიოზული და საინტერესო საკითხია და იგი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და გამოკვლევას.

ერთგვარი საინტერესო პარალელი შეიძლება გატარებული იქნეს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა განვითარების დროს გლეხთა საკითხში: მე 19-ე საუკუნის ეს ორი დიდი მწერალი 60-იანი წლების განმანათავისუფლებელ იდეებზედ არიან აღზრდილნი. ერთიც და მეორეც „სამოციანელთა“ მოწაფეთა ჯგუფს ეკუთვნიან, მაგრამ სამოციან წლებში ილიას დემოკრატიები და „ხალხოსნობა“ უფრო რადიკალური და ღრამაა, ვინემ აკაკის; მისი დასურათება წოდებრივი ურთიერთობისა ბატონყმობის დროს ყოველმხრივია და მძაფრი; მისი გლეხის ტიპები აქტიური და შეუბოგარნი არიან, თითქო ილიას ხიბლივს გლეხთა ეს რევოლუციონური-პროტესტანტული ნეთოდები. აკაკი სხვა სახით გამოიყურება 60-იან წლებში: იგი აღმაცერად უსურებს სტუდენტთა მოძრაობას 60-იანი წლების დასაწყისში დაწყებულს; მას არაფერი გაეგება გლეხთა აქტიური ბრძოლის მებატონეთა და საერთოდ ბატონყმობის წინააღმდეგ; აკაკის გლეხი პასიური პროტესტის მეთოდს მიმართვას. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში აკაკისა და ილიას როლები საგრძნობლად იცვლება გლეხთა საკითხში: აკაკი მიდის სწორი დემოკრატიზმის გზით მარცხნივ და 1905 წ. ჟმალღეს ზენიტამღ აღწევს; ილია მიექანება მარჯვნივ, იგი თითქოს ვერ ამხნევს იმ ღრმა ციონომიურ ტკივილებს, რომელსაც განიცდის გაღატაკებული გლეხობა რეფორმის შემდეგ პერიოდში, მისი იდეალია წოდებთა შერიგება, ჩატეხილ ხიდის აღდგენა, მას არ ესმის არც გლეხთა უწყალოელების შინაარსი და არც მათი მოძრაობის აზრი; ილიასთვის 1905 წლის მოძრაობა სრულიად გაუგებარი იყო, ილია ამ ხალხური მოძრაობის საწინააღმდეგეო ბანაკში მოხედა. შეიძლება ითქვას, რომ ჩენი კლასიკოსებიდან (რასაკვირველია, მუდველობაში გყავს ისინი ვინც მოესწრენ), ისე მძლავრად 1905 წ. რევოლუცია არავის არ განუცდია, როგორც აკაკიმ განიცადა. მოყვანილი მასალების მიხედვით, აკაკიმ მეტი სთქვა, ვინემ მოსალოდნელი იყო მისგან.

სად უნდა ვეძიოთ აკაკის ამ დემოკრატიული მისწრაფების საფუძვლები? როგორმა ობიექტიურ-ისტორიულ პირობებმა და სუბიექტიურმა განწყობილებამ გამოიწვია იგი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკი რუსეთის 60-იანი წლების მოღვაწეთა მოძღვრებაზედ აღიზარდა; ისიც ვიცით, რომ მან ეს მოძღვრება თავისებურად განიცადა და შეითვისა. მაგრამ ერთი მაინც ურკვევი დარჩა მის შეგნებაში: სამოციანელთა მოძღვრების ერთ-ერთ ცენტრალურ დებულებას წარმოადგენდა პროვინციების განთავისუფლება ტრადიციულ-წოდებრივ ზღუდეებიდან და შრომის განთავისუფლება მონობისაგან. უკეთ რომ ესთქვათ, პროვინციების განთავისუფლების იდეა ლოლიკურად მოითხოვდა შრომის განთავისუფლებასაც, ვინაიდან დამონებული შრომა ამონებდა თვით მშრომელსაც, ე. ი. პროვინციებს.

ეს პროვინციისა და შრომის თავისუფლების იდეა საფუძვლად დაედო აკ. წერეთლის შემოქმედებასა და აზროვნებას. ჩვენ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ



ამ შრომისა და პიროვნების თავისუფლების იდეას აკაკი წერეთელი და მისი თანამებრძოლი თაობა რაიმე სოციალისტურ გაგებას აძლავდა. ეს, რასაკვირველია, ისტორიული სინამდვილის დამარცხება იქნება. სოციალურ მოძღვრებათა ისტორიიდან ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შრომისა და პიროვნების თავისუფლების იდეიდან მუშავდებოდა როგორც დემოკრატიულ-ბურჟუაზიული მოძღვრება, ისე სოციალისტური თეორიები უტოპიური შინაარსისა: ერთი ამ დღეების განმობატულების ინდუალიზმის და ინდივიდუალურ მეურნეობაში ხედავდა, მეორე—კოლექტიურ სოციალისტურ წარმოებაში. აკაკი შეგნებულად მხარს უჭერდა პირველს და ამით ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო ჩვენი ცხოვრების ახალი ტენდენციების კაპიტალისტური ურთიერთობის განმობატველი ხდებოდა. მართლაც, ეს ახალი ბურჟუაზიული წყობილება თავისებურ ისტორიულ პირობებში ვითარდებოდა საქართველოში; მაგრამ მისი სწრაფი განვითარებისათვის, ისე როგორც ყველგან, საჭირო იყო ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ზღუდეების დარღვევა და პიროვნების და შრომის განთავისუფლება ძველი წყობილების არტახებისაგან. კაპიტალისტური წარმოება პიროვნების აქტიობას მოითხოვს, მის ინიციატივასა და შემოქმედებას ეყრდნობა. ბატონყმურმა წყობილებამ ერთი მხრივ, უსიკოცხლო, მუქთამკამელა, უმოქმედო თათქარიძეები განავითარა; მეორე მხრივ, ცალკე პიროვნებებს მოსპო აქტიური მოქმედების შესაძლებლობა, შეზღუდა მისი ინიციატივა და თავისუფალი მოღვაწეობა. აქედან ცხადია, რომ ახალი წყობილების—კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ვერ თავსდებოდა ბატონყმურ წყობილების ჩარჩოებში, იგი ამ ჩარჩოების დარღვევას მოითხოვდა და პიროვნებისათვის თავისუფალი სარბიელის მინიჭებას სამოღვაწეოდ. ამრიგად პიროვნების განთავისუფლების იდეა ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო უკვე გამოხატავდა კაპიტალისტურ ტენდენციას და კაპიტალისტურ მისწრაფებებს. მაგრამ ახალი ურთიერთობა მოითხოვდა, არა მარტო პიროვნების განთავისუფლებას, არამედ შრომის განთავისუფლებას ბატონყმურ მონოპოლისაგან. მიწაზე ნიჯაქული შრომა, ბატონის უღელში გაბმული ყმა მისთვის სისარგებლო და მიხალღები არ იყო; ერთი იმიტომ, რომ მისი შრომის ზედმეტ-ნაყოფს მუქთა-ხორა და ხარმაცი მებატონე ითვისებდა, ე. ი. მის ექსპლოატაციას ეწეოდა არა ბურჟუაზია, არამედ მენამულე, და მეორე იმიტომ, რომ კაპიტალისტური ურთიერთობისათვის საჭირო იყო თავისუფალი მუშა ხელი. ამრიგად ისტორიულად გაგებული პირობებისა და შრომის თავისუფლების ლოზუნგი თავისი შინაარსითა და ობიექტიურა-ისტორიული მნიშვნელობით, თავისი საზოგადოებრივი ეკონომიური ტენდენციებით ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირულ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. და ჩვენი სამოციანელებიც, და მათ შორის აკაკი წერეთელიც—შეგნებითა თუ შეუგნებლად, ამ ახალი ურთიერთობის ამსახველნი იყვნენ, ამ ახალ ტენდენციის გამოხატავდენ: ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

მე 19-ე საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენი ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების რღვევის პროცესს გამოხატავდა; დახაცებული ეკონომიური წესწყობილება და სოციალური შინაობა ველარ უძლებდა „განახლების ეპოქის

გრიგალს\* და მისი საფუძველები იღეწებოდა შეუწერებლად. ვიქტორი ნათლად ხედავდა ამას და იგივე ახალ პროექტებისა და პროგრამის ამუშავებდა ცხოვრების მოსაწყობათ და გასაახლებლად. „დღეს ძველი დრო გადასულია, — ამბობს აკაკი, — თავად-აზნაურობამ თავისი პური შექცა და მაშინდელი გვართა-ბრძოლაც თან გაჰყვა, — სხვანიარმა ცხოვრებამ, სხვაგვარმა მოთხოვნილებამ და სულ სხვა კაცებმა იჩინეს თავი. თავად-აზნაურების ადგილი ახალიობამ დაიჭირა და ერისთავ-დადებულებათაც მათი წარმომადგენელი არიან. ჩამომავლობით ერისთავობა ვათავდა... დღეს ის უნდა მეთაურობდეს, ვინც მართლა თავიანთა, კეთილი და პატიოსანი. 1) როგორც ილია ჭავჭავაძემ, ისე აკაკი წერეთელმაც ვარკვევით დაინახეს, რომ ძველი თავად-აზნაურობა დაეცა, რომ სააკაძის რაინდული სმელი თათქარიძის ლოგინზე კოტრიალით შეიცვალა და ისტორიული ცხოვრების დენამ ეკონომიურადაც და მორალურადაც დასცა ძველი წოდება, ერთ დროს ერის მეთაური და მესაჭე, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ნათლად ამჩნევდა ჩვენი ცხოვრების ფონზე იმ ტიპებს, რომელიც ილ. ჭავჭავაძის უკვდავ თათქარიძის სახით იქნა განსახიერებული. 1862 წ. აკაკიმ უკვე აღნიშნა „მებატონეთა“ დაცემა; ის უკვე ვარკვევით ამჩნევდა, რომ დიდი კაცები იყო. —

წლიდან წლამდის მხოლოდ მის კვლს ვმიახურება; ღირსი ქონით გაძლება, მერე დღებით ჩამდრავს და იქვე ვაპრობდება, თუ შეეძლებს გაბრუნება; კოტრიალითს ლოგინზე, ბუნა წვევოს, ივინება და შეეძლებს ხელა ისევამს — უფთ დაძინება. 2)

ასეთი წოდება — ზნეობრივად და გონებრივად დაცემული, ვერ გამოდგებოდა ახალი ცხოვრების მესაჭედ, მის მეთაურად. ამ წოდებამ უკვე მოსკომა თავისი დრო აკაკის გაგებით და ნაწი ადგილი უნდა დაუთმოს ჯანსაღსა და ენერგიით აღსავსე ფართო მშრომელ დემოკრატიას გლეხობის სახით. ამ წრეში ხედავს აკაკი ერის მხსნელსა და მისი არსებობის საფუძველს. ამ რიგად მაღალი წოდების დაცემამ, მისმა გონებრივმა და ზნეობრივმა ვახარწნამ აკაკის დემოკრატიისში გააძლიერა. უფრო მეტი, აკაკიათვის არ იყო საიდუმლო არც ის ფაქტი, რომ თავად-აზნაურობას დაკარგული ჰქონდა ერთგული შეგნება დამოვალეობა.

დიდ-დიდი მებატონენი  
დიდ-დიდ მამულებს ჰყოდიან,  
ქართველობაზე გულმარუდად  
ხელსაც იღებენ... მიდიან,  
რა ენაღებებათ? მათ ჩვენთან  
რალა უქნებათ კავშირით  
უნდა ჩაგვარონ სწვის ხელში,  
გამოვეთისართმ მით ძირი.

აკაკი უდიდესი პატრიოტი იყო. მისი შეგნება და სოფლმხედველობა პატრიოტული შინაარსით იყო გაელენილი. მაგრამ აკაკი არ იყო მეოცნებე პატრიოტი, იგი მებრძოლი პატრიოტი იყო, რომელიც ეძებდა არსებულ პირობებიდან გამოსავალ საშუალებასა და ძალას, სოციალურ წრეს — ახალი ცხოვრების მეთაურს.

1) აკ. წერეთელი: *ორი პუბლიცისტიკური სტატია* გვ. 10, 1906 წ.

2) აკ. წერეთელი: „ზღაპარი“ — „ცისკარი“ № 10, 1862 წ.



„ეი“ და „უი“ წარსულს,  
 „ფი“ და „ვი“ აწმყოს,  
 თუ მომავალმა იმედი  
 მაღალივ გულს არ აქვსია.  
 გაუმარჯოს ნამდვილ მუშებს.  
 ეახ, დაწა მომავალსა...  
 ის ასწორებს უღუკანდლების  
 გამბრუნებულ გზა და კვალს. <sup>1)</sup>

ასე ღრმად გრძნობდა აკაკი წერეთელი ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების რღვევასა და მისი ახალი ცხოვრებით შეცვლის აუცილებლობას. მაგრამ შეცდებებით, თუ ვიფიქრებთ რომ აკაკი რევოლუციონერი იყო და მას ესმოდა მუშათა მოძრაობის შინაარსი და მისი მნიშვნელობა. აკაკი რევოლუციის მხოლოდ დროებითი თანამგრძობი გახდა 1905 წელში, მაგრამ მისი, რევოლუციის პრინციპიალური მომხრე არ შეიძლება იგი ყოფილიყო; მუშათა მოძრაობამ მხოლოდ ერთხელ აინტერესდა აკაკი, მაგრამ მისი მგალობელი იგი მაინც ვერ გახდებოდა. როგორც 1905 წ. რევოლუციას, ისე მუშათა მოძრაობას აკაკიმ ლიბერალურ დემოკრატიული თვალსაზრისით შეხედა და მოინდომა ორივე ეს ფაქტორი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია. აკაკი პროგრესისტი შწერალი იყო, ხშირად რადიკალიზმის მიმდევარი, მაგრამ მისი „მოშის, ერთობის და თანასწორობის“ პრინციპი ბურჟუაზიული იდეოლოგიის თავისებური გამოხატულება იყო საქართველოს წინადაგზე. პროგრესი, წინსვლედობა, ცხოვრების განახლება და ახალ პირობებთან შეგუება მისი შეგნებით აუცილებელ საპირობებს წარმოადგენდა. 1908 წ. იგი ერთ საუბარში სწერდა: „ყველაფერს თავისი ხასწორ-საზომი აქვს. ერთი საუკუნე მეორეს არა ჰგავს. თვითველ მათგანს თავისი საკუთარი ფერ-ხორცი და ცხოვრების შესაფერისი წეს-წყობილება აქვს, ბევრი რამ, რაც წინეთ აუცილებლად საჭირო ყოფილა, დღეს აღარ გამოდგება. ძველად ალბათ, ცხოვრებას გამოუწვევია შეფობაც, ბატონ-ყმობა, და სხვადასხვა წოდებაც; რაც დღეს აღარ არიან საჭირო, მაგრამ აქ წარსულის რა ბრალია და დღევანდელის თვალთ რათ უნდა შევხედოთ მრისხანედ? ძველთაგან დიახ ბევრი რამ დაგვრჩენია მისთანა, რომელიც თლესაც კიდევ დვრიტად დაედება აწმყოს და მომავალსაც, ქვა-კუთხედად და რად უნდა მივაქციოთ მათ ზურგი. წარსულის დავიწყება და უარყოფა ნახევარი სიკვდილია. რაც კი კარგი რამ, დღეისათვის კიდევ გამოსადეგი ვადმოლტია ჩვენთვის წარსულს, ის „წინდა-წმინდათა“ უნდა დარჩეს, და რაც აღარ გამოდგება სადღეისოდ, ის ვისთვისღა რა ხელსაყრელი იქნება“... <sup>2)</sup> (ხაზი ჩემია ს. ხ.).

აი ამ ახალი ეპოქის თვალსაზრისით უყურებდა აკაკი ახალ მოვლენებსა და მათ შორის მუშათა მოძრაობასაც, მაგრამ ამ მოძრაობის არსებითი შინაარსი, მისი ისტორიული მნიშვნელობა, რასაკვირველია, მას არ ესმოდა და ვერც

1) „საქართველოს დღევანდელი სახე“—იხ. „ჩემი ნაწერები“ ტ: II. გვ. 7-11, 1913 წ.  
 2) აკაკი „სიტყვა თქმული ერთ არჩევანზე და საუბარი მამა შეილს შუა“ გვ. 10, 1908 წ.

გაიგებდა. აკაკის სურდა ახალი მომქმედი ძალები თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა: მუშათა და რევოლუციონერ მოძრაობისათვის თავისებურად მომსახურებდა — ერთგვარ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფარგლებში მოექცია. ეს ნათელი გახდება შემდეგი ფაქტებიდანაც.

იმავე 1908 წ. აკაკი სწერდა: „მე ვეკუთვნი მესამოცე წლების ვუნდს. ვინც მომსწრე არ არის და არ ახსოვს, იმას შეუძლია ჩემი ნაწერებიდან გაიგოს, რომ ბევრი რამ არ მომწონდა იმ მესამოცე წლების მოღვაწეობიდან და წინააღმდეგეც ვიყავ და რაც მომწონდა მისთვის კი თავსაც ვსდებდი. დღევანდელი მოძრაობა, რასაკვირველია, არა ჰგავს მაშინდელს, მაგრამ მე ვერც დღევანდელ მოძრაობას ვეთანხმები საესებით... ბევრი რამ მომწონს თვითვეულ დასში და არ შემიძლია, არ თანაუგრძნო... და ბევრი რამ ჩემთვის მიუწოდებელია და ვერც ვეთანხმები. აი სწორეთ ამიტომ არც ერთ დასს არ ვეკუთვნი, რომ საესებით მიუღვე... ჩემი გრძობა-გონება დამოუკიდებლად მიხდა შევინარჩუნო, ვიმოქმედო ისე, როგორც თვითონ ვანესჯი და არა ბრძანებით... ქართველები „ასი წლის“ მეოხებით სხვა ხალხებზე ჩამორჩენილი ვართ და ამიტომაც უფრო შორი ვხა ვეკეტს ვასავლელი. და ვინც შორს მიდის იმან ის უნდა იფიქროს, თუ როგორ მომარჯვებით გადადვას ბიჯი-ბიჯზე, რომ მიზანს მიიღწიოს, თორემ ხტუნვით ვერ გაივლის. და ამიტომაც უთქვამთ ჩვენ ძველებს: „აჩქარებითა სოფელი არაგის მოუქმიაო“. აი ამ აზრის მიმდევარი ვიყავ ჩემ სიცოცხლეში და ესევე უნდა ჩავიტანო ჩემ საფლავშიც... სახალხოდ გავრცელებულია ხმა, ვითომც, მესამოცე წლების მოღვაწეები, აღარაფერში ერეოდენ, არა თანაუგრძნობდენ თანამედროვე მოძრაობას და ყველაფერზე ხელი აეღოსო...“<sup>1)</sup>

აქ საინტერესო განმარტება არის მოცემული. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ აკაკი ვერც ერთ პარტიასა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა ფარგლებში ვერ თავსდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე აღფრთოვანებით მოელოდა მომქმედსა და მეთაურ აბაღაზრდობას ცხოვრების განახლებისა და წინსვლულობისათვის, მაინც არც ერთი ჯგუფი თუ პარტია აღმოცენებული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მას არ შეუწყნარებია საესებით და ყველასთან აწარმოებდა ამა თუ იმ შინაარსის ბრძოლას. 60—70-იანი წლების ჯგუფებთან აკაკის დამოკიდებულება ჩვენ უკვე ვიცით თვით აკაკის ნათქვამიდან. მაგრამ ყველაზე უფრო უხეშად და ტლანქად მოეპყრა აკაკი 80-იან წლებში აღმოცენებულ ნაროდნიკულ მიმდინარეობის წარმომადგენელ ჟურ. „იმედის“ ჯგუფს. ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ წერილში აკაკიმ ისინი დაცინივით „დიაკნის შეილება“<sup>2)</sup> მონათლა<sup>3)</sup> მის. გურგენიძე, რედაქტორი ჟურნ. „იმედისა“ და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახლი მიმდინარეობის, აკაკის სამასუხით სწერდა: „რატომ უკვირს აკაკის, რომ „მღვდლის შეილები“, — „დიაკნები“ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულან? ეს ხომ უცქველად ასე უნდა ყოფილიყო. მაშ ვის შეეძლო აკაკის და მის ამხანაგების მწერლობის ანდერძის აგება? ყოველივე წესის აგება

<sup>1)</sup> აკაკი: „სოციალ. თქმ. ერთ არს. და საუბარი მამა შერლს შუა“ გვ. 3-5, 1908 წ.

<sup>2)</sup> აკაკი: „ცხელ-ცხელი ამბები“ — „დროება“ № 44, 1881 წ.

მხოლოდ მღვდელ-დაიკვნებს შეუძლიათ და ბედის-წერამაც საჭიროების შემთხვევა-  
 ნა, რომ „იმედში“, რომლის დანიშნულებაც არის—დასთრგუნოს ყოველგვარი გო-  
 ნებითი, ზნეობითი და მოქმედებითი მახინჯობა, მისასადამე მწერლობისაც, მი-  
 ილებდა მონაწილეობას „დროება-ივერისაგან“ მოქმედებელი დაიკვნები.“<sup>1)</sup> ამ-  
 რივად, აკაკიმ თითქმის ვერავითარი საერთო ენა ვერ პოვა ისეთს დემოკრატიულ-  
 სოციალისტურ მიმდინარეობასთან, როგორიც ნაროდნიკობა და მისი ორგანო  
 „იმედი“ იყო.

მეტად საინტერესოა აკაკის დამოკიდებულება მესამე დასელებთან,  
 მარქსისტულ მიმდინარეობასთან. 1903 წ. იგი სწერს: „ამ ცოდვების გასაწმენ-  
 დათ მსხვერპლი არის საჭირო და ზეარაკად მომავალი ახალთაობა. მის მოსვლამ-  
 დის კი ჭეკიანა თვალ-ახვეულია. როგორც ებრაელები მოელოდნენ მესიას, ისე  
 ზოგიერთი მესამოცე წლების მოღვაწენიც მოელოდნენ ახალდგმას. მათ რიცხვში  
 გიორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის სულწასულობით კარლ მარქსის მოძღვ-  
 რების ფენის ამჟღავნებელი ვილა“ „მომავლად“, უწოდა „მესამე დასად“ და სიმონ  
 მოციქულსაგან სიტყვა: აწ განმითქვეო. მაგრამ ვერ მოუვიდა ნამდვილი მიმრქმელო-  
 ბა. რა იქნებოდა ახალი აღრთქმა, რომ ძველი აღრთქმა სრულიად უარყო და მის  
 საფუძველზე არ იეგო ქრისტიანობა.—მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭი-  
 რავთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისევლობასა და მეზებერობას და ჩვე-  
 ნი თანაგრძობაც მათგან იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულიად უარს არ ყოფ-  
 დნენ წარსულს და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ ავორებდნენ  
 უფსკრულისაკენ... ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგვიან, არა თუ გამოსადე-  
 გაა ცხოვრებაში, აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომისაც  
 და წინსვლასაც სიფრთხილედ და წინდახედულობა ესაჭიროება... ამათი შეკდომა  
 ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას: სარწმუნოებას,  
 ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ, მარტო მხოლოდ მატერიალისტურ სარჩულს  
 უდებენ და ავიწყდებათ დადი მოძღვარის სიტყვა: „არა პურითა მხოლოდ სცხოვ-  
 რობს კაციო“;—„აწმყო, ნაშობი წარსულის, მშობელია მომავლისა“. ვინც წარ-  
 სულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებუ-  
 ლა, უსულდგმელო, საპირუტყეო ფარგალში რჩება, და ჩვენ კი გვინდა მისთანა  
 მომავალი თაობა, რომელიც უარისყოფელი კი არ არის წარსულის, მკვლევარ-  
 ია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძველად უდებს მომ-  
 ვალს, რომ კავშირ-გაუწყვეტლად განაგრძონ ისტორიული ცხოვრება. მათ მოქ-  
 მედებაში კაპიტალურ მიმდინარეობა კი არ უნდა სჩანდეს, მეფიქრე-  
 ბული, აწონ-გაზომილი თავისთაობითი შრომა უნდა იხატებოდეს.“<sup>2)</sup>

ასე აფასებდა აკაკი 900-იანი წლების დასაწყისში იმ დიდ გონებრივ მო-  
 ძრობას, რომელიც მარქსიზმის დროშით მიმდინარეობდა ჩვენში. ერთი მხრივ,  
 აკაკის ეს მიმდინარეობა თითქმის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, მეორე  
 მხრივ, უარყოფდა მის სოფლმხედველობას და განსაკუთრებით ეროვნულ პოლი-

<sup>1)</sup> ნიხ. გუგუნიძე—„ერთი ჩვენი მწერლობის სენი“—„იმედი“ № 2, გვ. 100, 1881 წ.

<sup>2)</sup> აკაკი წერეთელი: „ორი პუბლიცისტური სტატია“, გვ. 12—15, 1903 წ.

ტიკას. შემდეგ პერიოდში, როდესაც საქართველოში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო და ამ მოძრაობას სათავეში ს.-დემოკრატია მოექცა, როდესაც პოეტიც აღფრთოვანდა ხალხური მოძრაობით და ახალგაზრდობას მიჰმართა:

ამას ველოდი, მოვსწარ  
ვიყინი, აღარ ვსტირი ზე,  
ახალგაზრდებო, ახლა თქვენ  
ვამოვლით, თქენი კირიშე-ო—

აკაკის სიმბატიები გადაიხარა ს.-დემოკრატიისაკენ, მაგრამ მისი მიმდევარი და სრული პარტიისმცემელი მაინც არ გახდარა და ვერც გახდებოდა. ეს არც გასაგებია არის. აკაკისათვის მარქსიზმი და მარქსისტული მოძღვრება გაუგებარი იყო; პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და კლასთა ბრძოლის პრინციპი სრულიად მიუღებელი. და თუ მაინც თავისებური სიმბატიით მოეპყრა ს.-დემოკრატია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პარტიაში ხალხური მოძრაობის ერთგვარი ზემოქმედანელი ძალა დაიხაზა, აქტიურად მომქმედი ორგანიზაცია იგრძნო. საინტერესოა არის აკაკის ლექსი, მიძღვნილი ს.-დემოკრატიისადმი და დაწერილი 1906 წ. მოუსმინოთ პოეტს:

ზოგი არ მომწონს რამ შენში,  
ნაგრამ საერთოდ კარგი ხარ...  
ერთ ფროს მეც ვამომადგები,  
თუმც ვერ კი სხვისი ბარჯი ხარ.  
შენი შეცდომა სჯობია  
მძინარის შეუცდენასა,  
გიწუნებ, მაგრამ შენს ძვირს კი  
ვერ ვათქმევინებ ენასა...  
ნოვა დრო, შენც გასწორდები  
დასდგები შენს დონეზედა  
და ბათილს დასძახებ  
სხვა კილო და სხვა ხმაზედა...<sup>1)</sup>

ასეთი იყო აკაკის დამოკიდებულება ს.-დემოკრატიულ პარტიისადმი, რომელიც ისტორიის ნებისყოფამ დიდი ხალხური მოძრაობის მეთაურად გახადა ჩვენში.

ჩვენ საქმალ თაქტებთან ნათელყვავით, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა აკაკი 1905 წლ. რევოლუციას; მაგრამ, ვიმეორებ, შეცდომა იქნება თუ ვითქვამთ, რომ მისთვის საესებით ნათელი იყო ამ მოძრაობის შინაარსი და იგი პრინციპიალური მომხრე იყო რევოლუციონური მეთოდის. რასაკვირველია, აკაკი არც რევოლუციონერი იყო და არც სოციალისტი, ამიტომ ვერც ერთისა და ვერც მეორესი პრინციპიალური თანამოზიარე იგი ვერ გახდებოდა. 1908 წ. თავის ნახევრად პუბლიცისტურ წერილში: „საუბარი შამა შევილს შუა“ აკაკი ამბობდა: „სიყვარული, ერთობა და თანასწორობა მხოლოდ სწავლა-განათლებას შემოაქვს და არა ძალმომრეობას. მხოლოდ სწავლა-განათლებლა ერთად ერთი გზა—სწორი მოკლე და ადვილი, რომელსაც მოყავს ხალხი შევების სადგურისაკენ... და ჩვენც ვისაც ქვეყანა გვიყვარს და კაცობრიობაცა გვწამს, იმას

<sup>1)</sup> აკაკი: „ს.-დ.-ს“ „ივერია“ № 17, გვ. 9, 1906 წ.

ელა მივაწევო. განურჩევლად წოდებისა და სქესისა ყველას უნდა... უნდა... უნდა... გზა ხსნილი და ყველამ მიიღოს სწავლა-განათლება და ვინც კი ამ ქვეყანაში მისწრაფებს ეწინააღმდეგება... წინ ეღობება, იმაზე მივიტანოთ იერიში.

— მაშ თქვენ არ გწამსთ დღევანდელი მოძრაობა და გაურბით? — ეკითხება შეილი.

— არა. ისე შევხარით, როგორც დედა შვხარის შვილის პირველ ბიჯის აღმასს. ახალი ფუხადგმული, ბარბაცებს, მაგრამ დედა გაორკეცებულის სიფრთხილით ადევნებს თელ-ყურს, რომ არსად გადაეჩნოსო, სახარულით უხარია კი რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შეილი კონტი არ არის და რომ წამოიზრდება, მაშინ უდგდოსთაც სწორე ვაიელის. ჩვენც ველით იმ დროს და სიხარულით შევყურებთ დღევანდელ დღეს. შინაური შეხლა-შემოხლა შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ აუცილებელი კია... მეცხვარის ძაღლებს რომ ერთმანეთში ჩხუბი მოუვათ, იმ დროს რომ სადმე წვლები გამოიწვდეს, შინაურ ჩხუბს თავს დაანებებენ და ყველა ერთად გაუდგებიან ხოლმე მგელს, გარეულ მტერს, რომ მოიგერიონ, და ნუ თუ ჩვენ ოთხეუხის ოდენი შეგნებაც არა გვაქვს, რომ ერთმანეთს დავრტყვივართ.“<sup>1)</sup>

ასეთი იყო აკაკის ნამდვილი და უტყუარი შეხედულება 1905 წლის მოძრაობასა, რევოლუციონურ მეთოდზე და ახალი თაობის მოვალეობაზე. აკაკის სწავლა-განათლებით კულტურით, ინტელიგენციის მშვიდობიანი საქმიანობით სურდა ცხოვრების განაზღვრა და წინ წაწევა. ძალ-დატანება, რევოლუციონური მეთოდი მისთვის მიუღებელი იარაღი იყო, — და თუ მხარი დაუჭირა — ეს მხოლოდ დროებითი დათმობა იყო, უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე რომლის გამოყენებასაც იგი მხოლოდ დროულად ცდილობდა. ეს ქართველი ლიბერალ-დემოკრატიისა და ქართველი პატრიოტის დროებითი დათმობა იყო დიდი ხალხური მოძრაობის წინაშე. როგორც ზევიააც იყო აღნიშნული, აკაკიმ თავისებურად შეაფასა ხალხური მოძრაობა და აღნიშნა მისი დადებითი მხარეები და არც ერთხელ არ უცდია ეს მოძრაობა და მისი მეთაურები დაემკობებია. წინააღმდეგ, მათთანში თავისებური სიმპატიები ბოლომდე შეინარჩუნა აკაკიმ. პიესა „რეაქციაში“ აკაკის ერთი გმირი ამბობს:

„წელი რომ იმღვრევა და მოვარდება, თევზები ნაპირზე გამმოყავს და ამ თევზებს გველ-ბაყაყებიც თან მოჰყვებიან ხოლმე. ნამდვილ ახალთაობას რა წილი უძევს კაცის კვლაში და ცარცვა-გლეჯაში? ისინი თავსა სღებენ სიმართლისათვის. ზოგნი კვდებიან და ზოგნი ციხეში ლპებიან. სხვები კი სარგებლობენ დროთი საპირადოდ და, ვინ იცის, რას არ სწადიან ახალთაობის სახელით... დიხან... საღუენუნე შეტია რაც (ხალხს) სძინავს... მკედრის ძიღმა წაიღო. „რალა მკედარი და რალა შინ მოუსვლელიო“, იტყვიან. „რალა მკედარი და რალა მშინარი“ — ვამზობ მეც. მძინარს როგორც გინდა, ისე დაიმორჩილებ, დღეს ძლივს თვალი გამოახილა ხალხმა... ხალხი ჭკვიანია და მალე შეიგნებს, რაც შესაგნებელია...“<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> აკაკი: „სახუბარი მამა შეილს შუა“ გვ. 15-16, 1908 წ.

<sup>2)</sup> აკაკი წერეთელი: „რჩეული ნაწერები“ ტ. III, გვ. 386-7, 1927 წ.

ასეთი იყო აკაკის დამოკიდებულება ხალხურ მოძრაობასთან და მისი ცხოვრების სფეროსთან. აკაკი პროგრესისტი მწერალი იყო და იგი გულმოდგინეთ მოცულობად ცხოვრებას ფეხდაფეხ. მისი სიმპატიები 1905 წლის რევოლუციისადმი და მისი აღურთოვნება ხალხური მოძრაობით არ იყო შემთხვევითი მომენტი: იგი აუცილებლად გამოიმდინარებოდა თვით აკაკის სულიერ განწყობილებიდან და მისი მდგომარეობიდან. პოეტმა უკვე დიდი ხნიდან ნათლად შეიგნო, რომ ძველი ცხოვრების საფუძვლები დაირღვა, ძველ სოციალურ-წოდებრივ დამოკიდებულებას ნიადაგი გამოეცალა და ძველი ბრწყინვალე წოდება, თავად-ახნაურობა დაეცა ეკონომიკურად და ზნეობრივ-გონებრივად. ეს მძიმე ისტორიული პროცესი ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევისა პოეტის თვალწინაც ვითარდებოდა და იგი ღრმად გრძნობდა, რომ ძველმა თავისი დრო მოსჭამა და მისი ღრვევის პროცესის, შეჩერება ძველის აღდგენა და განახლება უკვე შეუძლებელია; აკაკი თითქოს გრძნობს ამ პროცესის ისტორიულ აუცილებლობას და ძალაუნებურად ემორჩილება მას. მაშინ როდესაც ილია ქაჭავაძე, როგორც აგარული კამიტალიზმის ადვოკატი ჩვენში, 70-იან წლებიდან სულ იმის ცდაში იყო თავად-ახნაურობა გადაერჩინა განადგურებას და შეენარჩუნებია მისთვის ძველი პრივილეგიები და წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი აღედგინა, — აკაკი წერეთელი ასეთ სოციალურ უტოპიამდე არ მისულა. სწორედ ეს არის დამახასიათებელი თვისება აკაკის სოფლებედელოზისა, სწორედ აქ სჩანს მისი პროგრესიული მისწრაფებანი. იგი აღარ ცდილობდა ცხოვრების ჩარხის უსუღმა შემოტრიალებას, ისტორიულ მიმდინარეობის შეჩერებას, იგი ახალ სოციალურ წრეებში ეჭებდა ახალი ცხოვრების მეთაურსა და მის ძალას.

## 6

აკაკის შემოქმედებისა და მისი პოეზიის ერთ მთავარ დამახასიათებელ და ძირეულ მოტივს წყადგენს პატრიოტიკა. ეს თემა აინტერესებდა უმთავრესად ქართულ კრიტიკას აკაკის შემოქმედების განხილვის დროს და ამ ხრივ იყო ყველასათვის ცნობილი.

60-იანი წლები არა ნარტო დემოკრატიული შეგნების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი აზროვნების ისტორიაში, არამედ ეროვნული შეგნების რენესანსის პერიოდადაც. ახალი თაობის ინტელიგენციამ დემოკრატიზმთან ერთად ჩვენს ლიტერატურაში შემოიტანა ეროვნული ნოტივი, ახალი შინაარსით განმარტებული ნაციონალური პროგრამა. საქმე ის არის, რომ 1830—32 წლების შეთქმულების დამარცხებამ ერთგვარი გარდატეხა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაში, ჩვენი გონებრივი ცხოვრების საფუძვლად ნაწილმა თითქოს შეიგნო თავისი შეცდომა და ქედი მოხარა რუსეთის თვითმპყრობელობის წინაშე. ინტელიგენციის სურვილი, აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრივობა და დაეცათ მისი დამოუკიდებლობა ან ეროვნული თვითარსებობა შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ძირიანად შეიცვალა: ინტელიგენციამ ამ ფაქტის შემდეგ თავისი ეროვნული პოლიტიკის შინაარსი რადიკალურად შესცვალა: იგი ერთ და იმავე დროს გულმოდგინებით უმღერდა როგორც რუსეთის თვითმპყრობელო-

ბას, ისე თავის სამშობლოსაც. ასეთი მიმდინარეობის საუკეთესო მაგალითი იყო პოეზიაში გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ხოლო პუბლიცისტიკაში — დ ი მ. კ ი - თ ი ა ნ ი. ერთი და მეორეც ჰქვდა იხრიდა რუსეთის ტახტის წინაშე და ამ ტახტის ერთგულებაში ხედავდა საქართველოს ხსნას. ასეთი იყო თავად-ახნაურული ინტელიგენციის ეროვნული პოლიტიკა და მიმართულება 30-იან წლებიდან მოყოლებული. აქ თითქოს გამონაკლისის სახით ნ. პარათაიშვილი გვევლინება, მაგრამ ბოლოს იგიც ვერ ასცდა საერთო მიმდინარეობას.

60-იან წლებში იწყება ნაციონალური შეგნების გამოცოცხლება ჩვენში. სხვათა შორის, ამ გარემოებას ხელი შეუწყო, როგორც რუსეთის დემოკრატიულ-რევოლუციონერთმა მოძრაობამ, ისე დასავლეთ ევროპაში დაწყებულმა დიდმა ნაციონალურმა მოძრაობამ: პოლონელების, ბუნგარელების, იტალიელების და სხვათა ეროვნულმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის, გარიბალდისა და მადინის თავდადებულმა მუშაობამ თავისი ერის განსათავისუფლებლად დიდი გავლენა მოახდინა ახალთაობის ქართველ ინტელიგენციაზე და რადიკალურად შესცვალა მათი ეროვნული შეგნება. <sup>1)</sup> ინტელიგენცია უკვე გრძობდა რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ფარგლებში და მისი ბატონობის ქვეშ საქართველოს არ შეეძლო თავისუფლად ფრთების გაშლა და წინსვლელობა. აქედან უკვე დაიბადა ახალი თაობის ინტელიგენციის ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვიკუთვნოდეს“. ასეთი ლოზუნგის წამოყენება უკვე ნიშნავდა იმას, რომ ახალთაობის ინტელიგენცია უკვე დასცილდა ეროვნულ საკითხის გაგებაში ძველი თაობის ინტელიგენციას, რომელიც ტახტის ერთგულებაში ხედავდა საქართველოს ბედნიერებას. ეს ერთ-ერთი შესანიშნავი საკითხი იყო იმ ბრძოლის დროს წამოჭრილი, რომელიც ძველსა და ახალ ინტელიგენციის შორის წარმოებდა 60-იან წლებში. რასაკვირველია, აშკარად ეროვნული მომენტის დასმა და მისი საცესებითი გაშლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ფართლად ეს ბრძოლა სხვადასხვა გვარ ეროვნული პოლიტიკის გარშემო უკვე სწარმოებდა.

როგორც პირველ წერილში დავინახეთ, აკაკი ამ საკითხში თითქმის ჩამორჩა თავის თანამებრძოლებს და თანამეგალშეებს. მისი ეროვნული პოლიტიკა და შეგნება იმ ხანებში ჯერ კიდევ ვერ იყო განთავისუფლებული ძველი თავად-ახნაურული პოლიტიკის გავლენისაგან, ავტორი თითქოს გაურბოდა ეროვნული საკითხის პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენებას და ცდილობდა „პ ა ტ ი ო ს ა ნ ი პ ა - ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი ს“ წარმომადგენლად დარჩენილიყო ჩვენს ლიტერატურაში. <sup>2)</sup> მაგრამ პოეტი უკვე თავიდან ატარებდა ბოლმას სამშობლოს სიყვარულით გამოწვეულს. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში იგი ამბობდა:

<sup>1)</sup> ამ ეროვნულ შეგნების აღორძინებას 60-იან წლებში ხაზგასმით აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე თავის წერილებში „კოლოკოლის“ ფურცლებზე. (იხ. „კათოიკა“ № 199, 1865 წ.) ამასვე ამტკიცებს იმავე „კოლოკოლის“ ფურცლებზე მოთავსებული რამოდენიმე წერილი საქართველოს საკითხის შესახებ. ცალკე წერილში კოლოკოლი და საქართველო — მე შევეცდები ამ საკითხის უფრო ვრცლად გახსენებას.

<sup>2)</sup> იხ. აკაკი წერეთელი, „დროება“ № 13, 1873 წ.

ნუზიან ცდილობს, იმ ცრემლებში,  
 რომ გამოიცილოს სიყვარული,  
 იქ იქნება საიდუმლო,  
 გულ გამოეპტა დაფარული.

გოველ წყლში რტქას ნაბავს  
 ქართლის ტანჯვის გამოზნატველს  
 და წწარუა საკადელში  
 ფიჭვოაას ავლის მწველელს. 1)

მაგრამ არა მარტო მწუხარების გამოსთქვამს პოეტი, არამედ შეტის-შეტად შვი ფერადებით ასწერს იმ პირობებს, რომელშიაც იწყობებოდა ქართველი ერი. 1875 წ. „აღმართ-აღმართ მიმავალი“ პოეტი უკვე მღეროდა:

გაიბეჭდ, ვნახე, რომ სხვას მითმებდა  
 გამოვირდა. ესაუბო: „მტრის რიგორ მონებდა.  
 მოზიბლდული, შემცდარია, ის არი...  
 აღერსით მთერალს ვერ უზილავს ისარი“.

მეფაბავ: „ქინტარში მე ვარდები...  
 მე გვობია იქ ია და ვარდები.  
 შეიზრალე თავი შენი, იყოფე.  
 მეგ ზარბათში სიწამლავს ხეამ, იყოფე.“ 2)

საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე: ერთი მხრივ, პოეტი ცდილობს დიი-ცვას „პატიოსანი პატრიოტიზმი“, ნოკლებული უოველგვარ პოლიტიკურ შინაარსს, და მოწინაინებულია აბალოაობასა და მართველობას შორის საერთო სა-ნოლუაწო ასპარეზი გამოინახოს სწავლა-განათლების გავრცელების მიზნით ხალხში; 3) მეორე მხრივ კი პოეტის „ერის სიწამლავისაგან“ გადარჩენას ფიქრობს. ასეთს გაიორებულ მდგომარეობაში პოეტს არ შეეძლო დიდხანს დარჩენი-ლიყო და მას ნათლად უნდა გაერკვია თავისი ეროვნულ-პოლიტიკური ხაზი. შემდეგ პერიოდებში აკაკი უკვე გარკვეული ენით ლაპარაკობს, იგი ბრძოლის ტენპერამენტით ივსება და შეუბოვარი მკერეი ხდება თავისმპყრობელობის, მაგ-რამ არც იგი უნდა დაეივიწყოს, რომ თავისი მოლუაწეობის ბოლო ხანებში აკაკი კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ შერიგების პოლიტიკას. მაგრამ ამაზე ქვევით.

1892 წ. აკაკი „თავისი სატრფოს“ მდგომარეობის შესახებ ამბობდა:

მეფლელი ციბვი  
 ცხრა კლიტულში მეფდომარე...  
 შეთფსებას ზაბირებს  
 გაიძვრა მოყვარე.

გაფტობილდა, მე გვერა  
 მავის ტებოლი ნინია,  
 მტნუ წინათ სხვი ბერი  
 ნიზიბლა, შეაცდინა.

1) აკ. წერეთელი—„მოქალაქე“—„კისეარი“ № 3, გვ. 400, 1863 წ.

2) „დროება“ № 2, 1876 წ.

3) იმ. მისი წერტილი „დროებაში“ № 36, 1875 წ.

გაუმარდი განსაცდელს,  
 აიტანე ტყვეობა.  
 გშენის ნესტან-დარეჯანს  
 მაკალითი... ზნეობა.

ქართული  
 ენციკლოპედია

ტარიელი დავებმა,  
 გაგარდნილი დღეს ველად,  
 აეთანდლიე ფრიდონით  
 მოღის გამოსასხნელად <sup>1)</sup>.

და პოეტიც გმირებს „დაეძებდა და უყვივოდა“ საქაჯეთიდან ნესტან-დარეჯანის დასახსნელად. 90-იან წლებში დაწერილ ლექსში: „თვითმპყრობელობას“ აკაკი ენერგიული პროტესტით ილაშქრებს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ.

დამეხსენი, სრდილოელი...  
 რა მაქვს ზნეთს საზიარო?  
 თვით ოხვრო, მოუფლლო,  
 როგორ გინდა მომიარო?..

ერ მომზობლავ, ცრუ მოვარე  
 ჯერც ენით, კერც თვალადობით...  
 შეგოპყრობარ, როგორც მოვარე  
 გველუშაპა ძალადობით..

შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს  
 ანუჯეზებს ის იმედი,  
 რომ ოდესმე შენს ცხრავლიტულს  
 მოლად დაღეწავს ზემი ბედი.

დამხსნის შენსა მომებასა,  
 ცხიერებას გაგიწობილებსა,  
 გამამტკიცებს გონებასა,  
 თავისიველად ნაჭირწილებს. <sup>2)</sup>

მაგრამ აქ აღსანიშნავი არის არა მარტო ის, რომ პოეტი თვითმპყრობელობა უცხადებს სამკედრო-საინციოცხლო ბრძოლას, არამედ ისიც, რომ მისი ეროვნული შეგნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, დემოკრატიზაციის გზით მიდის. როგორც „საქართველოს დღევანდელი საიდან“ და ზემოდ მოყვანილი ადგილებიდანაც ნათლად სჩანს, აკაკი ერის ქვა-კუთხედს, მის მხსნელ ძალას მშრომელ გლეხობაში ხედავდა. პოეტი ფიქრობდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობამ გახრწნა და დაძაბუნა ერი, გაანადგურა მისი არსებობის ძველი სოციალური წრეები; მხოლოდ ახალი ძალა გამოადის სამოღვაწეო ასპარეზზე, რომელსაც შეუძლია ერი იხსნას გასაკვირისაგან: ეს ძალაა მშრომელი დემოკრატია, ხოლო მისი მეთაური ახალთაობის ინტელიგენცია: პოეტს, ერთი მხრივ, გულს უკლავ-

<sup>1)</sup> „რჩველი ნაწერები“, ტ. 4, გვ. 71.

<sup>2)</sup> „რჩველი ნაწერები“ ტ. 4, გვ. 80-91.

და და ტანჯაედა საქართველოს მაშინდელი დაცემა და დამძიმება. მხოლოდ მხრივ, მასში იბადებოდა ახალი ბრწყინვალე იმედი ცხოვრების განხორციელებისა და ერის განთავისუფლებისა.

ძნელია როცა მოყვრულათ  
მტერი კაცს შედარება.  
ფეხია მაშინ ტირილი  
და უნაყოფო გოდება.

იბრწინება დარისველობით  
თანასწორ ვეღა წოდება:  
თავადი აღარ თავადობს,  
არც სადმე აზნაფრია.

აღარც მღვდელია, არც ერი...  
ვეღა ღვთის უმადურია.  
მეზარევე, ხარი აუშუ  
ამირან გმირის კენჭითა.

ხმა გრძობას შეუთანახმე  
ძველ ჩვეულება-წესითა.  
და ნალეულ-ჭაფით გამულღვე  
ეს მსიმე ტვირთი გულისა,  
რომ ნიშნათ გადმოვანთიო,  
მომავალ სიხარულისა. <sup>1)</sup>

პოეტი არ მიდის სასოწარკვეთილებამდე, მისი პესიმიზმი არ არის უიმედო ოპტიმიზმს მოკლებული: პოეტი უკვე გრძობს, რომ ძველი წყობილება ირღვევა, რომ მომავლისათვის მებრძოლი ძალები უკვე გამოდიან ცხოვრების საბიუღზე.

ნუც ცისარტყელად მესაბვის  
იმედი სომეკალისა,  
იქ ვხედავ მეთაფრებსა  
კან გამოცელოლათ სუფეელას.

როგორც ყოფილსა მკრალ კიათ  
აბრეშუნისა პებელას.  
მათ ნაცვლათ სწები ჩაბმულან  
მეთაფრ-მოწინავეთა.

გზა დაბნეული ხალხისთვის  
მოსეთ და იაფნავეთა  
შრომობენ მოციქულებრივ,  
თავი არ მოაქვსთ დიდათა.

და კერძოს საზოგადოების  
აგებენ მზათ და ხალათა...  
ეს არის მახვერბლი საერო,  
ეს არის აღოქმა და შეღა...  
და ერიც „აღოქმულ ქვეყანას“  
უახლოვდება ნელ-ნელა. <sup>2)</sup>

<sup>1)</sup> აკაკი: „სიმა ნაწერები“. ნაწ. 2. გვ. 3—6, 1913 წ.

<sup>2)</sup> იქვე: გვ. 7—8.

აკაკის იმელი მტკიცე და შეურყეველია. პოეტს სწამს, რამდენადაც  
 ზიხლიძისა

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
 იმ ჯაბუს გასწყვეტს გმირთა გმირი,  
 სიხარულათ ზეივლედა,  
 აშენი ხნის გასაქირი..

მაგრამ პოეტს სურდა თავისი ოპტიმიზმი რეალურ ძალთა განწყობილებათ  
 ზე დაეყრდნო; მართლა გამოძებნა საქართველოში ერის მხსნელი და ცხოვრე-  
 ბის განმაახლებელი ძალა და იგივე კითხულობს: მებრძოლი გმირი, რომელიც  
 „წარსულმა ვერ დაშალა, მომავალი წარმოშობსო?“ — დიახ, — უპასუხებს მგოსანი —  
 ასეთი ძალა უკვე სჩანს:

მაგრამ ეხედავ „მომავალში“  
 გამოსულა მუწათ ერი,  
 ერთმანეთთან შეთანხმებით  
 ძლიერი და ბედნიერი.

გზა გაყავს და ხიდსაც აგებს,  
 სისხლითა და ოფლით რწყულსა;  
 და მამულის მოიმედვ,  
 აღარ იმჩნევს წყლულათ წელულსა.

გამარჯვება ნამდვილ მტვებს.  
 ეაშა, ეაშა მომავალსა...  
 ის ასწორებს დღევანდლების  
 გამრუდებულ გზა და კვალსა.

გაასწორებს და გზას მისცემს  
 ტარიელს და აეთანდილსა,  
 ამირანის სისხლ-ტრემლებით  
 ქართულებათ გამოზრდილსა.

ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,  
 ზეხეულ გრინობს ცხონებასა.  
 არც ისურვებს ბატონობას  
 და არც ვისმე მონობასა.

აღიარებს მხოლოდ ძმობას,  
 თანაწილობას, სიყვარულსა  
 და საზღვარი არ ეჭება  
 მის უმანკო სიხარულსა. \*)

აკაკი დიდი წინათგონობის პოეტი სჩანს: მისი შორს მხედველობა აღსა-  
 ნიშნავი და საყურადღებოა. სრულიად ბუნებრივია და პრინციპიალურად გამარ-  
 თლებული პოეტის ის მოსაზრება, როდესაც იგი ეროვნული ჩაგვრის მოსპობას  
 ხალხის, მშრომელ დემოკრატიის შეერთებულ ბრძოლას უკავშირებს. ისტო-  
 რიულად უკვე ცნობილია, რომ ჩვენში ვერც ერთი წოდებიანი კლასი ვერ

\*) ა კ ა კ ი „ჩემი ნაწერები“. წიგნი მეორე, 1913 წ.

შესძლებდა და არ მოინდომებდა თვითმართველობის მოსპობას. დე ფურცელის თავისუფლების აღდგენას, გარდა მუშათა კლასისა. თავად-აზნაურების წოდებრივი ინტერესები ღრმად იყო შექსოვილი რუსეთის თვითმპყრობელობის ინტერესებთან და იგივე რუსეთის ტახტის ერთგულ დარაჯს წარმოადგენდა საქართველოში. ტახტი იცავდა ამ წოდების ინტერესებს, სამაგიეროდ ქართველი თავად-აზნაურობაც ენერგიულად იცავდა ტახტის ბატონობას საქართველოში. ამ წოდებისათვის უკვე აღარ არსებობდა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან განსაკუთრებული ინტერესები: ჩვენი ბრწყინვალე წოდება ენერგიულად იცავდა იმ ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც შეიმუშავეს ვრ. ორბელიანმა, დიმ. ყიფიანმა და სხვებმა და რომელსაც საფუძვლად ედვა ტახტის ერთგულება და სამშობლოს სიყვარული. არ შეეძლო რაიმე აქტუალური როლი ეთამაშა ახალგაზრდა ქართველ ბურჟუაზიულ კლასსაც. იგი თითქოს გრძნობდა რუსეთის სამრეწველო კაპიტალის კოლონიალურ-იმპერიალისტურ პოლიტიკის არტახტებს. მაგრამ თავის შიგნით მას არ გააჩნდა ენერგია დამოუკიდებელი ბრძოლის საწარმოებლად; ხოლო მეორე მხრივ საქართველოში დაწყებულ მძლავრ მუშათა მოძრაობის საწინააღმდეგოდ ბურჟუაზია რუსეთის თვითმპყრობელობაში წედაედა ერთად-ერთ ძალას. სრულიად საფუძვლიანად აკაკიმ მუშათა კლასში, უკეთ, მშრომელ დემოკრატიაში დაინახა ერის განმანთავისუფლებელი ძალა. ისტორიამ აკაკის ეს წინასწარმეტყველება სავსებით გაამართლა: მხოლოდ მუშათა კლასმა დაამსხვრია თვითმპყრობელობის მძივე ბურჟილები და დამონებულ ერებს მისცა თავისუფალი არსებობის განვითარების შესაძლებლობა.

ზევით უკვე აღნიშნული იყო აკაკის განწყობილება და მისი პოეზიის ძირითადი მოტივები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. აქ იმისი ვრცლად განმეორება აღარ დაგვირდება: პოეტმა ღრმად განიცადა ხალხის მოძრაობა და თვითონაც რევოლუციონერი ენით ამეტყველდა. აღსანიშნავია მისი არალეგალური ლექსი: „ბ ა ნ ჯ ა ლ ს“.

შენი ჰირინე ბანჯალო,

რკინაო ბუარასნისაო,

შენ ერთად ერთი იმედო

მტრისაგან გამოხსნისაო.

ბევრი ნაღველი შეასვა

ურჯულთმ ამ ჩენ გულსაო,

შენ მიმკურნალე მახულო

უშართლოდ დანიარულსაო.

მიმოიკვლე მის გულთან,

მიფქლენ ჩემი საღანი,

ის ეთომ საწერელია,

ჩაერბვე რაღვორც კალამი.

მისი წითელი მკლნითა

შეშაღებინე ჭაღარა,

იმისი კენესა იქნება

ჩემოვის დაფი და ნაღარა. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> „რეული ნაწერები“, ტ. IV, გვ. 128-24, „ივერია“ № 20, 1905 წ.



აკაკის ეს ლექსი ერთი საუკეთესო ნიშანთაგანია საერთაშორისო მისწრაფებისა და კერძოდ მისი დემოკრატიული მისწრაფებების დამახასიათებელი. „საქმის“ შესწდომ დემოკრატიული მისწრაფებებისა და ეროვნული თავისუფლების იდეის შეფულება, შეთანხმება: ეროვნული განთავისუფლების საქმე საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განთავისუფლების საქმეს დაუკავშირა. მაგრამ სამწუხაროთ ამ სწორ პრინციპიალურ ნიადაგზე დგომა მან ვერ შესძლო ბოლომდე. როგორც ჭევეთ დაეინებათ, მისი ეროვნულ-პოლიტიკური საზი კვლავ გაიღუნა და კვლავ მოინდომა ძველი თავად-აზნაურული პოლიტიკური შეხედულების რესტავრაცია. მაგრამ აქ ერთი ნიმუში კიდევ მოვიყვანოთ 1905 წლის მისი ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფებებიდან:

ძირს, მთავრობაე უსამართლო,  
„ველარ უატანო გასატირსო“,—  
თველი მხრით გეძახიან:  
„ძირს, მთავრობაე... აჲ კო ძირსო“

ქმარა ისიც, რაც ვომინეთ,  
გეშატებდი კირზე კირსო,  
ის აღარ ვარბ, რაც ვიყავით  
გაკუღვიძეთ და აჲ—„ძირსო“.

ბნელს ნათელმა მთაშუა  
და ერთ რამეჲ ესტე ღირსო...  
ძველი წესი-წესობილება  
ბნელს გაჭყება და შენ — „ძირსო“.

შენგან, ძალაუფებურად,  
არ მოველით დაბაპირსო;  
ჩვენ მოვევლით ისე ჩვენს თავს,  
არ გუნდებარ, „ძირს და ძირსო“.

ეფექტობთ, მოყვანილი ნიმუშები საესებით დამაჴმაცოფილებელია იმისათვის, რომ უდავოდ დამტკიცებულად ჩაითვალოს აკაკის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობის ევოლუცია რადიკალურ-დემოკრატიულ მისწრაფებისაკენ. თითქოს შრავალი წლების გამოკვლიებამ პოეტის დაარწმუნა იმაში, რომ ერთად ერთი ხსნა ერის განთავისუფლებისა და მისი აღორძინებისათვის თვითმპყრობელობის დამხობაშია და იგივე თავისებურად უკავშირებს ერთი მეორეს დემოკრატიულ მოძრაობას და ეროვნულ განთავისუფლების იდეას. ამ შემთხვევაში აკაკის დემოკრატიზმი და მისი ეროვნულ-პოლიტიკური მისწრაფება ბუნებრივად შეხვდა ერთი მეორეს. ეს მომენტი ხაზ-გასმით უნდა იქნეს აღნიშნული.

აქაც შეიძლება ერთგვარი პარალელი გავიყვანოთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობათა ევოლუციის საკითხში: ილია სამოციან წლებში აუცილებლად ეროვნული რადიკალიზმის ნიადაგზე სდგას; მის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: „ჩვენნი თავი, ჩვენ

\*) „ივერია“ № 219, 1906 წ. „რჩეული ნაწერები“ ტ. 4, 125 გვ.

უნდა გვექუთონოდესო“ ნაყოფი იყო იმ დიდი ეროვნული მნიშვნელობისა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ღვივოდა: ილიამ მძლავრად განსწავლეს მარტინ-ლუბის, უნგრელების, იტალიელებისა და სხვათა ეროვნული მოძრაობის წინაარსი და ამიტომ გარკვევით შეითვისა ეროვნულ რადიკალიზმის პროგრამა. მას იმ ხანებში არ სწამდა, რომ რუსის რომელიმე მონარქი ან მისი წარმომადგენელი ხელს შეუწყობდა საქართველოს ავტონომიასა და აყვავებას; მას არც ის სწამდა, რომ ახალი თაობის ინტელიგენცია „მართველობასა და ხალხს შორის შეამავალ ხიდათ გადებულყო“. ამით ილია ქავეკავაძეს კავშირი ქონდა გაწყვეტილი იმ პოლიტიკურ რომანტიზმის პროგრამასთან, რომელიც ტახტის ეთგულებასა და სამშობლოს სიყვარულში გამოიხატებოდა და რომელიც თავდაზნაურობის ეროვნულ-პოლიტიკურ კრედოს შეიღვენდა. როგორც დავინახეთ, 60-იან წლებში აკაკი წერეთელმა ვერ შესძლო განთავისუფლება ძველი თავდაზნაურული პოლიტიკისაგან და სწორედ აქ არის პირველი დიდი განსხვავება აკაკისა და ილიას ეროვნულ პოლიტიკის შორის. შემდეგ იწყება მათი როლების შეცვლა: ილიას მსოფლმხედველობის საერთო გადახრა მარჯვნივ—თავდაზნაურული ლიბერალიზმისაკენ; აკაკის გადახრა მარცხნივ—რადიკალურ-დემოკრატიზმისაკენ; შემდეგი პერიოდის ილიას აზროვნება ხასიათდება თავდაზნაურული ლიბერალიზმით: იგი ცდილობს თავდაზნაურობა გადააჩინოს განადგურებას და შეუთანაბროს მისი ინტერესები ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიური ვითარებას. ამ ფონზედ აღმოცენდა მისი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამაც.

არ. ჯორჯაძე მის შესახებ სწერდა: „ილია ქავეკავაძე, ამოიბდა თავის ერთგულებით და საჯაროთაც ამელაენებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს (ე. ი. თვით არ. ჯორჯაძეს. ს. ხ.) ერთ საუბრის დროს ეუბნებოდა განსვენებული ილია: „ახალმა თაობამ კარგათ უნდა დაინახსოვროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ჭართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ რომ ჩვენს უფლებას ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსო, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო. ამ თვალსაზრისის წყალობით ილია ქავეკავაძე, მართალია, მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა, ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდა“<sup>1)</sup>. ნუ დაეივიწყებთ, რომ ასეთი ეროვნულ-პოლიტიკური სოფლ-მხედველობა, აშენებული ტახტის ერთგულებისა და სამშობლოს სიყვარულზე ძველი თავდაზნაურული ინტელიგენციის სოფლმხედველობას წარმოადგენდა. ამ პოლიტიკურ ეროვნულ პროგრამას ემსახურებოდა დიმიტრი ყიფიანიც, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ერთხელაც

<sup>1)</sup> არ. ჯორჯაძე, „თხზულებანი“, ტ. 2, გვ. 223—4, 1911 წ. შეადართო: ილია ქავეკავაძე, „ასის წლის წინადა“—„ივერია“ № 255, 1896 წ.

ერეკლე

არ დაეცემა ასეთი ხაზის სისწორეში<sup>1)</sup>. მაგრამ ვერც დიმიტრი ტრალიკულად დალუქვამ 1887 წ. დაიკვირანა საეკლესიო თავდაზნაობა და მისი ინტელიგენცია ამ ფორმულის სისწორეში. მან ვერ იგბნო, რომ დიმიტრი ყიფიანის ტრალიკულად დალუქვა შედეგი იყო იმ რადიკალური წინააღმდეგობისა, რომელიც ტახტის ერთგულების პოლიტიკასა და სამშობლოს სიყვარულის—პატრიოტიკას შორის არსებობდა. 1887 წ. თავდაზნაურთა წინამძღოლი კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ამბობდა: „ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულებაა ღმერთისა, ერთგული ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა ნაშულისათვის“<sup>2)</sup>. 90-იან წლებში ასეთი პოლიტიკურ-ეროვნული კრედოს გამტარებელი და მეთაური შეიქმნა ილია ჭავჭავაძე. მე-20-ე საუკუნის დასაწყისში იგი, მართალია, როგორც არს. ჯორჯაძეც აღნიშნავს, მომხრე გახდა საქართველოს ავტონომიისა, მაგრამ ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდა<sup>3)</sup> ასეთი ხაზით განვითარდა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და ეროვნული სამოღვაწეო პროგრამა.

აკაკი წერეთლის პროგრამამ სხვა შინაარსი მიიღო. მისი პოლიტიკურ-ეროვნული პროგრამა უფრო რადიკალური შეიქმნა. აკაკიმ თითქოს შეიგნო, რომ ტახტსა და სამშობლოს შორის შეუძლებელი არის რაიმე კონტაქტის დამკვიდრება, რომ ეს ორი ცნება ერთი მეთარეს საწინააღმდეგო მოზიციებზედ იწყობებოდა; აკაკი უკვე გრძნობს, რომ ტახტის ინტერესი მოითხოვს გაანადგუროს „ერი“, მოსპოს მისი ინდივიდუალობა და თავის საექსპლოატაციო ობიექტათ გადააქციოს იგი. ამ მიზნებს ემსახურებოდა „ტახტის იმპერიალისტური და რუსიფიკატორული პოლიტიკა. მეორე მხრივ აკაკისათვის უკვე ნათელი ხდება, რომ „სამშობლოს“ კეთილდღეობა და მისი წარმატება შესაუერისი გზით შესაძლებელია ორ-თავიან არწივის მფარველობის ქვეშ. აქედან წარმოსდგა აკაკის ეროვნული რადიკალიზმი და მისი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. აკაკიმ შესძლო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ხალხური მოძრაობის დაკავშირება ეროვნულ თავისუფლების იდეასთან და ორივე—ეროვნულ-პოლიტიკური და დემოკრატიული ფრონტით სასტიკი ბრძოლის გაჩაღება ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ აკაკიმ ვერ შესძლო ამ საპატიო სიმაღლეზე ბოლომდე დგომა და თავისი ცხოვრების უკანასნელ ხანებში პოეტმა კვლავ მოიწადინა თავისი ძველი, 60-იან წლებში შემუშავებული პოლიტიკურ-ეროვნული მრწამსის რესტავრაცია, უკეთ რომ ესაძგვათ, ძველი თავდაზნაურული ინტელიგენციისა და მისი წოდების პოლიტიკური სოფლმშენებლობის გამოყოფილება. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი ორი პოემა: „ეორონცოვი“ და „ომი“. პირველი პოემა დაწერილი არის დიალოგების სახით და შიგ მთავარ გმირებათ გამოყვანილი არიან ისტორიული პირები—ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და პოეტები: ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, მიხ. სიმ. ეორონცოვი—მეფის მოადგილე კავკასიაში და სხვ. პოეტს აუღია ერთ-

<sup>1)</sup> იმ. ამის შესახებ დიმ. ყიფიანის „მემუარები“ სიმ. ზუნდაის წინასიტყვიანობით.

<sup>2)</sup> „ივერია“ № 274, 1887 წ.

<sup>3)</sup> ჯორჯაძე, ტ. 2, გვ. 224.

ერთი საინტერესო პერიოდი ქართული საზოგადოებრივი ისტორიისაა მხანა, როდესაც მოხდა ძირითადი გარდატეხა ქართულ თავად-აზნაურებაში, სადა გამოწვეული იყო ვორონკოვის ლიბერალური პოლიტიკით. როგორც უკვე ამყამად ცნობილი არის, ვორონკოვი (1844—54) რუსეთის სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი იყო ამიერ-კავკასიაში, ხოლო ამ კაპიტალის ინტერესი მოითხოვდა ამიერ-კავკასია გადაეცია თავის საექსპლოატაციო ობიექტად და ფართე აღებ-მოცუნობა განეციოთარეზბია აქ. ვორონკოვმა თავის ეკონომიური პოლიტიკითა და ლიბერალურ-კულტურული საქმიანობით დიდ შედეგებს მიაღწია: მხარე დაამშვიდა და ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის ტახტის სრული ერთგული გახდა<sup>1)</sup>. აკაკის თავის პოემაში ერთგვარი პარალელი გაყავს ვორონკოვის პერიოდსა და ნიკოლოზ მეორის მეფობის შორის: პირველი იტაცებს პოეტს, აღფრთოვანებს მის შეგნებას და იმედებს უღვიძებს გულში, მეორე მწუხარებითა და ბოღმით ავსებს; პირველი ეროვნული თავისუფლების გამომხატველად მიანჩნია, მეორე—ეროვნული მონობის; პირველს—მოეული თავისი არსებით უპეკრს იგი მხარს; მეორეს წინააღმდეგ პროტესტს უცხადებს. მაგრამ მოუსმინოთ პოეტს. დიმი. ყიფიანთან საუბრის დროს ვორონკოვი შემდეგ საბოლესაწყო პროგრამას იძლევა:

მიწა ქართველი დარჩეს ქართველად  
 ისე, როგორც ყოფილა ძველად,  
 მისი წარსული მომავლისათვის  
 ვიზმარო მხოლოდ მე საფრთველად.  
 არც რჯელს შევუბო, არც ცროვნებას,  
 არც მის სიწმინდეს, წის დედა-ენას,  
 რომ არ უმღიოდს მომავლისათვის  
 სწორსა მსველელობას და აღმთქვენას.  
 მივაწვევენ მხოლოდ იმ საზრდოს სელის,  
 რაც მომავალ დროს შეფერება,  
 რომ არ ჩამორჩეს სხვა ნაღებებს ზრდაში...  
 თვის არსებაში გრძნის ნეტარება,  
 მხოლოდ მსურს მარტო გულის მოგება,  
 არ ჩამოვარსმევეთ რუსთა უფლებას  
 და შემოვიტან დროს შესაფერავ  
 მალალ სწავლასა და განათლებას.  
 ყოველ მხარეში, ყოველ ქალაქში  
 გავმართავ სკოლებს და გიმნაზიას.  
 რომ განათლება მოსწვევს აქედან,  
 დღეს ჩანსორჩენილ და ბნელ აზიას.  
 ვით მართლ-მორწმუნე და ჭრისტიანი.  
 მე შეუდგები ჩემსა განძრახვას  
 და ხალხის გრძნობაც ჩემს აზრს და სურვილს  
 შეუტრთოდება ვით მდინარე ზღვას.<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> შეადარეთ: В. С. Толстой: „М. С. Воронцов“—„Русский Архив“ № 11, 1877 წ.

<sup>2)</sup> აკაკის პოემა „ერთი მოწვევა“ შეთხვეულ საზოგადოებისათვის უცნობია: იგი 1912 წ. უნდა დაბეჭდილიყო აკაკის ნაწერების პირველ ტომში, მაგრამ ცენზურამ აკრძალა. ამამად ჩემ ხელთ არის ექვთარის მიერ აკრძალულ პოემის ამონაბეჭდი და ციტატებიც აქედან მომავლს.



პოეტის პირდაპირ ჰქვდეს იხრის ვორონცოვის პოლიტიკის პროგრამაში ხედავს აკაკი თავის ერთნულ იდეალებს განხორციელებას. და არ არის სრულიად შემთხვევანი, არც ის მომენტი, რომ პოეტმა ვორონცოვის შეხატრედ გამოიყვანა მაშინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: მართლაც ვორონცოვმა შესძლო ქართველი ინტელიგენციისა და ქართველი თავად-აზნარობის გულის მოგება, მათი დაახლოება ხელისუფლებასთან და თვითმპყრობელობის ერთგულ დარაჯად გადაქცევა. მაგრამ დრო შეიცვალა; ვორონცოვის ლიბერალური პოლიტიკა სუსხიანი რუსიფიკატორულ პოლიტიკად შეიცვალა და აი „ნაბეგარ საუკუნის შემდეგ“ მძინარი მგოსანი სიზმრად ხედავს „დიდი მოხუცის“ — ვორონცოვის აჩრდილს: აღდროთვანებულ პოეტი მიმართავს მას და ამბობს:

შენ ხომ არა ხარ ცისკრის სხივებით  
ჩამონათული, ცით მოვლენილი,  
მარად-სახსოვარ-დაღვიწყვარი  
დიდ ვორონცოვის უკვდავი სული?

თავს მიქნევ? ის ხარ? მამ ნება მომეც,  
დაეშხო მის წინ და ესეც თაღანი  
იქას, რომელსაც შეთვისებია,  
ჩემი გულის თქმა, ჩემი ხაზგანი.

მაგრამ ვაი, რომ მისი განხრახება  
აღარ ასრულდა... გადასხვაფერდა  
და აღარა სტერის ქართველის გული,  
ისე, როგორც მის ხელში სძვრდა.

რა მიზეზია? ის რომ მის შემდეგ  
აქ ყველანაირი გამოიკვალა,  
და პატრი-ანდილ ქართველობასაც  
ჩაღმომრეობის დააწეა ძალა.

მას უფენებან სხვადა-სხვა მიზეზს,  
ჩასცივებიან უმიზეზოთ მტრად,  
რომ გააჩვიონ საქართველოდან  
და მათ ნაუკლად თვით ჩადგენ მკვიდრად.

არ გჯერა? ამბობ, შეედილიათ.  
ჩვენ სამწუხაროდ, მაგას ჩვერც ეხედავო,  
მაგრამ რომ არას გვათქმეონებენ  
ჩვენც სომართლის თქმა ველარა უბედავო.

ასე ამ გვარად ღონე მიხედილი  
ვართ ქართველები, დღეს ცოცხალ-მკვდარი,  
და ხანჯგეშო რომ რამე კვითობრას  
მომაელისათვის, არაეინ არი.

შენ ხარ, განა, ცით მოვლენილი,  
წინა მორბედი და მოციქული,  
რომ ნაწამები და გატეხილი  
გამოაშთედო ისევე გული.

დიდო ზობეციო მე წინდაწინე  
 ვეთაყენებო მაგ შენ ცოურ ხმება,  
 რომ სიტყვა-სიტყვით მეცა გადავსევ.  
 შენგან სულ ჩადგმულ ზემა ნომძებეს.

ასეთი არის პოეტის განწყობილება და შეხედულება. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ აკაკის ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებაში კვლავ საყურადღებო გარდატეხა მოხდა: პოეტს თითქოს ბრძოლის საშუალებანი და იარაღი გამოეცალა და იგიც მოუწოდებს მთაყრობას „შემცდარი“ პოლიტიკის გამოსწორებას და ეროვნოცივის სამხრეაწეო პროგრამის აღდგენას: აკაკი კვლავ დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას შეუძლია შესცვალოს თავისი პოლიტიკა და კვლავ აღადგინოს „ტანტსა და ერის“ შორის ნორმალური ურთიერთობა. როგორც ვთქვი, აკაკი კვლავ დაუბრუნდა ძველ თავად-აზნაურულ ეროვნულ პოლიტიკურ ხაზს, მაგრამ მათსავით აკაკი აღარ მალავდა თანამედროვე საქართველოს ტრადიკულ მდგომარეობას და ცდილობდა დარწმუნებით, პროპაგანდით მოეხდინა გავლენა მართველობაზე პოლიტიკის შეცვლის მიზნით. მაგრამ ამ მხრით განსაკუთრებით აღსანიშნავი არის აკაკის უკანასკნელი პოემა—ომი, რომელიც საერთაშორისო ომის ამბებს შეეხება. აკაკი ცდილობს ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო ამ ომში საქართველომ რუსეთის დასაცავად, გამოიყენოს როგორც მთავარი არგუმენტი ნიკოლოზ მეორის დასარწმუნებლად, რომ საქართველო ღირსი არის თავისუფლებისა და სიყვარულისა. რასაკვირველია ეს არგუმენტი ვერაეის დაარწმუნებდა წინააღმდეგ, პოეტის ასეთი შეხედულება, თავის-თავად გამოიწვევდა მკითხველში დიდ გაღვებრობას და უკმაყოფილებას: არაეის არ სურდა და არც სურთ დაინახონ დიდი პოეტი ჯალათი მეფის წინაშე მთხოვნელი, თუგინდ იმ სისხლის გასანაღდებლად, რომელიც რუსეთის თეითმპკრობელობის მიზნებისათვის დაიღვარა. მაგრამ აკაკის ასეთი საყვედურის საპასუხოდ თავის გასამართლებლად შეუძლია თქვას: „ამდენხანს სულ ვებრძოდი თეითმპკრობელობას, მაგრამ არათერი გამოვიდა. ახლა მთხოვნით მივმართე, ეგება ამან მაინც გასკრასო“, ასე უთქვამს ავადმყოფ პოეტს დამსწრე საზოგადოებისათვის, რომელთაც მისი ახალი პოემა მოისმინეს.<sup>1)</sup>

საინტერესო თავის მართლებათა. პოეტი თითქოს გარძნობდა, რომ იგი არა სწორი გზით წავიდა; იგი თითქოს ხედავს რომ ასეთ პოლიტიკურ ხაზს ვერ გაიზიარებს ახალი მებრძოლი თაობა. მაგრამ მაინც ცდილობს სცადოს ეს ჩვენში არა ერთხელ ნაკადი მეთოდი; ცდილობს ამ გზით წავიდეს, რადგან მას სხვა გზა აღარ დარჩა. და სწორეთ აქ სჩანს მისი საზოგადოებრივ-ისტორიული მდგომარეობაც. აკაკის არ შეეძლო ნამდვილი თანმიმდევნო-დემოკრატი უფილიყო; რასაკვირველია, მისი დემოკრატიზმი არ არის შემთხვევითი მომენტი: იგი გამომდინარეობს აკაკის საერთო სოფლმხედველობიდან, მაგრამ აკაკი ზევიდან მიღის დემოკრატიასთან; იგი შეგნებითა და სიმპატიებით უკავშირდება დემოკრატიას, მაგრამ მისთვის სავსებით გასაგები არ იყო ლოზუნგი: ყოველივე ხალხისათვის, ხალხისაცე საშუალებით; მისთვის ყოველ-

<sup>1)</sup> იმ. ვარ. რუბინის—მოგონება აკაკიზე.—„ქართული მწერლობა“ N 1—2, გვ. 33, 1960 წ.

თვის მასალები არ იყო რევოლუციონური ბრძოლის მეთოდური წესდების განხორციელების გარეშე და დემოკრატიის ძალას, როცა ეს დემოკრატია მოხერხებულა იყო მოსულა, როდესაც იგი რევოლუციონურ ბრძოლას აწარმოებდა; აქ აკაკი თითქოს ექსპოზება ხალხის ნიჭიერებას და სურს მისი უდრეკი ძალა გამოიყენოს თავისი დიდი პროგრამისათვის. მაგრამ როდესაც დემოკრატია ჩაქუჩებულია, როდესაც მასა ბორკილ-დადებულია და სდუმს, აკაკის ნიადაგი ეცლება ქვევიდან, იგი თავგამოდებით გამოსავალს ეძებს და ხან ახალთაობას მიმართავს, ხან კი მართველობას ემუდარება. ამრიგად, მას თითქოს აღარ სწამს დემოკრატიის კვლავ ამოძრავება და ზედა ფენებში ეძებს გამოსავალს: მისი დემოკრატიკული ბერალური სამოსელით იმოსება. და სწორედ აქ მელანდება ის, რაზედაც მიუთითებდი ზევით: აკაკის არ შეეძლო საესეებით გაეწყვიტა კავშირი ძველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის იდეოლოგიასთან; ძველი აზროვნების ელემენტები კვლავ დარჩა მასში და დროგამოშვებით არ შეეძლო თავისი სახე არ გამოემკვლავნებია. თავისი ასეთი პოემებით: „გორი ცოკი თა და „ამით“ აკაკიმ კვლავ მოანდომა გრ. ორბელიანის, დიმ. ყიფიანისა და სხვათა პოლიტიკური-ეროვნული კრელოს აღდგენა; მაგრამ 1905 წ. რევოლუციის შემდეგ პერიოდში ეს ტაქტიკა უკვე დიდათ დაგვიანებული და უნიადაგო იყო. აკაკი ამ შემთხვევაში დაგვიანებული ყალბი მოციქული იყო უფრო დიდი და მძლავრი რევოლუციის წინა ხანაში. რასაკვირველია, იმ დიდ აღფრთოვანებასთან და რევოლუციონურ ენტუსიზმთან, რომელიც პოეტმა გამოამჟღავნა 1905 წ. რევოლუციის ზეგავლენით, უკანასკნელ მის ლიტერატურულ დოკუმენტებში გატარებული აზრი სანწყუხარო მოუღენას წარმოადგენს. მაგრამ იგი ისტორიულად აუცილებელიც იყო: აკაკი თავისი შემოქმედებითა და აზროვნებით გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმსიდან ნამდვილ დემოკრატიზმისაკენ და როგორც ასეთი, ქანაობდა თავად-აზნაურული და დემოკრატიულ სოფლმხედველობათა შორის. ამიტომ მას არ შეეძლო საესეებით თავისუფლად ყოფილიყო თავად-აზნაურულ ტენდენციებისაგან.

აკაკის პოეზიისა და აზროვნების ამ თავად-აზნაურულ ტენდენციას გამოხატავს აგრეთვე ის იდეალიზაცია ჩვენი ისტორიული წარსული ცხოვრებისა, რომელიც შეადგენდა ძველი ინტელიგენციის დანახასიათებელ თვისებას. აკაკის ისტორიული დრამები, პოემები, მოთხრობები. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს ეხებიან, ჩვენი წარსული ცხოვრების იდეალიზაციას წარმოადგენს: პოეტი ცდილობს, რაც შეიძლება, მიმზიდველი ფერადებით დაგვიხატოს ჩვენი ისტორიული წარსული, რაც შეიძლება მაღლა დააყენოს იგი შედარებით მისი დროის საქართველოსთან. პოეტს სრულიად არ სურს წარსულში დაინახოს ცუდი მოვლენები, წოდებათა ბრძოლა, გლეხობის ეკონომიური დაბეჩავება, მონობა და სხვა. კ. აბაშიძე სამართლიანად სწერს აკაკის ისტორიულ პოემების შესახებ, რომ ისინი „სულ სამშობლო ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრივ ისინი ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებნი არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულების გამომახტველნი. ეს

პოემები და დრამები გვარწმუნებს, რომ ძველ საქართველოს მსახურისათვის შაჰი ლაქა არა ყოფილა, ყველანი მხსნენი იყვნენ; გულადნი, მამაცნი, ყოვლის სიკეთითა და მშვენიერებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ ეპარობს, პოლიტიკური მოწამეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავისს თავს და სკიპტრასთან ერთად სულს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ქაშია გადაეწევიტოს... ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზე იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობნიან, ეს ყველა გახვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა.<sup>1)</sup>

საილიუსტრაციოთ მოვიყვანოთ აქ ერთი ადგილი მისი პოემიდან „ოთრნი კე ერისთავი“: პოეტი აკვიწერს „მეფე დავით კუროპალატის“ წვეულებას და ამბობს:

და მართლადაც რომ მშენოდაო  
მამონ იმათ ეს მოღატაკა,  
რადგან იმ დროს გამოსული  
იყო ქართლზე მადლი ზნა.  
გარე მტერი დათვნილი  
შეღოს მათ ვეღარ უბედავდა  
და ზინაგან მშვიდობასაც,  
თან იყო, რომ ვერ ეხდავდა...  
ამით გული უბაროდათ  
ბატონს და ყმას, ვეღვას ერთად,  
კაცმა კაცად ათასებდენ,  
ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად:  
საჭეს დროზე მცნობდენ  
ექმე დღეზე მოიღებდენ,  
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს  
სიამესა გელს მოჰდენდენ.<sup>2)</sup>

არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს წარსული ცხოვრების სურათის დახატვის დროს პოეტი გრძნობებშია გაიტაცა და ამით ზომას გადაუხვია ფერადების შერჩევაში. წინააღმდეგ, წარსულის იდეალურად წარმოდგენა აკაცის აზროვნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. ეს აზრი გაიტარებულია მთელ რიგ მის პუბლიცისტურ წერილებშიაც. 1895 წ. იგი სწერდა: „მესანიშნავი ის არის, რომ იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში დაბალ წოდებას არაფერი ფასი არ ედვა, ჩვენში, როგორც ეს საბუთები გვიმტკიცებენ, ადამიანის პირადობა მაღალ წერტილზე მდგარა და ხელშეუხებელი ყოფილა... უჭევეს დროიდან ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ჩენი ერი უმთავრესად ორ რაზმით იყო გაყოფილი: ერთი იყო სამხედრო და მეორე კი მეურნე: პირველი ფარ-ზნალით დღე და ღამ უსუსტრათ ბრძოლის ველზე იდგა, იგერიებდა შემოსმევე მტერს, სისხლს ანთხევდა, ყოველ წელს სამსხვერპლით შხათ იყო, მეორე შიგნით ტრიალებდა, მიწის მომქმედი იყო, მოჰყავდა საზრდო, თვითონაც

<sup>1)</sup> კ. აბაშიძე: „ეტიუდები“ ტ. 2, გვ. 33, 1911 წლ.

<sup>2)</sup> აკაცი წერეთელი: „ჩვეული ნაწერები“ ტ. 11, გვ. 22.

რჩებოდა და მეომრებს საკვებს აწვდენდა. ერთი სისხლს აქვს დასწრის მყოფი —  
 ოფლს. ერთი მეორეს ათავსებდა და ერთმანეთს ვერას დაეყვინდნენ! ეს კია  
 მხოლოდ, რომ სასოგადო ცხოვრებაში სივანი რაც უფრო საძნელო და დიდია,  
 იმას მეტი ფასი აქვს და ძველიაც იმ პირველ რაზმს, ე. ი. თავად-აზნაურობას  
 მეტი ფასი ედვა და ითვლებოდა უმაღლეს წოდებათ... ძველათ ჩვენში რო-  
 გორც ბატონობა ისე თავადობაც პირობით ყოფილა, ამას ის ზემოხსენებული  
 საბუთებით გვიმტკიცებენ და შემცდარი არიან ისინი, ვინც დღევანდელი შე-  
 ხედულებით ცილსა წაშებენ ჩვენს გონივრულს წარსულს. შემცდარი არიან და  
 დიდი დამნაშავენიც ის ყვანიალა ვითომ მეცნიერები, ანუ ლიბერალები, რო-  
 მელნიც დღეს წამომდგარან და რალაც სხვადასხვა წოდებას ესარჩლებ-ეკამა-  
 თებთან. ეს თავადიო, ეს აზნაურიო, ეს გლეხიო და სხვ. მაშინ როდესაც წო-  
 დებათა განსხვავება ძველათ საუფუძლიანათ იყო შეგნებული და დღეს კი შეუ-  
 გნებელია“. 1)

ასე სწერდა ისტორიული წარსულის შესახებ აკაკი წერეთელი. ასეთი  
 იდეალიზაცია ჩვენი ცხოვრების წარსულისა მართა აკაკის აზროვნების დამა-  
 ხასიათებელ თვისებას არ შეადგენს. ასეთივე შეხედულების იყო წარსულზე  
 ილია ჭავჭავაძეც, და საერთოდ იგი ახასიათებდა ძველი თავად-აზნაურული ინ-  
 ტელიგენციის შეხედულებას. აკაკიც და ილიაც ან ძველსაგან გატკეპნილი გზით  
 მოდიოდნენ: მათ ვერ შესძლეს განმტკიცებული ტრადიციის გადღალახვა, პოეტური  
 ფანტაზიისა და ისტორიული სინამდვილის ერთი მეორისაგან განსხვავება. მა-  
 გრამ ჩვენ შევეცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ აკაკის ძველი წესწყობილებისა და  
 წოდებათა შორის დამყარებული ურთიერთობის აღდგენა სურდა. პოეტი წინ  
 იყურებოდა, იგი პროგრესის მომხრე იყო და „წარსულის“ სისწორით გაგება  
 ესაჭიროებოდა „მომავლისათვის“. იმავე წერილში აკაკი განაგრძობდა: „დღე-  
 ვანდელი წოდებანი ჩვენ ისტორიულ ნიადაგზე არ არიან ამოცნებული. იმით  
 მხოლოდ ძალდატანებით ასკიკუქუსავეთ იჩინეს თავი; მაგრამ თავადობა კი  
 ჩვენი ცხოვრების ნაყოფია, იყო და კიდევ იუნება. 2) იმ კანონითვე მოვა და  
 იმავე კვალს დადებს, როგორც ძველათ ყოფილა. მხოლოდ დრო და ვითარების  
 შესაფერათ ფერ-ხორცი კი სხვა ეუნება. ძველებური წეს-წყობილება  
 დაირღვა, დღეს ახალი საისტორიო დროება შემოდის, მის-  
 თვის ახალი გზის გაკაფვაა საჭირო, მუშები გამოვლენ  
 რაზმით და ვინც მათში უფრო ძლიერი იქნება, საქმეს თავ-  
 ში დაუდგება, სხვებს წინ წაუძღვება, მეთაურობას გაუ-  
 წევს, თავადათ იმას იწამებს ქვეყანა და არ კითხავს თუ  
 საიდან მოსულხარ და რომელი წოდების ნაშთი ხარ, მაღა-  
 ლის და დაბალისო. ამ ქეშმარიტებისთვის არც ძველ დროს  
 აუხვევია. გვერდი და ვერც ჩვენ აუხვევთ. ეს ქეშმარიტება  
 უძველეს დროიდანვე ჩვენ ქვეყანას ძვალში და რბილში  
 აქვს გამჯდარი“. 3)

1) აკაკი „მცირე რამ“ — „ქალი“ № 22, 1895 წ.

2) აკაკის თავადობა ესმის როგორც მოვალეობა. „თავადი მხოლოდ ის იყო, — სწერს  
 აკაკი, — ვისაც საქმის წინ წაძლოა შეეძლო სპირობება თავზე უდგა და მეთაურობდა“ (იქვე).

3) იქვე. ხაზი ჩნება. ს. 8.

აკაკი კარგიდ ხედავს, რომ „ძველებური წეს-წყობილებების დანერგვა“ და ახალი საისტორიო დროება შემოვიდა“ მასაც სურს ამ ახალ დროებას შეუთანხმდეს, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება ამ ახალი პირობების მიხედვით ააგოს. მაგრამ აკაკი ამ შემთხვევაში არც წარსულს ივიწყებს; იგი „ამ გონივრულ წარსულში“ ისეთ მომენტებს ამჩნევს, რომელიც მისი აზრით გამოსაყენებელი იქნება მომავალ წყობილების დროსაც. რასაკვირველია, აქ მეცნიერულად ყალბი და ისტორიულად გაუპართლებელი დებულება იყო აკაკის მიერ წიმოყენებულ: ფეოდალური წყობილების ფორმები ვერ გამოდგებოდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის და მასთანვე იგი სრულიად არ იყო იმ საფუძველზედ აშენებული, როგორათაც ამას გეისურათებდა აკაკი წერეთელი. საქართველოს წარსულ საზოგადოებრივ წყობილებაში ისეთივე წოდებათა ბრძოლა, ბატონყმობა არსებობდა, როგორც სხვა ქვეყნებში; აქაც მალევე ფეოდალური არისტოკრატია და მებატონეები განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდნენ თავიანთ ყმებზე და ვახტანგ VI კანონის ერთი მუხლი: ყოველივე ყმისა ბატონს ეკუთვნისო, — უბრალო იურიდიული ნორმა კი არ იყო, არამედ რეალური სინამდვილის განმარტება. აკაკი ვერ ხედავდა წოდებათა შორის წინააღმდეგობას ძველ საქართველოში: აქ მისი განმარტებით ბატონყმობა კი არ არსებობდა, არამედ მამისეილური დამოკიდებულება, ძველი საქართველოს სოციალური მოწონა, პოეტის წარმოდგენით, სოლიდარობის საფუძველზედ იყო აშენებული. რასაკვირველია, ასეთი დახასიათება საქართველოს წარსულისა სრულიად არ შეესაბამებოდა ისტორიულ სინამდვილეს. აკაკი ამ შემთხვევაში უფრო ფანტაზიას ამუშავებდა, ვინემ ისტორიულ ფაქტებს. მეორე მხრივ, როგორც აღენიშნეთ, ისტორიული ცხოვრების პროგრესისათვის ფეოდალური წყობილების ფორმები და საფუძვლები სრულიად გამოუსადეგარი და ნიულებული იყო.

ასეთი იყო აკაკის შეხედულება საქართველოს წარსულზე და მის ძველ წესწყობილებაზე.

შეუძლებელია აქ გვერდი აუაროთ აკაკის პოეზიისა და აზროვნების ერთერთ დამახასიათებელ თვისებას: ჩვენი პოეტი აუცილებლიად ერთა სოლიდარობისა და ძმობის მქადაგებელი იყო; მის პოეზიისა და პუბლიცისტურ წერილებში საგრძნობლად სწინდა ინტერნაციონალური სული და მისწრაფება. მაგრამ პოეტმა აქაც ვერ წესძლო ბოლომდე ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. ეს ერთაშორისო სოლიდარობა და ერთა თავისუბლების იდეა აკაკიმ, ისე როგორც სხვა მისმა თანამოკალზე ქართველმა მწერლებმა, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ მოძრაობიდან შეითვისეს. როგორც აღენიშნე, იმ პერიოდში არა მარტო სოციალური თავისუფლების იდეა განმტკიცდა, არამედ ეროვნული თავისუფლებისა და ერთა სოლიდარობის იდეაც; შთელი რიგი დაჩაგრული ერებისა იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და ერთა შორის ძმობის განმტკიცებისათვის. ჩვენი ბო-იანი მწერლებიც ხარბად დაეწაფნენ ამ მოძრაობას და ზოგადათ შეითვისეს ერთა თანასწორობისა და ძმობის იდეა. ამის შესახებ თვით აკაკიც სწერდა 1903 წ.: „მესამოცე წლებშივე ჩვენი საერთაშორისო მცნება ძმობა და სიყვარული იყო და

სხვა არა გვიმოძღვრია-რა. განსვენებულმა გ. წერეთელმა ეს საფლავი სწორედ საფლავში თან ჩაიტანა. აგრეთვე სერგეი მესხიაც. თვით ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ბოლოს დროს იძულებული გახდა „ქვათა ლოლადი“ დაწერა და რისთვისაც დღეს აღარ წყალობენ „მშაველები“. ამავ სურვილით იყო გამსჭვალული და დიდხანს უღალადებდა სომხის ახალგაზრდობას, რომ ეგებ როგორმე დავიყოლიო და შევაგნო მათ ის, რაც ჩვენ ორივესათვის სასარგებლო და საკეთილდღეო არისო... თვით მე... მოსურნე არ ვყოფილვარ ყოველთვის „მომხისა და ერთობისა“<sup>1)</sup> აკაკი სრულ სიმართლეს სწერდა: 60-70-იან წლებში ქართული პუბლიცისტიკის მთავარი მოტივი იყო ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცება და განსაკუთრებით ამიერკავკასიის სამი მეზობელი ერის დაკავშირება. როგორც სომეხის, ისე ქართველი ახალი თაობის ინტელიგენცია არსებით ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს და ცდილობდა არაერთარ გაუგებრობას არ ქონოდა ადგილი აქაურ მკვიდრ ერთა შორის. თვით ახალი თაობის ინტელიგენცია უაღრესად მოწადინებული იყო თავიანთ შორის განმტკიცებით სოლიდარობა და ამით მაგალითი მიეცათ სხვა წრეებისათვისაც სოლიდარული ცხოვრების შესახებ. ვაზ. „დროება“ თავის დროზე შესძლო ერთა სოლიდარობის პრინციპის დაცვა.<sup>2)</sup> იმ ხანებში აკაკიც არ ვასცილებია ამ ფარგლებს და მხედ იცავდა ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობას. 60-70-იან წლებში უკვე საგრძობად შეიქმნა სომხის კაპიტალისა და ბურჟუაზიის როლი და მნიშვნელობა ამიერკავკასიაში; უკვე თვალსაჩინო გახდა, რომ ნატურალურ მეურნეობისა და ძველი საზოგადოებრივი წყობილების რღვევის პირობებში ვაბატონებულ მდგომარეობას ბურჟუაზია იპყრობდა და მათ შორის საბატო ადგილი უნდა დაეჭირა ან იჭერდა სომხის კაპიტალი. უკმაყოფილებისათვის უკვე მზად იყო ნიადაგი, მაგრამ ინტელიგენცია სცილობდა ეს უკმაყოფილება ნოესპო და არ ჩამოგდგო ერთა შორის შუღლი და მტრობა. 1874 წ. აკაკის მიერ დაწერილი სტატია — „ლ უკმა გაეარდეს, ჯამში ჩავარდეს“ — სწორეთ ამ მიზნით არის დაწერილი. ავტორი სწერდა:

„ჩვენი სატაბტო თბილისი წავგართვეს, ჩაიგდეს ხელში სომეხებმა! ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ საქართველოში შიგა და შიგ, რაც უბირველესა მამულები იყო, დაისაკუთრესო და სხვა... აი საყვედურია, რომელიც ხშირად შეგძლიათ გაიგონოთ გულდამწვარი ქართველებისაგან. მაგრამ არის ამ საყვედურში რაიმე საფუძველი? არაერთარი, თუკი გავიხსენებთ ერთ ჩვენებურ ჭკვიანურ ანდაზას: ლუქმა გაეარდეს, ჯამში ჩავარდესო. რაც კი ჩვენი უხეირობითა და ხელმოშვებით ჩვენგან დაიკარგება, უმჯობესია, რომ ძველმა ბედმა ისევ სომეხებს ჩაუგდოს ხელში. რაინდული დრო თუმცა დიდი ხანია წავიდა, მაგრამ ჩვენ, ქართველები, მაინც არ ვიშლით. მუშაობას, შრომას ვერიდებით და ისიც

<sup>1)</sup> აკაკი წერეთელი: „ორი პუბლიცისტური სტატია“, გვ. 23-4, 1903 წ.

<sup>2)</sup> მაგალითისათვის იმ. ს. მესხის წერილი „დროებაში“ № 13, 1875 წ. გ. წერეთლის წერილი: „ჩვენ და ჩვენი დროება“, ვაზ. „დროება“ № 13-16, 1879წ.

აღარ გვინდა, რომ სხვები რაზმს იძენდნენ და ჩვენ დამცველად მხოლოდ ივდებოდნენ. ბატონობა არ არის, ეს მაშ რა არის. და მეორე რიტორიკული შესა-  
მართლო და უსაფუძვლო ბატონობა. ქართველ ხალხს ჯერ სძინავს, გა-  
მოლუფიძებს არ აპირებს, და იმერული თუნცა ფიზიკობს და ნუშაობს,  
მაგრამ შექენისათვის კი არა, სხვისი დაკლებისათვის. ასე რომ თითო ყვე-  
ლას მდევნელი და მტერია და ყველა ერთად კი თითოსი. გურული კონტაობას  
უნდება და ჩანგურს მისას ლილინ-მრავალჯანიერებით: მვერული თავის მა-  
ლაღსა და ხერხიან ნიქს წყრილმანობაზე ხარჯავს და სვანს ჯერ კიდევ  
კომბალი არ გაუვდია ხელიდან. ამ გვარ მდგომარეობაში რომ სომხებმა  
ერთმანეთს ძიურათ ხელი მოკიდონ და ერთმანეთს დაეხმარონ, არა თუ  
თავისი რაზე დაკარგონ, ჩვენი დანაკარგიც მონახონ. საყვედურს ვემართ-  
ლებით?"<sup>1)</sup>

აკაკის აზრით, სომხობა კი არ არის დამნაშავე, არამედ ქართველობა,  
რომელმაც დროს ვერ ააჩთვა ალლო და შესაფერის მუშაობას ვერ ეწვიათ.  
გაისაჯოს ქართველებმაც, აამოძრავოს თავისი ენერგია და საერთო ბრძოლის  
მოედანზე არც ის დაინაჯრება, მხარში ამოუდგება სომხობას და არავითარ  
გაუფებრობას ადგილი არ ექნებათ. როდესაც 60-70-იანი წლების ქართველი  
პუბლიცისტების წერილებს აკვირდებით აღნიშნულ საკითხის შესახებ, ნათელი  
ხდება, რომ ჩვენი პუბლიცისტები მაშინაც გრძნობდნენ რაღაც უკმაყოფილებას,  
მაგრამ მასთანვე ღრმად ჩქონდათ შეგნებული ამიერ-კავკასიის ერთა შორის  
სოლიდარობისა და ძიობის დაცვის აუცილებლობა. ახალი თაობის ინტელიგენ-  
ცია, როგორც გამოშახებული ახალი საზოგადოებრივი ურთი-ერთობისა, თითქოს  
გრძნობდა სომხის კაპიტალის პროგრესულ მნიშვნელობას და სურდა სოლი-  
დრობა დაეყარებინა სომხის ბურჟუაზიასა და ამომავალ ქართველ ბურჟუა-  
ზიის შორის. ეს უკანასკნელი, როგორც ნორჩი, ჯერ კიდევ განუვითა-  
რებელი, დამხმარე ძალას ეძებდა და ინტელიგენციაც შეგნებულად თუ შეუგ-  
ნებლად ასაბავდა ქართველი კაპიტალის ამ ინტერესებს. მაგრამ ასეთი მდ-  
გომარეობის დიდი ხნით გაგრძელება შეუძლებელი იყო: კაპიტალისტური  
ვანვითარება თან იწვევს თავის შიგნით წინააღმდეგობებს და სოციალურ წრეებს  
შორის ბრძოლას. კაპიტალისტურ საზოგადოებრივი წყობილება აგებულია ან-  
ტოგონისტურ საფუძვლებზე: აქ ბრძოლა ხდება არა მარტო ბურჟუაზიასა და  
პროლეტარიატს შორის, არამედ თვითბურჟუაზიის შიგნითაც. იმდენად, რამდენ-  
ნადაც ჩვენში ჩქარის ტემპით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა  
და საფუძვლები ვერებოდა ახალი პერიოდის კლასთა ბრძოლას, იმდენადვე  
საგრძნობო ხდება სოციალური კლასების დაპირისპირება და მათი შეური-  
კებლობა. 90-იან წლებში ღრმად გაიდგა ჩვენში ფესვები ნაციონალიზმმა და  
სომხებ-ქართველთა ბრძოლამ. რასაკვირველია, ამ ბრძოლაში ქართველ  
სომხეთა გლეხობა და პროლეტარიატი არაფერ შუაში იყო. ამ ბრძოლის მე-  
თაური იყო ერთის მხრივ ქართველი თავად-აზნაურობა და ნორჩი ბურჟუა-

<sup>1)</sup> „დროება“ № 450, 1874. წ. აკაკის წერილი.

ზია, მეორე მხრივ—სომხის ბურჟუაზია. ისტორიულ პირობებშია ჩვენმა უსსკონ-ფლიქტი აუცილებელი შეიქმნა. სომხის კაპიტალში შეავიწოთის სიძლიერის ქართ-ველი შემამულეები, არამედ ქართველი ბურჟუაზიაც და ამ ბრძოლაშიც ჩვენში მწვავე ხასიათი მიიღო. თავისი სოციალ-კლასიური მდგომარეობით ბურჟუაზია არასოდეს არ ყოფილა მტკიცე ეროვნული სოლიდარობის მატარებელი: თუ ერთ რომელიმე პირობებში იგი გამოდის ინტერნაციონალური დროშით, მეორე პერიოდში იგივე შოენინზმის დროშას აფრიალებს. ნამდვილი ინტერნაციონა-ლური მატარებელი რევოლუციონური პროლეტარიატი არის. ამ სოციალურ ფენაში პოულობს ინტერნაციონალიზმის იდეა ნამდვილ რეალურ დამცველ ძალას.

აკაკი წერეთელიც ვერ ასცდა იმ საერთო ბრძოლას, რომელიც 90-იან წლებში გაიხდა ორივე ერის გაბატონებულ კლასების წარმომადგენელთა შო-რის. ერთ თავის წერილში— „გ ა მ ო წ ვ ე ლ ი პ ა ს უ ხ ი“— იგი ეხება ამ საკით-ხსა და ერთობ მწვავედ ილაშქრებს სომხების წინააღმდეგ. აქტორი სწერდა:

„ჩვენ გვგონია, რომ დღევანდელი სომხობა მაინც გამოიყოფა მამა-პაპათა შეცდომის, გაასწორებდა მათგან გადანახვევ გზას და ქართველობის შესახებ სა-ქირ-ბოროტო წყნებას საზოგადოებრივად გადააკეთებდა. მაგრამ მოგვიცდა მოლოდინი, აგერ ორმოც წელზე მეტია, სამტრონიშნების მეტს ვერასა ვებდავ მათის მხრივ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ნამები უფრო ფრთხილად მოქმედებდნენ და ესენი კი თავს აღარ იშალავენ, აღბათ იმიტომ, რომ გაერმოება შეიცვალა: ძვე-ლად, როცა ხმალი სჭრიდა, ძალა ქართველების ხელში იყო და, რასაკვირველია, რომ ჩვენი გული მოეგოთ მოტყუებით, სიფრთხილით, თვალის აბევიით (?) და ახლა კი, როდესაც მისი ადგილი ქონებაში დაიჭირა და ფული სჭრის... აშკა-რაზე ფოცხვერივით გამოდიან და მუქარით გვიწვივენ: მადლობა ღმერთს, თქვენი შესახვეწარი და თქვენთან საბოდიშო აღარა გვაქსრათ... ზობრძანდით და ვიბრ-ძალოთ... ა ბურთა და ა მოედანო. აბა სამაგიეროს გადახდაც ამას ქვია. ად-რინდელი ჩვენი ძმური დახმარება და ლშობიერად შეწყნარება ჩვენი მამა-პაპის უპეტეობისა და პოლიტიკური დაბრმავების ნაყოფი ჰგონიათ და დღევანდელი მათი მედიდურობა და უსამართლოდ მოპყრობა და სამტრო იერიში კი სიბრძნისა და შორსმჭერტელობის ნიშანია. რაღა გვეთქმის... მჭედელმა უთხრა მოპირ-დაპირე მტერს: მე ის კი არა მწყინს, რომ მოკვლას მიპირებ, ის უფრო მაწუხ-ებს, რომ იარაღით ხელში ჩემივე გაჭედილი ხანჯალი გიჭირავსო.“<sup>1)</sup>

დიახ, აღნიშნული ნაციონალისტური ბრძოლის შეთაურები ქართველ-სო-მხთა გაბატონებული კლასები იყვენ, ეს ნათლად გამოსჭვივის აკაკის წერი-ლიდანაც: მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ აკაკის არ სურდა დაენახა, რომ ამ ბრძოლაში არაერთი დანაშაული არ მიუძღოდა სომხის მშრომელ ხალხსა. ამ რიგად, ისტორიულმა პირობებმა აკაკიც აამეტყველა ნაციონალისტურად. მიუხედავად ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ იგი პრინციპში მაინც ცდილობდა ბო-ლომდე დაცვა სამოციან წლებში შემუშავებული და შეთვისებული ერთა სოლი-დარობის იდეა. 1908 წლ. წარმოთქმულ ერთ სიტყვაში იგი ამბობდა: „სხვა

1) აკაკი წერეთელი: „ორი პუბლიცისტური სტატია“ გვ. 34—5.

ხალხის უბედურობით, რომ ჩვენი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს ~~თავისთავად~~ არც ჩემ ხალხს შეეწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. „ჩემი სურვილია, რომ ყველა თავთავისად ბედნიერი იყოს ერთი მეორის გადაუკიდებლად.“<sup>1)</sup> ამავე წელს „მამა-შვილის საუბარში“ იგი ამბობდა:

„ერთ დროს, ძველად ოდესმე, ბერძნები პარმონიას ღმერთად აღიარებდნენ და მართლაც, ის დიადი ძალია. ბუკის ძახილი, საყვირის კვილი და ბობლანის ბლაგილი ცალ-ცალკე უფროს უსიამოდ ესმის, მაგრამ როცა იმათ წინწილებიც შეუერთდებიან, ყველა ერთად შეკავშირ-შეხმალტებილდება, მაშინ გამოდის სამუსიკო გარმონიული ხმა, რომელიც სმენასა ბიზლავს. აგრეთვე ერთფერობაც თვალს ეჩხიბებოდა, მაგრამ სხვადასხვა ფერი კეთილად შეხამებული ერთმანეთში, მთლიანად იტაცებს მხედველობას და გულს ესიამოვნება. ქვეყანა ფერადოვანია. ამას აქვს ოთხი კუთხე, ოთხივე განსაკუთრებული სახით. პერიც სხვადასხვა ნაირია, მცენარეც და ცხოველიც. ფერადოვან, სამოთხისებურ მთლიანს ცალ-ცალკე ვერც, ერთი ვერ შეადგენს, მაგრამ ერთი მეორის ნაკლს ავსებს, ერთმანეთს უერთდებიან და ყველა ერთად კი ერთს მთლიან მსოფლიოს ადგენენ, რომელსაც დედამიწა ქვიან და რაც ასე გვიზიდავს ჩვენ, ამავე კანონს ექვემდებარება მთელი კაცობრიობაც. ფეროვნებას ვერ გაუსხლტება ხელიდან. ყოველ კუთხეს თავისი შესაფერისი ხალხი ასხია—აღმოსავლეთელი არა ჰგავს დასავლეთელს და ჩრდილოელი—სამხრეთელს. მათი გათანასწორება შეუძლებელია... საკუთარ ელფერს დააკარგვინებ და სხვას ვერ მიღებინებ ხორცილად. ყველა თავთავისის განშვებებულისა ხორციით უნდა იყოს და სული ყველას ერთი უნდა ედგას... სული კაცობრიული... აი ამას უნდა ცდილობდეს ყველა შეგნებული, ვინც კი ქვეყნისათვის ზრუნავს.—ასევე ვფიქრობდით ჩვენც (სამოციანელები ს. ხ.) და „შვების-სადგურისაკენ“ ცხოვრების გზა შეძლებისდაგვარად, გაგვყავდა, რომ ჩვენ მოამეებს გაული გაიდვილებოდათ. ეტყენიდით, ვკაფავდით ეკლიან გზას; მის კეთებაში ოვლთან ერთად სისხლის ცრემლებიც ბევრჯერ დაგვიღვრა. დიდი გზა გავიყვანეთ და ახლა სიბერემ მოგისწროთ. დღეს თქვენი ვალია, რომ გააგრძოთ...“<sup>2)</sup>

ამ სიტყვებით მიმართავს აკაკი ახალ თაობის წარმომადგენელს და სთხოვს მას გააგრძოს ახალ თაობამ 80-იანი წლების მოღვაწეთა მიერ დაწყებული პროგრამა ერთა სოლიდარობის საქმეში. პრინციპიალურად აკაკი სწორ ნიადაგზე იდგა, იმდენად, რამდენადაც იგი მოითხოვდა ერთა „კაცობრიული სული“ განმტკიცებას ყველა ერში. მაგრამ ამ იდეის განმახორციელებელი გზა და საშუალება აკაკისათვის უცნობი იყო: მისთვის გაუგებარი იყო ის დებულება, რომ ნამდვილი „კაცობრიული სული“, ინტერნაციონალიზმის მატარებელი პროლეტარიატი არის და რომ მხოლოდ პროლეტარული ბრძოლით, პროლეტარიატის მოძრაობით არის შესაძლებელი ერთა შორის სრული პარმონიის დამყარება. აკაკი, მოკლებული ასეთ სოციალურ მიზანს, ეროვნულ საკითხში

<sup>1)</sup> აკაკი „სიტყვა თქმული ერთ არჩევანზე“.

<sup>2)</sup> აკაკი: „საუბარი მამა-შვილს შუა“, გვ. 11-16, 1908 წ.



\* \* \*

ასეთი იყო საერთოდ აკაკის აზროვნება და შემოქმედება. ამ წერილის მიზანი იყო გვერდი ავიარა აკაკის შემოქმედების ტრადიციულ დაფასებისათვის და მარქსისტული სოციოლოგიის თვალსაზრისით გაეშუქებია იგი. რასაკვირველია, ამ თემის საეცებით დაძლევა შეუძლებელი არის საჟურნალო წერილში: აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობა ერთობ მდიდარია და მისი შეფასებისათვის უფრო მეტი ფარგლებია საჭირო, ვინემ ამას ჟურნალის ჩარჩოები იძლევა: ეს წერილი მხოლოდ შტრიხებს იძლევა აკაკის შემოქმედებისა და აზროვნების დასახასიათებლად: უფრო ვრცელი და საფუძვლიანი დახასიათება ეს მომავლის საქმეა: მაგრამ დიდი პოეტის 90-წლის დაბადების თავზე დრო არის ამ დიდსა და აუცილებელ საქმესაც ჩაეყაროს საფუძვლები.

## წვრილი წარმოების თეორია და კოლექტივიზაცია

წვრილი პირველი

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც წვრილ საქონლის მწარმოებელთა კოოპერატიულ საწარმოო გაერთიანებას წარმოადგენს საწარმოო საშუალებათა კოლექტიური მფლობელობის, კოლექტიური შრომის საფუძველზე, ჩვენში უნდა იწვევდეს არა მარტო პრაქტიკულ, არამედ საგულისხმო თეორიულ ინტერესს.

წვრილი წარმოება საერთოდ, და კერძოდ წვრილი გლეხური მეურნეობა მარქსის, ენგელსის და ლენინის უდიდეს ყურადღებას იპყრობდა. როგორც მარქსი, ისე, განსაკუთრებით ენგელსი და ლენინი იკვლევდნ ამ ეკონომიურ კატეგორიას კაპიტალიზმის დროს და წვრილი წარმოების მომავალს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ისინი ამ საკითხს ანიჭებდნ დიდ მნიშვნელობას იმიტომ, რომ წვრილ მწარმოებელთა მასის დაპყრობის და ინდივიდუალისტური გლეხური ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია, მათი აზრით, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება. სწორედ ამიტომ უთიშობს დიდ ადგილს კომინტერნის ახალი პროგრამა წვრილ წარმოების საკითხს და არკვევს კომუნისტური პარტიების დამოკიდებულებას წვრილ საქონლის მწარმოებლებისადმი, როგორც ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის წარმოებულ ბრძოლის პირობებში, ისე პროლეტარიატის დიქტატურის უშუალო პერიოდში, როდესაც მუშათა კლასმა უნდა შესძლოს წვრილ მწარმოებელთა შრომითი საკუთრების სოციალისტური გარდაქმნა.

მსოფლიოს თვით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში წვრილი წარმოება დღემდე არ გამქრალა, ინდუსტრიის დიდი განვითარების და კერძოდ სოფლის მეურნეობის საგრძნობი კაპიტალიზაციის მიუხედავად, «წვრილი წარმოება—ნათქვამია კომინტერნის პროგრამაში—ჯერ კიდევ არსებობს, არა მარტო კოლონიებში, ნახევრად კოლონიებში და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც წვრილ-ბურჟუაზიული მასები შეადგენენ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, არამედ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ცენტრებშიაც (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და აგრეთვე ნაწილობრივ ინგლისი). და ეს გარემოება აუცილებლად ხდის (პროლეტარიატის დიქტატურის დროს—დ. გ.) ამა თუ იმ სახით, განვითარების დაწყებით საფეხურებზე, სამეურნეო დაკავშირების საბაზრო პირობების შენარჩუნებას».

წვრილი წარმოების არსებობა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მისი მარტო გაუქრობლობა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების მიუ-

ხედავად, საბაბს აძლევდა თავიდანვე მარქსის მოწინააღმდეგეებს, მათში გამოცხადებულია მარქსის კონცენტრაციის კანონის მარცხი მიწათმოქმედების მიმართ, მსხვილი წარმოების განარჯევების შეუძლებლობა სოფლის მეურნეობაში. როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი თავდასხმე მარქსის მსხვილი წარმოების თეორიამ განიცადა გერმანიის რევოლუციონისტებისა და რუსეთის ნაროდნიკების მხრივ: რომელნიც ამტკიცებდნენ წერილი წარმოების ცხოველყოფილებას და სოფლად წარმოების კაპიტალისტური ორგანიზაციის გაბატონების შეუძლებლობას. ეს თავდასხმა უკუგდებულ იქნა მაშინ ჯერ კიდევ მარქსისტ კაუცკის და განსაკუთრებული სიძლიერით ამხ. ლენინის მიერ თავის ადრინდელ ეკონომიურ შრომებში. მაგრამ წერილი წარმოების დაცვის თეორია, რომელმაც დიდი გზა განვლო მის მამამთავარ სისმონდიდან ესერებამდე, დღესაც ცოცხლობს და თავის დამცველებს პოულობს არა მარტო წერილ ბურჟუაზიულ იდეოლოგთა, არამედ ზოგიერთ თეორეტიკოს კომუნისტთა შორისაც. საქმითა მიუთითოთ ამხ. ვარგაზე, რომელიც რამოდენიმე წლის უკან გამოცემულ შრომაში „აგრარული საკითხის შესახებ“ ამტკიცებდა წერილი წარმოების გამძლეობას და მის მეტ რენტაბელობას მსხვილ წარმოებასთან შედარებით.

მარქსის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი ემყარება იმ ყალბ აზრს, თითქოს მარქსს ეცნოს თავისი კონცენტრაციის კანონის მექანიკური გავრცელება სოფლის მეურნეობაზე, არ გაეწიოს რა ინგარიში „იმ თავისებურებათათვის, რომელნიც ახასიათებენ სასოფლო სამეურნეო წარმოებას და იწვევენ წერილ წარმოების ცხოველყოფილებას“. მარქსი, ნანდვილად ამტკიცებდა, რომ სოფლად კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, ჩვენ მივიღებთ მიწათმოქმედების როგორც კონცენტრაციას, ისე დაქუცმაცებას, რომ წერილი წარმოების ამა თუ იმ სახით „შენარჩუნება“ არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც ზოგჯერ თვით კაპიტალის ინტერესებითაა გამოწვეული. მთელ რიგ მიზეზების ამო, კაპიტალისტების, განსაკუთრებით სოფლად, ზოგჯერ გამსახურებელ პირობებში ხელსაყრელია წერილი წარმოების შენარჩუნება და მისი გაძლიერებული ექსპლოატაცია, ვიდრე მისი ექსპროპრიაცია. ამიტომ ამბობს ამხ. ლენინი, რომ „წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში შეუძლებელია ველოდეთ წერილი წარმოების სრულ გაქვევებას მიწადმოქმედებიდან, რადგან თვით კაპიტალისტები და აგრარიები დაინტერესებულნი არიან განავითარონ ის, როდესაც გლეხების ვალატაყება მეტისმეტად ღრმავდება“-ო. <sup>1)</sup>

მარქსი არა მარტო შესაძლებლად სცნობს წერილი წარმოების შედარებით ხანგრძლივ არსებობას კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა დროს, არამედ აღიარებს მისი სრული გაქრობის შეუძლებლობას, ვიდრე არსებობს მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაცია.

კაპიტალისტური მეურნეობაში—ამბობდა ერთ დროს პლენანოვი—ადვილი აქვს წერილი წარმოების განადგურების შეწყობას და ზოგჯერ ერთდროულ შენერებასაც კი. მაგრამ წერილი გლეხური საკუთრების გაქრობის პროცესის შეწყობა ან—როგორც შენელების კერძო შემთხვევა—შენერება, არის სა-

<sup>1)</sup> იხ. ლენინი, ტ. IX გვ. 30. პირველი გამოცემის, ხაზი ჩვენია. დ. გ.

ნარკინული

ზოგადობრივ-ეკონომიურ ცხოვრების ისეთ მოვლენათა შედეგად, რომლებიც თვითვე, უკელაზე უკეთ აღასტურებენ მარქსის მოძღვრების სამართლიანობას კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შესახებ. რევოლუციონისტები მიიწერენ მარქსს იმ აზრს, რომ თითქოს კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიწის საკუთრების კონცენტრაცია აუცილებელია თვით კაპიტალისტური განვითარების ბუნების გამო. მაგრამ მარქსს არსად არ გამოუთქვამს ამგვარი აზრი; როგორც მეცხრამეტე საუკუნის საუკეთესო დიალექტიკოსმა, მარქსმა საუცხოოდ იცოდა, რომ საზოგადოებრივ ეკონომიაში, როგორც ყველგან, ყოველივე დამოკიდებულია დროისა და ადგილისაგან. 1850 წელს ის ე. ღეიზარდენის წიგნის: „Le Socialisme et l'import“-ის რეცენზიაში სწერდა, რომ თუ საღრანგეთში უკვე დაიწყო წვრილი წარმოების კონცენტრაცია, ინგლისში მსხვილი მიწადმულობლობა გიგანტური ნაბიჯით მიექანება ახალ დაქუცმაცებისაკენ. ეს ნაკლებად ჰგავს ვოლგარულ წარმოდგენას „მარქსის დოგმაზე“ მიწადმულობლობის და მიწადმოქმედების მიმართ — მაგრამ ამას ის, — ალბათ იმიტომ, რომ არ დარწმუნდით არავითარი იქვი მისი შეხედულების შესახებ — უმატებდა, რომ ვიდრე არსებობს ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი, მიწადმოქმედება განუწყვეტლივ უნდა გადავიდეს კონცენტრაციიდან დაქუცმაცებაზე და პირუკუ. ჩვენ ძალიან ვსთხოვთ მკითხველს დაიმახსოვროს ეს. თუ მაგალითად დღეს, რომელიმე ქვეყანაში ნამდვილად დაიწყო მსხვილი სამიწადმოქმედო საკუთრებიდან წვრილზე გადასვლა, ამ შემთხვევაშიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს თვალწინ ვითარდება ერთ-ერთი იმ მოვლენათაგანი, რომელთა შესაძლებლობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მარქსის მიერ ჯერ კიდევ ორმოცდა ათი წლის წინეთ იყო აღნიშნული.“<sup>1)</sup>

წვრილ ბურჟუაზიული თეორია სამიწადმოქმედო კაპიტალიზმის ამ თავისებურ დიალექტიურ განვითარებაში ბედებს მარქსისტული თეორიის უსუსურობას, ამ თეორიის „გამოუვალ წინააღმდეგობას“. მაგრამ მარქსის მოძღვრებაში თითქმის ასეთივე „წინააღმდეგობა“ აღმოჩნდება, თუ განვიხილავთ მისს სამრეწველო კაპიტალიზმის თეორიას. ცნობილია, რომ წვრილი წარმოება სავსებით არც მრეწველობაში ჰქრება, წვრილ საწარმოებს ეხედებით არა მარტო „ტანთსაცმელის, კვების მრეწველობაში და ეაჭრობაში, არამედ თვით ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში და მანქანათმშენებლობაშიც კი“ (გორდვევი), ეს რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას კონცენტრაციის კანონის უძღურებით ინდუსტრიაში, რასაც თვით მარქსის კრიტიკოსებიც არ ამბობენ ან კიდევ სამანქანო ტენიკის არა უპირატესი გაეღენით. საჭიროა ვიცოდეთ ის, რომ წვრილი მწარმოებლები სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობენ მრეწველობაში და თავის არსებობას ინარჩუნებენ მეტად მძიმე შრომით, რომელიც მათთვის არ უზრუნველყოფს დაქირავებულ მუშის საშუალო ხელფასსაც კი.

წვრილი წარმოების ხვედრითი წონა ბევრად მეტია სოფლის მეურნეობაში და ეს უმთავრესად აიხსნება მიწაზე კერძო საკუთრების არსებობით, რო-

<sup>1)</sup> იხ. ვნეესლი: „Крестьянский вопрос во Франции и Германии“ პლენარის წინასიტყვაობა — გვ. 4—5. ნაბი ჩვენია. ზ. 3.

გორც ცნობილია, კაპიტალი ეძებს მეტ მოგებას, ეფექტიურად ამინდობს, რაც გულისხმობს შეუცლიებელ უფლებას ზედმეტ ღირებულებაზე. მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის დროს კი ეს შეუძლებელი ხდება, რადგან კაპიტალი იძულებულია ნაწილი ზედმეტი ღირებულებისა რენტის სახით მიწადამფლობელს დაუთმოს. რენტა კი, რომელსაც მიწადამფლობელნი ითვინებენ, როგორც არა შრომით შემოსავალს მიწის მონოპოლიური მფლობელობის გამო, ამცირებს სამიწადმოქმედო კაპიტალის საწარმოო შესაძლებლობას და მიწადმოქმედებაში ბევრად უფრო მეტია კაპიტალის არამწარმოებრივი მოხმარება, ვიდრე მრეწველობაში. „თუ რომ მიწა—ამბობს მარქსი—1) განსაზღვრულია, 2) საკუთრებათ არის დატაცებული და კაპიტალი წარმოიშვის მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში—მაშინ მიწა აღარ წარმოადგენს თავისით კაპიტალისათვის ხელში-საწვდომ ელემენტარულ სამოქმედო ასპარეზს“. <sup>1)</sup> ამიტომ „კაპიტალი ამჯობინებს დაბანდების თავისუფალ სფეროებს, სადაც მას არ წააგლეჯენ ზედმეტი ღირებულების ნაწილს—გარდამეტ მოგებას რენტის სახით. ზედმეტი ღირებულების ყოველწლიური ვითვისება, რენტის სახით ანელებს სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ტემპს. აძლიერებს სოფლის მეურნეობის მრეწველობისაგან ჩამორჩენას და ზრდის მათ შორის წინააღმდეგობას“. <sup>2)</sup>

წერილი წარმოების „შენარჩუნება“ მიწადმოქმედებაში ზოგჯერ თვით კაპიტალის ინტერესებითაა გამოწვეული. ეს ინტერესები შეიძლება იქნეს წმინდა ეკონომიური ან უფრო ხშირად უშთაერესად სოციალ-პოლიტიკური ხასიათის. სოფლის მეურნეობა, ისე როგორც მრეწველობა, კაპიტალიზმის დროს ხშირად განიცდის კრიზისს. კრიზისის დროს პურის და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები ეცემა და ასეთ შემთხვევაში კაპიტალი ამჯობინებს წერილ მწარმოებელთა ექსპლოატაციას სხვადასხვა საშუალებებით (იჯარის, იპოტეკის, სახელმწიფო გადასახადების, სხვათა სახით) ვიდრე მათ ექსპროპრიაციას. წერილ მწარმოებელთა ექსპროპრიაციის პროცესის შენელება, კაპიტალისათვის ხელსაყრელია ჩვეულებრივ პირობებშიაც, (არა კრიზისის დროსაც), როდესაც იაფი მუშა ხელის მოპოვების მიზნით, კაპიტალი ურიგებს უმიწაწყო გლეხებს მიწის მცირე ნაჭრებს და ამით ცდილობს მათ მიჯაჭვას ლატაკურ, არაფრის მომცემ ინდივიდუალურ კარ-მიდამოზე. <sup>3)</sup>

„სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭიროა მუშები და ამიტომ მეურნეობანი იძულებულნია შეაჩერონ მუშების წასვლა ქალაქად მათთვის მიწის წერილი ნაჭრების დარიგებით ან მიყიდვით. აქედან წარმოსდგება მიწის Deputat გერმანიაში—მიწის პარცელარული საკუთრების გაერყელება თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში“. <sup>4)</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური მრეწველობა საერთოდ წერილ მწარმოებელთა პროლეტარიზაციითაა დაინტერესებული და ისტორიულად მიწადმოქმედების კაპიტალიზაცია აძლიერებდა კაპიტალისტურ წარმოებისათვის

<sup>1)</sup> იხ. მარქსი: „Теория прибавочной стоимости“ ნაწ. II, გვ. 80—81.

<sup>2)</sup> იხ. Проф. Г. С. Гордеев. „Основные проблемы сельского хоз. экономики“ გვ. 380.

<sup>3)</sup> იხ. ანის შესახებ ლენინი, ტ. IV, გვ. 222—229.

<sup>4)</sup> იხ. იქვე, გვ. 381.

შინაური ბაზრის ტევადობას<sup>1)</sup> ზოგჯერ ინდუსტრიის ცალკე დარგების ცვლილებებზე მიხედვით ვერძალიან ზუსტად შეიძლება დასაზღვრავთ. ეს გარემოებასთან დაკავშირებულია მიჩნეული უნდა იქნეს არა რაიმე კანონით, არამედ დროებით მოვლენათ, მიწადამოკმელების კაპიტალისტური კონცენტრაციის მცირე მნიშვნელობის კერძო შემთხვევად. ასეთ გარემოებას აქვს ადვილი დღეს ამერიკაში, საერთო ეკონომიკური კრიზისის და უმუშევრობის ზრდის პირობებში, საშუალო და წრფელ მრეწველებს მოხმარების საგნების ბაზრის ტევადობის შემცირების შიშით უფრო ხელსაყრელად მიიჩნევა წერილ ფერმერების შენარჩუნება, ვიდრე მათი მასიური პროლეტარიზაცია. ამხ. პავლოვი (იხ. ვახუთი Соц. земледелие № 61) მოგვითხრობს იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ამ ტიპის-კნელ დროს ჩრდილო ამერიკაში მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიის შორის. „მსხვილი კაპიტალი ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობს წერილი ფერმერების მოსპობას, ე. ი. იმ ჯგუფის მოსპობას, რომელიც სოციალურად და პოლიტიკურად მის ერთ ერთ მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენს. არის თუ არა აქ წინააღმდეგობა? ამის საპასუხოდ შეიძლება მოგვეყვანა ერთ-ერთი ბანკირის აზრი, რომელმაც განაცხადა, რომ მას არ სურს მიიღოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო აქციონერულ საზოგადოებისათვის კრედიტის მიცემაში, არა იმიტომ, რომ მას ეჭვი ეპარება ამ საზოგადოებათა წარმატებაში, არამედ იმიტომ, პირიქით, რომ მას სჯერა მათი წარმატება და იმიტომ უშინია იმ სოციალური შედეგების, რომელიც აუცილებლად მოჰყვება წერილი ფერმერების განადგურებას. აშკარაა, რომ ეს ბანკირი, კაპიტალისტურ ჯგუფების, პირველ რიგში—საშუალო და წერილ მრეწველობის და ვაჭრობის თვალსაზრისს გამოხატავს, რომელიც ცდილობს წერილი ფერმერების შენარჩუნებას. მაგრამ წერილ ფერმერების შენარჩუნების წინააღმდეგ გამოდიან მეტად გავლენიანი კაპიტალისტური ჯგუფები, ამას უნდა მივაკუთვნოთ მსხვილი აგრარული კაპიტალი, შემდეგ საავტომობილო კაპიტალი (რომელიც უკვე დაეჯაბა თავის პროდუქციის გასაღების ბაზრის სიეწროვეს) და კაპიტალი დაბანდებული ელექტრონის მრეწველობაში, სასუქის და მსხვილი, სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამამუშავებელ მრეწველობაში, რამდენადაც მხოლოდ მსხვილ ფერმას შეუძლია მტკიცე ბაზრის შექმნა მსუბუქი და საბარგო ავტომობილების, ტრაქტორების, კომბაინების და ელექტრონის ენერჯისათვის“.

მაგრამ წერილი წარმოების „შენარჩუნებაში“ ყველაზე მთავარს წარმოადგენს კაპიტალის იმდენად არა ეკონომიკური ინტერესი (რადგან კაპიტალი დარწმუნებულია, რომ ეკონომიკურად წერილი წარმოების განადგურება მსხვილის მიერ აუცილებელია), რამდენად სოციალ პოლიტიკური მოტივი, მმართველ ბურჟუაზიულ კლასის წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისი. ბურჟუაზია ხშირად წერილი გლეხური მეურნეობის „დამცველად“ გამოდის და გარკვეულ პირობებში სათანადო ღონისძიებებსაც მიმართავს წერილ წარმოების ექსპროპრიაციის პროცესის შესაწყობად. წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით, ამ რამოდენიმე

1) იხ. ამის შესახებ ლენინი, ტ. III, თავი VII.

წლის წინად ინგლისის ბურჟუაზიის ცნობილი ბელადი—ლოიდ-ჯორჯი „რადიკალური“ აგრარული რეფორმის (თავით მიწის ნაციონალიზაცია) გატარებას ნათიბოვდა. ლოიდ-ჯორჯი ხედავდა რა 1924 წლის არჩევნების წინ მუშათა კლასის აქტივობის ზრდას და ბურჟუაზიული პარტიების შესაძლებელ დამარცხებას არჩევნებში, წვრილ, ინდივიდუალურ მეურნეობათა გამრავლებით ცდილობდა ამომრჩეველთა განსახდევად მასში კერძო-შესაკუთრული, ინდივიდუალისტური გრძობის გაღვივებას, წვრილი წარმოებისათვის დამახასიათებელ კონსერვატიზმის განმტკიცებას, რადგან ინდივიდუალიზმი და კონსერვატიზმი კაპიტალისტური საზოგადოების დასაყრდენია. ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი ჰუვერი, რომელიც გამბედნიერებას პირდებოდა წვრილ ფერმერებს საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ამბობდა თავის დეკლარაციაში—„ჩვენი ერის მთელი იმედი და საფუძველი ჩვენი ხალხის ინდივიდუალიზმისათვის მხარის დაპერაში მდგომარეობს. სოფლის მეურნეობა არის და უნდა იქნეს წვრილ ერთეულთა და დამოუკიდებელ (წ) შესაკუთრეთა ინდივიდუალისტური წარმოება, ფერმერი ეკონომიურად თავისუფალი ინდივიდუალიზმის ნათელი მიგალითია. ის წარმოადგენს ჩვენი ნაციონალური ხასიათის ერთ-ერთ საფუძველს. არ არსებობს ამიტომ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამოსადევი ყოფილიყოს ჩვენი პარტიებისათვის, და რომელსაც გადაექცია ფერმები მსხვილ მექანიზაციკშილ ერთეულებათ“. რასაკვირველია, ყოველივე ეს ამერიკულ ბურჟუას საარჩევნო თანდი იყო, რადგან სწორედ ბუვერის პრეზიდენტობის დროს, ამერიკის წვრილ ფერმერებისათვის ყველაზე ცუდი პირობები შეიქმნა მათი უღმობელი, მასიური გაძევების გამო მიწადმოჭმელებიდან მსხვილი კაპიტალის მიერ.

გამსაკუთრებელ ყურადღებას იმეორებს ომის შემდეგ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (ბალკანეთზე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში) გატარებული აგრარული რეფორმა. ოქტომბრის რევოლუციით დამფრთხალი ევროპის ბურჟუაზია ცდილობდა მასების რევოლუციონური აღტყინების შეწყობას და ამიტომ მიიღო ზომები მემანულებთა მიწების ნაწილის დასარიგებლად მცირე მიწებიან და უმიწაწყლო გლეხებისათვის. რუსეთიდან მოდიოდა ლოზუნგები—სწერს ბურჟუაზიული პროფესორი ზერინგი—„მიწა იმას, ვინც მას ამუშავებს“, ან „მიწა ხალხს“. ამ ლოზუნგებით ქალაქის პროლეტარიატმა გაიყოლია წვრილი გლეხობის მასები, ფინლიანდიაში, ლიტვაში, ესტონეთში, უნგრეთში ბოლშევიკურმა რევოლუციამ იფეთქა, და არ დაჩინილა ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში არც ერთი ქვეყანა, რომელიც არ დამდგარიყოს ასეთი რევოლუციონური აფეთქების საფრთხის წინ. ამიტომ, რევოლუციონური მოძრაობის იძულებით ან კიდევ, მისი თავიდან აცილების მიზნით გამოცემულ იქნა რადიკალური აგრარული რეფორმები“-ო.) ბურჟუაზიული პროფესორი მართალია იმაში, რომ აგრარული „რეფორმა“ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გატარებულ იქნა ბოლშევიზმის შიშით, წვრილ წარმოებელთა მასების უკმაყოფილების, რევოლუციონური აღ-

1) იხ. კრებული „Agrарная революция на западе“—პროფ. ზერინგის წინასიტყვიობა.

ტყინების შენელების ნიხნათ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პროტესტანტული რევოლუციით დაშინებულ ბურჟუაზიის დროებითი, პოლიტიკური „ლომინასება“ და არა რაღაც რადიკალური რევორმა.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და ბალკანეთზე, ომის შემდეგ, რევოლუციონური ასეირაციების პერიოდში ბურჟუაზიის მიერ იძულებით გატარებული აგრარული „რევორმა“ უშუალო მიზნათ ისახავდა რევოლუციონური საფრთხის, ბოლშევიზმის თავიდან აცილებას. ამ სტოლიპინისებური ღონისძიებით ბურჟუაზიამ თითქოს შესძლო წერილ მწარმოებელთა ყურადღების მიპყრობა საკუთრებისადმი, უმიწაწყო და სკიპე მიწებიან გლეხებისათვის მიწის უმნიშვნელო ნაპრების (ისიც, რასაკვირველია, გამოსყიდვით) დარიგებით, მან გააღვივა წერილ ბურჟუაზიულ მასაში კერძო საკუთრებისადმი მიჯაჭვის ინდივიდუალისტური გრძობა, „გამაგრა“ საკუთრება, რადგან ბურჟუაზია დარწმუნებულია, რომ კერძო საკუთრება მისი ბატონობის საფუძველს წარმოადგენს, რომ წერილ მიწადმოქმედთა კლასი და წერილი წარმოება კაპიტალიზმის მასაზრდოვებულია და ამიტომ აშინებს მმართველ ბურჟუაზიულ კლასს წერილ მწარმოებელთა მასიური განადგურების სოციალური შედეგი.

ევროპაში, ომის შემდეგ გატარებულ აგრარულ რევორმას მთელი რიგი ბურჟუაზიული ეკონომისტები (როგორც მაგ: ცნობილი დრანგი ეკონომისტი ბარტლომი, ბლონდელი და სხვანი) მეტად გადაჭარბებულ მნიშვნელობას აქუთენებენ. მათი აზრით, ვითომდა აგრარულმა რევორმამ მოახდინა „მიწადმუღობის დემოკრატიზაცია“, რომ ეს იყო ვითომდა ნაბიჯი „სოციალური უთანასწორობის მოსპობისაკენ“, რომ რევორმის გამტარებელი პირები „ისახავდნენ მიზნად სოციალურ ზავს, მაგრამ სოციალური ზავი მიღწეული იქნა ბოლშევიკური (!) შეთოდებით“ (ბარტლომი), რომ აგრარულ რევორმით მმართველ კლასებს სურდათ „წერილ მწარმოებელთა რიცხოვრივი გადიდება და კედლის აღმართვა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც ომის შემდეგ ასეთ საფრთხეს წარმოადგენდა“ და ამიტომ „ჩეხოსლოვაკია ამ რევორმის წყალობით ყველაზე უფრო სტაბილიზაციაქმნილ (!) ქვეყანას წარმოადგენს“. იქ „ბოლშევიზმი უუქტეულია (!?)“ (ბლონდელი). ეს აზრი რასაკვირველია, ყალბია, რადგან სწორედ აგრარული „რევორმის“ შემდეგ გაძლიერდა ყველაზე მეტად ბოლშევიზმი მთელს ევროპაში და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში (ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბალკანეთზე), სადაც წერილმა მწარმოებელმა იგემა სოციალური „თანასწორობა“, რომელიც ბურჟუაზიულ აგრარულ რევორმას მოყვა.

აგრარული რევორმების უშედეგობას აღიარებს ჩვენს მიერ უკვე მოხსენებული გერმანელი ბურჟუაზიული პროფესორი ზერინგიც. ის ამბობს, რომ აგრარულმა რევორმამ არც ერთ ქვეყანაში, ოდნავადაც კი ვერ დააკმაყოფილა წერილი გლეხების უდიდესი მოთხოვნილება მიწაზე.

აგრარული საკითხი გადაუჭრელი რჩება. ბრძოლა მიწისათვის არ შესუსტებულა და მოსახლეობის ზრდის გამო იმავე სიძლიერით იფეთქებს, როგორც რევორმამდე.\* ზერინგი იძულებულია აღიაროს მიწის მიუღებლობის გამო უმეყოფილების ზრდა წერილ მწარმოებელთა მასაში, „აგრარული საკითხის გა-



დაუქრელობა“, მაგრამ ზედმეტია წერილ მწარმოებელთა უკანასკნელმა წარდის მიზეზად დამატებითი მოტივის „მოსახლეობის ზრდის“ აღმარება, რომელმაც წერილ გლეხების უმეყოფილების ნამდვილ მიზეზს ევროპაში აგრარული საკითხის გადაუქრელობა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერებას წარმოადგენს.

ომის შემდეგ, ევროპაში გატარებულ აგრარული რეფორმის ნამდვილი აზრი იყო არა წერილ მწარმოების გაძლიერება, რამდენად მსხვილ კულაქურ მეურნეობის განვითარებისათვის გზის გაკაფვა ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციით. იძულების წესით მცირე ეროვნებათა გლეხებს ჩამოერთვა მიწები და ის ძირითადი, გაბატონებული ეროვნების გლეხთა შეუძლებელ ფენას გადაეცა. ასე რომ, აგრარულმა რეფორმამ ისეთ ქვეყნებში განსაკუთრებით, როგორცაა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, სამხრეთ სლავია და სხვა, მოახდინა მიწადმულობის გადაჯგუფება „ეროვნული თვალთახედვით“. თავად-აზნაურებისა და მცირე ეროვნებათა გლეხებისათვის ჩამორთმეულ მიწებზე დაწესებულ იქნა მალაი გამოსასყიდი ფასები, რომლის გადახდა ვალატაკებულ წერილ მწარმოებელს არ შეეძლო. ამიტომ ჩეხოსლოვაკიაში რეფორმის გატარების შემდეგ იმ გლეხთა რაოდენობა<sup>1)</sup>, რომელიც 2 ჰექტარამდე მიწას ფლობდნენ (და აგრეთვე 5 ჰექტარამდე) თითქმის უკვლელი დარჩა, სამაგიეროთ საგრძობლად გაიზარდა იმ გლეხთა რიცხვი, რომელთაც აქეთ 20 ჰექტარამდე მიწა და 20—100 ჰექტარამდე მიწა. პოლონეთში 107.700 გლეხიდან, რომელთაც მიიღეს მიწა, 60 პროცენტს შექმნილი გლეხები შეადგენენ. სამხრეთ სლავიაში განაწილებულია შემამულეთა მიწების ერთ მეხუთედამდე გლეხთა შორის. რუმინეთში მიწის გამოსასყიდი ფასი 40 ჯერ აღემატება საშუალო წლიურ საიჯარო ჭირას და მილიონ ნახევარი გლეხი უმიწოდ დარჩა.

ამიტომ ე. წ. აგრარულ რეფორმის შემდეგ მსხვილი მიწადმულობელობა მთელს ევროპაში კიდევ უფრო გაიზარდა და მიწების უდიდესმა რაოდენობამ თავი მოიყარა მდიდარი გლეხების უმნიშვნელო ნაწილის ხელში, წერილი გლეხობის შემდგომი ვალატაკების ნიადაგზე. ჩეხოსლოვაკიაში სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის 12 მილიონი სული უმიწოდ დარჩა, ხოლო 8.000 შემამულე მთელი მიწების 45 პროცენტს ფლობს. რუმინეთში სწორედ აგრარულ რეფორმის გატარების შემდეგ გლეხების 83 პროც. ღარიბები შეადგენენ. ფინლიანდიაში სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის 62 პროცენტს პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტები შეადგენენ. უნგრეთში მთელი მიწის 50 პროცენტი თავმოყრილია მეურნეობათა 1,3 პროცენტის ხელში. სამხრეთ იტალიაში გლეხურ მეურნეობათა 79 პროც. აქეთ მიწა 2 ჰექტარამდე, ხოლო აქედან 60 პროცენტს არა უმეტესს ერთი ჰექტარისა. პოლონეთში გლეხურ მეურნეთა 2/3 ღარიბებია, რომელნიც ფლობენ ნახევრიდან 1 ნახევარ ჰექტარამდე მიწას. ყველა მეურნეობათა 60 პროც. აქეს ვარგისი მიწის მხოლოდ 14 პრ.,

<sup>1)</sup> უკანასკნელი ცნობები მიწის განაწილების შესახებ ევროპაში, მოგვყავს გაზ. „პრავდა“-ს №№ 84 და 85 გამოქვეყნებულ წერილებიდან და ანბ. მილიტარის წიგნიდან „Аграрная политика СССР“.

ხოლო მეურნეობათა 0,6 პროც. მიწის მთელი ფართობის 45 ექმენი მანძილზე მდებარეობს მეურნეობათა 38 პროც. (ე. ი. 2 მილიონი) ფლობს მთლიანი მიწის 2,5 პროც., ხოლო მეურნეობათა 0,5 პროც. მიწის 32,5 პროც.; დიდ ბრიტანეთში მთელი მიწა თითქმის ლენდ-ლორდებს ეკუთვნის, რომელნიც მათ იჯარით სცემენ უმიწაწყო და მცირე მიწების მქონე გლეხებს.

მაგრამ მართო მიწის განაწილება მეურნეობის სხვადასხვა ჯგუფთა შორის არ არის საკმაო იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს მსხვილი წარმოების სიძლიერეზე სოფლად, რადგან მართო მიწის ფართობი არ წარმოადგენს მიწადმოქმედების კაპიტალიზაციის სწორეუკუთარ საზომს.

„მიწის ფართობის სიდიდე—ამბობს ან. ლენინი არა ყოველთვის და სრულიად არა უშუალოთ გვიჩვენებს მეურნეობის ნამდვილ სიდიდეს და მის კაპიტალისტურ ხასიათს... ინტენსიფიკაციის პროცესი კაპიტალისტურ მიწადმოქმედებაში ხშირად იწვევს მეურნეობის სიდიდის ზრდას ამა თუ იმ მეურნეობაში დასამუშაებელ მიწის საშუალო სიდიდის შემცირების პირობებშიც კი,“ რომ „წერილი მეურნეობა რჩება რა ის წერილად მიწის ფართობის მიხედვით, იქცევა მსხვილად წარმოების სიდიდის, მესაქონლეობის განვითარების, მიწის ვანაყოფიერების, მანქანების გამოყენების და სხვათა მიხედვით“, ყოველივე ამის გამო მიწის ფართობი არა პირდაპირი მაჩვენებელია მეურნეობის ნამდვილი სიდიდისა და ეს პირობა მით უფრო ნაკლებადაა „სარწმუნო“, რამდენადაც ფართოდ და სწრაფად მინდინარეობს მიწადმოქმედების ინტენსიფიკაცია“<sup>1)</sup>.

ამგვარად მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით, ლენინის აზრით, არ შეიძლება ვიმსჯელოთ კონცენტრაციის პროცესზე სოფლის მეურნეობაში, რადგან გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება მიწის ფართობის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ არის კრიტერიუმი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილი სიდიდის გამოსარკვევად. „დაჯგუფება მიწის ფართობის მიხედვით ერთად აერთებს მსხვილ და წერილ მეურნეობებს, რადგან ისინი ემსგავსებიან ერთმანეთს მიწადმოქმედების სიდიდის მიხედვით, ის აერთებს მეურნეობებს წარმოების სრულიად სხვადასხვა გვარი სიდიდის მიხედვით, ისეთებს, სადაც სკარბობს ოჯახური შრომა, ისეთებთან, სადაც დაჭირავებული შრომა სკარბობს. აქედან გამომდინარეობს არსებითად უსწორო, საქმის ნამდვილი ვითარების სრულიად დამახინჯების სურათი, — მაგრამ რომელიც ძლიერ მოსწონს მმართველ ბურჟუაზიას, — სურათი კლასიური წინააღმდეგობათა მიჩქმალვისა კაპიტალიზმში. აქედან ვიღებთ არა ნაკლებ ყალბს და არა ნაკლებ მოსაწონს ბურჟუაზიასათვის წერილ მიწადმოქმედთა მდგომარეობის შელამაზებას, ვიღებთ კაპიტალიზმის აპოლიგეტიკას, უნდა გვახსოვდეს, რომ „კაპიტალიზმის ძირითადი და მთავარი ტენდენცია მდგომარეობს წერილი წარმოების გაძევებაში მსხვილით როგორც მრეწველობაში ისე მიწადმოქმედებაში. მაგრამ ეს გაძევება არ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ დაუყოვნებლივ ექ-

1) იხ. ლენინი. ტ. XVII. გვ. 587, 618, 619.

სპროპრიაციის აზრით, გაძევებას ნიკეთენება აგრეთვე მიწადნობის (მეურნეობის პირობების გაუარესების პროცესი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს წლობით და ათეული წლობით<sup>1)</sup>). მეურნეობის ეს დაქვეითება გამოიხატება წერილ მიწადნობედთა ზომიანე მეტ შრომაში ან მათი კვების გაუარესებაში, ან კიდევ მის მეტად დიდ დავალიანებაში, საქონლის კვების და საერთოდ კვების გაუარესებაში, ან მიწის ცუდ მოვლაში, მის ცუდ დამუშავებაში, არა საკმარის განოყიერებაში, მეურნეობის ტექნიკის უძრავობაში და სხვ.<sup>2)</sup>“.

კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია სოფლის მეურნეობის მიმართ, ამგვარად, მდგომარეობს ერთის მხრივ წერილ შწარმოებელთა პირდაპირ ექსპროპრიაციაში, ან კიდევ მათ გაძლიერებულ ექსპლოატაციაში მათი ცხოვრების პირობების პროგრესიული გაუარესებით, როდესაც „დამოუკიდებელ“ წერილი მეურნის შემოსავალი არ აღემატება (და ბევრ შემთხვევაში კიდევ ჩამორჩება) ყველაზე ნაკლებ კვალიფიციური მუშის სამუშაო ქირას. კაპიტალისტური მრეწველობა და მსხვილი სამიწადნობედო მეურნეობა უძიმოეს ტვირთად აწევს წერილ გლეხურ წარმოებას და ამით აიხსნება, რომ წერილი შწარმოებელი გამუყარებით ებრძვის კაპიტალიზმს, სწარმოებს მწვავე კლასიური ბრძოლა სოფლის პროლეტარიატსა და შწარმედ გლეხობას შორის ერთის მხრივ და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს შორის მეორეს მხრივ.

წერილი წარმოების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა მისი დაქსაქსულობით აიხსნება. ამ დაქსაქსულობიდან გამომდინარეობს შრომის მცირე ნაყოფიერება წერილ გლეხურ მეურნეობებში, გაუმჯობესებელი ტექნიკის გამოყენების სირთულე ან ზოგან ამის სრული შეუძლებლობა, მსხვილი მეურნეობის და საერთოდ კაპიტალის მიმართ დამორჩილებული მდგომარეობა და ყოველივე ამის გამო ცხოვრების მეტად დაბალი დონე. კაპიტალი ყველფს სოფლად არა მარტო საკეთარ მიწებიდან აყრილ, გაპროლეტარებულ ყოფილ წერილ შწარმოებლებს, მათი დაქირავებულ მუშებთან გადატყვევით, არამედ კიდევ უფრო მეტად წერილ „დამოუკიდებელ“ მეურნეთ და იმითომ სთქვა მარქსმა, რომ კაპიტალი მიწადნობედებაში აბატონებს ნამდვილ სეცურ ექსპლოატაციას.

კაპიტალის გაძლიერება სოფლის მეურნეობაში, იწვევს წერილ შწარმოებელთა კაპიტალისტურ დაფერენციაციას, ე. ი. წერილ შწარმოებელთა რიგების თანდათანობით შემცირებას ორი უკიდურესი პოლიუსის ზრდის პირობებში. საშუალო გლეხთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა ჰყარგაეს წარმოების საშუალებებს, ხოლო მისი თითო-ოროლა ელემენტები მალე იწვევენ და შეძლებულთა კატეგორიის ემატებიან. კაპიტალიზმის საერთო კანონი მდგომარეობს საწარმოო საშუალებათა განცალკევებაში უშუალო შწარმოებელთაგან და პირველის წეორისადმი დაპირდაპირებაში. ეს პროცესი — მიწის, როგორც წარმოების ძირითადი ელემენტის განცალკევება უშუალო შწარმოებლისაგან — მარქსის

<sup>1)</sup> ლენინმა ეს დებულება ვერ გაიგო აშ. ვარგამ, რომელმაც გამოათრია რევიზიონისტების და მაროღნიკების არქვიდან დაბავსებელი არგუმენტები წერილი წარმოების ცხოველწყოფელობის დაამტკიცებლად.

<sup>2)</sup> იმ. ლენინი. ტ. XVII. გვ. 618.

თქმით—არის წარმოების კაპიტალისტური წესის უდიდესი, <sup>საინტერესოა</sup> და კაპიტალიზმის როლი მიწადმოქმედებაში ამ საწარმოო ურთიერთობათა განმტკიცებაში და გაფართოებაში მდგომარეობს.

„მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს—ამბობს ლენინი—საერთოდ არ არსებობს არა კაპიტალისტური მიწადმოქმედება, რომელიც სავსებით განისაზღვრება წარმოების ორგანიზაციის საერთო პირობებით, და მხოლოდ მის ფარგლებში უნდა გაეარჩიოთ ჩვენ მსხვილი, წაოწყებითი და წვრილი მიწადმოქმედება.“<sup>1)</sup> ლენინი ანგვარად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოველი სანიწადმოქმედლო წარმოება ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობათა პირობებში, კაპიტალისტურია, რომ არა კაპიტალისტური მიწადმოქმედება არ შეიძლება იქნეს (ეს კი იმას ნიშნავს, რომ განუწყვეტლივ მიმდინარეობს მიწადმოქმედების კაპიტალისტური პროცესი) საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სულ უფრო მეტი განცალკევება უშუალო მწარმოებელთაგან და ამ პროცესის საფუძველზე, ე. ი. მწარმოებელთა და საწარმოო საშუალებათა განცალკევების და მათი ერთმანეთისადმი დაპირდაპირების პირობებში ძლიერდება კაპიტალის მიერ წვრილ მწარმოებელთა ექსპლოატაცია. მიწის, როგორც სამიწადმოქმედლო წარმოების უმთავრესი პირობის—სოფლის მეურნეობის განცალკევება „ორ ფორმაში გამოიხატება: საიჯარო სისტემაში და საიმპოტეკო დავალიანებაში. საიჯარო სისტემა რომელიც ასე სრულად განვითარდა ინგლისში, და საიმპოტეკო სისტემა, რომელიც განსაკვიფრებელი სისწრაფით ვითარდება მთელს ევროპაში, გამოხატავს არსებითად ერთსა და იმავე პროცესს:—სოფლის მეურნის მიწისაგან განცალკევების პროცესს.“<sup>2)</sup>

წვრილ გლეხურ მეურნეობის გამანადგურებლად კაპიტალიზმის დროს ითვლება განსაკუთრებით საიჯარო სისტემა. მცირე მიწების მქონე გლეხებს მეტად არახელსაყრელ პირობებში უსდებათ ნემაფულეთა მიწების იჯარით აღება, რადგან საიჯარო ქირა, რომელსაც წვრილი მოიჯარადრე უხდის მიწადმფლობელს, ხშირად აღემატება საიჯარო მიწიდან მიღებულ წმინდა შემოსავალს „გლეხური მეურნეობის მრავალი საეროზო გამოკვლევებით და აგრეთვე აღარებელ სპეციალურ ლიტერატურულ მითითებებით მტკიცდება, რომ რევოლიუციამდე რუსეთში მიწის წმინდა შემოსავალი 20—30% ნაკლები იყო იმ საიჯარო ქირაზე, რომელსაც გლეხები ფაქტიურად უხდიდნენ მიწადმფლობელებს.“<sup>3)</sup> ყოფილ რუსეთში წვრილი მწარმოებლები ამ მხიშე უღლიდან ოქტომბრის რევოლიუციამ განათავისუფლა. მსხვილი მიწადმფლობელობის მოსპობით და მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებით ოქტომბრის რევოლიუციამ იხსნა გლეხები მხიშე საიჯარო ქირისაგან, რომლის რაოდენობა წლიურად 500 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

<sup>1)</sup> იხ. ლენინი—ტ. II გვ. 436.

<sup>2)</sup> იხ. ლენინი—ტ. II გვ. 457, 458.

<sup>3)</sup> იხ. „Аграрная революция“ ტ. II. გამოც. კომუნ. აკადემიის, გვ. 57.

რამდენად ხელსაყრელია მიწადმფლობელისათვის მიწის გლეხობით გაყვამ წერილ გლეხებზე, იმდენად აუტანელია ის წერილი მოიჯარადრისთვის, რადგან იჯარა წარმოადგენს მიწადმფლობელის ხელში წერილ გლეხურ მეურნეობათა ექსპლოატაციის მეტად მძაფრ იარაღს, მშრომელი გლეხის ზედმეტი შრომის მოთვისების საუკეთესო საშუალებას. წერილი მწარმოებელი, მარქსის თქმით, მიწის იჯარით იღებს არა იმიტომ, რომ მიიღოს მოგება, არამედ იმისათვის, რათა მოიპოვოს საარსებო მინიმუმი, პროდუქტთა აუცილებელი რაოდენობა თავის და ოჯახის გამოსაკვებად. ეს საარსებო მინიმუმი კი იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია კონკურენცია მოიჯარადრეთა შორის, რამდენად მეტია მოთხოვნილება მიწაზე, და რადგან მიწადმფლობელობის მონოპოლიის პირობებში მიწაზე დიდია საერთოდ მოთხოვნილება, დასამუშაებლად ვარგისი მიწა კი უკვე დატაცებულია, ამიტომ წერილი მოიჯარადრის მინიმუმი იმდენად დაბლა იწევს, რომ ის უმრავლეს შემთხვევაში ყველაზე ნაკლებ კვალიფიციური მუშის ხელფასზე მცირეა. საიჯარო ქირის სახით მიწადმფლობელი იღებს არა მარტო რენტას (კერძო საკუთრების უფლების მეობებით), არამედ მთელ მოგებას და სამუშაო ხელფასის საკმაო ნაწილსაც კი, იმ სამუშაო ხელფასის, რომელსაც უკლებლივ მიიღებდა წერილი მწარმოებელი, რომ ემუშავა, როგორც დაჭირავებულ მუშას რომელიმე მსხვილ ფერმაში. „ჩვეულებრივ—ამბობს ლენინი— გლეხი აძლევს კაპიტალისტურ საზოგადოებას, ე. ი. კაპიტალისტთა კლასს, სამუშაო ხელფასის ნაწილს, ეშვება რა „ირლანდიელ მოიჯარადრის დონემდე“—თუმცა გარეგნულად ინარჩუნებს კერძო მესაკუთრის სახეს.“<sup>1)</sup> კალუკი „აგარარულ საკითხში“ მრავალი მაგალითებით ამტკიცებს, რომ კაპიტალისტის გლეხების აყრა საკუთარ მიწებიდან და მათი უშუალო ექსპლოატაციის დაწყება მრავალ შემთხვევაში არ არის ხელსაყრელი, რადგან ის იძულებული იქნება დაჭირავოს მუშები და მისცეს მათ გარკვეული ხელფასი, რომელიც საცხოვრებელ მინიმუმს შაინც უდრის, მისცეს ბინა მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში, გაუწიოს ანგარიში დაჭირავებულ მუშის სამუშაო დღის ხანგრძლივობას და სხვას. მაშინ როდესაც წერილი მწარმოებელი მეტად ცუდი პირობებითაც კმაყოფილდება, მიწის უშუალო ექსპლოატაციას კაპიტალი განსაკუთრებით გაუბრძის, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასები ეცემა და სამიწადმოქმედო წარმოება ძალზე არარენტაბელური ხდება. ამას აქვს ადგილი სასოფლო-სამეურნეო კრიზისის დროს.

„ევროპის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში—სწერდა პლენაროვი ენგელსის ზემოთ დასახელებულ წიგნის წინასიტყვაობაში—სასოფლო-სამეურნეო კრიზისმა საერთაშორისო კაპიტალიზმის ზრდის გამო, გამოიწვია მიწის შემოსავლიანობის შემცირება და როგორც ეს თავისთავად იგულისხმება, მიწის ფასეულობის დაცემაც. ამის გამო, კაპიტალისტებისთვის ისიც გამონაკლისით,—არ არის ხელსაყრელი მიწის გამოტაცება გლეხების ხელიდან და მისი უშუალო ექსპლოატაციის დაწყება. კაპიტალი, მეტ წილად უმჯობესად აჭახრავს თავის საქმეს,

<sup>1)</sup> იხ. ლენინი. „Кара Маркс“.

## ეკონომიკა

როდესაც მიწის სტრუქტურებს წვრილი მწარმოებლის ხელში, მაგრამ სამსახურით ტყავს აძრობს მას. ამის გამო ორიდან ერთ-ერთი გამოშინდინარეობს: ან ნელდება გლეხის ექსპროპრიაციის პროცესი, ან ის კარგავს თავის საკუთრებას მიწაზე კაპიტალისტის სასარგებლოდ, მაგრამ განაგრძობს მის დამუშავებას როგორც მოიჯარადრე. ამ უკანასკნელ შემთხვევას ჩვენ ვამჩნევთ ბელგიაში და პოლონეთში სადაც წვრილ მოიჯარადრეთა რიცხვი არაჩვეულებრივ სწრაფად იზრდება იმ გლეხების რიცხვთან შედარებით, რომელნიც საერთო მიწებს ამუშავებენ<sup>1)</sup>.

მრავალი მოულოდნელი გაჭირვება (მოუსაველობა, პურზე ფასების დაცემა, შინაური საქონლის დახოცვა, ოჯახის წევრთა ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივი ავადმყოფობა ან გარდაცვალება, აგრეთვე სახელმწიფო გადასახადები და სხვა) აიძულებს წვრილ-მწარმოებელს ეძიოს გამოსავალი საბოლოო დაღუპვისაგან. ამას ის აღწევს თავისი უძრავი ქონების ე. წ. საიპოტეკო ბანკებში დაგირავებით ან შევამშისაგან სესხის აღებით. საიპოტეკო დევალიანება და განსაკუთრებით მევახშეობა წვრილ მწარმოების გამანადგურებელია. მევახშეობა მით უფრო ნძიბე ტვირთად აწეება წვრილ გლეხურ მეურნეობას, რამდენადაც მეტია ამა თუ იმ ქვეყანაში წინა კაპიტალისტური ნაშთები. რამდენად საგრძნობია მიწადმოქმედებაში „მწარმოების ახიური ფორმები“. ამით იბსნება, რომ ჩინეთის გლეხები დღემდე უხდიან მევახშეებს აღებულ სესხებში 150 პროცენტამდე წლიურად.

„მევახშეობა—ამბობს ნარქსი—პირველ ყოვლისა წარმოადგენს ფეოდალური სიმდიდრის და საკუთრების დამგრეველს. მეორეს მხრივ ის წვრილ-პურეუბილურ, წვრილ-გლეხურ მწარმოების გამანადგურებელიცაა; მოკლეთ: ყველა იმ ფორმების გამანადგურებელია, რომელთა მეოხებით მწარმოებელი ჯერ კიდევ წარმოადგენს თავის საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს. მევახშეობა ისაკუთრებს არა მარტო ზედმეტი შრომის იმ ნაწილს, რომელიც იმყოფება თვით ყმა-გლეხის განკარგულებაში, ან მთელ ზედმეტ შრომას, სადაც მას აქვს საქმე თავისუფალ გლეხებთან; ის ისაკუთრებს მწარმოების იარაღებს, რომელთა ნომინალურ მესაკუთრედ გამოდის გლეხი; ის ამ იარაღებს თვით მწარმოებაში ისე ეპყრობა, როგორც მესაკუთრე. მევახშეობა ეყრდნობა ამ საფუძველს, მწარმოების ამ წესს; ის არ ცვლის მას, არამედ როგორც პარაზიტი აზის და უბადრუც მდგომარეობამდე დაყავს ის. მევახშეობა სისხლს სწოვს წვრილ გლეხურ მწარმოებას და იმდენად გამოფიტავს, რომ რეპროდუქცია სულ უფრო და უფრო საშინელ პირობებში სწარმოებს<sup>2)</sup>“.

ყოველივე ამის გამო წვრილ მწარმოებელს არ შეუძლია მტკიცედ იგრძნოს თავი საკუთარ მიწის ნაჭერზე, მისი მდგომარეობის გაუარესება და მწარმოების საშუალებათა დაკარგვა დამოკიდებულია სრულიად უბრალო, უმნიშვნელო შემთხვევაზე, მისი მდგომარეობა, როგორც იტყვიან „ბეწზე ჭიდიდა“.

<sup>1)</sup> იხ. პლუხანოვის წინასიტყვაობა ენველსის წიგნისადმი „Крестьянский вопрос во Франции и Германии“, გვ. 8—9.

<sup>2)</sup> იხ. მარქსი, „Теория прибавочной ценности“, ტ. III, გვ. 404, 405.

„წერილ შწარმოებელთათვის წარმოების პირობათა შეფარდებულად და-  
კარგვა ათასგვარ შემთხვევაზეა დამოკიდებული, და თვითეული ასეთი შემთხვევა  
ან დანაკლისი გაღატაკების უღრის და წარმოადგენს ისეთ მომენტს, როდესაც  
ადვილად შეიძლება ხელთ ჩაუვარდეს ის პარაზიტ მევახშეს. საკმაოა, რათა  
წერილ გლეხს ძროხა შოუკედეს და მას უკვე არ ძალუძს ხელახლა დაიწყოს  
თავისი რეპროდუქცია ძველი რაოდენობით. მაშასადამე, ის ხელში უვარდება  
მევახშეს და ჩავარდა რა ერთხელ მის ხელში, არასოდეს არ შეუძლია უკვე მის-  
გან თავის დაღწევა“<sup>1)</sup>.

1917 წლამდე რუსეთში და საქართველოში კი 1921 წლამდე, წერილი  
გლეხები აუტანელ გაჭირებაში იმყოფებოდნენ იჯარის მძიმე პირობების, საი-  
პოტეკო დავალიანებისა და მეტად გავრცელებულ მევახშობისაგან. ოქტომბრის  
რევოლუციამ იხსნა წერილი შწარმოებელი ამ მძიმე ვალდებულებათაგან. ამა  
თუ იმ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის პირველი ნაბიჯი უნდა იქნეს  
მიწაზე ყრძო საკუთრების გაუქმებასთან ერთად წერილი გლეხების განთავი-  
სუფლება საიპოტეკო დავალიანებისაგან და საიჯარო ქირისაგან. ყრძოთ ლე-  
ნინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა წერილ გლეხობის ამ გამანადგურებელ მოვ-  
ლენებს და ამით იხსნება რომ ის, როგორც სჩანს ეს ლენინის ინსტიტუტის  
მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებულ მასალიდან, ბავარიის ახლად დაარსებულ საბ-  
ჭოთა რესპუბლიკას ეკითხებოდა: „გ ა ა უ ქ მ ე თ თ უ ა რ ა ი პ ო ტ ე კ ა და  
ს ა ი ი ა რ ო ქ ი რ ა წ ე რ ი ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, გაუორკვეთ და გაუ-  
სამკვეთთ თუ არა ხელუფალი მოყვამაგირეებს და წაე შეშებს და სხვ.“<sup>2)</sup>

მიწადმოქმედების კაპიტალისტური განვითარების პირობებში წერილ შწარ-  
მოებელთა „საიპოტეკო დავალიანება უდიდესი სისწრაფით იზრდება და მიწად-  
მფლობელნი ცდილობენ მთელი თავისი მიწის დაგირავებას, ცდილობენ მთელი  
რენტის ვაყიდვას, რადგან საიპოტეკო ვალების პროცენტები საესეებით ნთქავენ  
რენტას“ და ამიტომ, „თუ მაგალითად, გლეხმა დააგირავა მთელი თავისი მიწა,  
მან უნდა მოიპოვოს რენტაც, რომელიც ვაყიდულია კრედიტორზე“<sup>3)</sup>, საიპო-  
ტეკო ბანკებიდან თავის დახსნას წერილი შწარმოებელი უმრავლეს შემთხვევაში  
ვერ ახერხებს, კაპიტალი სულ უფრო და უფრო მეტად ავიწროვებს მას და  
აქედან წარმოსდგება წერილი წარმოების ის „მონური“ არსებობა“, რომელზე-  
დაც არა ერთხელ მიუთითებიათ მარქსს და ენგელსს. ის გარემოება, რომ წერი-  
ლი შწარმოებელი ფლობს წარმოების საშუალებებს—რომ ის მესაკუთრეა, არსე-  
ბითად არასფერს არ ცვლის და მისი ცხოვრების დანე უფრო დაბალია, ვიდ-  
რე პროლეტარის. საკუთარი კარმიდამო, პარცელა მას არაფერს არ აძლევს.

<sup>1)</sup> იხ. მარქსი, „ჩანაწარ“, ტ. III, ნაწ. II, გვ. 130—140.

<sup>2)</sup> იხ. ლენინი, ტ. II, გვ. 437—444.

საიპოტეკო დავალიანება უმძიმეს ტვირთად აწევს წერილ წარმოებას ხველა კაპიტალი-  
სტურ ქვეყნებში. მაგ. „წერილზედ შეტატებში ფერმები დავალიანდენ 1927 წელს 15 მილიარ-  
დამდე დოლარით. ფერმერთა საერთო რიცხვიდან 57 პროცენტმა დააგირავა თავიანთი მიწები  
ბანკებში. ბანკები ეწირად იძულებულნი არიან „უმობილიად“ მოეპყრან თავიანთ კლდეტებს,  
რათა საესეებით არ დაჰკარგონ ფერმერებზე გასცხებული თანხები“ (Г. Гордеев, „Основн. про-  
блеми сельскохоз. экономики“, გვ. 373).

## ერქნეული

პირიქით პარცელა—მარქსის თქმით—ზოლოდ საბაბია, რომელმაც სახელმწიფოებრივად აძლევს კაპიტალისტს მიწიდან მოგების, პროცენტის და რენტას შილები-სათვის.

„თანამედროვე პირობებში—ამბობდა მარქსი ჯერ კიდევ 80 წლის წინად—საფრანგეთის გლეხს ღუპავს სწორედ მისი პარცელა. მიწადმფლობელობის უაღრესი დაქუცმაცება, საკუთრების ის ფორმა, რომელიც ნაპოლეონმა განამტკიცა საფრანგეთში. თანამედროვე სოფლის უბედურების წყაროთ ითვლება სწორედ ის მატერიალური პირობები, რომელთაც ოდესღაც საფრანგეთის ფეოდალური გლეხი გადააქციეს წვრილ მიწადმფლობელად, ხოლო ნაპოლეონი იმპერატორათ. პარცელა, რომელიც ვითომდა გლეხს ეკუთვნის, აძლევს მთელ თავის მოგებას, პროცენტებს და რენტას კაპიტალისტს, ხოლო თვით მიწადმოქმედი ძლივს-ძლივობით, გაწვავებით აგროვებს სამუშაო ხელფასს. პარცელიალურმა საკუთრებამ კაპიტალისაგან ამ წონური დამოკიდებულების პირობებში, რომელშიაც ის აუცილებლად მიყავს ისტორიულ განვითარებას, გადააქცია საფრანგეთის ერის უმრავლესობა რაღაც ტროგლოდიტებათ (გამოქცეხულის მობინადრებათ დ. გ.). თექვსმეტი მილიონი გლეხი (ქალების და ბავშვების ჩათვლით) ცხოვრობენ ქობანებში, რომელთაგან უმრავლესობას მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს, ზოგიერთს ორი და ყველაზე სასჯეთისოს—სამი... ბურჟუაზიული წესწყობილება იქცა ვამპირათ, რომელიც სისხლსა და ტვინს სწოვს გლეხებს“<sup>1</sup>).

ორმოცი წლის შემდეგაც საფრანგეთი დარჩა პარცელიარულ სოფლის მეურნეობის ქვეყნად, სადაც წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობა ისევე აუტანელია, როგორც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. დღესაც საფრანგეთში პარცელიარულ მეურნეობათა რიცხვი 80 პროცენტზე მეტს შეადგენს და არა თუ საფრანგეთში, არამედ თვით ისეთ ქვეყანაში, როგორაც ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც ევროპის ქვეყნებთან შედარებით სოფლის მეურნეობის განვითარების უმჯობესი პირობები არსებობდა<sup>2</sup>) წვრილ მწარმოებელთა

<sup>1</sup> იხ. მარქსი, *Восемнадцатое Британя Луи Бонапарта*. გვ. 110—113.

<sup>2</sup>) „უბრუნება პირობები“ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა შეერთებულ შტატებში, უნდა გაეფიქროს ის, როგორც ეს ამხ. ლენინს ესმოდა, ლენინი, არცვცადა რა (1900 წლებში) რუსეთის სასოფლო-სამეურნეობის კაპიტალიზაციის თავისებურ პირობებს, ასახელებდა აგრარული კაპიტალიზმის ორ გზას. პირველი გზა, ამხ. ლენინის თქმით, არის პარცელიარული, აგრარული კაპიტალიზმის ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი, როდესაც დატიფუნდები რბება და თანდათანობით იქცევა კაპიტალისტური მეურნეობის საფეხლად. მდგომარეობის ბატონ-მატრონი არის იტალია. ახალი წლების განმავლობაში შენარჩუნებულია მისი პოლიტიკური უპირატესობა და გლეხის დამცობა, სიღატაკე და სიბნელე. საწარმოო ძალთა განვითარება მეტად ნელა მიმდინარეობს... ამერიკაში კი, პირიქით, კაპიტალისტური მიწადმოქმედების საფუძველი შეიქნა არა ძველი მიწათმფლობელური მეურნეობა მსხვილი მემამულეების (სამოქალაქო ომმა დაამარცხა მიწადმფლობელური კონომიები), არამედ თავისუფალ ფერმერის თავისუფალი მეურნეობა თავისუფალ მიწაზე, თავისუფალი ყოველგვარ საუკუნობრივ შემოხრეულ გარემოებათაგან, ფეოდალიზმისაგან, ერთის მხრივ და მიწაზე კერძო საფუძრებით მოხაკეველ პირობებისაგან შორეს მხრივ. მიწებს აოთხებენ ამერიკაში მიწის უფიფეს მარაგიდან ნომინა-

მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ფერმერთა მნიშვნელოვანი მწიკში ან საესეებით სწყვეტს ჯანაშის სოფლის მეურნეობასთან, ან მოიჯარადადრეობს იქ-ცევა. „მე-19 საუკ. უკანასკნელ წლებიდან—სწერს რ. ლიუქსემბურგი—მოიჯარადრეობა რაოდენობა ფერმერთა შორის უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ფერმერთა რიცხვი. შემდეგი ტაბულა გვიჩვენებს მოიჯარადრეობა პროცენტულ შეფარდებას ფერმერთა საერთო რაოდენობასთან შეერთებულ შტატებში სხვადასხვა წლებში:

1880	წ.	25,5%
1890	„	24,4%
1900	„	35,3%
1910	„	37,2%

მიუხედავად იმისა, რომ მიწის პროდუქტებზე ფასები გაიზარდა, ფერმების მფლობელნი მაინც სულ და უფრო მეტად უთმობენ ადგილს მოიჯარადრეობს. მაგრამ ეს მოიჯარადრენი, რომელნიც შეადგენენებლა შტატების ყველა ფერმერთა ერთ მესამედზე ბევრად მეტს, წარმოადგენენ ჩრდილო ამერიკაში მოსახლეობის ფენას, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ჩვენს, ევროპიულ მუშაიდან. ესენი კაპიტალის ნამდვილი დაქირავებული მოწეპია, მუდმივ მოძრავი ელემენტი, რომელიც ძალთა უაღრესი დაქიშვიით ჰქმნის კაპიტალისათვის სიმდიდრეს, ხოლო თავისთვის ყველაზე უბადრუკ და მგრძევი არსებობის პირობებს<sup>1)</sup>.

ჩრდილო ამერ. შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესმა ომის შემდეგ, ამერიკის სახალხო მეურნეობის ე. წ. „აყვავების“ („პროსპერიტის“) პერიოდში ფერმერთა რიცხვი კიდევ უფრო მეტად შეამცირა. წერილ საქონლის მწარმოებელთა განადგურება ჩრდილო ამერიკაში დააჩქარა კაპიტალის გაძლიერებულმა შეჭრამ სოფლის მეურნეობაში და მრეწველობის მიერ გასაღების ბაზრების ძებნამ. როზა ლიუქსემბურგის ზემოთაღნიშნულ აზრის დასადასტურებლად და გნსავითარებლად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობები ფერმერთა მეურნეობის დაცემის შესახებ, რომელიც აქვს მოხსენებული ანხ. გ. საფაროუს ცნობილ ბუვერის კომიტეტის ნაშრომთა პირველ ტომისათვის გაკეთებულ წინასიტყვაობაში.

ლურ ფასებში და მხოლოდ ახალ, სრულად კაპიტალისტურ საფუძველზე განვითარდა იქ ესლა მიწაზე კერძო საფუძრება.

ეს არის ამერიკული ტიპი აგრარული კაპიტალიზმისა, საჭარბოო ძალთა გველაზე სწრაფი განვითარება იმ პირობებში, რომელნიც ხალხთა მასებისათვის ყველაზე უფრო მელსაყრდელია კაპიტალიზმის დროს შესაძლებელ პირობებისაგან“ (ლენინი, ტ. XII, გვ. 269, 278).

1) იხ. P. Lohseburg „Накопление Капитала“ ტ. I და II, გვ. 425-426. ხაზი ჩვენია დ. გ.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შეერთებულ შტატებს წერილი წარმოების მდგომარეობის დანახათებისას, რადგან, რადგან ანხ. ლენინი აშბობს, „მიწადმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების საერთო კანონების და ამ კანონების გამოკლინების მრავალგვარ ფორმების შესწავლა ყველაზე მთსახერხებელია შეერთებულ შტატების მაგალითზე“. იხ. ლენინი, ტ. XVII, გვ. 575.

ამს. საფაროეს მოყავს ამერიკელ ეკონომისტის ედვინ უიტიმონსონის შრომა იმის შესახებ, რომ ამერიკის კაპიტალიზმის „აქტიუზმის“ წყარო ფერმერთა გალატაკებას ემყარებოდა.<sup>1)</sup> დაბალი ფასებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ანაზღაურებული იქნა „აყვავებულ“ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ბუვერის კომიტეტის ანგარიშიდან ჩვენ ვეყობილობთ სასოფლო მხარეებში ვაჭრობის არაწვეულებრივ ვაერცელებას მონოპოლისტთა ფილიალების მეუხებით. ეს პირდაპირი მიჩვენებელია კაპიტალისტური ბაზრის გაფართოებისა, წერილ საქონლის მწარმოებელთა განადგურების, ექსპროპრიაციისა ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის კონცენტრაციისა. შემდეგი ტაბულა, რომელიც ამს. საფაროეს წინასიტყვაობაშია მოყვანილი, ადასტურებს ფერმერთა რაოდენობის საგრძნობ შემცირებას ჩრდილო-ამერიკის შვერთებულ შტატებში.

პროცენტი ყველა ფერმერებისა, რომელნიც იყვენენ მეურნეობათა სრული მეპატრონენი, ნაწილობრივი მეპატრონენი და მმართველნი.

	1900 წ.	1910 წ.	1920 წ.	1925 წ.
ჩრდილოეთ დაკატში (შტატში) . . . . .	91,5	85,7	74,4	65,6
სამხრეთი „ . . . . .	78,2	73,2	65,1	58,5
ოკლაჰომეში . . . . .	56,2	45,2	49,0	41,4
ტექსასში . . . . .	50,3	47,4	46,7	39,6
მონტანში . . . . .	90,8	91,1	88,7	78,1

ეს, ყველაზე უფრო დამახასიათებელი სასოფლო სამეურნეო შტატები გვიჩვენებენ, თუ როგორ სწრაფად მიმდინარეობდა ჩრდილოეთ ამერიკაში პროცესი საწარმოო საშუალებათა განკალკეებისა უშუალო მწარმოებელთაგან<sup>2)</sup>.

ფერმერების საკმაო ნაწილი სრულიად სტოვებს სოფელსა და ქალაქად მიეშვრება. ფერმერთა რიცხვი მცირდება არა მარტო აბსოლუტურად, არამედ შედარებითაც ჩრდილო-ამერიკის შვერთებულ შტატების მიერ დანარჩენ მო-

<sup>1)</sup> ამ სტატის წერის დროს არ იყო გამოქვეყნებული რუსულად ბუვერის კომისიის ანგარიშის მეორე ტომი, სადაც ნორსის წერილია მოთავსებული — დ. გ.

<sup>2)</sup> „Новейшие изменения в экономике Соединенных Штатов“, ტ. I, გვ. XV.

სახელობის საერთო მასაში, ეკემა ფერმერების ინვენტარის და მუშა-საქონლის ღირებულება. ამას ამტკიცებს შემდეგი ტაბულა<sup>1)</sup>.

	1900 წ.	1910 წ.	1920 წ.	1925 წ.
	(ათასობით).			
შეერთებულ შტატების მოსახლეობა . . . . .	75,994	91,272	105,711	115,378
ფერმერები ოჯახებით . . . . .	—	—	31,614	28,982
ფერმერების % მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით . . . . .	—	—	29,9	25,1
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ღირებულება (უმრ. ქონების გარეშე) . . . . .	—	—	3,584,000	2,691,000
საქონლის ღირებულება . . . . .	—	4,925,000	8,013,000	4,858,000

ამ ცნობებიდან აშკარაა, რომ წვრილი ფერმერული მეურნეობა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში თანდათანობით მცირდება რიცხვობრივად და ეკემა ფერმერის ეკონომიური კეთილდღეობა. გალატაკებულ ფერმერთა მილიონიანი მასები ქალაქებში მიეშურებიან, სადაც აღიღებენ უმუშევართა ისედაც მრავალრიცხოვან არმიას.

ფერმერების მიერ სოფლის დაცოცება და ქალაქებში თავმოყრა ნათელია შემდეგი ცნობებით<sup>2)</sup> 1910 წელს ჩრდილო ამერიკაში სოფლად ითვლებოდა 31,4 მილიონი კაცი, 1920 წ.—31,0 მილიონი, 1921 წ.—30,6 მილ., 1922 წ.—30,2 მილ., 1923 წ.—29,8 მილ., 1924 წ.—29,4 მილ., 1925 წ.—28,9 მილ., 1926 წ.—28,5 მილ. და 1927 წ.—27,8 მილიონი კაცი.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება მაინც იმის თქმა, რომ თვით იმავე შეერთებულ შტატებში მოსალოდნელი იყოს წვრილი ფერმერების სრული წიხპობა. ასეთი დასკვნის გამოტანა ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის მიმართაც კი შემტდარი იქნებოდა, რადგან როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ვიდრე არსებობს წარმოების კაპიტალისტური წესი, წვრილი წარმოების გაქრობა შეუძლებელია. ეს გამოწვეულია თვით კაპიტალის ინტერესებით. მეორეს მხრივ, წვრილი წარმოების „შენარჩუნება“ გამოწვეულია იმით, რომ წვრილი საქონლის მწარმოებელი მიჯაჭვული მიწის საკუთარ ნაკვეთზე, საკუთარ კარმიდამოზე, უზომო შრომას ეწევა, მეტად მცირე საარსებო მინიმუმით კმაყოფილდება იმისათვის, რათა შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალური მეურნეობა.

<sup>1)</sup> ტაბულა მოყვანილია ნაშ. „მკ. ჯ.“, 19 თებერვლის ნაშერში მოთავსებულ ე. ბ. წერილადან „Роль фермера в хозяйственном кризисе Соединенных Штатов“.

<sup>2)</sup> „Agrariane проблемы“, 1929 წ. წიგ. II, გვ. 16.

## ერქინეული

„რა აჯაქვავდა, აჯაქვავს და მიაჯაქვავს მომავალშიც დამსგულქმ მწერობაში წვრილ გლეხს მის წვრილ საქონლურ მეურნეობისადმი?—აყენებს საკითხს აშხ. სტალინი—პირველყოფლისა და უმთავრესად მიწის საკუთარი ნაკვეთი, მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა. ის წლობით აგროვებდა ფულს იმისათვის, რათა ეყიდა მიწის ეს ნაკვეთი, ის მან იყიდა და გასაგებია, რომ არ სურს მასზე ხელის აღება. ის ანჯობინებს ყოველგვარი გაქირებებს გადატანის, ამჯობინებს გაველურებას, ოღონდ კი შეინარჩუნოს თავისი მიწის ნაკვეთი—მისი ინდივიდუალური მეურნეობის საფუძველი.“<sup>1)</sup>

მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში წვრილ მწარმოებელს მეტად ძვირად უჯდება საკუთარი, ინდივიდუალური მეურნეობის შენარჩუნება. ის იძულებულია უარი სთქვას მთელ რიგ არსებით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. წვრილი მწარმოებელი, შებოჭილი კერძო საკუთრების „მომჯადოებელი“ ძალით, უმნიშვნელო ხელფასით კმაყოფილდება და ბევრად უფრო იყვლიფება, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნების და თვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტარიატი. „პარკელიარული გლეხისათვის—ამბობს მარქსი—ექსპლოატაციის სახლვარს არ წარმოადგენს არც სამუშაო მოგება კაპიტალზე ერთის შირივ, რამდენადაც ის თვით წარმოადგენს წვრილ კაპიტალისტს, არც რენტის მიღების აუცილებლობა, მეორეს მხრივ, რამდენადაც ის თვით წარმოადგენს მიწის შესაკუთრეს. ამსოლუტურ სახლვარს მისთვის, როგორც წვრილი კაპიტალისტისათვის წარმოადგენს სამუშაო ხელფასი, რომელსაც ის საკუთრივ ხარჯების გამოკლებით, თვითვე უბდის თავის თავს. ვიდრე პროდუქტის ფასი ფარავს მის სამუშაო ხელფასს, ის დამამუშავებს საკუთარ მიწას, თუმცა ხშირად ეშვება სამუშაო ხელფასის ფიზიკურ მინიმუმამდე.“<sup>2)</sup>

წვრილი მწარმოებელი თავის მეტად დაბალი საარსებო მინიმუმის მოსაპოებლად არა მარტო თვითონ მუშაობს, არამედ ამუშავებს მთელ ოჯახს (ცოლს, ბავშვებს) მისი სამუშაო დღე განუსაზღვრელია და, ამის მიუხედავად, ის მაინც სანახევროდ სიმშვილობს. არაა გასაკვირი ამიტომ, რომ „დამოუკიდებელი“ წვრილი მწარმოებელი შენატრის ფაბრიკა-ქარხნის მუშის მდგომარეობას და ამით აიხსნება, რომ კერძოდ ჩვენში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) წვრილი გლეხობა ხალისით მიისწრაფოდა სამუშაოს საძებნელად სანაპირო ქალაქებში, რკინის გზებზე, ჭიათურის მლაროებში და სხვაგან. მიუხედავად ამისა მისი საკმაო ნაწილი არ სწყყეტდა კავშირს სოფელთან, არ კარგავდა თავის მიწის ნაკვეთს, არ სურდა აყრა თავის ლატაკურ კარ-მიდამოდან, რომელსაც თუმცა მისთვის არაფერი არ მოჰქონდა, მაგრამ მაინც იყო მასზე მიჯაჭვული, რადგან, „ის მან იყიდა და გასაგებია, რომ არ სურს მასზე ხელის აღება“.

საკუთარი შრომის „დაუფასებლობა“, „თვითექსპლოატაცია“ „დამახსიათებელია საერთოდ წვრილი საქონლურ მეურნეობისათვის. „რამდენადაც გლეხი აწარ-

<sup>1)</sup> იხ. აშხ. სტალინის სიტყვა აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტების კონფერენციასზე.

<sup>2)</sup> იხ. მარქსი, „Капитал“ ტ. III, ნაწ. II, გვ. 342.

მოებს ჯერ კიდევ ნატურალურ მეურნეობას—ამბობს ლენინი <sup>1)</sup>—  
 ლია შეუძლია „არ დააფასოს“ საკუთარი შრომა. მაგრამ კაპიტალისტურ საზო-  
 გადოებრივ პირობებში „არ დააფასოს“ საკუთარი შრომა ნიშნავს, მუქთაღ მის-  
 ცე შენი შრომა (ვაჭარს ან სხვა კაპიტალისტს), ეს იმას ნიშნავს, რომ იმუშაო  
 სამუშაო ძალის არა სრული ანაზღაურებით, ეს ნიშნავს მოთხოვნილებათა შემ-  
 ცირებას ნორმის ქვევით.“<sup>1)</sup>)

ამიტომ წერილი წარმოების არსებობა ისეთ ქვეყნებშიაც კი სადც სახალ-  
 ხო მეურნეობის კაპიტალისტურმა ორგანიზაციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია,  
 სწორედ ამ გარემოებით აიხსნება. წერილი მწარმოებელი ინარჩუნებს თავის სა-  
 კუთრებას დიდი მსხვერპლით, იმით, რომ „წერილი მწარმოებლები აღიდებენ  
 სამუშაო დღეს და ამცირებენ თავის მოთხოვნილებას“ (ლენინი) ქრონიკული სიმ-  
 შილით, რომელსაც წერილი წარმოება განიცდის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებ-  
 ში. ამიტომ სთქვა მარქსმა, რომ „მიწის წერილი საკუთრება ჰქმნის ველურთა  
 კლასს, რომელიც სანახევროდ საზოგადოების გარეშე სდგას, კლასს, რომელიც  
 აერთიანებს თავისთავში პირველყოფილ საზოგადოებრივ ფორმებს განათლებუ-  
 ლი ქვეყნების ყოველგვარი ტანჯვითა და მთელი სილატაკით.“<sup>2)</sup>)

წერილი წარმოების ე. წ. „სიმტკიცე“, მეურნეობის ამ ფორმის „ცხოველ-  
 მყოფელობა“ წარმოების კაპიტალისტური წესის დროს, რომლის აღიარებამდე  
 მივიდა სამწუხაროდ კომუნისტი ამხ. ვარგა, არის ნამდვილად მოჩვენებითი, ყალ-  
 ბი, მეტად პირობითი. „ერთად ერთი საშუალება, კაუციის თქმით, წერილი მწარ-  
 მოებლის მიერ საკუთარი მეურნეობის შენარჩუნებისა, არის ორი დღიური მუ-  
 შის შრომის გაწევა, ხოლო იმდენის დახარჯვა თავის თავზე, რამდენსაც ერთი  
 დღიური მუშა ხარჯავს. წერილი მწარმოებლის ბავშვები უფრო დატანჯულია  
 მუშაობით და უფრო ცუდადაა აღზრდილი, ვიდრე დღიური მუშის ბავშვები...  
 იქ, სადაც წერილი მწარმოებელი რჩება სასოფლო-მეურნეობის ნამდვილ მება-  
 ტრონეთ, იქ, სადაც ის გამოდის მსხვილი წარმოების მიმართ არა როგორც და-  
 ქირაეებული მუშა, არამედ როგორც კონკურენტი—ის ინარჩუნებს თავის არსე-  
 ბობას უჩვეულო შრომით და არასაკმარისი მოხმარებით, ის ინარჩუნებს არსე-  
 ბობას გაველეურებით, მარქსის თქმისა არ იყოს.“<sup>3)</sup>)

წერილი წარმოების მტერია კაპიტალი. „მისი მყვეფელი იგოვე კაპიტა-  
 ლია“ (მარქსი), კაპიტალი, რომელიც წერილ მწარმოებელთა პირდაპირი გაძარ-  
 ცვით, მანამდე დამოუკიდებელ წერილ გლეხობის ექსპროპრიაციით წარმოიშვა.  
 კოლონიალური სისტემა, სახელმწიფო ვალები, გადასახადები, პროტექციონიზმი,  
 საეაქრო ომები და სხვ. მარქსის თქმით იყო საშუალებანი წერილ მწარმოებელ-  
 თა განადგურებისათვის. წერილ მწარმოებელთა მოსპობა „ინდივიდუალურ და  
 დაქსაქსულ საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ-კონცენტრირულად,  
 მასსადამე, მრავალთა კარლიკურ საკუთრების გადაქცევა ზოგიერთთა გიგანტურ

<sup>1)</sup> იხ. ლენინი—ტ. II, გვ. 443.

<sup>2)</sup> იხ. მარქსი—„Капитал“ ტ. III, ნაწ. II, გვ. 350

<sup>3)</sup> იხ. კაუცი—„Аграрный вопрос“, გვ. 216



საკუთრებად, ხალხთა ფართო მასების მიწის, არსებობის საშუალებად, პრიაცი, ეს საშინელი და მძიმე ექსპროპრიაცია ხალხურ მასების წარმოადგენს კაპიტალის პროლოგს... დამოუკიდებელ მწარმოებელთა ექსპროპრიაცია სწარმოებს დაუნდობელი ვინდალიზმით, კაპიტალს ამოძრავებს ყველაზე უსიარცხილო, ბინძური, საზიზღარი და წერილმანი მიდრეკილებანი.<sup>1)</sup> მთელი თავისი არსებობის განმავლობაში კაპიტალი წერილი წარმოების განმანდგურებელ ძალიდ გვევლინება „ტენის და სისხლს წყოფდა“ წერილ საქონლის მწარმოებლებს და ასეთად დარჩა ის თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე, ე. წ. მონოპოლისტურ პერიოდში, როდესაც წერილი წარმოების ექსპლოატაცია პრეობრავენსკის სამართლიანი შენიშვნით, კიდევ უფრო მეტად ვაძლიერდა საბაჟო პოლიტიკისა და ტრესტების მონოპოლიურ ფასების გამო.

წერილ გლეხურ მწარმოებელთა ექსპლოატაცია აგრარული კაპიტალიზმის დროს სწარმოებს არა მარტო იჯარის, იმპოტყის და სახელმწიფო გადასახადების, არამედ არა ნაკლებ ფასების საშუალებითაც. კაპიტალისტური ქალაქი ითვისებს გლეხურ მეურნეობათა შრომითი ღირებულებას, ის ანვითარებს არა ექვივალენტობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საქონლურ ფასეულობათა გაცვლის პროცესში, როდესაც მწარმოებელ გლეხს არ უნაზღაურდება მისი შრომითი ღირებულება. ვაცვლა-გამოცვლას, ბაზარს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერილი საქონლის მწარმოებელთა მდგომარეობის გამოკვების დროს, რადგან ბაზარი (გაცვლის სფერო) სულ უფრო მეტად იმორჩილებს წერილ გლეხურ მეურნეობას. აშ. ლენინმა ნაროდნიკებთან კამათში<sup>1)</sup> საუკეთესოდ ცხადყო, რომ ბაზრის ძალა ძლიერდება იმის მიხედვით, რამდენადაც იშლება ნატურალური მეურნეობა და მკვიდრდება კაპიტალისტური საქონლის წარმოება, რამდენად წინ მიდის კაპიტალიზაციის პროცესი მიწადმოქმედებაში.

„თვით საშუალო გლეხის მეურნეობა—ამბობს ლენინი, რომ არაფერი ესთქვით შეძლებულ და გალატაებულ, ნახევრად პროლეტარულ გლეხურ მეურნეობებზე, არაწვეულებრივად არის დამორჩილებული ბაზრისადმი. ამიტომ ყოველგვარი მსჯელობა გლეხურ მეურნეობაზე, თუ გვერდს უვლით ბაზრის, ვაცვლის საქონლურ წარმოების ჭარბ და ვაძლიერებულ ჩოლოს, არსებითად შემცდარი იქნებოდა.“<sup>2)</sup>

ბაზრის ძლიერების ზრდა—ამგვარად, ნიშნავს წერილ საქონლის მწარმოებელთა სულ უფრო და უფრო მეტ დამორჩილებას ვაცვლის პროცესში კაპიტალის მიერ, გლეხობის ვაძლიერებულ ექსპლოატაციას. კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად წერილ საქონლის მწარმოებელთა შრომის მითვისება არა ექვივალენტურ ვაცვლის ვზით, თანდათანობით ძლიერდება. იმ პროცესს აქვს ადგილი არა მარტო ევროპაში, სადაც წერილ გლეხურ წარმოებას მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდებოდა თავიდანვე არსებობა (ლენინის თქმით—აგრარული კაპიტა-

<sup>1)</sup> იხ. მარტი, „Камитат“ ტ. I, გვ. 755.

<sup>2)</sup> იხ. ლენინი, ტ. III.

<sup>3)</sup> იხ. ლენინი, ტ. XII, გვ. 262.

ლიზმის პრუსიული ტიპის გამო), არამედ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებშიაც, კაპიტალისტური „კეთილდღეობის“ და „აყვავებულ“ მეურნეობის ქვეყანაში, როგორც ამას ამერიკის ბურჟუაზია იკვეხნის.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი სტიუარტ ჩეზი თავის წიგნში „პროსპერითი“<sup>1)</sup> ამბობს: „იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობამ ამერიკაში არ განიცადა აყვავება („პროსპერითი“), ჩვენ, ქალაქის მცხოვრებნი, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ მწლის განწავლობაში, ფერმერისაგან ვიღებთ პროდუქტებს ისეთ ფასებში, რომელიც თვითღირებულებაზე უფრო ნაკლებია. და ეს მაშინ, როდესაც მრეწველობის ნაწარმოებზე ფასები იზრდება და ამერიკა კვლავ რჩება ისეთ ქვეყნად, სადაც სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება მთელ მსოფლიოში ყველაზე მაღალია. თუ მაგ. 1914 წლის ფასებს, როგორც სოფლის მეურნეობის ისე მრეწველობის პროდუქტებზე მივიღებთ 100-ით, მაშინ გამოირკვევა, რომ 1920 წლიდან (რომელიც ამერიკის სახალხო მეურნეობის ე. წ. აყვავების დასაწყისად ითვლება) შეფარდება სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ფასების შორის არ არის ხელსაყრელი ფერმერისთვის და ადგილი აქვს თვალსაჩინო არა ექვივალენტობას.

ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე—1914 წ.—100, 1918 წ.—200, 1919 წ.—209, 1920 წ.—205, 1921 წ.—116, 1922 წ.—129, 1923 წ.—135, 1924 წ.—134, 1925 წ.—147, 1926 წ.—136 და 1927 წ.—131.

ფასები იმ სამრეწველო ნაწარმოებზე, რომელიც ფერმერს ესაქიროება, არაჩვეულებრივ იზრდება 1914—1920 წლამდე. 1920 წლიდან ფასები თუმცა კლებულობს სამრეწველო პროდუქტებზე, მაგრამ ბევრად უფრო ნაკლებ, ვიდრე სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა ფასები.

ფასები მრეწველობის პროდუქტებზე—1914 წ.—100, 1918 წ.—178, 1919 წ.—205, 1920 წ.—206, 1921 წ.—156, 1922 წ.—152, 1923 წ.—153, 1924 წ.—154, 1925 წ.—152, 1926 წ.—156 და 1927 წ.—154.

ამგვარად, ფერმერი იძულებულია, სისტემატიურად, 1921 წლიდან მეტად არახელსაყრელ ფასებში აწარმოოს ქალაქთან გაცვლა, რის გამო მისი შემოსავლიანობა ეცემა და ამით აიხსნება რომ, როგორც ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ფერმერთა მეურნეობანი მთელ ჩრდილო ამერიკაში მასიურად კოტრდება.

იგივე ჩეზი ხაზს უსვამს, რომ ამერიკის ფერმერთა მდგომარეობის გაუარესებას ხელს უწყობს სახელმწიფო გადასახადები, რომელნიც 1914 წლიდან განუწყვეტლივ იზრდება. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

<sup>1)</sup> ამონაწერი ს. ტ. ჩეზის წიგნიდან ფასტატიკური მასალა ფასების მოძრაობის და გადასახადის ზრდის შესახებ ჩრდილო ამერიკაში მოკვლავ ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულ წიგრიდან „Роль фермера в хозяйственном кризисе Соед. штатов“.



გადასახადების ხრდა წლების მიხედვით  
ფერმერულ მეურნეობაზე

## წლები

1914 . . . . .	100
1919 . . . . .	118
1920 . . . . .	155
1921 . . . . .	217
1922 . . . . .	232
1923 . . . . .	246
1924 . . . . .	249
1925 . . . . .	250
1926 . . . . .	253
1927 . . . . .	258

გადასახადების სიმძიმე ზოგიერთ შტატებისთვის პირდაპირ აუტანელია და ის, მარქსის მიერ აღწერილი წერილი წარმოების ძარცვას, ნამდვილ ექსპროპრიაციას მოგვაგონებს კაპიტალის პირველადი დაგროვების ხანიდან. ასე მაგ. „უკანასკნელ 7 წლის ცნობები გვიჩვენებს — ამბობს ჩეზი — რომ მიჩიგანის შტატის ზოგიერთ ნაწილში გადასახადებმა შანთქეს ფერმერთა წმინდა შემოსავლის 90 პროცენტი, სხვა ცნობები გვიჩვენებს, რომ გადასახადები ნთქვას ფერმერის წმინდა შემოსავლის ერთი მესამედიდან ორ მესამედამდე“ და ყოველი ეს ხდება არა რომელიმე კოლონიალურ ან ნახევრად კოლონიალურ ქვეყანაში, არამედ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ამერიკაში, რომელიც მისი პრეზიდენტის (ჰუვერის) მტკიცებით აყვავებდას (!) განიცდის.

ამგვარად, კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარება წერილი წარმოებისათვის არსებობის მეტად მძიმე, გამოუვალ პირობებს ქმნის. ამას გრძნობს და თვალნათლივ ხედავს წერილი საქონლის მწარმოებელი სოფლად, მაგრამ მას კიდევ სწამს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა, მას სწამს „ცხოველმყოფელობა“ კერძო საკუთრებისა, დიდი „შესაძლებლობანი“, რომელნიც ვითომდა ინდივიდუალურ მეურნეობაში მარჯია. პროლეტარიატის პარტიის უმთავრესი დანიშნულებაა, ლენინის თქმით, ამ ილიუზიის გაქარწყლება წერილ მწარმოებელთა მასაში, მათი დარწმუნება, რომ წერილი წარმოება ვერ აცდება განადგურებას, მას ვერ იხსნის ვერავითარი ძალა, ვიდრე არსებობს ბურჟუაზიული წესწყობილება, ვიდრე არ გამქრალა წარმოების კაპიტალისტური წესი, რომ მხოლოდ აქტიური ბრძოლა კაპიტალისტური სახელმწიფოს, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ გადაარჩინს წერილ საქონლის მწარმოებელს საბოლოო დაღუპვისაგან.

„ნატურალური მეურნეობის ნანგრევებზე — ამბობს აშხ. ლენინი — წერილი წარმოება ინარჩუნებს არსებობას კვების განუწყვეტელი გაუარესებით, ქორონიკული სიმშლით, სამუშაო დღის გაგრძელებით, საქონლის ხარისხის და მისი მოვ-

ლის გაუარესებით, ერთი სიტყვით, იმავე საშუალებებით, რომლებსაც ინარჩუნებდა დროებით თავის არსებობას კესტარული წარმოება კაპიტალისტური მანუფაქტურის წინააღმდეგ. მეცნიერებისა და ტექნიკის თვითეული წინგადადგმული ნაბიჯი აუცილებლად და უღმობელად უთბრის საფუძველს წერილ წარმოებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, და სოციალისტური ეკონომიის ამოცანაა—გამოიკელიოს ეს პროცესი თავის ყველა, ზოგჯერ რთულ და დახლართულ ფორმებში,—და უმტკიცოს წერილ მწარმოებელს არსებობის შენარჩუნების შეუძლებლობა კაპიტალიზმის დროს, გლეხური მეურნეობის გამოუვალი მდგომარეობა კაპიტალიზმის პირობებში, გლეხის გადასვლის აუცილებლობა პროლეტარიატის თვალსაზრისზე.“<sup>1)</sup>

რას ნიშნავს ლენინის დებულება, გლეხის გადასვლის აუცილებლობა პროლეტარიატის თვალსაზრისზე? ეს იმას ნიშნავს, რომ წერილი წარმოებისთვის არ არის სხვა გამოსავალი, თუ არა გზა პროლეტარული რევოლუციისა, გზა ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობათა დამსხვრევისა; ეს იმას ნიშნავს, რომ წერილი წარმოების ხსნა მხოლოდ სოციალისტურ წყობილებაშია შესაძლებელი, ვალატაკებულ წერილ საქონლის მწარმოებელთა განთავისუფლება მხოლოდ მეურნეობის სოციალისტურ ორგანიზაციას ძალუძს, რადგან კაპიტალიზმის დროს „წერილი გლეხების მდგომარეობა სრულადად გამოუვალა და უიმედო (უიმედო, გარეშე პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლისა მოვლი კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ.“)<sup>2)</sup>

დასასრული შენდეგ ნომერში

<sup>1)</sup> იხ. ლენინი, ტ. XII, გვ. 186 ხაზი ზეენია (დ. გ.)

<sup>2)</sup> ლენინი, ტ. IV გვ. 247.



# აპად. ნ. მარჩის უსახხუბ

ლია ბარათი გიორგის.

ამხ. ი. ბ. მცგრელიძის წერილი რედაქციამ მიიღო აქადენიკოსი ნიკო მარჩის შემდეგი ზენიშენით:

ეს წერილი მოვიხინინე და ჩემი ახრით ბევრისთვის სასარგებლო იქნება. საწინააღმდეგო არა მაქვს რა და მოსამატო კი ბეჯრი რამ, მაგრამ უცლადერს თავისი შესაფერისი მომწიფებელი გამგონები ესაჭიროება. ამის შესახებ თავის ქადაგების და ქრისტიანული სწავლის პროპაგანდის დროს თვით ჩვენი საშეალ-საფურთების მწერლებს კარგათ უთქვამათ და კიდევაც უმოკმედებოათ, მაგალითათ საინტერესოა ეფრემ მკორის წათქვამა თავის ახალი უფრო სიღრმით აღსარებულელი თარგმანების გასამართლებლათ ცნობილი გმერთიშე ათხელის ნაღვაწ-ნათარგმნია შესახებ.

22. IV. 30.

ნ. მარჩი.

## გამარჯობა მეგობარო გიორგი!

მივიღე თქვენი გამოგზავნილი ბარათი, რომელმაც მაუწყა თქვენი კარგად ყოფნის ამბავი და სურვილი, რომ მოგწერო რაიმე ჩემებური ვრცელი ბარათით აქადენიკოს ნიკოლოზ მარჩისა და მისი სკოლის მუშაობის შესახებ ეტყობა, რომ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია თქვენზედ მის მიერ მაქ. პარიზში 1922 წლის მაისში წაკითხულ მოხსენებას, დაეალება ფრიად დიღია და საფრთხილო. დღეს მთლიანი ერთი დიდი შეცნიერებაა აკად. ნ. მარჩის სკოლა, მისი „ილუტური თეორია“.

სახელდახელოდ ამ გვარი დიდი დავალების შესრულება ძნელია. ნე მაინც ვეცდები და თქვენც ამის იმედი ჰქონდა. ალბად ინიტომ დამავალე, რომ საენათმეცნიერო დარგის სტუდენტი ვარ და ახლოს უნდა ვიდეგე ამ კითხვასთან. წერილის საშეალებით, რაც გინდ ვრცელი იყოს ის მთლიანი სურათის მოცემა აკად. ნ. მარჩისაც გაუჭირდება. ისე კი რამდენადაც შეეძლებ არ დავიზარებ და სათანადო ლიტერატურის გაცნობით მოგწერ ყოველივეს.

ამხ. გიორგი! აკად. ნ. მარჩმა ამ ცოტა ხნის განმავლობაში, ენათმეცნიერთ მისცა ხელთ იარაღი, რომლის საშეალებითაც მრავალი ბნელი კუთხე იქნება განათებული ამ შეცნიერებისა. ეს გაბლავს გამოყენება მარქსისტული დიალექტური მეთოდისა ამ დარგში, რის მოხმარების შესაძლებლობა და აუცილებლობა დაამტკიცა მისმა და მისი დიადი სკოლის ბრწყინვალე საჭმიანობამ.

მართალი არის კ. მარქსს არ უჩვენებია პირდაპირ, კერძოთ ენათ-მეცნიერებაში მისი მეთოდის მოხმარების აუცილებლობა, რომელიც ამ ეამათ საჭირო იყო აკად. ნ. მარჩისათვის და რომლითაც საშეალება ექნებოდა ყოველგან ევა-

სუნხა მას ბურჟუაზიული ენათმეცნიერებისათვის მარქსისეე მატერიალური მემბადრე იმ დროს, როდესაც ისინი უკიციანებენ—„დიალექტური მეთოდი ენათ-მეცნიერებაში შეუძლებელია, თორემ თავათ იტყვიდაო“, მაგრამ ხომ ვერაინ იტყვის იქ, სადაც მარქსზეა ლაპარაკი ფრიდრიხ ენგელსს არ დაეჯერებაო?

ენგელსი კი თავად გვეუბნება ენის განვითარების შესახებ, შრომის პროცესის განვითარებიდან მოხთაო<sup>1)</sup>. ეს არ დაეჯერება ვითომ ისეთ პოლიგლოტიკს, როგორიც ფრიდრიხ ენგელსი იყო და რომელსაც 25-მდე ენაზე შეეძლო ელაპარაკა? ამასვე იმეორებს მარქსიზმის მცოდნე კარლ კაუტციკი, რომლის შესახებ თავად ლენინი ამბობდა: „კაუტციკისა და პლენანოვის ნაწერები მუდამ დაამწვენებს მუშათა სამკითხველოებსო“. აი კაუტციკის სიტყვებიც: „ენის განვითარება სრულებით გაუგებარია თუ ის წარმოებთ განვითარების გარეშე იქმნა განხილულიო“<sup>2)</sup> (ხაზი ჩვენია. ი. მ.).

თუ კი წარმოების განვითარების შესწავლა აუცილებელია მარქსისტულ დიალექტური მეთოდით, რატომ ის არ უნდა ისწავლებოდეს იმავე მეთოდით რაც მისგან ან უკეთ მასთან ერთად განვითარდა?

თუ კი წარმოების განვითარების პროცესში მოხდა ენის განვითარება და I-ლი იკვლევთ მატერიალისტურ დიალექტური მეთოდით, თავის თავად ცხადია ის რაც მასთან განვითარდა ამავე მეთოდით უნდა იკვლევოდეს. ამას კი მაქაური ენათ-მეცნიერი ვაურობის და აკად. ნ. მარრი და მისი სკოლა სწავლობს. ზემო მოყვანილი აზრები ენის წარმოების პროცესიდან განვითარების შესახებ აკად. ნ. მარრმა კიდევ უფრო ცხოველ მყოფლად ამბილა და ის ამბობს: „Слово получает свое значение в окружающей общественной среде“<sup>3)</sup> და დღეს ენაში იძებნება ისეთი მასალები კულტურის ისტორიისათვის, რომელიც სხვა მარე ვერ იქნება აღდგენილი „В языке отражаются различные степени организаций труда“<sup>4)</sup>.

ამიტომ, ვახლავს, რომ აკად. ნ. მარრმა დაარქვა თავის თეორიას „Общественно-материалистической постановкой науки об языке“<sup>5)</sup> (ხაზი ჩვ. ი. მ.).

აკად. ნ. მარრის თეორია XIX-ტე საუკუნის II-ტე ნახევრის მქნილებაა, რომელიც გზა და გზა გაიზარდა და წითელი რივი ახალთაობისა მიმდევრები იშოვა. 1888 წელს დაიბეჭდა I-ლად აკად. ნ. მარრის წერილი გაზეთ „ივერიის“ № 86-ში სათაურით „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. მას მოჰყვა 1903 წელს ძველი სომხური ენის გრამატიკა. 1908 წელს „წინასწარი ცნობა ქართული ენის ნათესაობისა სემიტურ ენებთან“, რომელიც „ძველი ქართული ენის გრამატიკის ტაბულაებში შესავალს

<sup>1)</sup> „Роль труда в процессе отчуждения обезьяны“.

<sup>2)</sup> „კაუტციკი აეთიკა“ 91 გვ. ქართ. თარგ. 1923 წლის გამოცემისა.

<sup>3)</sup> Н. Мещанинов „Введение в Яфетологию“ გვ. 17. 1929 г. Прибой, Ленинград.

<sup>4)</sup> ნ. მარრი „Об Яфетической теории“.

<sup>5)</sup> Предисл. к сборн. „по этапам развития Яфет. теор.“ стр. III. 26. издание Москва—Ленинград, 1926 г.

წარმოადგენს. იგივე პირველი ცდაა ქართული ზმნების სტრუქტურის შესწისა, რასაც შემდეგ მისი უამრავლი შრომები მოჰყვა. უარყო ენათმეცნიერებაში მონათესავე ენათათვის ტერმინი „ოჯახი“ და „ენათა სისტემა უწოდა“.

ყოველივე ამის შემდეგ ვხედავთ იაფეტური მეცნიერების დიდ წარმატებებსა და ზღაპრული ტემპით განვითარებას, რომელიც ამ მოკლე ხანში მარქსისწინათაც ეზიარა. მთელი სკოლა „იაფეტური მეცნიერებისა“ შეუდგა დიად საქმიანობას და დღეს მუშაობენ პრაქტიკულ მოშაობისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიურ საკითხზე. წამოაყენეს შესაძლებლობა პალეონტოლოგიურ გათხრებისა თვით ენაში. გათხრების წარმოება თვით ენისა და სიტყვაში და ენათა შეუღლების<sup>1)</sup> პრინციპი (მარტივი და რთული), პოლოს წამოაყენეს დებულება, როგორც ესთქვით, უტყუარი და საშეილიშვილო, რომლითაც იამაყებს მომაველი კაცობრიობა, რაც გახლავს მარქსიზმის მოხმარება ენათ-მეცნიერებაში. ამ დიად საქმიანობაში ჩამორჩა მაქაური ბურჟუაზიული ენათ-მეცნიერები და დღეს დაუპირისპირდა ერთი მეორეს ორი ბურჟი ენათ-მეცნიერებისა აკად. ნ. შარტი და აკად. მიეე. მაქაური ენათ-მეცნიერების ჩამორჩენილობის მიზეზი აღუნიშნავს<sup>2)</sup> აკად. შარტს და პროფ. Möller-საც (სადაც სწერია<sup>3)</sup>) „ინდო გერმანული ენათ-მეცნიერება დამწყვედულია თავის კედელში. ვალდებულია კედლის გამოტეხა ეცადოს ერთერთ ადგილსო. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ასპარეზი გაიშალა იაფეტურ-მეტყველთა სააზროვნოთ, დამატებით კვლევის ობიექტად გაიხიდა მთელი რიგი ენებისა. მიუარუნა ინდოევროპულ მეცნიერების ოჯახსაც, პირველად ზოგიერთ ადგილას აგებული ზუსტად და მერმედ მთელი ოჯახიც გადმოუტრიალა თითქმის: ამით კიდევ უფრო დაშორდნენ ამ ახალ აღორძინებულ მეცნიერებას და მარქსიზმის ბრწყინვალე ლამპრის შენათებით ამ მეცნიერებაში Möller-ის სიტყვით, რომ ესთქვათ. კედლები, რომელშიც ისინი იყვნენ მოქცეულნი უფრო გასქელდა და ინდოევროპული ენათ-მეცნიერებაც უფრო დაშორდა იაფეტურს.“

მართალია თეორიულად ენათ-მეცნიერება განვითარებულია ინდო-ევროპულ ენათ-მეცნიერთა ზურგზე, მაგრამ საუნივერსიტეტო მუშაობაზე მეტი ყურადღების მიქცევის გამო მოსცილებია პრაქტიკას და მით ჩამორჩა პრაქტიკულ მუშაობაზე დამყარებულ იაფეტურ ენათ-მეცნიერებას. თქმა არ უნდა, პრაქტიკასა და რეალურ ნივთზე დამყარებულ კვლევას მეტი პოზიტიური საბე ექნება.

მართალია ბევრი რამ მზა-მზარეული და წინასწარ შემუშავებული დახედა იაფეტურ ენათ-მეცნიერებას ინდო-ევროპულისაგან, მაგრამ პრაქტიკასა და რეალურ ნივთზე დამყარებულ კვლევას მოწყვეტილი მოსწყდა მეცნიერებისათვის აუცილებელ საჭირო წინ სელას, რადგან ყოველი მეცნიერების დასაბამი პრაქტიკაა.

<sup>1)</sup> ტერმინი „შეუღლებული“ იგივეა რაც „შეჯერებინებულ“ აღნიშნავს პირველი იხმარება, როგორც უფრო მარტივი ფორმა.

<sup>2)</sup> ნ. შარტი „საიაფეტო კაცოსია და მესამე ნათესაური ელემენტი შუა-მედიის კვლტურის შექმნაში“ ლექციები 1926 წ.

<sup>3)</sup> Möller „Vergleichendes indogermanisch-Semisches Wörterbuch“ 5 გვ. შენიშვნ. 6, 1911 წლის შრომის წინასიტყვაობის.

<sup>4)</sup> ნ. შარტი „ერთ ცნობობს იაფეტური ენათ-მეცნიერება“, 6 გვ. პეტროგრადი, 1923 წ.

ტიკულია და შემდგომში ამ პრაქტიკის გაღრმავებითა და ეფექტურ შედეგებზე-  
ბული თეორიული ცოდნით აღჭურვილი უნდა განაგრძობდეს მესწავლელ  
კვლევა-ძიებას. ტენიკის დარგში ცნობილია, რომ დიდი თეორეტიკოსი  
რეალურ ნივთთან მდგომი მარცხდება უბრალო პრაქტიკოსის  
წინაშე. პრაქტიკა ასაზრდოებს თეორიას. ერთის მხრით განცალკევებული  
თითოეული ნაკლებ დასაშვებია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკა მეტი  
ცოცხალი არსია თეორიის გარეშე, ვინემ თეორია უბრაქტიკოთ. ამიტომაც სწო-  
რედ ყოველი მეცნიერების დასაბამში პრაქტიკულია. ამიტომაც  
თეორეტიკოსი რეალურ ნივთთან მდგომი მარცხდება უბრალო პრაქტიკოსის  
წინაშე. ეს ასეა ტენიკის დარგში, ასევე დამტკიცდა სოციოლოგიაშიც. ეხედავთ  
ეს მართლდება ყველა სამეცნიერო დისციპლინათა მიმართ და კერძოდ ენათ-  
მეცნიერების, რადგან მას მეტად ახასიათებს ყოველგვარ ნუშაობაში ნაკლებ  
ფანტასტიურობა, ყველაფრის გადაწყვეტა არსებული ფაქტის მიხედვით. ამი-  
ტომ არის სწორედ, რომ ენათ-მეცნიერი კანონმდებელი არ არის.

კანონები თვით ენაშია და ენათ-მეცნიერი ამხილებს იმას. სხვისთვისაც  
ხილულს ჰქმნის. იაფეტურ ენათ-მეცნიერების მამამთავარმა აკად. ნ. მარჩმა  
აღლო აღულო ყოველივე ამას. ბურჟუაზიული ენათ-მეცნიერი კი ვეღარ მიჰყვა მას,  
რადგან ზოგი რაიმეს დათმობა უხდებოდათ. ხოლო დღეს რომ ეს ზოგიერთი რამ  
დასთმონ, უნდა აიღონ ხელი იდეალიზმზე. უნდა შეუქურთხონ ჯერ კიდევ არ-  
სებულ ბურჟუაზიულ წესწყობილებას. უარყონ უნდა საკითხის სტატიურად  
გამხილება და ეზიარონ მარქსიზმის დინამიკას. ამასთანავე უნდა მიიღონ დარ-  
ვინიზმიც და შეისწავლონ ის, რომელიც დღეს დევნილია ბურჟუაზიულ მეც-  
ნიერთ მიერ. იღვენება და არ ისწავლება ის დასავლეთ ევროპისა და შეერთე-  
ბულ შტატების სკოლებში, რასაც თქვენ თვითონ დიდის მწუხარებით მწერდი  
და გვაუწყებდ აქაური ეურნალ-გაზეთობაც. უნდა ეზიარონ დარვინიზმსაც, რად-  
გან ის მარქსიზმის ორგანიული ნაწილია, რომელიც უარყოფს სქოლასტიურ  
აზროვნებას. უარს ჰყოფს და ანადგურებს ბურჟუაზიისა და მათ მესვეურ მეც-  
ნიერთათვის საბრძოლველ იარაღ-რელიგიას.

ყოველივე ამას ვერ ურიგდებიან და მანამ ვერც აკად. ნ. მარჩსა და მის  
იაფეტურ თეორიას მიუხაზოვდებიან. პირიქით—საბელწოდების გაგონებაც „ია-  
ფეტურის“ შიშის მგერელი არის და იქნება მათთვის, როგორც ეს აღუნიშნავს  
თავის მოხსენებაში ე. მ. ფრიტეს: „დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მეცნიერ-  
თათვის სიტყვა იაფეტურის გაგონება იმდენად ძნელია, რამდენადაც კომუ-  
ნისტისო“<sup>1)</sup>.

დარვინიზმი იმიტომ მოგაგონე, რომ ენათ-მეცნიერებას მრავალი საერთო  
აქვს მასთან, რადგან ენა არის ბუნების ცოცხალი ორგანიზმი. როგორც ცნო-  
ბილია, ენა სოციალური მოვლენაა და თვით ენათ-მეცნიერება, ცოდნის მი-  
ხედვით საბუნებისმეტყველო დისციპლინაა და საგნის მიხედვით ჰუმანიტური.  
ამიტომ იყო სწორედ მაქს მიულერი, შლეიხერი და სხვა მრავალი გამოჩენილი

<sup>1)</sup> Вступительное слово В. М. Фриче, стр. 8. Фриче Н. Я. Мэрр „Авт. проба. и  
очеред. задач. ифет. теор.“ Москва, 1929 г.

მეცნიერი თქვაობდა— „ენათ-მეცნიერება საბუნებისმეტყველომ დასაბუთებელია და თვით აუგ. შლეიხერმა პროფ. ზოლოფ დ-კტ. ერნსტ ჰეკელის მიხედვით ბარათი, რომელიც შენდევ წიგნადაც გამოიკა, სათაურით: „დარვინის თეორია და ენათ-მეცნიერება“, რომელშიც ის ამბობს: „საენო მეცნიერება არის ბუნების მეცნიერება, რადგან ენები ისეთი ორგანიზმებია ბუნებისა, რომელიც ადამიანის უნებურათ ჩნდებიანო“<sup>1</sup>).

ყოველივე ეს იმიტომ, თუ რამდენად ახლოს სდგას ენათ-მეცნიერება დარვინიზმთან. რა თქმა უნდა აკად. ნ. შარბი ამდენათ არ მიიმჩნევს ენათ-მეცნიერულ დისციპლინას საბუნების-მეტყველო დისციპლინად, მაგრამ მაინც ახლოს უდგას მას.

აკად. ნ. შარბი ამბობს: „XIX საუკუნის დიდი შემოქმედებითი მოძრაობა წარსულის კვლევაში მეცნიერების სამ დარგს ეკუთვნის: ენათ-მეცნიერებას, აღმოსავლეთის მეცნიერებას (მეაღმოსავლეთობას ან ორიენტალიზმს) და არქეოლოგიას. ჩვენ მთავარ პრობლემაში და მისგან გამოწვეულ საკითხში წილი აქვს მხოლოდ ორიენტალიზს ანუ მეაღმოსავლეთობას და არქეოლოგიას“-ო<sup>2</sup>). კვლევის საგნათ კი იაფეტმეტყველთათვის გამხდარა: „1. შუა მდინარეთის (მესოპოტომიის) პირვანდელი კულტურისანი ენები და პირველ ლურსმურ წარწერათ ენები.

II. კავკასიის და მის მიდამოთა მკვიდრთა ენები,

III. მცირე ასიური პირვანდელი მკვიდრი ენები,

IV. აღმოსავალ შუა ხმელეთის პირვანდელი მკვიდრი ენები,

V. დასავალ შუა ხმელეთის პირვანდელი მკვიდრი ენები,

VI. გადათვლილ პირვანდელ ენათ და იმავე წრეში ჩვენამდე მოწვენილ ძველ და ახალ ინდო-ევროპულ ენათ განწყობილება,

VII. უცნობ ძველ კულტურისან ენათ და კავკასიის მკვიდრთ ენათ-განწყობილება“<sup>3</sup>).

ამასთან ერთად ამუშავებენ სიტყვიერ ეთნოგრაფიას, რომლისათვისაც ფირლანდიელებსა და ძველ რუსეთში შემავალს პატარა ერებს მიუჭყვევია ყურადღება და მრავალი მასალა შეუგროვებიათ ნაწილის თეორიულათ დამუშავებით<sup>4</sup>) მაქაურ ბურჯუაზიულ ენათ-მეცნიერთ ესეც გამოეპარათ. აგრეთვე წამოაყენეს საყოველთაო ენის შექმნის პრობლემა, არა მექანიკური მიზნის მიმღწევი, როგორც ესპერანტო, არამედ ფსიქოლოგიურადაც მთელი კაცობრიობის სასარგებლო და სულისკვეთების გამოამხატველი. „პროგრამა ცოცხალი ენის შექმნას გვიდრის ისეთი მსოფლიო საკაცობრიო ენის, რომელიც ანაგებით ცოცხალ იქნება თუმცა ხელოვნურად აშენებული“<sup>5</sup>).

<sup>1</sup>) აუგ. შლეიხერი „დარვინის თეორია და ენათ-მეცნიერება“ თარ. პ. კარაას გერმანულიდან. 7 გვ. გამოც. ქ. ტფილისი. 1889 წ.

<sup>2</sup>) ნ. შარბი „რით ცხოვრობს იაფეტური მეცნიერება“, 6 გვ.

<sup>3</sup>) ibid. 4-6 გვ.

<sup>4</sup>) ibid.

<sup>5</sup>) ibid. 54 გვ.

კიდევ მეტი საფუძველი ამისა არის აკად. ნ. შარის სიტყვის წარმოშობის შესახებ წერილი საკაცობრიო იდეალების მატარებელი და გამოხატველი პარტიკულური მეცნიერის უსაზღვრო აზროვნების: „მომავალი კაცობრიობის მთლიანობა, როგორც სიტყვაში ისე მეურნეობაში და საზოგადოებაში“<sup>1)</sup> (ხაზი ჩვენია ი. შ.).

„გამოკვლევა მეტი სისწორით სიტყვის წარმოშობისა და გაუმჯობესებამისი ცალკეულ სახეებისა“<sup>2)</sup>.

დღეს კიდევ უფრო ვაფართოვდა სამოქმედო არე იაფედ-მეტყველათათვის. ყველა ზემო ჩამოთვლილ ენებს დაემატა ენები, რომელიც იქ არ იხსენიება და იტყვნება მათში იაფეტური ელემენტები. ყოველივე ეს სამს კითხვაში არის ჩამოსხმული. 1. ლინგვისტიკის მეთოდოლოგია, 2. აზროვნება და ენა, 3. საზოგადოებრივი ფორმაციები და ენის სტადიონალური განვითარება<sup>3)</sup>.

კიდევ უფრო ნათელსაყოფად იაფეტ-მეტყველთა საქმიანობისა მოგავიწყებ ს. ი. კოვალევის 66 თეზისს, სადაც მოყვანილია დიდი ადამიანების აზრები: მარქსის, ენგელსის, ლენინის, ბუხარინის, ბოგდანოვის და თვით აკ. ნ. შარის. აი რას ამბობს ავტორი 63 თეზისში:

„... Яфетическая теория стоит на почве основных положений диалектического материализма.

В области лингвистики она делает то же самое, что марксизм сделал в области философии и социологии: она ставит лингвистику с идеалистической головы на материалистические ноги. Яфетическая теория вводит диалектический метод в исследование языковых явлений. Яфетическая теория в основном совершенно правильно определяет место языка в системе общественных отношений“<sup>4)</sup>.

სად არიან ამ დიად მუშაობის დროს ბურჟუაზიული ენათ-მეცნიერნი?

სად და ხელს უშლიან საქმის ნორმალურ ვითარებას და ყოველი მხრიდან უტყვენ ამ დიად მუშაკთ. ცდილობენ ყოველ მხრივ ხელის შეშლას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვერც აქ შერიგებია ამ ახალ აზრს და ბევრს ავად-მყოფობად ვადაქცევია, თუ რაიმე სიტყვა ამ დარგში აკად. ნიკო შარის მისწოდეს და გამოყვამათოს (მეტადრე საქართველოში). ბევრს სჩვევია, თუ რაიმე დასწერა ისეთი, „რომლის შესახებ აკად. ნ. შარის აქვს აზრი გამოთქმული საწინამდევო სიტყვას, თუ გინდ ეს მის წინამდევობაში აგდებდეს, როგორც ეს დაემართა ერთ-ერთ მომხსენებელს, ვეფხის ტყაოსნის ირველივე წაითხულ მო-

<sup>1)</sup> აკად. ნ. შარი „გვი ავტობიოგრაფია“ ჟურნ. „პართული მწერლობა“ № 6-7, 1927 წლის, 220 გვ. 27 სტრიქ.

<sup>2)</sup> იქვე.

<sup>3)</sup> Вступительное слово В. М. Фриче, стр. 8, წიგნის Н. Я. Марр, Акт. пробл. и очерк. задач. яфет. теор.“ Москва, 1929 г.

<sup>4)</sup> Н. Я. Марр: „яфетическая теория и программа общего курса учения об языке“. Баку—1928 г. 144 стр.

ხსენების დროს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების წევრების კრებაზე. ესეც ატავისტურად გადმოცემული ბურჟუაზიული სულისკვეთებით უნდა აეხსნათ.

ბეგრს გადმოცემია ეს და კიდევ თავი ვერ დაულწმევია მისგან. კიდევ „ევროპული“ საზომით სჭერატს ბეგრი. დღეს კი დროა მეცნიერების სფეროში საზომი „ევროპული“ მოიხსნას. არ გამოდგება დღეს მათ მიერ გამოწერილი დოხა და ახალი გზით მსვლელობის დროს, ახალი შთაბეჭდილებანი ავითვისოთ უნდა, რაც ძველი რეფლექსების გადაწვევას მოითხოვს. „ევროპული“ საზომის მომყვლების შესახებ გაკვრით ითქვა ჩვენში დოცენტ ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ. „აკად. ნ. მარჩის იაფეტურ თეორიას მიზნად აქვს დასახული შეარყოფოს ინდო-ევროპული მეცნიერების „მონოპოლია“ მეცნიერებაში, ასეთი მეცნიერება ყოველნაირი უვარჯისი იქნება. „მონოპოლიურ“ მდგომარეობაზე აყვანილი ყოველნაირ მეცნიერებათა უვარჯისობა და ამისთან ერთად ენის პირველ ყოვლით სახის გამოკვლევით მიანიჭოს ლინგვისტურ პალეონტოლოგიას ისეთი მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, როგორი მნიშვნელობითაც აღჭურვილია პირველ ყოვლით არქეოლოგია... ევროპა ყველაფრის საზომით არ გამოდგება!“ მეტადრე ევროპიული საზომი იაფეტურ ენათ-მეცნიერებაში არ გამოდგება.

როცა „თანდათანობით საკითხი კაეკასიის ენების წარმოშობის შესახებ გადაიჭვა ადამიანის ბეგრითი სიტყვის წარმოშობის პრობლემათ“ (აკად. ნ. მარჩი). თვით მასალების განხილვა კვლევის პროცესში არ ასცდენია ნაშდვილ მეცნიერულ საფუძველს, რის გამოც ყოველივე ახალს აქ მეტი პოზიტიური სახე აქვს. აი რას სწერს აკად. ნ. მარჩი: „მასალები ხელს მიწყობდენ გამოშვრკევი დასახული პრობლემები, ეს დაგროვილი მასალები არ ზღუდავდენ ჩემს ინტერესს ა ა თუ იმ ენისადმი?“ აი მთელი საკითხი—ადამიანის ბეგრითი სიტყვის წარმოშობის პრობლემა, რომლის შევიწროებასაც ბურჟუაზიული ენათ-მეცნიერები ჰფიქრობენ. თავად კი ხელი აიღეს სრულებით ამ საკითხის კვლევაზე და ფსიქოლოგებს მიანდვენ. ესეც რომ არ იყოს, ისინი შესძლებენ თუ არა დაგროვილმა მასალამ მათი ინტერესი არ შეზღუდოს რომელიმე ენისადმი?

ინდო-ევროპული ენათ-მეცნიერნი, როგორც საერთოდ ცნობილია, მათი ოჯახის ენათა სახელწოდებაშიც ვერ შეთანხმებულან. მათ ულტრა იისფერ ნაციონალისტობას (რომლიდანაც თავისუფალია აკად. ნ. მარჩი და მისი სკოლა) ისიც ამოწმებს, რომ ტერმინი „ინდო-ევროპული“ თავსატეხ საგნად გამხდარა. მონათესავე ენებისაგან აყენებენ ენათა ოჯახს, გინდ ენათა სისტემას, მეორესაგან გასარჩევად თავის საყოთარი სახელწოდება უნდა. ამ სახელწოდებას უფრო ხშირად გეოგრაფიულ ან ეთნიურ ძირიდან ლებულობენ. ან კიდევ შეთანხმების

<sup>1</sup>) ლ. მელიქსეთ-ბეგი „ახალი პრობლემა საქართ. ისტორიაში“. ჟურნ. „მნათობი“ № 2 (10), 214 გვ.

<sup>2</sup>) აკად. ნ. მარჩი „ჩემი ავტობიოგრაფია“ ვერნალ „ქართ. მწერა.“ ხსენებული №-რის 217 გვ.

ნიადაგზე პირობით ტერმინს, როგორც მაგალითად: „იაფეტურ-გერმანიკურ-სლავურ-ქამიტური“ და სხვა. წინედ სწორედ ეს პირობითი ტერმინი „იაფეტური“ ერქვა „ინდო-ევროპულს“ ოჯახს ენებისას, რომელიც ვერ გავრცელდა. შემდეგ ეწოდა ეთნიური სახელწოდება „არიული“. აქ არ იხსენიება ხალხი, რომელიც თავის ენით ამ ოჯახში შედის და არიული ნოდგმის არ არიან. გავრცელებით ვერც ეს ტერმინი გავრცელდა. თავისი შინაარსის სიფიწროვით უარყოფილ იქმნა და უწოდეს „არიულ-ევროპული“, მაგრამ აქ არეულია ეთნიური და გეოგრაფიული სახელწოდება. ესეც რომ არ იყოს, ვიწრო შინაარსის მატარებელია. ეწოდა „ინდო-ევროპული“ აქ ინდოელები და ევროპელებია მოხსენებული, იმ დროს როცა ამ ოჯახში ენები შედის აზიიდანაც (სომხური და ოსური). აგრეთვე ევროპაშია ენები, რომლებიც ამ ოჯახში არ შედის. მაგ. ეტრუსკული და ბასკური, რომლებსაც აკად. ნ. მარრი იაფეტურ ენათა სისტემაში ათავსებს, ხოლო ინდო-ევროპულს დღეს აღარც სხვები აკუთნებენ. მაშასადამე ესეც შეუსაბამია. უწოდეს აგრეთვე კიდევ უფრო ვიწრო პატრიოტული ტერმინი „ინდო-გერმანული“. ეს თვით გერმანელების მიერ, რადგან ყველაზე მეტი ღვაწლი მათ დასდევს ამ ოჯახს გამოკვლევების მხრივ. ეს იმდენათ ვიწრო ტერმინია, რომ ინდოელები და გერმანელებია შიგ ხსენებული. ყველა ეს მათ ვიწრო ნაციონალისტურ სულისკვეთებას ამტკიცებს. აკად. ნ. მარრის სკოლის მეცნიერმა ბაბაევმა ასეთი არეულობის ბოლოს მოსაღებად ამ ოჯახს „პრომეთე“ უწოდა. ვერც ეს შეიქმნა უფლებამოსიებული ტერმინი. გერმანელები „ინდო-გერმანულს“ ეძახიან, ფრანგები „ინდო-ევროპულს“ და სხვა კიდევ სხვას. კვლავ შეუთანხმებლობა და არეულობაა მათში. რატომ?— იმიტომ რომ გერმანელს არ სურს მისი სახელი არ იხსენებოდეს ოჯახის სახელწოდებაში. ფრანგს არ სურს თავი გამოიტოვოს და ყოველივე ეს აღბად თქვენთვისაც ამოწმებს მათ კარჩაკეტილობას და ადვილად წარმოგიდგება სურათი, როგორ არ შეზღუდავს დაგროვილი მასალა, რომელიც ენისადმი მათ ინტერესს. ეს მაქ აგრეა არა მარტო ენათ-მეცნიერთ შორის, არამედ საერთოდ ყველა დისციპლინებში, თუ სხვა რაიმე არ აკავშირებს მათ. დავიწმინდებ გრგ. პლუზანოვის სიტყვებს: „ცნობილია, რომ გერმანელ მეცნიერთ არ უყვართ ხოლმე ფრანგ მეცნიერთ დაეთანხმონ და პირიქით, ფრანგ მეცნიერთ არ უყვართ დაეთანხმონ გერმანელ მეცნიერებს“.<sup>1</sup>) ამ ერთმანეთის მიუყვალლობას ისეთი სერიოზული სახე ჰქონია მიცემული, რომ ბელგიელ ისტორიკოს პირენს განსაკუთრებული სიამოვნებით აღუნიშნავს თურმე „Revue Historique“-ში მონოს და ლამპრეტის ისტორიულ შეხედულებათა თანხმობა.<sup>2</sup>

წარმოიდგენ აღბად თუ, როგორ მოექცევა თითოეული მათგანი ამა თუ იმ საკითხისათვის დაგროვილ მასალას, რომელიც აკად. ნ. მარრისათვის არ ზღუდვენ ინტერესს არც ერთი ენისადმი. როგორ გამოიყენებენ მას და როგორ სამოსელში გამოწყობილს მოგვაველენ და დაიცავენ თუ არა ობიექტობის მინიმუმს, რომელსაც მოითხოვს მარქსისტული მსოფლმხედველობა და მეცნიერების კეთილ-

<sup>1</sup> გ. პლუზანოვი „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“, 141 გვ. კართ. თარგ. 1929 წლის ჭ. ტფილისი.

<sup>2</sup>) იქვე

დღეობა. იაფეტ-მეტყველთა ასეთი დიდი მიღწეწილობისათვის სწორედ სტეფანე მალხასიანსაც, რომ უთქვამს: „იაფეტური-ენათმეცნიერება ის არის კაცობრიობის შესწავლაში, რაც ტენიკის განვითარებაში ჰაერში ფრენა და ჰერის დაპატრონება გახლავსო“<sup>1)</sup>.

როგორც ესთქვით წინ იაფეტურ თეორიას ყველა არც ჩვენში იზიარებს და აქაც მრავალი მოწინააღმდეგენი ჰყავს. თეორიაც იმიტომ ჰქვია სწორედ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გამოსავალი ადგილები ფარდა აღსსნელი აქვს და ამხსნელს საჭიროებს, ეს არ ნიშნავს ახსნილი და მიღწეული არ ვარგოდეს. ჯერ კიდევ მრავალ აქტიორებს საჭიროებს ახალი სენსების საზოგადოებისათვის საშილებლად, რასაც ალბად კავშირში დაარსებული იაფეტური ინსტიტუტი საკმაო ძალებით შემოსილი და სხვადასხვა უნივერსიტეტებში არსებული იაფეტოლოგური კათედრები შესძლებენ. გაკვირვებით აღნიშნავ, რატომ არ უპასუხებს აკად. ნ. შარბიაშვიტის მოწინააღმდეგენსო. დიახ, მართალი ხართ. რამდენი კრიტიკული წერილები, უკეთ, რამდენი კრიტიკული შენიშვნები დაიწერება იაფეტ-მეტყველთა კვლევის პროცესში გამოსულ შრომებზე, ყველას ვერ უპასუხებენ. მეტადრე იმ დროს, როცა დროც არ იძლევა ამის საშუალებას. თუ ამ გვარად არ მოიქცეოდნენ მთელ დროს მოწინააღმდეგეთა პასუხებს. მოანდომებდნენ და მრავალი მიღწეები იაფეტ-მეტყველთა ჯერ კიდევ მისაღული იქნებოდა. ამიტომ არის სწორედ, რომ იმდენს ახალს გვაცნობენ, რამდენსაც სხვა ვერაინ. აი თავად რას სწერს აკად. ნ. შარბიაშვიტი ამ კითხვაზე, რომ უფრო დავაქმაყოფილო თქვენი ცნობის მოყვარობა— „როგორც მეცნიერი, ომს არ ვსაჭიროებ არავისთან, არც მეცნიერებთან, რადგან ჩემი სხვათათვის საწინააღმდეგო მეცნიერული აზრები უამრავი მასალისაგან იზადება. ერთხელ როს წარმოთქმულა ჩემგან დამოუკიდებლათ იზრდება, როგორც ზღაპრული მრავალთავიანი ვეშაპი, რამდენს თავს მოსჭირან ორი იმდენი ახალი რომ ამოუვა“<sup>2)</sup>.

„არავითარი ჩანაშემებით, არავითარი დაციწიწით, არავითარი კვანტის კვრით ან მოულოდნელი მხრით (საიდანაც ზელის შეწყობას ვიმედოვნებდი) ფეხის გამოშლით ერთხელ აღმოჩენილი სამეცნიერო კვშიარტების საწინააღმდეგო დაბრკოლება, ჩაქრობა არ შეიძლება. აქ მეცნიერებს სჭირია ომი კი არა შრომა წყნარი, უბრალო, მაგრამ შეუწყნარებელი ცხარე, შანთსავით გაბურებული ცხარე-შრომა. რაც დასაღწობია დადნეს, რაც სიმტკიცის მექანიკა რკინულსავით ბრძვედში გამოვლალა კვშიარტებათ უნდა გაიჭედოსო“<sup>3)</sup>.

კიდევ უფრო კონკრეტული პასუხი მისივე ასეთი გაზალეს: „ჩვენ აუცილებელ მოწინააღმდეგეთ ნუ ვვომებით. ხმა არ გავსცეთ! ვისმინოთ და ვიშრომოთ! იშრომეთ! მუშაობა და მუშაყნი გვაკლია“<sup>4)</sup> აი ამას ის სწერდა 1923 წელში

<sup>1)</sup> ნ. შარბიაშვიტი „საქართველო და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ“ იხ. „ქართული მნათობი“ № 5 1924 წლ. 232 გ.

<sup>2)</sup> ნ. შარბიაშვიტი „ქართუ-ერის კულტ. მებლი ენათ-მეტ. მიხედვით“ „ქართ. მნათობი“ № 4, გვ. 201.

<sup>3)</sup> იქვე 204.

<sup>4)</sup> ნ. შარბიაშვიტი „ერთი ცხარე. იაფეტ. ენათ-მეტ.“ 78 გვ.

ამ აზრში ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ ერის დავუმატებელი მუშაობა და მუშაობა იმატა. მთელი რიგი ახალ-ახალი თიხისა მიმდევრებს მუშაობის კომ-  
ლებიც დაუღალავად მუშაობენ ამ დიად საქმეში, რადგან იციან რომ „საბო-  
ლოოდ სიმართლის გამარჯვება ექვს ვარსება“.

ეს ასე არ გაიგო თითქოს ძალებს აღარ საქიროებდეს იაფეტური თე-  
ორია. პირიქით, დღეს რამდენადაც გაფართოვდა იაფეტ-მეტყველთა სამოქმედო  
ასპარეზი, იმდენად მთელ რიგ კიდევ მეტ ახალ ხელს საქიროებს და „სამკალი  
ფრიაღ არს“. ამ დაუღალავი შრომის მიზანი აკად. ნ. შაროს სიტყვით  
რომ ესთქვათ არის „რის მიღწევაც შეიძლება ყველაფრის გაკეთება“.

როგორც წინა გვერდებზე გვერდი ყოველივე იმაზე რაც დღეს პრობლე-  
მატიურ საკითხად უდვას იაფეტ-მეტყველებს დაუღალავი შრომა წარმოებს და  
ამბობს: „მომავალ კაცობრიობის მთლიანობა, როგორც სიტ-  
ყვაში ისე მეურნეობაში და საზოგადოებრივობაში“-ო<sup>1)</sup> (ხაზი  
ჩემია ი. მ.). ეს მარტო სიტყვა არ არის. ეს საქმეა, რადგან „ენა სიტყვა და  
საქმეა“<sup>2)</sup> ამ მოღიანობისათვის იყო სწორედ, რომ ჯერ კიდევ 1923 წელს წამო-  
აყენა პროექტი მთლიან კავკასიის ერთ სამწერლობო ნიშანზე გადასვლისა, რის  
შესაძლებლობა დაამტკიცა ხსენებულ შრომით „რათ ცხოვრობს იაფეტური  
ენათ მეცნიერება“.

ხსენებულ შრომაში აკად. ნ. შაროი დასაბუთებს მრავალ სამწერლობო ნიშ-  
ნების შეკვეცისა და ერთზე გადასვლის აუცილებლობას, რაც კულტურულ კა-  
ცობრიობას გაუადვილებს მრავალგვარი სამწერლობო ნიშნების დაძლევისა. აბა!  
იფიქრე, ადამიანი, რომელმაც რამდენიმე ათეული ენები იცის და მის მიერ ამ  
ენათა სხვადასხვაგვარ დამწერლობების დაძლევა.

შართალია დღეს ვერ ჰპოვა, ამ საკაცობრიო იდეალმა გამოაძახილი, მა-  
გრამ იმ მხრივ ხომ დღესაც წინშენელოვანი დარბა, რომ მეცნიერულ შრომებში  
მოსაყვანი ქართული ფორმებისათვის, მოისპო მრავალგვარი დიაკრიტულ ნიშ-  
ნების ხმარება, რითაც ბოლო მოეღო მრავალგვარ დიაკრიტულ ნიშნებს, ქარ-  
თული აფრიკატებისა მშენებებებების გადმოცემისათვის.

საიაფეტო კავკასიის ერთ სამწერლობო ნიშანზე გადასვლის აზრი რომ გამო-  
სთქვა ბევრი იმიტომაც კი უკიციანებენ.—საუკუნოების განმავლობაში ძველი კლასი-  
კური ენები გვისწავლია და ახლა კავკასიური ენების შესწავლას გვიპირებსო.  
ბევრმა ამით ისიც თქვა—ქართული ენა, რომ სამშობლო ენად მიაჩნია, ამიტომ  
ყველას მის შესწავლას სთხოვია. ამის შესახებ ამბობს: ნე რომ ქართული  
ენის მკვლევარი ვარ და სამშობლო ენად ვთვლი, ამიტომ კი არ ვღალადებ  
ქართულის სიდიადეს, არამედ ენაა ბუნებით მსოფლიური. აი მისი სიტყვები:  
„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოი-  
თქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან

1) აკად. ნ. შარო, „ჩემი ავტობიოგრაფია“ ქართ. მწერ. № 6 7 1927 წ. 220 გვ.

2) ნ. შარო, „ქართ. ერის კულტურული შეზღუდული ენათ-მეცნიერების მიხედვით“. ქართ.  
„მნათობი“ 5 (13) 299 გვ.

დასავლეთ ევროპის, რომ არამც თუ ქართულმა საეკლესიო ვერა-ტერობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად ავგიწერს და არა ზოგად ცნობებზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს<sup>1</sup>.

„... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი ბუნებით მსოფლიურია“—<sup>2</sup>

ამიტომაც სწორედ, რომ ამბობს—„ვიკადრებ თქმის, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათ გაუცნობლათ ვერც ერთი კაცობრიობის კულტურულ სიძველეთ საკითხი ვერ გადაიჭრება, ვერც ერთი უნივერსიტეტი კუთხანულ დარგში უქართულ-საგნოთ წარმოდგენილი ვერ იქნება“<sup>3</sup>.

ამიტომ ცილსაც კი სწამებენ, თითქოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველა ენები ერთი ენიდან წარმოშობილიყოს, და ქართულიდან. ეს ბიბლიური ამბავია და აკად. ნ. მარტს ამის მზგავსი არაფერი უთქვამს. ის ყველგან აღნიშნავს—წინედ იყო უამრავი ენები, რომლებიც საუკუნოების მანძილზე გაქრა და არსებულ ენათა რიცხვი შემცირდა „Раньше языков было еще больше, менее совершенных, менее приспособленных для уточненного использования слов“<sup>4</sup>.

როგორც ვსაქვით:

იაფეტური ენათ-მეცნიერება, რომლისათვის ამ უამრავ ენებში ძველ დროს იყო დიდი ოჯახი, საიდანაც მოდიან იაფეტური სისტემის ენები და მისი ელემენტები გზა და გზა მის გვერდით სხვა არსებულ ენებში შესულა, იკვლევს მას და მის გვერდით მეტყველების ჩასახვისა და განვითარების პრობლემებს იხილავს. ამ გზაზედ ნათელფენილი, უკეთ აღმოჩენილი, იქნა ენათა შეუღლების პრინციპი. ანავე ენის ჩასახვისა და განვითარების კვლევაში ენისადმი პალეონტოლოგიური, ენასა და თვით სიტყვაში პალეონტოლოგიური გათხრების წარმოების აუცილებლობა დაგვანახა. ამ გზით მხილდება ისეთი რამ, რაც სხვა მხრივ ვერ იქნება დამტკიცებული და მხოლოდ ფილოსოფიურ აზროვნების ნიადაგზე შეიძლება ჰიპოტეზად იქნას წარმოდგენილი. აკად. ნ. მარტი ენაში პალეონტოლოგიური კვლევის წარმოებით ფილოსოფიურ პრობლემებსაც უპასუხებს ხშირად. მაგალითად ის ამბობს: „ენის პალეონტოლოგია გვიკარნახებს, სიერცის და დროის ერთ და იგივეობას. პირვანდელი კაცობრიობის წარმოდგენით. ორივე ენება ერთი სიტყვით გამოითქმოდა: „ცა“ ნიშნავდა ერთის მხრით, 'ძრვას'—'სველელობას'—'სიერცეს'. მეორეს მხრივ, 'წელიწადს'—'დროს' (ჟამს)<sup>5</sup>.

<sup>1</sup>) Труды афетического семевария. II, Н. Марр.—Пособие для изучения живого грузинского языка. стр. 57, Ленинград—1926 г.

<sup>2</sup>) „ქართვ. ერთი. კულტ. შუბლი ენათ-მეცნიერების მიხედვით“ გვ. 928, 15. ჟურ. „მნათობი“ № 5—6 (13—14).

<sup>3</sup>) Н. Я. Марр „Акт. проблем. в очерк. задач. афет. коор.“ стр. 25.

<sup>4</sup>) „მნათობი“ № 5, 1924 წ. გვ. 237, 24.

დამოუკიდებლათ ამავე დასკვნამდე მისულა ფილოსოფიურმა მკვლევარებმა მოსე გოგობერიძეც, რომელ აზრსაც შემდეგ ამ ენობრივი ფაქტების მხილებამ ფრთები შეასხა. <sup>1)</sup>

როგორც ვნახედ იაფეტური ენათმეცნიერება ყველაზე მეტს მუშაობს ქართულისა და სხვა კავკასიურ ენების სამეცნიერო ასპარეზზე გამოყვანის საქმეში. მოწინააღმდეგენიც ყველაზე მეტი ჰყავს მას, რომელთაგან აუარებელი საწინააღმდეგო დაწერილა, მაგრამ საბოლოოდ დამტკიცებული არაფერს მიერ არაფერი ყოფილა. ყველანი უფრო წმინდა საენათმეცნიერო თეორიულ საკითხებში ეკამათებიან, თორემ იმის შესახებ რაც მის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ვერაუფერი უთქვამთ. ამ მხრივ საჭიროა ქართველურისა და სხვა იაფეტური სისტემის ენების ცოდნა, რომელსაც მოწინააღმდეგეთა ბანაკის უმრავლესობა მოკლებულია. როცა არ იციან, რა მასალასთან აქვს საქმე დიდ მეცნიერს ზეერი არაფერი ეთქმით. ამ მხრივ მეცნიერული სიტყვა აკად. ნ. მარბის მიმართ ჩვენი მასწავლებლის არნოდდ ჩიქობავას მიერ ითქვა, სარეცენზიო წერილში რომელიც მან დასწერა აკად. ნ. მარბის შრომის შესახებ: „*прагматика древне-литературного грузинского языка. Материалы по яфетскому языковедению*“ XII. Ленинград—1925 г. ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო „*მიმოხილველი*“-ს 285—320 გვერდებს შუა („*მიმოხილველი*“ I. ტფილისი 1926 წ.) რეცენზენტი ეხება არა მარტო ხსენებულ შრომას, არამედ იქვე შეთოდს და საერთოდ ძირითად პრინციპში ეკამათება მას, ამ მხრივ ბევრი რამ მიუღებელია მისთვისაც. ეს ბუნებრივია, რადგანაც მას ამ საკითხში დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა აქვს და იდეური მოწინააღმდეგეა მისი. ოღონდ იაფეტური ენათმეცნიერების მიღწეწნილობას არ უარყოფს და წერილს ამ გვარად იწყებს—„ეს პირველი მეცნიერული გრამატიკაა ქართული ენის, არა მხოლოდ ძველი-სამწერლობისა, არამედ საერთოდ ქართულისაც“ და ამასვე უფრო მკვეთრად იმეორებს დასასრულს—„ეს პირველი ნაშრომია, რომელშიაც მთლიანად წარმოგვიდგინა ძველი ქართულის ენობრივი სახეობა. ამდენად „ძველი სამწერლობო ენის გრამატიკის მოვლენა ისტორიული ფაქტია“. ამას ამბობს იდეურად მოწინააღმდეგე ადამიანი ამავე ძველი ქართულის საკმაოდ მომწიფებული მკვლევარი. აკად. ნ. მარბის გენიალობას, დილექტანტის აზირებულ გონების „ბრანდის“ გარდა ვერავინ უარბლოუს. ეს ის ადამიანია, რომელსაც ხორციც ნიქად შებშია ძვალზე და საუკუნოების წინაშე იდგომება, როგორც ბურჯი ენათ-მეცნიერებისა.

დიდ-ადამიანებს ხშირად უფრო დიდი შეცდომა მოსდით. შესაძლოა მრავალი რამ ამ მეცნიერებაში მცდარი იყოს და მრავალიც საბოლოოდ ჩამოყალიბებული, მაგრამ ამისთვისაც ხომ სდგას მომავალი წინ და მრავალ ახალს იტყვის. ვინც რაიმეს აკეთებს, შეცდომებიც იმას ეწმება, რომელიც გზა და გზა

<sup>1)</sup> მოსე გოგობერიძე—აკად. ნ. მარბი „ნაპერწკ.“ და შემწვევები იაფეტური თეორიის შესახებ. უფრ. „ჩვენი მეცნიერება“, 1925 წ.

საბოლოოდ ჩამოყალიბების დროს სისტემაში მოვა და დაგვრებულ კვლევას  
სრულ საბოვანი შეცნირებისა. დიდ ხეს მრავალი ნაფოტი დასცვივა--როგორც ხალ-  
ხი ამბობს. უნაკლო არამც თუ ახალ აღორძინებული შეცნირება, არამედ საუკუ-  
ნობების მიერ, ყოველ მხრივ შესწორებული, საუკუნობების მიერ შექმნილი და  
გამომწვევებული კვრცბიც ვერ არის თავის ფორმით და მცირე დამრეცხე  
მოქცეული თავს ველარ იმაგრებს.

ახლა კი მშვიდობით და წერილს სხვა დროსაც მოგწერ.

1929 წლის ზაფხული.  
ხიდისთავი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ტ უ რ ა

83

1. მაიაკოვსკი—საბჭოთა პასპორტი. თარგ. ვ. გ. . . . .	5
2. ფრიდონ ნაროუშვილი—კორდანი . . . . .	7
3. ალ. აბაშელი—ქალი სარკეში (გაგრძელება) . . . . .	13
4. რაუდენ გვეტაძე—ჭიაკოკონა . . . . .	47
5. დავით სულიაშვილი—შორეული (გაგრძელება) . . . . .	63
6. ნოე ზომლეთელი—აჯაბო (გაგრძელება) . . . . .	88
7. ერიხ შარია რემარკ—დასაუღეთის ფრონტი უცვლელია (დასა- სრული) თარგმანი გერმანულიდან უ. ურდოელის . . . .	112

### ქ რ ი ბ ი კ ა, მ ე ც ნ ი ე რ ა ბ ა, კ უ ზ ლ ი ც ი ს ბ ი კ ა.

8. შადვა რადიანი—რევოლუციის პოეტი . . . . .	148
9. სიმონ ხუნდაძე—აკაკი წერეთელი (გაგრძელება) . . . . .	155
10. დავ. გვაზავა—წერილი წარმოების თეორია და კოლექტივიზაცია	195
11. ი. ბ. მეგრელიძე—აკად. ნ. შარბის შესახებ . . . . .	219